პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— ჩეხო-სლოვაკიაში მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.
— გაიხსნა საბჭოთა პავილიონი ვენეციის სამხატვრო გამოფენაზე.
— უმუშევრობის დაზღვევის საქმის რეფორმა გერმანიაში.
— უმუშევრობის ზრდა ავსტრიაში.
— 43 მილ. მანეთი კალიასთან საბრძოლველად.

კვირა, 8 ივნისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 132 (2780)

ახალი ბრძოლებისა და გამარჯვებებისაკენ

(პარტიული ყრილობის შედეგები გისათვის)

ერთ კვირაზე მეტი მუშაობის შემდეგ დასრულდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მეშვიდე ყრილობა. ხუთმეტი სხდომის მანძილზე უზენაესი ორგანო ჩვენი პარტიისა იხილავდა თითქმის ერთი წლის ნამუშევარს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში. სამმა ძირითადმა მოხსენებამ: ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშგლეხინის ანგარიშებმა და მოხსენებამ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ—მნიშვნელოვანი და დიდად საინტერესო მასალა მისცა დელეგატებს ადგილებიდან და ცენტრიდან—გაეშალათ ფართო კამათი ჩვენი წარსული და მიმდინარე მუშაობის საპრინციპო საკითხების შესახებ, აღენიშნათ მიღწეული წარმატებანი, შეეფასებინათ დაშვებული შეცდომები, რომელთაგან ზოგიერთები წარმოადგენენ საკავშირო კომუნისტური პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხაზის გამრუდებას, სათანადო დირექტივების გადამახინჯებას და ამნაირად დაესახათ ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედება პარტიული ორგანიზაციების აქტივობას მომავალში.

მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხებიდან, რომლებსაც შეეხო ყრილობა და რომელთა შესახებ მან გამოიტანა შესაფერისი გადაწყვეტილებანი, ჩვენ შევეხებით აქ დღეს მხოლოდ რამოდენიმეს.

როგორც ჩვენ უკვე ვწერდით, პარტიას შეუძლია აღნიშნოს, შარშანდელ სამეურნეო წელთან შედარებით, დიდი მიღწევები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში, მნიშვნელოვანი წარმატებანი თითქმის ყველა მაჩვენებლების მხრივ. მიუხედავად ამისა ყრილობას არ შეეძლო გვერდი აეხვია იმ ფაქტისათვის, რომ ჩვენმა მრეწველობამ ვერ შეასრულა სავსებით თავისი საწარმოო-ფინანსიური გეგმა (რომელიც მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში განხორციელებული იქნა მხოლოდ 97,7 პროცენტით). თვითღირებულების დაკლების მხრივ კი ნახევარსაც ვერ მიაღწია იმასთან შედარებით, რაც გეგმითვე იყო გათვალისწინებული. ადგილი ჰქონდა ამასთანავე პროდუქციის ხარისხის რამოდენიმედ გაუარესებასაც. ყრილობამ ამიტომ „ხუთწლედისათვის ბრძოლის ცენტრალურ ამოცანად“ დასახა არა მარტო შესრულება გეგმის, არამედ მისი შესრულება გადაჭარბებით როგორც რიცხობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ და მოუწოდა პარტიულ, პროფესიონალურ, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს მთელი ძალების დაჭიმვისაკენ, რათა ამ უდიდესი მიზნის მისაღწევად გატარებულ იქნეს წარმოების რაციონალიზაცია და შრომის ნაყოფიერების გადიდება, ერთმმართველობის გადაჭრით გატარება და შრომის დისციპლინის აწევა სათანადო სიმაღლეზე.

ამასთანავე დაკავშირებით ყრილობამ უდიდესი ყურადღება მიაქცია საკითხს მუშათა რეალური ხელფასის ზრდის შესახებ, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მით ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ამ მხრივაც ჩვენ უნდა აღვნიშნოთ მნიშვნელოვანი ჩამორჩენა იმასთან შედარებით, რაც განზრახულია ამ წლისათვის (12 პრ.). ყრილობის დელეგატებმა სასტიკი, მაგრამ უაღრესად საქმიანი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ჩვენი დამამზადებელი და განმანაწილებელი ორგანოების მუშაობა, მიუთითეს უმთავრესად კოოპერაციის მთელ რიგ დეფექტებზე, მისი აპარატის სისუსტეზე. ამხანაგები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ფართო მოხმარების საგნების სიცოტავის პირობებში უფრო შესამჩნევი შეიქნა ჩვენი კოოპერაციის აპარატის ფუნქციონალური სისუსტე და მისი მუშაკების უუნარობა, რომელიც ხანდახან პირდაპირ დანაშაულების ხასიათს ატარებს. ყველა ამ მოსაზრებათა გამო, ყრილობამ, აღნიშნა რა მუშათა მატერიალური მდგომარეობის თანდათანი გაუმჯობესება, აღიარა იმავე დროს შეუსრულებლობა ამ დარგში პარტიის დირექტივებისა, ამ საქმისადმი არა საკმაო ყურადღება განსაკუთრებით პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სამეურნეო ორგანოების მხრივ და დაავალა ახალ ცენტრალურ კომიტეტს „მიაღწიოს უახლოეს დროში გადამწყვეტ გარდატეხას ამ საქმეში“ მთელი რიგი ღონისძიებათა გატარებით როგორც დამამზადებელ, ისე განმანაწილებელი ორგანოების აპარატების რაციონალიზაციის, საცალო ფასების დაკლების, ბაღ-ბოსტნეული და საზოგადოდ სურსათ-სანოვაგის მიმწოდებელი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის მხრივ.

იგივე კატეგორიული დირექტივა მისცა ყრილობამ საკონტროლო ორგანოებს. რეზოლიუციაში, რომელიც ყრილობამ მიიღო ცენტრალური საკონტროლო კომისიის—მუშგლეხინის მოხსენების გამო, შეტანილია სპეციალური მუხლი, რომლის თანახმად ცენტრალურ საკონტროლო კომისიას—მუშგლეხინს დავალებული აქვს დააწესოს სისტემატიური ზედამხედველობა იმაზე, რომ დამამზადებელმა, სავაჭრო და მომწესრიგებელმა ორგანოებმა დროზე განახორციელონ ყველა პარტიული და მთავრობის დირექტივები ამ საკითხზე და **სასტიკ პასუხისგებაში** მისცენ ის ორგანიზაციები და პირები, რომლებიც არ შეასრულებენ ან დაარღვევენ ამ დადგენილებებს. ყველა ამ ზომებმა უნდა მოგვცეს გარდატეხა რეალური ხელფასის ზრდაში, რომელსაც, როგორც ვთქვით, დიდი მნიშვნელობა აქვს ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის.

ამ ხუთწლედის ფარგლებში ყრილობა განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს მძიმე მრეწველობას. ის მოითხოვს ქიმიური და სამთო მრეწველობის უფრო ენერგიულ განვითარებას. ყრილობა დირექტივას აძლევს სათანადო ორგანოებს, უფრო გააძლიერონ ელექტრომშენებლობა, სამთო-გამოკვლევითი მუშაობა, საამშენებლო მასალის და იმ დარგების წარმოება, რომლებიც იძლევიან საექსპორტო საქონელს. ერთი სიტყვით ჩვენი მუშაობის გეგმა გულისხმობს „საქართველოს ყველა იმ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებას, რომლებიც დღემდე უმეტეს ნაწილად ხელუხლებელია. ხუთწლიანმა გეგმამ საბოლოო ანგარიშით უნდა შესცვალოს საქართველოს სახალხო მეურნეობის სახე“ (მე-6 ყრილობის—1929 წ.—რეზოლიუციიდან). ეს გეგმა ამასთანავე გულისხმობს ისეთ ტემპებს, რომლებიც უკვე მიღებულია პარტიისა და ხელისუფლების მიერ და რომლებიც, მიუხედავად მემარჯვენე ოპორტუნისტების პანიკური ლითაიებისა და „წინასწარმეტყველებისა“, სრულიად რეალური არიან. ეს დამტკიცა ხუთწლედის პირველმა წელიწადნახევარმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საკითხი სოფლის სოციალისტური განვითარების, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ, საკითხი თესვის კამპანიის შესახებ იდგა ყრილობის ყურადღების ცენტრში. პარტიული ორგანიზაციები მოვიდნენ მეშვიდე ყრილობაზე დაშვებული შეცდომების სრული შეგნებით. ამ შეცდომების კრიტიკული განხილვა, გამომჟღავნება, ყველა იმ გადამახინჯებათა, რომლებიც ჩაიდინეს „მემარცხენეებმა“ და მემარჯვენეებმა, დაბოლოს იმ შეცდომების, რომლებიც დაუშვა თვით ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობამ წინააღმდეგ საკავშირო კომპარტიის ცეკას დირექტივებისა (იხ. საქართველოს კომპ. ცენტრალური კომიტეტის 1930 წ. 13 აპრილის დადგენილება)—ყოველივე ეს, რასაკვირველია, ვერ მიჩქმალავდა, ფასს ვერ დაუკარგავდა დიდ მიღწევებს, რომლებიც აქვს დღეს ჩვენს სოფელს კოლექტივიზაციის (შეკავშირებულია საშუალოდ 20 პროცენტზე მეტი გლეხური მეურნეობა), დათესილი ფართობის გადიდების და ტექნიკური კულტურების ხვედრითი წონის ზრდის მხრივ.

ყრილობამ აღნიშნა ყველა ეს შეცდომები და პარტიის მუშაობის მორიგ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა მათი გადაჭრით ლიკვიდაცია და ამასთანავე ბრძოლა იმ „მეაღილეეთა“ წინააღმდეგ, რომლებიც, სცნობენ რა სიტყვით, ფორმალურად ამ შეცდომებს, არავითარ ზომებს არ იღებენ მათ გამოსასწორებლად საქმით ან და ლამობენ „მემარცხენე“ თავბრუდახვევით ჩადენილ შეცდომების გამოსწორებას მემარჯვენე მუშაობით, რაც მოასწავებს კოლექტივების ლიკვიდაციას და კულაკობის გამაგრებას.

ყრილობამ, გაუწია რა ანგარიში ჩვენი სოფლის ინდივიდუალური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლის სიძნელეს, მიაქცია ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება ამ მომენტზე და მოუწოდა მათ გაატარონ წინასწარი სამზადისი ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობით, მათი და საშუალო გლეხობის დარაზმვით კულაკობის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის კიდევ შეზღუდვითა და შევიწროებით, გლეხთა მასების საწარმოო კოოპერატიული შეკავშირებისათვის ფართო მუშაობით, რაც ერთად შექმნის საჭირო პირობებს მთლიანი კოლექტივიზაციისა და მის ნიადაგზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. საჭიროა ამას გარდა დამაგრება იმ მიღწევების, რომელიც ჩვენ გვაქვს კოლექტივების სახით და განმტკიცება ამ კოლექტივების შინაგანი ორგანიზაციისა.

პარტიის ძირითად ამოცანად ყრილობამ ამჟამად დასახა, კოლექტივიზაციის მიღწეული შედეგების ზემოხსენებულ გამაგრებისათვის მუშაობასთან ერთად, თესვის კამპანიის წარმატებით დასრულება როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებში, მოსავლის შენახვა, მზადება შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის. პარტიამ მობილიზაცია უნდა უყოს მთელ თავის ძალებს, კიდევ უფრო გააძლიეროს ხელმძღვანელობა პროფესიონალურ, საბჭოთა, კომკავშირულ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებზე, რათა წარმატებით შეასრულოს ის დავალებები, რომლებიც მისცა მას ყრილობამ.

პარტიის მეშვიდე ყრილობა დასრულდა. მან კრიტიკულად შეაფასა წარსული წლის ნამუშევარი. გააკეთა გარკვეული დასკვნები დაშვებული შეცდომებიდან და დასახა მორიგი ამოცანები „დიდ სამუშაოთა გეგმის“ შესასრულებლად.

ამ ამოცანების მკაფიო შეგნებით, მათ გადასაწყვეტად ახალი და ახალი ძალების შეკავშირებითა და ამოძრავებით პარტია გადალახავს ყველა დაბრკოლებებს და თავის ბრძოლას ახალ ეტაპზე აღნიშნავს მორიგი გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე. ასეთი რწმენით, კიდევ უფრო შემჭიდროებული რიგებით მიდის ის, საბჭოთა კავშირის სხვა ძმურ ორგანიზაციებთან ერთად, საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობაზე. დიდი ლენინის დროშით, ფოლადისებური სიმტკიცით და დისციპლინით, მუშათა კლასის მილიონებიანი არმიის აქტივობით და საერთაშორისო მუშათა კლასის დახმარებით ამოაგდებს ის კაპიტალიზმის ნაშთებს და დაამყარებს სოციალიზმს.

აჯანყების ახალი ტალღა ინდოეთში

ამხ. კაშენი ამხელს საფრანგეთის ანტისაბჭოთა ხრიკებს

გლეხთა მოძრაობა ჩინეთში ფართო ხასიათს იღებს.—კომუნისტური რაზმები წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას

აჯანყებულ ინდოეთში

აფრიდიების ტომის აჯანყება

ლონდონი, 6 ივნისი. ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის სანაპირო პროვინციიდან მიღებული ცნობები გამოხატავენ ინდოეთის ხელისუფლების შიშს, განსაკუთრებით აფრიდიების ტომის შეერთების გამო. აფრიდიების ძალა 10—14 ათას კაცს უდრის. მათ თავდასხმას აშკარა პოლიტიკური მიზანი აქვს და მიმართულია მთავრობის წინააღმდეგ. ბრიტანეთის აეროპლანები ყუმბარებს უშენენ აფრიდიების ბანაკებს. ჯავშნიანმა ავტომობილებმა, არტილერიამ, ცხენოსანმა და ქვეითა ჯარმა დაიჭირა სტრატეგიული პოზიციები პეშავერის დასაცავად. აფრიდიებმა გადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები, მოაწყვეს ბარიკადები და დაანგრიეს ხიდები. პეშავერი, შეიარაღებულ ბანაკს წარმოადგენს (ადს).

ლონდონი, 6 ივნისი. ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპირო ოლქში აჯანყდა აფრიდიების ტომი. პეშავერიდან მიღებული ცნობებით, 1,200 აფრიდიელი რაზმი, რომელიც წითელი და შავი დროშებით გამოდიოდნენ, ინგლისელთა 40 აეროპლანმა გადაუარა საჰაერო დემონსტრაციის მიზნით (ადს).

აჯანყებულნი თავს იყრიან ინდოეთის მოსაზღვრე ტომების ტერიტორიაზე

ლონდონი, 6 ივნისი. ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ვეჯვუდ ბენმა თემთა პალატაში განაცხადა: ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის სანაპირო პროვინციიდან მიღებული ცნობების თანახმად, 5 ივნისს აფრიდიების დიდი რაზმები გამოცხადდნენ პეშავერიდან რამდენიმე მილის მანძილზე, ბარის ხეობის მახლობლად მდებარე სოფლებში, და წინადადება მისცეს მოსახლეობას—შეუერთდნენ მათ ინგლისის ჯარზე თავდასხმისათვის. ბენის სიტყვით, მოსახლეობამ უარი განაცხადა მათთან შეერთებაზე. რაზმებმა დასტოვეს სოფლები. ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობა არ არის ინგლისის ჯარისა და აჯანყებულთა შეტაკების შესახებ. 5 ივნისს ღამით საჰაერო დაზვერვის მიერ შეკრებილი ცნობებით, „მოსაზღვრე ტომების ტერიტორიაზე ხდება ადგილობრივი მოსახლეობის ძალთა საშიში კონცენტრაცია“. (ადს).

პანდიტ მალავიას განცხადება

სტამბოლი, 7 ივნისი. გამოქვეყნდა ინდოეთის სამოქალაქო ურჩობის კამპანიის ყველაზე უფრო გავლენიანი ხელმძღვანელის — პანდიტ მალავიას განცხადება: მალავია ფაქტიურად მოითხოვს კომპრომისს და აცხადებს, რომ, ინდოეთის ნაციონალისტების აზრით, ინდოეთი უნდა დარჩეს ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში (ადს).

განდი საჭირო კაცია

ლონდონი, 6 ივნისი. ინგლის-ინდური გაზეთი „ინდიან დეილი მეილ“-ი სწერს, რომ განდის, ალბად, განთავისუფლებენ. გაზეთი გამოსთქვამს იმ აზრს, რომ „ინგლისელთა ეხლანდელი მთავარი მოწინააღმდეგე“ გადაიქცევა „ინგლისელებსა და ინდოელებს შორის მოლაპარაკების ერთ-ერთ ხელმძღვანელად. გაზეთის აზრით, განდი ყველაზე შესაფერი კაცია ასეთი მოლაპარაკების საწარმოებლად, „ვინაიდან მთავრობამ მისი დაპატიმრების ფაქტით ძლიერ შეუწყო ხელი მისი პრესტიჟის გადიდებას და განმტკიცებას მისი პოზიცია“. (ადს).

წითელხალათიანთა ორგანიზაციის ზრდა

ლონდონი, 6 ივნისი. წითელხალათიანთა ორგანიზაციამ პროტესტი განაცხადა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დაპატიმრების წინააღმდეგ. ორგანიზაცია აცხადებს, რომ დაპატიმრების წინ წითელხალათიანთა ორგანიზაციაში 700 კაცი ითვლებოდა, ეხლა კი 25 ათასი (ადს).

ვეჯვუდ ბენის გულახდილობა

ლონდონი, 7 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „თემთა პალატაში ოსტინ ჩემბერლენმა ჰკითხა ინდოეთის საქმეთა მინისტრს: საჭიროა თუ არა ინდოეთში მყოფი ძალები შინაური და საგარეო მშვიდობიანობის დასაცავად? ვეჯვუდ ბენმა დადებითი პასუხი გასცა და დაუმატა, რომ ინგლისის აეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს ადგილობრივი ტომების ბანაკს ჩრდილოეთ-დასავლეთის საზღვარზე (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

გლეხთა მოძრაობა

შანხაი, 7 ივნისი. ჯეძიანის პროვინციის ლოხაის მაზრაში დამშეული გლეხები მემამულეებს ართმევენ სურსათ-სანოვაგეს. მიანსუს პროვინციაში, ცაის მაზრაში თავი მოიყარა რამდენიმე ასმა დამშეულმა გლეხმა. მათ მოაწყვეს აჯანყება. მემამულეებს ასევე სურსათ-სანოვაგეს ართმევენ. შიმშილი მოედო ძიანსის, გუიჯოუს, ძიანსუს, ჯეძიანის და ანხუეის პროვინციებს. ძიანსის პროვინციაში გლეხები თავს დაესხნენ ნავებს. რომლებითაც ბრინჯი გადაჰქონდათ. ძიანის მაზრაში გლეხები თავს დაესხნენ ბრინჯის დამამზადებლებს. რომლებთაც სოფლიდან ბრინჯი მიჰქონდათ სამაზრო ქალაქში. ნინის მაზრაში გლეხებმა გაძარცვეს ბრინჯის საწყობები. (ადს).

ნანკინის ჯარი თავდაცვის ტაქტიკაზე გადადის

პეიპინი, 7 ივნისი. ნანკინის ჯარმა ლუნხაი-ტიანძინ-პუკოუს რკინის გზის რაიონში ფრონტი შეამოკლა და თავდაცვის ტაქტიკაზე გადავიდა. ჯარი სანგრებს აწყობს ჩანშინის (ლუნხაის რკინის გზის სადგური, ძიანსის ჩრდილოეთ-დასავლეთის პროვინციაში, შანდუნის საზღვრიდან 30 კილომეტრის მანძილზე) რაიონში. (ადს).

ძინანის რაიონში

პეიპინი, 7 ივნისი. იაპონიამ ძინანში (შანდუნის პროვინციის მთავარი ქალაქი) გააძლიერა იაპონიის საელჩოს დამცველი პოლიცია. **ძინანიდან გარბიან ნანკინის მთავრობის მოხელენი და უცხოელნი.** დიპლომატიურ კორპუსს განზრახვა აქვს მოსთხოვოს მოწინააღმდეგეებს (ნანკინის მთავრობას, ენ სი-შანსა და ფინ იუი-სიანს), შესწყვიტონ ძინანის რაიონში სამხედრო მოქმედება. (ადს)

კომუნისტური რაზმების გამარჯვება

შანხაი, 7 ივნისი. ნანსის რაიონში კომუნისტებმა მოაწყვეს არსენალი. კომუნისტურ რაზმს აქვს 800 თოფი და 2 ტყვიამფრქვევი. კომუნისტებმა ხენანის სამხრეთით დაიჭირეს სინჩუნი, ანხუეის ჩრდილოეთით — ინშანი და ხეშანი. (ადს).

მოითხოვენ

საბჭოთა კავშირის ცნობას

პრაღა. 7 ივნისი. ეკონომიური კრიზისის თავიდან ასაცილებლად, ჩეხო-სლოვაკიის ნაციონალისტები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას. (ადს).

საბჭოთა პავილიონი

ვენეციის სამხატვრო გამოფენაზე

რომი. 6 ივნისი. ვენეციის სამხატვრო გამოფენაზე გაიხსნა საბჭოთა პავილიონი. გახსნას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული, იტალიის ხელისუფლების წარმომადგენელნი და ხელოვნების ცნობილი მუშაკები. საერთო აზრის თანახმად, გამოფენილი ნაწარმოებნი განსაკუთრებით მაღალი მხატვრული ღირსებისა არიან. (ადს).

სხვადასხვა

● **ნანკინის მთავრობა უარჰყოფს.** როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო ნანკინიდან იუწყება, ნანკინის მთავრობა უარჰყოფს ცნობას იმის შესახებ, ვითომ საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის დაცვა.

● **პრაღას პოლიციამ გაჩხრიკა** ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სადგომი ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მე-5 ყრილობის ოქმების კონფისკაციის მიზნით. ჩხრეკამ პოლიციას არავითარი შედეგი არ მისცა.

● **ფაშისტების უწესოება.** ვაზაში (ფინეთი), მუშათა მემარჯვენე გაზეთის სტამბის აკლებაში მონაწილეობის მიმღებთა გასამართლებასთან დაკავშირებით, ფაშისტებმა გამართეს მსვლელობა ქუჩებში, გარს შემოერტყენ სასამართლოს შენობას, სცემეს სასამართლოში მისულ მუშას, შეიპყრეს და ავტომობილით გუმ ბერნის საზღვრებიდან წაიყვანეს სეიმის მემარცხენე დეპუტატი სალო, რომელიც სამოქალაქო მოწმედ გამოდიოდა. ფაშისტები უწესოებას სჩადიოდნენ ხელისუფლების თვალის წინ და იმუქრებოდნენ, რომ გაანადგურებენ მეორე მემარცხენე გაზეთის „ტიუენ იანი“-ს რედაქციას.

საფრანგეთის იმპერიალიზმის თვალთმაქცობა

ამხ. კაშენის სიტყვა დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 7 ივნისი. როდესაც დეპუტატთა პალატა ამტკიცებდა აქტს საფრანგეთის მიერ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალის ცნობის შესახებ, კომფრაქციის სახელით დიდი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კაშენმა. ამხ. კაშენმა გამოააშკარავა მთელი თვალთმაქცობა. საარბიტრაჟო შემთანხმებელი კომედიისა, რომელსაც სოციალისტები უჭერენ მხარს და რომელიც მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამხ. კაშენმა აღნიშნა, რომ ტრიბუნალი წარმოადგენს მორიგ იმპერიალისტურ ფანდს, რომლის დანიშნულებაა—დაუფაროს მშრომელ მასებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის მზადება. **„განა ნებას მისცემს საფრანგეთის იმპერიალიზმი,—სთქვა ამხ. კაშენმა,—ინდო-ჩინეთის აჯანყებულ გლეხებს მიმართონ ჰააგის ტრიბუნალს იმ მოთხოვნით, რომ გლეხებს დაუბრუნდეს 500 ათასი ჰექტარი მიწა, რომელიც მათ საფრანგეთის კაპიტალისტებმა და ბანკირებმა წაჰგლიჯეს?** განა ნებას მისცემს საფრანგეთის იმპერიალიზმი ინდო-ჩინეთის მშრომელთ მოითხოვონ ჰააგის ტრიბუნალის საშუალებით თავიანთი დამოუკიდებლობის უფლებების დაცვა? **არა, ანგარიშის გასწორება ინგლისის ლეიბორისტულ მთავრობასა და ინდოეთის მშრომელთა შორის და საფრანგეთის იმპერიალიზმსა და ინდო-ჩინეთის მშრომელთა შორის ხდება არასაერთაშორისო ტრიბუნალების საშუალებით, არამედ სისხლისმღვრელი შეტაკებების, სოფლებისათვის ყუმბარების დაშენის და საგანგებო სასამართლოების საშუალებით.** საფრანგეთი დაუცხრომლად აიარაღებს თავის აღმოსავლეთელ მოკავშირეებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ბალკანელ მოკავშირეებს იტალიის წინააღმდეგ. რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა იცის, რომ ომი აუცილებლად გამოიწვევს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას. კომუნისტებს ომი არა სურთ, კომუნისტები ემზადებიან იმისათვის, რომ რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა გაანთავისუფლოს კაცობრიობა იმპერიალისტური ბარბაროსობის მარწუხებიდან იმპერიალიზმის უახლოესი სამხედრო ავანტიურა აუცილებლად გამოიწვევს კომუნიზმის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში“.

სოციალ-ფაშისტების გაავთრებული ობსტრუქციის მიუხედავად, ამხ. კაშენის სიტყვამ, რომელიც მოსმენილ იქნა დიდი ყურადღებით, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა (ადს).

კონსერვატორების მორიგი გამოსვლა

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ლონდონი, 7 ივნისი. პარლამენტის არდადეგების წინ უკანასკნელ სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვეს ლოკერ ლემპსონმა და ჩემბერლენმა, რომლებმაც ჩამოსთვალეს ინგლისის მტკივნეული საკითხები და რომელნიც შეეცადნენ პასუხისმგებლობა საბჭოთა მთავრობისათვის მოეხვიათ თავზე. მათი სიტყვებიდან გამოდიოდა, რომ საბჭოთა კავშირის ბრალია ინგლისში არსებული უმუშევრობა. ინდუსტრიალური კონფლიქტები, ვაჭრობის დაცემა, საერთო სამეურნეო კონფლიქტები და ინდოეთის ამბები.

ჰენდერსონმა დასაბუთებულად არა სცნო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ შეიცვალოს მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ. ჰენდერსონმა, სხვათა შორის სთქვა, რომ მთავრობის სათავეში ლეიბორისტების ჩადგომის შემდეგ მან პასუხი გასცა 449 საპარლამენტო შეკითხვას „პროპაგანდისა“ და ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. (ადს).

როგორ მიმდინარეობს სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის თვითშემოწმება

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

მოსკოვი, 7 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს თვითშემოწმების ჩატარების ზოგიერთ მიღწევას მთელ რიგ ქარხნებში (პეტროვსკის სახელობის ქარხანა, ზლატოუსტის მექანიკური ქარხანა და სხვა), რაც გამოიხატა არსებული დამკვრელი ბრიგადების განმტკიცებაში და ახალი ბრიგადების შექმნაში, ცრუ დამკვრელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თვითვალდებულების კონკრეტიზაციაში და სხვ. ამავე დროს ც. კ-ი ფიქრობს, რომ რაიონების უმრავლესობაში თვითშემოწმება სრულიად არასაკმაოდ იქნა გამოყენებული მუშათა მასების და პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოების დასარაზმავად იმ მიზნით, რომ შესრულებულიყო ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დამკვრელი ბრიგადების შესახებ“ (სამრეწველო-საფინანსო გეგმის მიყვანა საამქრომდე, ხოლო საწარმოო დავალების—ყოველ მუშამდე, შეჯიბრების შედეგების აღრიცხვის და მუშათათვის სისტემატიური ინფორმაციის მიწოდების მოგვარება, დამკვრელი ბრიგადების მუშაობის სისწორით მოწყობა და სხვ.).

ეს უმთავრესად შედეგი იყო იმისა, რომ კავშირების (განსაკუთრებით მაღაროს მუშების, ხის დამმუშავებლების, ქიმიკოსების და მელითონეების) ცენტრალურმა კომიტეტებმა არ უზრუნველჰყვეს საწარმოები ხელმძღვანელობით და პრაქტიკული დახმარებით თვითშემოწმების ჩატარების ორგანიზაციის საქმეში. ბევრმა პროფსაბჭომ დაუშვა მთელი რიგი დამახინჯებანი თვითშემოწმების ხელმძღვანელობაში (გარეგნულობით გატაცება, თვითშემოწმების ორგანიზაცია მასების ფართო მონაწილეობის გარეშე, მთელ რიგ შემთხვევებში თვითშემოწმების გადაქცევა ფაქტების რეგისტრაციად და სხვა).

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს სამეურნეო ორგანოების დაუშვებლად სუსტ მონაწილეობას თვითშემოწმების ჩატარებაში.

აღნიშნულის გამო ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1) საკავშირო პროფსაბჭომ, კავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა და საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გააძლიერონ თვითშემოწმების მიმდინარეობის ოპერატიული ხელმძღვანელობა იმ ვარაუდით, რომ საწარმოებში, სადაც თვითშემოწმება ფორმალურად და მუშათა მასების მონაწილეობის გარეშე ჩატარდა და მან არ გამოიწვია გარდატეხა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაში, ჩატარებულ იქნას იგი ხელმეორედ.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ ჩაითვალოს, ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად, გაგზავნა არა ნაკლებ 50 კაცისა, საკავშირო პროფსაბჭოს, კავშირების ცენტრალური კომიტეტების და სამეურნეო გაერთიანებათა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობიდან.

2) დაევალოს სამეურნეო ორგანოებს—უზრუნველჰყონ დროებითი საკონტროლო კომისიების, ცალკე მუშებისა და თვითშემმოწმებელი ბრიგადების წინადადებათა ცხოვრებაში გატარება. ამასთან ერთად მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და გაზეთ „ზა ინდუსტრიალიზაციუ“-ს რედაქციამ მოაწყონ კონკურსი სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამკვრელი ბრიგადების მუშაობის მოწესრიგებაში მონაწილე საუკეთესო დირექტორზე და ტექნიკურ პერსონალზე.

3) წინადადება მიეცეს საკავშირო ორგანიზაციებს—ცრუ დამკვრელობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასა და იმ მტაცებლებისა და გამცდენლების გადაჭრით გამომჟღავნებასთან ერთად, რომლებიც შეიცნიან ხრწნიან დამკვრელ ბრიგადებს, გაუწიონ საჭირო დახმარება დამკვრელ ბრიგადებს მათ მიერ ნაკისრი მოვალეობის შესრულებაში და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან, რომ ბრიგადები უსაფუძვლოდ და განურჩევლად ჩარიცხონ ცრუ დამკვრელებში.

4) დამკვრელობის შემდგომ გაშლასთან ერთად საჭიროა გაფართოვდეს საწარმოთა შორის, პირველ რიგში, ხეთებს შორის, რომელთაც ერთმანეთთან საწარმოო კავშირი აქვთ (სართავი და საქსოვი, მეტალურგიული და მანქანათმშენებელი და სხვა), სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებების დადების პრაქტიკა, რომლის დროსაც მიღწეულ უნდა იქნას ხელშეკრულებების რაც შეიძლება მეტი კონკრეტიზაცია და მათი შესრულების სისტემატიური შემოწმება.

5) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ თვითშემოწმების მსვლელობაში გაზეთები, კერძოდ „პრავდა“, „ზა ინდუსტრიალიზაციუ“, „ტრუდ“ და სხვები, სრულიად არადამაკმაყოფილებელ მონაწილეობას იღებენ, რის გამოც დაევალოთ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებს, გაშალონ ფართო კამპანია თვითშემოწმების მსვლელობის შედეგების გასაშუქებლად.

6) წინადადება მიეცეთ საკავშირო პროფსაბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—უზრუნველჰყონ ის, რომ ივნისისა და ივლისის განმავლობაში მსხვილ საწარმოებში გაიხსნას კურსები დამკვრელი ბრიგადების ორგანიზაციებისათვის მათი საორგანიზაციო-ტექნიკური კვალიფიკაციის ასამაღლებლად. (ადს).

43 მილიონი მანეთი კალიასთან საბრძოლველად

მოსკოვი, 6 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად. წელს კალიის წინააღმდეგ ბრძოლა იწარმოებს 700 ათასი ჰექტარი სივრცეზე. განსაკუთრებით გაძლიერებული მუშაობა კალიის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩატარებული იქნება შუა აზიის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად დაიხარჯება 43 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან 20 მილიონ მანეთზე მეტი გადაიდება მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების მიერ. დანარჩენი თანხა უნდა გაიღოს საკავშირო მიწსახკომისარიატის ხარჯთაღრიცხვიდან.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—მაქსიმალურად გააფართოვოს შხამების დამზადება (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

„ანზორი“ მოსკოვის სცენაზე

მოსკოვი, 7 ივნისი. „ვეჩერნაია მოსკვა“ ათავსებს ვრცელ რეცენზიას „ანზორის“ შესახებ. გაზეთი აღნიშნავს იმ დიდ შთაბეჭდილებას, რომელიც რუსთაველის თეატრმა მოახდინა ამ პიესით დამსწრეებზე. განსაკუთრებით დიდი ოვაციები გამოიწვია მესამე აქტმა.

გაზეთი აღნიშნავს რუსთაველის თეატრის „ანზორის“ უპირატესობას მოსკოვის სამხატვრო თეატრთან შედარებით.

„ციმბირელი კულაჩოკი ვერშინინი, ნათქვამია რეცენზიაში, გადაჭრით მოცემულია საშუალო გლეხის სახით, საუცხოოდ არის დახატული პარტიზანთა კოლექტივი. პიესა ვერ იცვნეს მაყურებლებმა მსახიობთა იშვიათი ტემპერამენტიანი და წმინდა დინამიური თამაშის წყალობით. აქტიორთა ეს თამაში არ არის შიშველი სამხრეთული პათოს სტიქია, არამედ ის რეჟისორისა და მთელი კოლექტივის ხანგრძლივი ვარჯიშობის შედეგია“.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის ახალი შემადგენლობა

საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-7 ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ვ. ივანოვ-კავკასკი, ა. იაკოვლევი, ს. ზაქრაძე, ა. ქორიძე, გ. ჩხეიძე, ა. პოპოვი, ს. ფხაკაძე, ალ. კალაძე, ი. სირაძე, ე. ფირცხალავა, ნ. გიორგაძე, ე. მიხალოვა, ი. სტანსკი, ნ. ლეჟავა, ი. ჯეჯელავა, ა. ფირცხალავა, მ. ქერქაძე, მ. კვარაცხელია, ვ. მეტონიძე, დ. ხუბულური, ვ. ჯაფარიძე, ნ. კატალეცკი, ტ. ლაგვილავა, ს. აკოფოვი, ვ. ბადალოვი, ნ. ფირაშვილი, გ. თვალჭრელიძე, დ. ვარლამოვი, ს. ზაკომოლდინი, ი. ვოლსკი, ა. ადანაია, ა. ჯეჯია, მ. თაქთაქიშვილი, ბ. ადამაძე, ვ. რუხაძე, რ. შაუმოვა, ა. კახიანი, ა. შახსუვაროვი, ვ. სტურუა, გ. სტურუა, ვ. იტრიევი, ს. მეგრელიშვილი, ს. მახსულია, ი. ვარძიელი, ნ. დ. კიკნაძე, ა. რონზანი, გ. საავიანი, ბ. კუხალეიშვილი, ა. თიგიშვილი, გ. ბედელაძე, გ. მარქაროვი, ს. ტრდატიანი, პ. კერესელიძე, დ. აფციაური, ა. რამიშვილი, ვ. მონასტირსკი, ვ. დეკანოზოვი, ვ. ბაქრაძე, გ. არუთინოვი, ი. ჩხეიძე, ს. ალავერდოვი, ვ. ბუაჩიძე, ი. ვაინერტი, გ. ქავთარაძე, თ. ადამიძე, ი. სურგულაძე, მ. გელაშვილი, ნ. შამბახიძე, პ. ქერქაძე, მ. ფილია, ა. დოლიძე, გ. დონაძე, კ. ჯატიევი, მ. ჩუბინიძე, შ. ლეჟავა, გ. მაღლაკი, ლ. ენუქიძე, ა. გრიგორიანი, ა. მელიქსეტოვი, ვ. ჩიხრაძე, ს. შავერდოვი, მ. ჯაბადარი, პ. მხეიძე, გ. კუპაიძე, ს. ლომიძე, კრაუკლისი, ი. ჯეჯეიევი, ვ. პეტროსიანი, ვ. ჯაბადარი, ვ. ვაშაძე, კ. ქაცარავა, ა. ტარუტინსკი, ვ. ოჩიგავა, ვ. ლადარია, ა. ჩარგაზია, ი. ვარდანიანი, გ. რამიშვილი, დოლიძე, სარჯველაძე, ა. სიამაშვილი, ნ. ლომთათიძე, გ. ჩანტურია, გ. ჩაკურაშვილი, ვ. ბითაძე, ვ. ხვედელიძე, მ. სოფრომაძე, ვ. გეგაური, ს. ნამჩევაძე და ბ. ქიქოძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პირველი პლენუმი

გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, სასახლის წითელ დარბაზში შესდგა საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა საორგანიზაციო საკითხები.

პრეზიდიუმი

პლენუმმა აირჩია საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში წევრად 17 ამხანაგი, კანდიდატად 5.

წევრები.

ალ. იაკოვლევი, ვ. ივანოვ-კავკასკი, გ. სტურუა, ვ. მარქაროვი, ვ. იტრიევი, ა. დოლიძე, ვ. ჯაფარიძე, დ. ხუბულური, ალ. თიგიშვილი, ნ. დ. კიკნაძე, გრ. არუთინოვი, ს. აკოპოვი, ს. ზაკომოლდინი, მ. თაქთაქიშვილი, ს. მახსულია, ივ. ვოლსკი და ს. ზაქრაძე.

კანდიდატები.

რ. შაუმოვა, ი. სტანსკი, ი. სირაძე, ა. რამიშვილი და გ. თვალჭრელიძე.

პარტკოლეგია

პლენუმმა პარტკოლეგიაში ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: მ. კვარაცხელია, მ. თაქთაქიშვილი, გ. მარქაროვი, ვ. ოჩიგავა, ალ. რონზანი, ს. მეგრელიშვილი და ვ. ჯაფარიძე.

ც. ს. კ. თავმჯდომარე

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ამხ. ვ. ივანოვ-კავკასკი.

პარტკოლეგიის თავმჯდომარე

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის პასუხისმგებელ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. მოსე კვარაცხელია.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავის გამო

(8 ივნისი 1920—8 ივნისი 1930 წ.)

სრული 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სამხრეთ-ოსეთში მშრომელმა მასებმა **საბჭოთა ხელისუფლება** დაამყარეს. ეს მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოში, რომლის შემადგენლობაშიაც სამხრეთ-ოსეთი შედის, პარპაშობდა **ქართველი მენშევიკების** წვრილ-ბურჟუაზიული და შოვინისტური პარტია. ამ 10 წლის განმავლობაში სამხრეთ-ოსეთის გლეხობის მდგომარეობაში ძირითადი ცვლილებები მოხდა. მართალია, პირველი საბჭოები სამხრეთ-ოსეთში მენშევიკების მთავრობამ ოსეთის აჯანყებულ გლეხთა სისხლში ჩაახრჩო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მენშევიკთა სახალხო გვარდიელებმა ჯალათ ვ. ჯუღელის მეთაურობით არა თუ ჩააქრეს სამხრეთ-ოსეთის გლეხების აჯანყება, არამედ მიზნად დაისახეს ფიზიკურად მოესპოთ ოსეთის ხალხი. საქართველოს მენშევიკური მთავრობა განაგრძობდა შურისძიებას ოსეთის გლეხობაზე. უნდა ითქვას, რომ ქართველმა მენშევიკებმა ოქტომბრის რევოლიუციის დასაწყისიდანვე გამოამჟღავნეს თავიანთი **შოვინისტურ-დიდმპყრობელური** განწყობილება საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ. პირველ რიგში ეს განიცადა **სამხრეთ ოსეთის ხალხმა**, რომელიც შეეცადა მიეღო ზოგიერთი **ავტონომიური უფლება** შინაგანი მართვა-გამგეობის საქმეში, სკოლასა და სასამართლოში ხალხური ენის ხმარების საქმეში. მენშევიკურმა მთავრობამ ამაში რატომღაც ქართველი ერის უფლებათა შელახვა დაინახა და მთელი სამხრეთ ოსეთის ხალხი კონტრრევოლიუციონურ ბანდად მონათლა. მან მენშევიკებს **საბაბი მისცა** ხმალით გასწორებოდნენ ამ ხალხს, რომელიც მხოლოდ სრულიად ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს მოითხოვდა. ეს მოხდა ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში. მენშევიკები ცინიკურად დასცინოდნენ ოსების ამ სამართლიან მოთხოვნებს. ოსეთის ხალხისადმი ასეთი დამოკიდებულების გამართლება არ შეიძლებოდა არა თუ სოციალიზმის თვალსაზრისით, არამედ უბრალო დემოკრატიზმის თვალსაზრისითაც კი. ეს მოწმობს მხოლოდ იმას, რომ მენშევიკები არსებითად მაშინ **უკვე შორდებოდნენ არათუ სოციალიზმს, არამედ დემოკრატიის** ელემენტარულ პრინციპებსაც.

სამხრეთ ოსეთის ხალხის წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა იარაღით, მაგრამ უკმაყოფილება დარჩა, იგი იზრდებოდა და აფეთქებისათვის შესაფერ მომენტს ელოდა. შეიძლება ითქვას, რომ მენშევიკები ეროვნულ უმცირესობათა ყველა ელემენტარული უფლებების უხეშად დარღვევით ღრმად შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ ნაციონალურ გრძნობებს, პირველ ყოვლისა, თვითმპყრობელობის დროს ჩაგრული ოსეთის მცირე ხალხის ნაციონალურ გრძნობებს, რითაც თვითონ ჩამოიშორეს ოსები და, მაშასადამე, ხელი შეუწყეს იმას, რომ ოსეთის გლეხებში გაღვივებულიყო ბოლშევიკური განწყობილება და საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობა. ამასთან ერთად ქართველი მენშევიკებისადმი სიძულვილი უფრო და უფრო ღრმად იდგამდა ფესვს სამხრეთელ ოსებს შორის, რომელნიც მოუთმენლად მოელოდნენ იმ მომენტს, როდესაც შესძლებდნენ გადაეგდოთ ქართველი მენშევიკების უღელი მაგრამ სამხრეთ-ოსეთის გლეხებმა, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ მწარე გამოცდილება, ეხლა კარგად იცოდნენ, რომ თავიანთი ძალებით ამის განხორციელებას ვერ შესძლებდნენ, რომ ამისათვის საჭირო იყო საერთო ძალღონით ბრძოლა მენშევიკური ტირანიის წინააღმდეგ მთელ საქართველოს მუშებსა და გლეხებთან ერთად. და ისინი ემზადებოდნენ ამ ბრძოლისათვის. ამ მიზნით კავკავში დაარსდა ოსების მებრძოლი რაზმი, რომელშიაც 1.000 კაცი შედიოდა. ეს რაზმი ბოლშევიკური პარტიის მაშინდელი წითელი ჯარის განკარგულებაში იყო. უნდა ითქვას, რომ 1920 წლის დასაწყისში, ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის კონტრრევოლიუციის განადგურებასთან და იქ საბჭოთა ხელისუფლების აღდგენასთან დაკავშირებით, საქართველოში ყოველდღე მოელოდნენ დიდი ხნის მომზადებულ აჯანყებას მენშევიკური მთავრობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ამ მომენტში მოხდა აზერბეიჯანის გასაბჭოება. მენშევიკები, რომლებიც თვალისწინებდნენ, რომ საქართველოშიაც შეიძლება იგივე მომხდარიყო, საჩქაროდ შეეცადნენ დაედოთ ხელშეკრულება რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან, რითაც მათ სურდათ დაეზღვიათ თავი ბოლშევიკური აჯანყებისაგან. მათ კიდევაც მიაღწიეს ამას. ამ ხელშეკრულების (1920 წლის 7 მაისი) ერთი პუნქტით, რომელსაც ჩვენ კეთილსინდისიერად ვასრულებდით, თუმცა მენშევიკები მუდამ უტიფრად არღვევდნენ მას—საქართველოს ბოლშევიკები კისრულობდნენ ვალდებულებას დაეშალათ ყველა თავიანთი შეიარაღებული რაზმები და საერთოდ შეეწყვიტათ შემდეგში ყოველგვარი არალეგალური მუშაობა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ამ ფაქტს ანგარიში არ გაუწიეს სამხრეთ ოსეთის ამხანაგებმა, რომელნიც მაშინ აღნიშნული რაზმის სათავეში იდგნენ. 1920 წლის ივნისის დასაწყისში ეს რაზმი გადავიდა უღელტეხილზე და შევიდა სამხრეთ ოსეთში, სადაც დაუყოვნებლივ **დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება**. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთში მაშინ მეტად მძიმე პირობებში მოუხდა, ვინაიდან მენშევიკებს არ შეეძლოთ ეპატიებიათ ეს ოსეთის ხალხისათვის, და გადაწყვიტეს ეხლა ისე დაესაჯათ იგი, რომ მისგან არაფერი აღარ დარჩენილიყო. მართლაც, სამხრეთ ოსეთი პირდაპირ, რომ იტყვიან, ცეცხლსა და მახვილს მისცეს.

იმისათვის, რომ ცოტად თუ ბევრად დაახლოებით წარმოდგენა ვიქონიოთ იმ საშინელებაზე, რაც მაშინ სამხრეთ ოსეთში ხდებოდა, მომყავს რამდენიმე ამონაწერი გარეწარ ჯუღელის დღიურიდან. ყოველივე ეს საშინელება ჯუღელის ხელმძღვანელობით ხდებოდა. **„ჩვენს ირგვლივ ოსების სოფლები იწვის. საშინელი აწიოკება, მაგრამ სხვა გზა არ არის...** მე გულდამშვიდებული და წმინდა სინდისით (!?) **ვუცქერი ნახანძრევს და კვამლს**“,—სწერს იგი თავის დღიურში 13 ივნისს, მაგრამ სამხრეთ ოსეთის სოფლებს ცეცხლი ეკიდა 14, 15, 16 და 17 ივნისსაც. და იგი კვლავ სწერს თავის დღიურში: **„ცეცხლი... სახლები იწვის... იწვის და იწვის... ყველგან იწვის“**. როგორი სატანური სიამაყით იმეორებს ამ სიტყვას! ამრიგად, სახლები და მთელი სოფლები ულმობლად გადაწვეს. ამოსწყვიტეს დიდძალი მოსახლეობა, მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცები, გადარჩენილი გლეხები კი გაიქცნენ მთებში, ჩრდილოეთ კავკასიაში. გადარჩენილი ქონება (საოჯახო ნივთები, საქონელი და სხვ.) სახალხო — გვარდიელებმა გაანადგურეს და დაიტაცეს. სამხრეთ ოსეთი მაშინ გაპარტახებულ მხარეს წარმოადგენდა, იგი სრულებით დაცალიერდა. ასეთი ძალმომრეობა, აბუჩად აგდება და განადგურება იშვიათად თუ განუცდია რომელსამე სხვა ქვეყანას. თითქოს მენშევიკებმა, როგორც იყო, მიაღწიეს თავიანთ მიზანს: ოსეთის ხალხის საბოლოოდ მოსპობას. მაგრამ ამ ხალხის ნაშთები აქა-იქ კიდევ გადარჩნენ და როდესაც 8 თვის შემდეგ საქართველოში უკვე დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, სხვადასხვა ადგილას, უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიაში გაფანტული ოსი გლეხები, გაეშურენ თავიანთ სამშობლოში. მაგრამ აქ მათ ხვდებოდა მხოლოდ განადგურებული სოფლები, მხოლოდ ნანგრევები; მათ აღარ ჰქონდათ არც საცხოვრებელი ბინები, არც სამეურნეო ინვენტარი. სამაგიეროდ სამხრეთ-ოსეთის ხალხი უკვე **ბატონ-პატრონად ჰგრძნობდა** თავს თავის მხარეში. ვერავინ ველარ გაბედავდა მის შინაურ საქმეებში ჩარევას; ვერავინ ველარ გაბედავდა უცხო და გაუგებარი ენა მოეხვია მისთვის. იგი **შეუდგა ყველა თავის შემოქმედებითი, ძალების თანდათანობით მობილიზაციას, იგი სულიერად აღდგა და დაადგა ნამდვილი აღორძინების გზას, როგორც კულტურულად, ისე მატერიალურად.**

მართალია, ის ჭრილობები, რომლებიც სამხრეთ-ოსეთის ხალხს მენშევიკურმა მთავრობამ მიაყენა, იმდენად დიდი იყო, რომ მათი მალე მოშუშება არ შეიძლებოდა. მაგრამ თანდათან, ნაწილობრივ თვით გლეხობის ღონისძიებებით და ნაწილობრივ იმ სისტემატიური დახმარების მოხმარებით, რომელსაც უწევდნენ და უწევენ სამხრეთ-ოსეთს საბჭოთა საქართველო, კავკასიის ფედერაცია და საბჭოთა კავშირი, ამ უკანასკნელ დროს სამხრეთ-ოსეთის ხალხმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ როგორც ეკონომიურ, ისე კიდევ უფრო კულტურულ წინსვლელობის მხრივ. პირველად ჩაისახა მრეწველობა. იხსნება პატარა ქარხნები და ფაბრიკები; გაუმჯობესება შედის სოფლის მეურნეობაში; სწრაფად იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე; იზრდება სკოლების რიცხვი და უმჯობესდება მათი მუშაობის ხარისხი, გაჰყავთ ახალი გზები და სხვ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ჯერ კიდევ ცოტაა იმ გაჭირვებასთან შედარებით, რასაც ჯერ კიდევ სამხრეთ-ოსეთი განიცდის. მაგრამ იმასთან შედარებით, რაც ამ 8-9 წლის წინად იყო, ეს უდიდესი ნაბიჯია წინ და სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უახლოეს მომავალში სამხრეთ ოსეთი უფრო დიდ წარმატებას მიაღწევს.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ყოველივე ის, რაც ამ წლების განმავლობაში სამხრეთ-ოსეთმა მოიპოვა, მიღწეულ იქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით. ოსეთის ხალხი ამას კარგად გრძნობს, მას კარგად ესმის ეს. ოსეთის ხალხს უყვარს საბჭოთა ხელისუფლება, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, და გასაგებიცაა, რადგან მან ტანჯვით მოიპოვა ეს ხელისუფლება, იგი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, თუ რას ნიშნავს მისთვის საბჭოთა ხელისუფლება, მიუხედავად დეფექტებისა, მიუხედავად ცალკე პირების დიდი შეცდომებისა. ის ყოველთვის მხარს უჭერდა და მხარს დაუჭერს ამ ხელისუფლებას, რომელმაც გადაარჩინა იგი არა მარტო მორალურად, არამედ ფიზიკურადაც.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ათი წლის თავზე ჩვენ **პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ ისინი, ვინც თავი დასდო მენშევიკებთან ბრძოლაში, სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. დაე, სცოცხლობდეს მათი ხსოვნა!**

გაუმარჯოს საბჭოთა სამხრეთ ოსეთს!

გაუმარჯოს სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ!

გაუმარჯოს მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა ერთობას!

ფ. მახარაძე.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მე-VI ყრილობა

მესამე სხდომა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტ. კომისიის და მუშგლეხინის ანგარიში

ამხ. პეტერსის მოხსენება

ამხანაგებო, განვლილი ორნახევარი წელიწადი, რომლის მუშაობასაც მე უნდა შევეხო, უდიდესი მიღწევებით ხასიათდება. საანგარიშო პერიოდი იყო დიდი გამარჯვებების პერიოდი სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტებზე. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ეს მიღწევები პარტიამ მოიპოვა მთელ რიგ მძიმე სიძნელეთა დაუნდობლად გადალახვის გზით. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას განსაკუთრებული მუშაობის ჩატარება დასჭირდა იმისათვის, რომ ფეხდაფეხ გაჰყოლოდა პარტიას მთელ რიგ მიღწევებისათვის ბრძოლაში. ცენტრალური საკონტროლო კომისია ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა მათ წინააღმდეგ, ვინც სცდილობდა დაერღვია პარტიის მთლიანობა, ვინც მოითხოვდა სოციალისტურ მშენებლობის ტემპების შენელებას.

ბრძოლა ორ ფრონტზე

საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობის შემდეგ ტროცკისტული ოპოზიცია გამოცოცხლდა. მაგრამ პარტიის გამარჯვებამ სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე დაანგრია ტროცკისტული კონტრრევოლიუციის მუშაობა. საუკეთესო რამ, რაც კი იყო ტროცკისტულ ბანაკში, პარტიის რიგებს დაუბრუნდა, დანარჩენები კი უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდნენ ბარიკადებს იქით. დღეს ტროცკი ჩვენი აშკარა მტრების რიგებში სდგას.

პარტიამ არ დაუკეტა გზა შეცდომების გამოსასწორებლად იმ ამხანაგებს, რომელთაც გულწრფელად აღიარეს თავიანთი დანაშაული და ითხოვდენ პარტიის წევრებად აღდგენას. განსაკუთრებით გაუადვილეთ ჩვენ პარტიის რიგებში დაბრუნება იმ ყოფილ ტროცკისტ მუშებს, რომელნიც შეცდომით გაჰყვნენ ტროცკისტებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი პარტიული უჯრედები, საჭირო ყურადღებას ვერ იჩენდნენ ასეთი მუშა ამხანაგების მიმართ. 188 პარტუჯრედის შემოწმებამ ეს ნათლად გამოაშკარავა. ეს ნაკლი უნდა აღმოფხვრილ იქნას. ამასთანავე ამხანაგებო, ჩვენ გვქონდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ტროცკისტები სცნობდნენ თავიანთ შეცდომას და ითხოვდნენ პარტიაში შესვლას, მაგრამ თანვე უბით ქვა მოქონდათ პარტიის წინააღმდეგ. ისინი თითო-ოროლა შემოეპარა ჩვენს პარტიას ტროცკისტების მზვერავებად. მაგრამ ეს შეცდომა გამოსწორებულ იქნა.

სულ, ტროცკისტულ მუშაობისათვის პასუხისგებაში იყო მიცემული 6400 პარტიის წევრი. მათ შორის მუშების რიცხვი უდრიდა—1.200 კაცს, გლეხების 138 და მოსამსახურეთა რიცხვი კი—1.744 კაცს. როგორც ხედავთ, მოსამსახურეთა რიცხვი განსაკუთრებით სჭარბობდა და ეხლაც სჭარბობს ტროცკისტულ ჯგუფებში. აქედან პარტიის რიგებიდან გარიცხულ იყო 858 კაცი.

ამავე დროს ამხანაგებო, ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშგლეხინი, უდიდეს ყურადღებას აქცევდა მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლას. მემარჯვენე ოპოზიციამ ვერ შექმნა ფრაქცია პარტიაში, რადგან მან სასტიკი პასუხი მიიღო კომუნისტურ მასისაგან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მემარჯვენე ოპოზიციის მხრივაც ადგილი ქონდა პარტიული დისციპლინის დარღვევისა და პოლიტიკური უპრინციპობის აღმაშფოთებელ ფაქტებს. თქვენ ალბად კარგად გახსოვთ, რომ ამხ. კამენევი და ზინოვიევი თავის დროზე მოითხოვდენ უფრო მკაცრი ზომების მიღებას ტროცკის წინააღმდეგ. შემდეგ კი ჩვენ დავინახეთ, რომ ისინი ტროცკის უახლოესი თანამებრძოლნი აღმოჩნდენ პარტიასთან ბრძოლაში. იგივე კამენევი და ზინოვიევი სასტიკად ესხმოდენ თავს ამხ. ბუხარინს და მოითხოვდნენ მის წინააღმდეგ გადამჭრელი ზომების მიღებას. ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. სტალინის სახით არა ერთხელ გააფრთხილა ზინოვიევი და კამენევი, რომ არ დაგანებებთ შესაჭმელად ამხ. ბუხარინსო.

და აი, როდესაც ამხ. ბუხარინი მემარჯვენე ოპოზიციაში აღმოჩნდა, იბმება კავშირის ძაფები კამენევს და ბუხარინს შორის. ბუხარინი აწვდის კამენევს ინფორმაციას, ხოლო კამენევი თავის მხრივ ამის შესახებ აცნობებს ტროცკის, რომელმაც შემდეგ ეს ფაქტები გამოიყენა თავის თანამოაზრეების ორგანოებში საზღვარგარეთ. ასეთ პირობებში, ცენტრალურ საკონტროლო კომისიას გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება უხდებოდა პარტიის გენერალური ხაზის დამმახინჯებელთა წინააღმდეგ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენ აღმოვაჩინეთ აგრეთვე თვითკრიტიკის ჩახშობის, საბჭოთა დემოკრატიის ფეხ-ქვეშ გათელვის უმსგავსო ფაქტები. მე მგონია ზედმეტია იმაზე შეჩერება, თუ რა იარები იქნა აღმოჩენილი ამ მხრივ სმოლენსკის, სოჩის და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციებში. თქვენ ალბად კარგად იცით, ველი იბრაგიმოვის ისტორია. ველი იბრაგიმოვი, ყირიმის ცაკის თავმჯდომარე, პირველი კაცი იყო ყირიმში, მაგრამ შემდეგ ის ბანდიტი აღმოჩნდა. მან საკუთარი ხელით დაახრჩო ღარიბი გლეხი. როდესაც ყირიმის ორგანიზაციას უფრო დაახლოვებით გავეცანი, იქ სხვა ბანდიტებიც აღმოჩნდენ. ამის შედეგად ჩვენ იძულებული ვიყავით მოგვეხსნა სამუშაოდან ოთხი სახალხო კომისარი და ზოგიერთი პოლიტსამმართველოს სარდაფებში გაგვემგზავრებია.

აიღეთ თუნდაც ყაზანის რესპუბლიკაში აღმოჩენილი პოლიტიკური იარა. აქ თავი ისახელეს მუხტაროვმა, ენბაევმა და სხვა ყოფილ დიდ მუშაკებმა—სახალხო კომისრებმა. ისინი პარტიასთან იყვნენ სანამ ჩვენ დავასრულეთ ბრძოლა კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ხოლო როგორც კი ფართოდ გაიშალა სოციალისტური მშენებლობა, მუხტაროვები და ენბაევები ვერ შეურიგდნენ ძველი ქვეყნების ნგრევას და ჩვენი მტრების ბანაკში ამოყვეს თავი.

პარტიის წმენდა

მიმდინარე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, პარტიამ საჭიროდ სცნო თავის რიგების გენერალური წმენდის ჩატარება. ეს იყო ცენტრალური საკონტროლო კომისიის უდიდესი ამოცანა. საჭირო გახდა რკინის ცოცხით გავლა პარტორგანიზაციებში და უღირს ელემენტების დაუნდობლად გაძევება ჩვენი რიგებიდან.

საერთოდ პარტიის წმენდის გარეშე საკონტროლო კომისიის აღმზრდელობითი და გამასწორებელი მუშაობა შემდეგში გამოიხატა: სულ სხვადასხვა დანაშაულისათვის პარტიულ პასუხისგებაში იყო მიცემული 102 ათასი კაცი. ამათგან გარიცხულ იქნა 34 ათასი კაცი. პასუხისგებაში მიცემულ მუშა-კომუნისტების რიცხვი უდრიდა 5 პროცენტს, მათგან გარიცხულ იქნა 1,6 პროც. პასუხისგებაში მიცემულ გლეხების რიცხვი უდრიდა—7,8 პროცენტს, გარიცხულ იქნა—3,3 პროცენტი, პასუხისგებაში მიცემულ მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა 11 პროცენტს, გარიცხულ იქნა—4 პროც.

უნდა ითქვას ამხანაგებო, რომ წვრილ ბურჟუაზიული სტიქია გამხრწნელ გავლენას ახდენდა არა მარტო პარტიის ჩვეულებრივ წევრებზე, არამედ ზოგიერთ ხელმძღვანელ პასუხისმგებელ ამხანაგებზეც. ცენტრალური საკონტროლო კომისია დაუნდობელი იყო ასეთების მიმართაც. ჩვენ გავრიცხეთ პარტიიდან ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი სატარანიკოვი, რომელსაც წილი ედო ასტრახანში აღმოჩენილ ბოროტმოქმედებებში. ჩვენ გავრიცხეთ პარტიიდან უკრაინის ორი გაზეთის რედაქტორი ტრონი, რომელმაც მამას გაუგზავნა წერილი, სადაც აძლევდა დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო კულაკი მამა საბჭოთა ხელისუფლების რისხვისაგან თავის დასაღწევად.

რაც შეეხება პარტიის წმენდას, სულ წმენდა გაიარა 1.123.780 პარტიის წევრმა. წმენდის დროს გამორიცხულია პარტიიდან 116 ათასი კაცი, ანუ პარტიის მთელი შემადგენლობის 10 პროცენტი. შემდეგ მნიშვნელოვანი ნაწილი ამათგან აღდგენილ იქნა სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო. გენერალურმა წმენდამ ცხადჰყო, რომ 1921 წლის პარტიის წმენდასთან შედარებით, ჩვენი რიგები განმტკიცდა იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად. გამორიცხულთა პროცენტი უკანასკნელ წმენდის დროს უფრო მცირეა, ვიდრე ეს წინა წმენდის დროს იყო. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის შეცდომები, რომელსაც ადგილი ქონდა წმენდის დროს. ხშირად მეტი ყურადღება ექცეოდა იმას, თუ ვინ რას ჭამს, ვის როგორი ლოგინი უდგას, ხოლო მხედველობიდან ეპარებოდათ იმის შემოწმება, თუ როგორ ატარებს ესა თუ ის ამხანაგი პრაქტიკულად პარტიის ხაზს. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მოუხდა ამ შეცდომების გამოსწორება, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ გამორიცხულთა 34 პროცენტი აღდგენილ იქნა პარტიაში. ბევრი გადაგზავნილ იქნა სახელმძღვანელო სამუშაოდან ქარხანაში სამუშაოდ, ბევრს მიეცა გაფრთხილება, საზოგადოთ კი პარტიის წმენდამ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა იქონია და მეტად შეუწყო ხელი ჩვენი რიგების იდეურად და ორგანიზაციულად გამაგრებას.

მავნებლობასთან ბრძოლა

ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია, პარტიასთან ერთად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებით გატარების საქმეში. თითქმის სახალხო მეურნეობის ყველა მნიშვნელოვან დარგში ჩვენ ჩავატარეთ შემოწმება, რამაც დიდი სარგებლობა მოუტანა საქმეს. ცნობილია ამხანაგებო, რომ ჩვენ ღარიბი ვართ კადრებით. ბევრ შემთხვევაში სოციალისტური მშენებლობის წარმოება გვიხდება ბურჟუაზიულ სპეციალისტების ხელით. აქედან ღებულობს სათავეს მავნებლობა, რომელმაც უკანასკნელ წლების განმავლობაში, კლასობრივ ბრძოლის გამძაფრებასთან დაკავშირებით, საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. თქვენ გახსოვთ ალბად შახტის მაღაროებში აღმოჩენილი მავნებლობა და სხვა ასეთი ფაქტები. ასეთივე მავნებლობის ფაქტები იქნა აღმოჩენილი აზნეფტის მშენებლობაში. ჩვენ ნავთის მრეწველობაში დიდ ნაკლს განვიცდით იმის გამო, რომ სუსტად არის დაყენებული კვლევითი მუშაობა ახალი სარეწაოების მოსაძებნად. ამავე დროს მოსკოვში მყოფ ნავთის მრეწველ ნობელის არქივში აღმოჩენილ იქნა მეტად საყურადღებო დოკუმენტები, რომელიც სრულიად არ იყო გამოყენებული და რომელთაც კვლევითი მუშაობისათვის უდიდესი სარგებლობის მოტანა შეეძლო.

როდესაც ამხ. **სერგო ორჯონიკიძე** მოვიდა ჩვენთან სამუშაოდ, მუშგლეხინის მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველებული ტემპით წავიდა წინ. პირველ სხდომაზევე ჩვენ მოვისმინეთ მოხსენება სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობის შესახებ. ამხ. ორჯონიკიძე აღშფოთდა იმ უმსგავსოებათა გამო, რომელიც გამოაშკარავებულ იქნა ამ ქარხნის მშენებლობაში. ირკვეოდა, რომ მუშაობა მეტისმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. და აი ამხ. ორჯონიკიძე, სამართლიანად ამბობდა მაშინ, თუ ჩვენ ხუთი წლიწადი მოვანდომეთ პროექტების შედგენას და ხუთი წლიწადი კიდევ თვით ქარხნის მშენებლობას, ამას მუშები ვერ შეურიგდებიანო. ამიტომ ჩვენ მაშინვე მწვავედ დავაყენეთ აღმოჩენილ უმსგავსოებებს და თქვენ იცით, რომ დღეს სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა გამალებული ტემპით მიმდინარეობს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყურადღება მიიპყრო მრეწველობის უგეგმო მუშაობამ. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალი ფაბრიკა-ქარხნები შენდება უპროექტოდ. არის ისეთი მაგალითები, როცა ახლად აგებული ქარხანა ერთნახევარ წელიწადს უკვე მუშაობს, და მხოლოდ ამის შემდეგ მტკიცდება მისი პროექტი. ამასთანავე ჩვენს მრეწველობაში დიდ ძალი ქონება ილუპება უყაირათო და უთაო მუშაობის წყალობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია უგეგმო მუშაობის მხრივ ტყის მრეწველობა, რომელსაც არც ერთი პროექტი არ ქონია მშენებლობისათვის.

ჩვენ საამშენებლო მასალების დიდ ნაკლებობას განვიცდით. არ გვყოფნის აგური, ცემენტი, კირი და სხვ. როდესაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა იმის გამოკვლევას, თუ რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ საამშენებლო მასალების დამზადების დარგში, აღმოჩნდა აღმაშფოთებელი უმსგავსოება. მთელი რიგი ქარხნები სრული დატვირთვით არ მუშაობენ. ჩვენ ვაგებთ ახალ ქარხნებს და ამავე დროს არ მუშაობენ ზოგიერთი ძველი ქარხნები. ეს ყოვლად მიუტევებელი გარემოებაა. აიღეთ მაგალითად ასეთი შემთხვევა. გაძლიერებულ მშენებლობასთან დაკავშირებით ფრიად საჭიროა კირის მარაგი. ამავე დროს ირკვევა, რომ კირის ქარხნები მხოლოდ 25 პროცენტით არიან დატვირთული. ცხადია, რომ ასეთ გარემოებას ჩვენ ვერ შევურიგდებოდით. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა ამ უმსგავსოების წინააღმდეგ.

რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ უცხოეთიდან შემოტანილ მოწყობილობათა გამოყენების მხრივ. აქაც იგივე უყაირათობისა და უთაო მუშაობის ნიმუშები საკმაოდ ბევრია. ჯერ ერთი—მოუწესრიგებელია დაკვეთების გაცემა უცხოეთის ფირმებზე. დაკვეთები დაფანტულია სხვადასხვა ფირმებში. არიან ისეთი ქარხნები, რომელთაც რამდენიმე ათეული დაკვეთა აქვს მიცემული უცხოეთის სხვადასხვა ფირმებისათვის. მაგალითად მარტო კოლომენის ქარხანას გაცემული აქვს დაკვეთები უცხოეთის 40 სხვადასხვა ფირმაზე.

როგორ ხდება საიმპორტო მანქანა-იარაღების გამოყენება. თქვენ იცით, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამას დღევანდელ სავალუტო სიძნელეების პირობებში. კარგად მოგეხსენებათ, რომ ამხანად, როცა მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნები მწვავე კრიზისს განიცდიან და არ იციან როგორ მოიპოვონ ბაზარი თავიანთ საქონელს, იკვეცება საბჭოთა ექსპორტი. ამიტომ ვალიუტის დაგროვების საკითხი ჩვენში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს. აქედან ცხადია, რომ საიმპორტო მანქანა-იარაღების რაციონალურად გამოყენება განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? მთელი რიგი ქარხნები დანაშაულებრივი უყურადღებობას იჩენენ ამ საკითხისადმი. მაგალითად ტაგანროგის ქარხანაში 1928 წლიდან გამოუყენებლად დევს 300 ათასი მანეთის საიმპორტო მოწყობილობა. „იუგოსტალი“-ს ქარხნებში 1928 წლიდან გამოუყენებლად აწყვია 15 მილიონი მანეთის საიმპორტო მოწყობილობა. ცხადია ამხანაგებო, რომ ეს მდგომარეობა უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეს.

კადრების პრობლემა

მუშგლეხინის განსაკუთრებულ ყურადღებას, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, იპყრობდა კადრების პრობლემა. იმისათვის, რომ კადრების ნაკლებობით გამოწვეული დაბრკოლებანი შეგვესუსტებია, ჩვენ ფართოდ ვიყენებთ უცხოეთის სპეციალისტებს. მუშათა და გლეხთა ინსპექციაშიც გვყავს ჩვენ უცხოელი სპეციალისტები. არიან ისინი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში და მთელ რიგ სხვა სამეურნეო დარგებში. შეიძლება ითქვას, რომ უცხოელი სპეციალისტების მოწვევამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ ამხანაგებო, ზოგჯერ აქაც ხდება უმსგავსობა. მაგალითად, ჩვენ მოწვეული გვყავდა მეკლენბურგის პროფესორი სპეციალისტად, რომელიც თვეში 1.000 მანეთს ღებულობდა და ერთ-ნახევარ წელიწადს მუშაობდა ქიმიურ მრეწველობის მთავარ სამმართველოში. ის საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა. და აი მას დააკისრეს მუშაობა, რომლისთვისაც შრომის ქირათ მისცეს 75.000 მანეთი. მართალია, ეს დიდი თანხაა, მაგრამ ის საშიში არაა ჩვენთვის, თუ კი საქმე გაკეთდა. ლენინი ყოველთვის გვასწავლიდა, რომ ჩვენ არავითარი საშუალებები არ უნდა დავზოგოთ უცხოეთის ტეხნიკის მიღწევათა გამოყენებისათვის. სამწუხაროდ გამოირკვა, რომ მეკლენბურგის პროფესორის მუშაობა სრულიად უვარგისი და საზარალოა. ასეთ უცხოელ სპეციალისტებს ჩვენ მომავალში უნდა ვერიდოთ.

ამასთანავე როგორც უკვე ვიცით, ჩვენ გვაქვს უცხოელი სპეციალისტების მიღწევათა საუკეთესო ნიმუშები. აიღეთ თუნდაც სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა. აქ ჩვენ მოვიწვიეთ ამერიკელი სპეციალისტები, რომლებსაც ადგილობრივი ინჟინრები ხიშტებით შეეგებენ. აქ იყო მთავარი ინჟინერი ვინმე **პონომარიოვი**, კაცი, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს მშენებლობას. სადაც კი არ იყო ის გაგზავნილი სამუშაოდ, ყველგან საზარალოდ მუშაობდა: ერთხელ დაპატიმრებულიც კი იყო ამისათვის. და აი ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ პონომარიოვს ვხედავთ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობის სათავეში. და ეს პონომარიოვი გააფთრებულ ბრძოლას უცხადებს უცხოელ სპეციალისტებს. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ასეთ უმსგავსოებათა წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა აწარმოვა. კერძოდ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობაზე მდგომარეობა უკვე სავსებით გამოსწორებულია. უცხოელ სპეციალისტების დახმარებით აქ მუშაობა არაჩვეულებრივი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

არ არის ამხანაგებო მოწესრიგებული უცხოეთში საწარმოო მივლინებების საქმეც. ჯერ ერთი—უცხოეთში, იქაური ტეხნიკის გასაცნობად არ გაგზავნილა სამეურნეო მუშაკების და მუშების იმდენი რიცხვი, რამდენიც გათვალისწინებული იყო. გარდა ამისა ხშირად ეს მივლინებები უფრო გასეირნების ხასიათს ატარებდენ. არის შემთხვევები, როდესაც ორი თვის განმავლობაში ამხანაგებმა მოიარეს 20 სხვადასხვა სახელმწიფო და თვითეულ ამ სახელმწიფოში ორი თუ სამი დღით შეჩერდნენ. აშკარაა, რომ ასეთი მივლინებები ვერავითარ პრაქტიკულ შედეგს ვერ გამოიღებენ. ამ გარემოებას მომავალში შესაფერი ანგარიში უნდა გაეწიოს. უნდა მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ჩვენ ფართოდ და საღ ნიადაგზე დავაყენოთ საწარმოო მივლინებები უცხოეთში.

ჩვენ ამჟამად განვიცდით საკვები პროდუქტების ნაკლებობას. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად უაღრესი მნიშვნელობა აქვს თევზეულობის დამზადებას. ამავე დროს ჩვენ მოკლებული ვართ ტეხნიკურ საშუალებას გამოვიყენოთ ჩვენი ზღვებისა და მდინარეების სიმდიდრენი. მაშინ, როდესაც მურმანის ზღვებში, ინგლისელები უამრავ თევზს იჭერენ, და მათ აქ ყავთ მეთევზეობისათვის საუკეთესო გემები, ჩვენ მხრივ მხოლოდ ორი საცოდავი ტრალერი მუშაობს. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და დღეს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში შენდება მთელი წყება გემებისა, სპეციალური დანიშნულებით მეთევზეობისათვის.

დელეგატები ბათომიდან

თქვენ იცით აგრეთვე ამხანაგებო, რომ ტყე ერთ-ერთი მთავარი საქონელს წარმოადგენს ჩვენს ექსპორტში. ამიტომ მუშგლეხინის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული ტყის ექსპორტის გაძლიერებას. და ჩვენ ამ მხრივ კიდევაც მივაღწიეთ მნიშვნელოვან შედეგებს. ტყის ექსპორტი უკანასკნელ ხანებში 60 პროცენტით გაიზარდა.

დაუშვებელი მდგომარეობა გვაქვს მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის მხრით. პირველ ყოვლისა ეს უნდა ითქვას საფეიქრო მრეწველობაზე, რომელსაც არა აქვს ბამბის საკმაო ნედლეული ბაზა. ამავე დროს ჩვენში ბამბის მოყვანისათვის უდიდესი შესაძლებლობანი არსებობს. მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა ამ საკითხის შესწავლას. ჩვენ გამოვიკვლიეთ ამ მიზნით ტაჯიკისტანის პირობები. ირკვევა, რომ აქ სავსებით შესაძლებელი ყოფილა ბამბის კულტურის გაშენება. და დღეს, მიუხედავად ზოგიერთი ადგილობრივი სპეცების წინააღმდეგობისა, ტაჯიკისტანში საუცხოვოდ ხარობს ეგვიპტის ბამბა. მიღებულია ზომები იმისათვის, რომ ბამბის კულტურის მოშენება დაჩქარებული ტემპით გავაფართოვოთ. შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ არ თუ შევსძლებთ ჩვენი ბამბით საკუთარი მრეწველობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ უცხოეთის ბაზარზედაც გავიტანთ ამ ნედლეულს.

მუშათა კონტროლი საბჭოთა აპარატზე

თავისთავად იგულისხმება ამხანაგებო, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უდიდეს ყურადღებას უთმობდა საბჭოთა აპარატის გაიაფების გამარტივების და გაჯანსაღების საკითხებს. ჩვენ შევძელით 300 მილიონი მანეთის რაოდენობით შეგვემცირებია ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები. სულ, მთელ საბჭოთა აპარატი ჯერ-ჯერობით შემცირებულია 108 ათასი კაცით. ამასთანავე ჩვენ უდიდეს მუშაობას ვაწარმოებთ აპარატის გასაწმენდათ უცხო და მავნე ელემენტებისაგან. ეს ამოცანა წარმატებით უნდა იქნას გადაჭრილი როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ საბჭოთა აპარატის მიმართ. აშკარაა, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ მივაღწევთ ამ მიზანს, თუ საბჭოთა აპარატის გაწმენდა-გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩავაბამთ ქალაქისა და სოფლის ფართო მშრომელ მასებს.

ამასთანავე ენერგიული ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ცრუ სპეციალისტობას. არის შემთხვევები, როდესაც ჩვენ უდიდესად საპასუხისმგებლო საქმეებს ვავალებთ ისეთ ხალხს, რომელთაც საამისოდ არც ცოდნა შესწევთ და არც პრაქტიკა აქვთ. თავი კი სპეციალისტებად მოაქვთ. ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. საჭიროა რკინის ცოცხით გავიაროთ საბჭოთა აპარატში და დაუნდობლად გამოვგავოთ იქიდან ყველა ხორცმეტები.

უნდა გაცხოველებულ იქნას ბრძოლა საბჭოთა აპარატის გამუშურებისათვის. ამ მიზნით საჭიროა აღმოიფხვრას ის მავნე შეხედულება, რომელსაც აქა-იქ ადგილი აქვს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს აპარატის ხელმძღვანელობა შეუძლია მხოლოდ მდიდარი კლასებიდან გამოსულ პირებს. ჩვენ პრაქტიკულად არა ერთხელ დავინახეთ, თუ რა ნაყოფი გამოიღო ამ მავნე შეხედულებამ. მაგალითად მოსკოვის საფინანსო აპარატში აღმოჩენილ იქნა მეფის სასახლის ყოფ. კონტროლიორი, გრაფი რასტოპჩინი. ამავე დროს იმავე აპარატში უარი უთხრეს მუშაობაზე ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტებს, რომლებმაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს. საჭიროა უფრო ფართოდ გავუღოთ კარები ახალ კადრებს. საჭიროა შევუქმნათ მას შესაფერი ამხანაგური და სხვა პირობები ნორმალურ მუშაობისათვის. საბჭოთა აპარატის წმენდის დროს ფართოდ გაიშალა თვითკრიტიკა. წმენდამ აღმოაჩინა არა მარტო ბევრი სოციალურად უცხო და საქმისათვის გამოუსადეგარი ელემენტები, არამედ წმენდამ დაგვანახვა ისიც, რომ ბევრ შემთხვევაში აპარატში მყოფი კომუნისტები შეეჩვივნენ თავისი დაწესებულების ტკივილებს და არ აწარმოებენ საჭირო ბრძოლას მათ განსაკურნავად. თქვენ შეგიძლიათ მოახდინოთ ერთგვარი გამოცდა, იციან თუ არა საბჭოთა დაწესებულებების უჯრედების მდივნებმა იმის შესახებ, რომ წარსული წლის სექტემბერში საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა დადგენილება, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ აპარატის წმენდა საბჭოთა უჯრედების ძირითადი საწარმოო ამოცანაა. ვფიქრობ, რომ ბევრს ამ დადგენილების შესახებ არც კი გაუგონია.

პრაქტიკამ გვიჩვენა აგრეთვე ისიც, რომ საბჭოთა აპარატის შემცირება, უაღრესად საჭირბოროტო და სავსებით შესაძლებელი ამოცანაა. ჩვენ გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც აპარატი შემცირებულ იქნა 50 პროცენტით და ზოგიერთ შემთხვევაში 75 პროცენტითაც კი და ამ საქმეს სარგებლობის მეტი არაფერი მოუტანია. ამ გარემოებას მეტი ანგარიში უნდა გაუწიონ ჩვენმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. მათ უნდა მიიღონ ენერგიული ზომები აპარატის გაიაფება-გამარტივებისათვის.

იმ მიზნით, რომ სახელმწიფო აპარატი მჭიდროდ დაუკავშირდა თავისი მუშაობით რეკონსტრუქტიული პერიოდის ამოცანებს, საჭიროა გავაძლიეროთ აპარატზე მუშათა კონტროლი. ამ მხრივ ფაბრიკა-ქარხნების შეფობას დაწესებულებებზე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მარტო იმით, რომ აპარატის მუშაობას თვალყურს ადევნებს საშეფო ქარხნიდან გამოყოფილი ბრიგადა. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ მთელი მუშათა მასა. აპარატის საქმიანობას ყოველდღიურად და სისტემატიურად უნდა ვადევნოთ თვალყური. ჩვენ არ შეგვიძლია შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, როცა უყაირათო მუშაობით და მავნებლობით, პროლეტარული სახელმწიფოს სალაროდან მილიონი მანეთები იკარგება. ასეთ მდგომარეობას რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოვუღოთ ბოლო. მუშათა შეფობა დაწესებულებებზე, ერთ-ერთი იმ მთავარ საშუალებათაგანია, რომელიც გაგვიადვილებს ამ ამოცანის გადაწყვეტას. მართალია უკანასკნელ დროს შეფობის ეს ფორმა ფართო ხასიათს ღებულობს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმაო არ არის. შეფი ბევრ შემთხვევაში მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციებმა და პროფესიონალურმა კავშირებმა, გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მუშათა შეფობის გასაძლიერებლად სახელმწიფო აპარატში.

მე ვამთავრებ ამხანაგებო ჩემს მოხსენებას. უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ამხ. **სერგო ორჯონიკიძის** ჩვენთან მოსვლის შემდეგ, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უდიდესი ნაბიჯები გადადგა წინ, ლენინის მიერ მოცემულ ამოცანების გადასაჭრელად. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა, დიდი ბრძოლა მოგველის. სიძნელეები ბევრია. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვკარგავთ რწმენას, რომ როგორც წარსულში, ისე მომავალშიაც წარმატებით გადავლახავთ ყველა დაბრკოლებებს. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მთელი პარტიის, მთელი მუშათა კლასის ძალების შემჭიდროებით ლენინის მიერ დასახულ გეზის ურყევ გატარებისათვის (ტაში).

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის მუშაობა

ამხ. ვ. სტურუას მოხსენება

ამხანაგებო! ჩემი მოხსენება რამდენადმე გაადვილებულია იმ მხრივ, რომ ამხ. პეტერსი საკმაოდ დაწვრილებით შეჩერდა ისეთ საკითხებზე, რომლებზედაც მე უნდა შემეჩერებინა თქვენი ყურადღება. მე ამ საკითხებს აღარ დაუბრუნდები. ვილაპარაკებ უმთავრესად იმ მუშაობაზე, რომლის ჩატარებაც მოუხდა საკონტროლო კომისიას ა.-კ. სინამდვილეში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობიდან მე მსურს აღვნიშნო ოთხი ძირითადი მომენტი: პირველი, ბრძოლა პარტიის მთლიანობის დასაცავად; მეორე — საბჭოთა და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების კანდიდატთა შემადგენლობის შემოწმება; მესამე — ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ყოველდღიური მუშაობა პარტიის პოლიტიკურ და იდეურ აღმზრდელობის დარგში და მეოთხე— პარტიის რიგების გენერალური შემოწმება.

ბევრ თქვენგანს ალბად კარგად ახსოვს, რომ „მემარცხენე“ ტროცკისტული ოპოზიცია, რომელიც ჯერ კიდევ მე-15 ყრილობამდე ჩაისახა, მე-15 ყრილობის შემდეგ, ტროცკის მეთაურობით, ცალკე კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფად ჩამოყალიბდა და უკანასკნელ დროს, ტროცკიზმის განვითარებამ კონტრ-რევოლიუციის გზით კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ტროცკიზმი აშკარად მიილტვოდა მეორე პარტიის შექმნისაკენ ჩვენს პირობებში, მაგრამ ეს ცდები დაიმსხვრა მთელი პარტიული მასის ენერგიული წინააღმდეგობის წყალობით.

საკავშირო კომპარტიის მე-16 ყრილობამ სცნო, რომ ტროცკიზმი შეუთავსებელია პარტიასთან. ამის შემდეგ ჩვენ იმის მოწმე გავხდით, რომ ტროცკისტულ ბანაკმა სწრაფად იწყო რღვევა. საუკეთესო ნაწილი შეტრიალდა ზურგით ტროცკისაკენ და მან ითხოვა პარტიაში დაბრუნება. ისინი კი, ვინც ტროცკის ბანაკში დარჩნენ, უფრო გათავხედდნენ და მათ საბოლოოდ ჩამოიფარეს რევოლიუციონურობის ნიღაბი. საქართველოში ტროცკისტების ბანაკი შეავსეს უკლონისტებმა, რომელნიც წინად მარჯვნიდან ებრძოდნენ პარტიას. დღეს მათ შორისაც დაწყებულია რღვევის ღრმა პროცესი. ბევრი გამოფხიზლებული ამხანაგი, რომლებმაც გულწრფელად აღიარეს თავიანთი შეცდომები, ჩვენ აღვადგინეთ პარტიაში, მაგრამ დარჩნენ ისეთები, რომელნიც თუმცა პარტიის ხაზს სწორად სცნობენ, მაგრამ ვერ იჩენენ საჭირო გამბედაობას გულახდილად აღიარონ ეს და სთხოვონ პარტიას შეცდომების პატიება.

სულ ა.-კ. პარტორგანიზაციებში ტროცკისტობისათვის პასუხისგებაში იქნა მიცემული 712 კაცი, აქედან გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან 505 კაცი, რაიც ტროცკისტობისათვის პასუხისგებაში მიცემულთა 79,9 პროც.-ს შეადგენს. როგორც უკვე აღვნიშნე გარიცხულებისაგან ბევრი ამხანაგი აღდგენილია პარტიაში. საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობამ ჩვენ მოგვცა დავალება, რომ ყველანაირად გავუადვილოდ პარტიაში დაბრუნება ყველა მათ, ვისი გადარჩენაც შეიძლება. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი პარტიული უჯრედები ამ გარემოებას არ აქცევენ საკმაო ყურადღებას. ჯერ კიდევ დიდხანს აჭიანურებენ და უმიზეზოდ აბრკოლებენ ისეთ ყოფილ ტროცკისტთა აღდგენას პარტიაში, რომელთაც სავსებით დაამტკიცეს და ღირსი არიან დაუბრუნდნენ ჩვენს რიგებს. პარტიული უჯრედები თავს არიდებენ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიაზე მიუთითებენ. ისინი ამბობენ, — თუ შენი აღდგენა შესაძლებელია, დაე ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ აღგადგინოსო.

რა შედეგები გამოიღო საბჭოთა დაწესებულებებისა და უმაღლეს სასწავლებლების უჯრედთა საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმებამ? ეს მუშაობა ჩვენ ჩავატარეთ 1928 წელში. სულ შემოწმებულ იქნა 3.680 პარტიის კანდიდატი, ამ რიცხვიდან პარტიიდან გარიცხული აღმოჩნდა 617 კაცი, შემდეგ კი აღდგენილ იქნა 68 კაცი.

საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმებამ ნათელჰყო პარტ-ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი ახალი პარტიული კადრების აღზრდის საქმეში. ჩვენ იძულებული ვიყავით ზოგიერთი გამორიცხული კანდიდატები აღგვედგინა პარტიაში იმის გამო, რომ მათ პოლიტიკური მოუმზადებლობა, მათი მასიურობა საზოგადოებრივ მუშაობაში მეტ წილად აიხსნებოდა უჯრედების, ბიუროების უყურადღებობით კანდიდატთა აღმზრდელობის საქმისადმი. გამორიცხული კანდიდატები პირდაპირ გვეუბნებოდნენ, რომ ისინი მზად არიან შეიძინონ ცოდნა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ მუშაობაში, მაგრამ მათ დახმარებას არ უწევენ პარტუჯრედთა ბიუროები. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას არ შეეძლო ამისათვის ანგარიში არ გაეწია და ნაწილი გამორიცხულ კანდიდატებისა არ აღედგინა პარტიაში.

ამასთანავე საკანდიდატო შემადგენლობის წმენდამ გამოაშკარავა კანდიდატთა პარტიაში გადარიცხვის გაჭიანურების უმსგავსო ფაქტები. იყო შემთხვევები, როდესაც კანდიდატი მუშები, ორი და სამი წლით ელოდნენ პარტიაში გადარიცხვას. პარტიული უჯრედები არ იჩენდნენ საჭირო ყურადღებას ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

განვლილ საანგარიშო პერიოდის მანძილზე ა.-კ. ცენტრალური კომისია დაუცხრომელ მუშაობას აწარმოებდა პარტიის იდეურ-მორალურ სიწმინდის დასაცავად. ამიტომ ის ენერგიულად ებრძოდა ყოველგვარ დამახინჯებებს, რასაც შეეძლო ზიანი მოეტანა პოლიტიკური ხაზისათვის და პარტიისათვის სახელი გაეტეხა ფართო მშრომელ მასებში. საანგარიშო პერიოდში პარტიულ პასუხისგებაში სულ მიცემულ იქნა 1815 კომუნისტი, აქედან სხვადასხვა სახის სასჯელი მიიღო 1.082 კომუნისტმა. თავი გაიმართლა 151 კაც. ამასთანავე არიან ამხანაგები პარტიიდან მექანიკურად გასული. მართალია, მათი რიცხვი წინანდელთან შედარებით მცირეა, მაგრამ ამ გარემოებამ უნდა მიიპყროს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება. რა იწვევს მექანიკურად გასვლას პარტიიდან? ამის მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ პარტიული უჯრედების ბიუროები ხშირად არ ღებულობენ საჭირო ზომებს თავიანთი უჯრედის წევრთა აქტივიზაციისათვის. ბიურო არ მოაგონებს ამხანაგს, როცა ის ერთი თუ ორი თვით აგვიანებს საწევრო გადასახადის შემოტანას, რომ დააჩქაროს გადასახადის გაღება. ამასთანავე ბიურო ყოველთვის არ ღებულობს საჭირო ზომებს იმისათვის, რომ უჯრედის თვითეული წევრი სათანადოთ დატვირთული იყვეს საზოგადოებრივ მუშაობით. ამ გარემოებას მომავალში მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მიმართავენ თხოვნით პარტიაში აღდგენის შესახებ ისეთები, რომელნიც გარიცხულ იქნენ რაიმე დიდი დანაშაულისათვის. ჩვენ მათ თხოვნას უპასუხოდ არ ვტოვებთ. ასეთებს ვეუბნებით — წადით ძირითად ორგანიზაციებში, იმუშავეთ იქ და საერთო წესით მიღებული იქნებით პარტიაში.

რა ნაყოფი გამოიღო პარტიის რიგების გენერალურმა წმენდამ? პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ პარტიის წმენდამ ზედმეტად დაადასტურა, თუ რამდენად რთული და აუცილებელი იყო ის. ამ მუშაობაში ჩვენ ჩავაბით საუკეთესო ძალები, რომელნიც კი მოგვეპოვებოდა. გამწმენდ კომისიებში შეყვანილ იქნენ უმთავრესად იატაკქვეშ მუშაობის სტაჟის მქონე ამხანაგები. ჩვენ მივიღეთ ყოველივე ზომები იმისათვისაც, რომ პარტიის წმენდას ირგვლივ დაგვერაზმა, როგორც კომუნისტების, ისე უპარტიო მშრომელი მასების ფართო ფენები.

პირველ რიგში წმენდა გაიარა პარტიის ცენტრალურ ორგანოების წევრებმა და საბჭოთა ხაზის მომუშავე ხელმძღვანელ კომუნისტ ამხანაგებმა. ასეთების რიცხვი უდრიდა 678 კაცს. მათ შორის იყვნენ ადგილობრივი ცენტრალური კომიტეტების, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები და სხვ. აქედან 88 კაცმა წმენდა სრულიად სუფთად გაიარა, მათ წინააღმდეგ არავითარი ბრალდებაი არ ყოფილა წამოყენებული. სხვადასხვა სახის სასჯელი მიიღო 76 კაცმა. 8 კაცი კი გარიცხულ იქნა პარტიიდან, ხოლო 35 ამხანაგს მიეცა ზეპირი გაფრთხილება.

რას გვეუბნება ეს ფაქტები?

პირველ ყოვლისა აქედან აშკარაა, რომ პარტიის და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოებში მომუშავე ხელმძღვანელი ამხანაგების შემადგენლობა ჯანსაღია. ეს გარემოება, თავისთავად გასაგებ მიზეზების გამო, დიდ კმაყოფილებას იწვევს ყველა ჩვენგანში.

საერთოდ ა.-კ. პარტორგანიზაციებში, წმენდის დროს ჩვენ გვყავდა სულ 82.961 კაცი. ამათგან პარტიის წმენდა გაიარა 60.023 პარტიის წევრმა და 22.938 კანდიდატმა. პარტიის წევრთა საერთო რიცხვიდან წმენდა არ გაუვლია 2.904 კაცს. ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი ამათგანი, ხანგრძლივ მივლინებაში იყო. ზოგი სანატორიუმში იმყოფებოდა და სხვ. შემდეგ ჩვენ საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ წინადადება მოგვცა დამატებით შეგვემოწმებია დარჩენილი ამხანაგები. ეს დავალება ჩვენ შევასრულეთ. დარჩნენ კიდევ ზოგიერთები, რომელთაც წმენდა არ გაუვლიათ და რომელნიც 1929 წლის 1-ლ მაისიდან პარტიიდან მექანიკურად გარიცხულად ითვლებიან.

წმენდის დროს ამ.-კ. პარტორგანიზაციებიდან გარიცხულ იქნა 11.489 კაცი, ანუ მთელი შემადგენლობის 13,8 პროც. საყვედური გამოეცხადა 8.764 კაცს. საპასუხისმგებლო სამუშაოდან მოხსნილ იქნა 353 კაცი. გარიცხულთა და სხვადასხვა სახით დასჯილთა საერთო რიცხვი უდრის 20.666 კაცს, ანუ მთელი შემადგენლობის 25 პროცენტს. მართალია ეს პროცენტი დიდია, მაგრამ მან ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს. რადგან ამაში შედის ყველა სახის სასჯელი.

წმენდის დროს დაშვებულ შეცდომების გამოსწორების შემდეგ, პარტიაში აღდგენილია 1.168 კაცი, ანუ გარიცხულთა 44 პროც. უარი ეთქვა პარტიაში აღდგენაზე 1.476 კაცს. ანუ 56 პროც. ამავე დროს იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ცენტრალური საკონტროლო კომისია ამხანაგებს, რომელიც ასაჩივრებდნენ გამწმენდ კომისიის დადგენილებას და რომელთაც მხოლოდ საყვედური ქონდა გამოცხადებული, სრულიად ვრიცხავდით პარტიიდან. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია დამატებით აშკარავებდა ამ ამხანაგების მიერ ჩადენილ მანამდე გამოუაშკარავებულ დანაშაულს. გამწმენდი კომისიები ზოგიერთ შემთხვევაში სწორად ვერ უდგებოდნენ საკითხს. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმაში, თუ ვინ მეტს გამორიცხავდა. ამან ბევრი შეცდომები გამოიწვია. ამიტომ მოხდა, რომ ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ გამორიცხულთა 44 პროც. აღადგინა პარტიაში.

ამრიგად ამხანაგებო, პარტიის წმენდამ უდიდესი სარგებლობა მოიტანა. მან მოგვცა მდიდარი მასალა. საჭიროა ამ მასალის, რაც შეიძლება მთლიანად გამოყენება ჩვენი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მართალია წმენდა დამთავრდა, მაგრამ ჩვენ ამით ვერ დავკმაყოფილდებით. საჭიროა ყოველდღიურად, ფხიზლად ვადევნოთ თვალი ჩვენი პარტიის რიგების იდეურ-მორალურ სიწმინდეს და მის ბოლშევიკურ ერთსულოვნების დაცვას. აქეთკენ უნდა იქნას მიმართული მომავალში ახალი საკონტროლო კომისიის მუშაობა. (ტაში).

ა.-კ. მუშგლეხინის ანგარიში

ამხ. ი. ვარძიელის მოხსენება

ამხანაგებო! რამდენადაც წინა მომხსენებლები საკმაოდ ვრცლად შეეხო მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის პრინციპიალურ მხარეებს მე არ შევაჩერებ ყრილობის ყურადღებას ამ მომენტებზე. მე შევეცდები მოკლედ გავაშუქო ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის პრაქტიკული საქმიანობა.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, რაც ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ახალი შემადგენლობა მუშაობს, ჩვენ გვაქვს უდიდესი გარდატეხა მუშგლეხინის საქმიანობის მეთოდების შეცვლაში, რომელსაც შედეგად მოჰყვა ფართო მასების უფრო აქტიური მონაწილეობა ინსპექციის აპარატის მუშაობაში.

განსაკუთრებული ყურადღება გვქონდა მიპყრობილი საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება-გაუმჯობესებას. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის მსხვილ ინდუსტრიალურ ცენტრების ზრდასთან ერთად ა.-კ. ქალაქებშიაც ჩაეყარა საფუძველი მუშათა შეფობას საბჭოთა აპარატზე. ამ მხრივ ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს, მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მუშათა შეფობას აპარატზე ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ახასიათებს. მართალია მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებს აღებული აქვს შეფობა დაწესებულებებზე, დადებულია სათანადო ხელშეკრულებებიც, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა შეფობა ხშირად ქაღალდზე რჩება. მუშათა შეფობა აპარატზე არის პროლეტარული კონტროლის ძლიერი იარაღი საბჭოთა აღმშენებლობაში. მუშგლეხინის ამოცანაა, რაც შეიძლება სწორად და ამომწურავად გამოიყენოს ის შესაძლებლობანი, რომელნიც ჩვენს განკარგულებაში მოიპოვებიან მუშათა შეფობის გაძლიერება-გაღრმავებისათვის. გარდატეხა ამ მხრივ ჯერ კიდევ არ მომხდარა. ამიტომ ყოველი ზომები უნდა მივიღოთ მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის.

დელეგატები სამხრეთ - ოსეთიდან

პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. შესრულების შემოწმება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ჩვენი ყურადღება აქეთკენ იყო მიპყრობილი. თქვენ იცით, რომ საბჭოთა აპარატი ხშირად ორივე ფეხებით მოიკოჭლებს. ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი, საქმისადმი დაუდევრობა და სხვა ჩვენი სახელმწიფო აპარატის ნაცნობი სენია. ყოველივე ეს აბრკოლებს პარტიის დროულ და დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა სწორად განხორციელებას. ამიტომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა საბჭოთა აპარატის ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. განვლილი საანგარიშო პერიოდის მანძილზე ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის და სხვა უმსგავსოებათა გამო პასუხისგებაში მიეცით 300 კაცი, მათ შორის ესა თუ ის სასჯელი მიიღო 240 კაცმა.

ჩვენი საბჭოთა აპარატი მეტად დანაგვიანებულია სოციალიურად უცხო და თავისი კვალიფიკაციით გამოუსადეგარი ელემენტებით. ეს აიხსნება ა.-კ. სპეციფიური პირობებით. თქვენ იცით, რომ ა.-კ. ჩამორჩენილია კულტურულად. ჩვენში ჯერ კიდევ საბოლოოდ აღმოფხვრილი არ არის ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები. ა.-კ. ღარიბია მუშათა კადრებით. ყოველივე ეს მდიდარ ნიადაგს ქმნის საბჭოთა აპარატის დაავადებისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენს სახელმწიფო აპარატში კიდევ ბევრია ძველი ჩინოვნიკები და უცხო ელემენტები.

ამავე დროს რევოლიუციის წლებში უკვე გაიზარდა ახალი კადრები, საბჭოთა მუშაკები. ჩვენი ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ამ კადრებიდან ამოვკრიბოთ საუკეთესო ძალები საბჭოთა აპარატის გასაძლიერებლად. ამას კი შესაფერი ყურადღება არ ექცევა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აპარატის გაუმჯობესებისათვის წმენდას. მაგრამ უნდა ითქვას ამხანაგებო, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები, როგორც პარტიული, ისე პროფესიონალური, ბევრგან დაუშვებელ გულგრილობას იჩენდნენ საბჭოთა აპარატის წმენდისადმი. ეს გარემოება ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ფართო მასების აქტივიზაციის, საბჭოთა აპარატის წმენდის მშრომელი მასების უშუალო მონაწილეობის ჩატარების გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევთ მიზანს. ადგილობრივ ორგანიზაციებს მეტი სიფხიზლე და აქტივობა მართებს ყოველ შემთხვევაში.

ჩვენ უკვე ჩავატარეთ წმენდა ა.-კ. ექვს დაწესებულებაში. და ამ წმენდის შედეგების მიხედვით ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რამდენად დროული და აუცილებელია საბჭოთა აპარატის წმენდა. წმენდამ საუკეთესო შედეგები გამოიღო. გაიზარდა დაწინაურებულ მუშათა რიცხვი, გაძლიერდა საბჭოთა აპარატი კომუნისტებისა და კომკავშირელებით. ჩვენ ჯერ-ჯერობით უმთავრესად ვწმენდავთ ცენტრალურ საბჭოთა აპარატს, მაგრამ ცხადია, რომ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი საბჭოთა აპარატის შემადგენლობის გადათვალიერებას ადგილობრივი აპარატის მუშაობის შემოწმებას. ამ მხრივ გაათკეცებული ენერგიით უნდა შევუდგეთ მუშაობას.

საბჭოთა აპარატის მეტად მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ჩვენ მეტად გაბერილი შტატები გვყავს. ადმინისტრატიულ სამმართველოს ხარჯები ბევრგან დიდია. ამასთანავე უყაირათობა და უთაო მუშაობა ჩვენი საბჭოთა აპარატის ცნობილი ნაკლია, ასეთ მდგომარეობას ჩვენ ვერ შევურიგდებით. შეიძლება გადაჭარბებულად ითქვას, რომ ადმინისტრატიულ სამმართველოს ხარჯების შემცირება სავსებით შესაძლებელია სამომხმარებლო კოოპერაციაში 30 პროც.-ის რაოდენობით. სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში — 30 პროც.-ით, მრეწველობაში — 20 პროც.-ით, რაც არ უნდა დაგვიჯდეს — ჩვენ უნდა გავატაროთ აპარატის ადმინისტრატიულ სამმართველოს ხარჯების დაუნდობელი შეკვეცა ისე, რომ ამით საქმეს არავითარი ზიანი არ მივაყენოთ.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია აღნიშნულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლის დროს არა მარტო აღნიშნავდა ამა თუ იმ ნაკლოვანებებს, არამედ შესაფერისად სჯიდა ბოროტმოქმედებათა კონკრეტულ ჩამდენთ.

განვლილი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მრეწველობის საკითხებს. ჩვენ მოვახდინეთ საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულების შემოწმება; ამ გეგმის დანაწილების შემოწმება ცალკე ცეხებისა და დაზგის მიხედვით, და უნდა ითქვას, პირდაპირ, რომ ამ მხრივ ბევრი დეფექტი აღმოვაჩინეთ. საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულების ირგვლივ ჯერ კიდევ არ არის დარაზმული მუშათა ფართო მასები. ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებას. სამრეწველო აღმშენებლობის დიდ ნაკლს წარმოადგენს კაპიტალურ მშენებლობისათვის გადადებული თანხების არასწორი და უყაირათოდ გამოყენება. ჩვენ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად უდიდესი მუშაობის ჩატარება მოგვიხდა.

თავისთავად ცხადია, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია ვერ აუვლიდა გვერდს საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებს. ჩვენ ჩავატარეთ საკოლმეურნეო აპარატის გამოკვლევა, რამაც ცხადჰყო, რომ კოლმეურნეობათა ცენტრალური გამგეობის აპარატი ვერ ამართლებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს. ამასთან დაკავშირებით მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საზოგადოებრივ კვების შემოწმებას. ამ მხრივ მდგომარეობა ა.-კ. ქალაქებში მეტად არადამაკმაყოფილებელია. ეს გვიჩვენა მუშგლეხინის მიერ ჩატარებულ გამოკვლევამ როგორც ერევანში, აგრეთვე თბილისში.

აი ამხანაგებო მოკლეთ ის, რაც უნდა მეთქვა ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის საქმიანობაზე.

მეოთხე სხდომა

კამათი ამხ. პეტერსის, ვ. სტურუას და ვარძიელის მოხსენებათა გარშემო

ამხ. ფაჩულია

(ფოთი)

ამხანაგებო, მე მინდა ყრილობის ყურადღება შევაჩერო იმ მდგომარეობაზე, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს ფოთის ნავთსადგურში. ჩვენს ნავთსადგურში დიდძალი საექსპორტო და შინაური მადნის საქონელი შემოდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქონლის გადაზიდვა, როგორც მას ვხედავთ ფოთის ნავთსადგურის მაგალითის მიხედვით ხშირად მეტად მოუწესრიგებელია.

იყო ასეთი შემთხვევები: ჩვენ მივიღეთ გეგმით შაქარი. გადმოვტვირთეთ ის და აღმოჩნდა, რომ სამი თუ ოთხი ვაგონი შაქარი დანესტიანებული და გაფუჭებულია. ეს მოხდა იმიტომ, რომ შაქარი დაეტვირთათ ისეთ გემში, რომელიც არას შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ასეთი საქონლის გადასაზიდად. ამას გარდა მიმდინარე წლის 24 მაისს ჩვენ მივიღეთ 150 ათასი ტონა ცემენტი, რომელიც გამოგზავნილი იყო ძველ კასრებში. ამასთანავე კასრებში ჩაესხათ ცხელი ცემენტი. აღმოჩნდა, რომ 12 ათასი მანეთის საქონელი სრულიად გაფუჭებულიყო. გარდა ამისა არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ცემენტის კასრებს წონაში აკლდება ერთი ან ერთნახევარი ფუთი. წინად ცემენტს კასრებში უფუთნიდნენ ქაღალდს, ეხლა ეს ასე არ ხდება და საქონელი ილუპება.

ფოთის ნავთსადგურში დაგროვდა აგრეთვე დიდძალი საექსპორტო ღვინო. იქ თავმოყრილია 4 ათასი კასრი. ღვინო ორ მილიონ მანეთად ღირებული. სამი თვეა ეს საქონელი მოუვლელად აწყვია ნავთსადგურში. ღვინო ილგრება, ფუჭდება მისი ხარისხი.

ასევე უნდა ითქვას ფქვილის შესახებ. დიდძალი ფქვილი იკარგება იმის გამო, რომ ტარა მეტად უვარგისია. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. თუ ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ საერთოდ საჭიროა, ის პირველ ყოვლისა აუცილებელია საქონლის გადაზიდვის საქმეში.

ამხ. აფანასიევი

(ბაქო)

ამხანაგებო, ამხ. პეტერსიმ აქ აღნიშნა, რომ ვინმე ინჟენერი პონიმარიოვი, რომელმაც გააფუჭა დეპოს მშენებლობა, ინჟენერი ნოვგოროდში გადაყვანილ იქნა, შემდეგ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობის მთავარ ინჟენერადო. ასეთი შემთხვევები გამონაკლისი არ არის. ამიტომ უნდა დაისაჯონ არა ასეთი სპეციალისტები, არამედ ისინი, ვინც მათ აგზავნის ახალ საპასუხისმგებლო სამუშაოზე, მას შემდეგ, რაც ესა თუ ის „სპეციალისტი“ საქმით ამტკიცებს თავის უვარგისობას.

ამასთანავე მე უნდა აღვნიშნო, რომ ამხ. პეტერსი თითქმის სრულიად არ შეხებია ქალთა დაწინაურების და ქალთა მონაწილეობის საკითხს საბჭოთა აპარატში. ამავე დროს ჩვენ ვიცით, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს მუშათა და მშრომელი გლეხი ქალების მასიურად ჩაბმას საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანოებში. თითო-ოროლა ქალის დაწინაურება, რომელმაც სასურველი ნაყოფი გამოიღო, კიდევ არ კმარა. საჭიროა ამ საქმის უფრო ფართო ნიადაგზე დაყენება.

ამხ. ნოე ლეჟავა

(თბილისი)

ამხანაგებო, მე მოველოდი, რომ მომხსენებლები მოიყვანდენ ციფრებს იმის შესახებ, თუ რამდენი პარტიის წევრი იქნა დასჯილი წმენდის დროს ბიუროკრატიზმისა და პროტექციონიზმისათვის. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი ამხანაგები ხშირად დიდ შეცდომებს სჩადიან. პარტიის წმენდის დროს კი ამ გარემოებას სჩანს არ მიექცა სათანადო ყურადღება.

ჩვენ ხშირად გვესმის საყვედური იმის შესახებ, რომ თითქოს პარტიის წმენდის დროს მიღებული მიღწევები ნოლამდე იქნა დაყვანილი იმის გამო, რომ პარტიიდან გაძევებულნი ისევ მასიურად იქნენ აღდგენილი. მე ამ აზრს არ ვიზიარებ. უდაოა, რომ პარტიის წმენდამ დიდი და მრავალმხრივი სარგებლობა მოიტანა. მას ქონდა განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მან მოაშორა პარტიას რიგებს ბევრი გახრწნილი ელემენტი. მაგრამ ამხანაგებო, ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად გამორიცხულ აპელაციების განხილვის დროს ადგილი ქონდა შეცდომებსაც. შეუძლებელი იყო ბევრი გამორიცხულის აღდგენა წმენდის დამთავრებისთანავე. თუ ისინი გამოსწორების იმედს იძლეოდნენ, უნდა ცოტა დაგვეცადნა, საქმით შეგვემოწმებინა, რამდენად შეიგნეს ამ ამხანაგებმა თავიანთი შეცდომები და რამდენად შესძლეს საკუთარი ნაკლის გამოსწორება. ეს კი მხედველობაში არ იქნა მიღებული.

დელეგატები კახეთიდან

ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას დიდი მუშაობა მოელის იმისათვის, რომ ფართოდ ჩააბას ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასები ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და თვითკრიტიკას კიდევ უფრო ფართოდ გაშლისათვის ბრძოლაში.

ამხ. ბახრამ ასადულა

(ბაქო)

ტყუილია ამხანაგებო, როცა ამბობენ, თითქოს პარტიის წმენდამ საჭირო ნაყოფი ვერ გამოიღოო. წმენდის დიდ ნაყოფს ყველა ჩვენგანი კარგად ხედავს, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ პარტიის საკონტროლო კომისიებს, რომ გამორიცხულთა აღდგენის დროს ადგილი ქონდა ბევრ შეცდომებს. ამან მეტად შეუშალა ხელი თვითკრიტიკას განვითარებას. ეს შემდეგიდან სჩანს. როდესაც საბჭოთა აპარატის წმენდა მიმდინარეობს, ბევრი თავს იკავებს კომუნისტების გაკრიტიკებისაგან და ასე მსჯელობს—რა აზრი აქვს რომ მე გავაკრიტიკო ის, სულერთია ამისთვის მას პასუხს არ მოთხოვენ და მე კი სამსახურს დავკარგავო.

საჭირო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე მუშათა დაწინაურებას. დაწინაურებულ მუშებს არ უწევენ დახმარებას, ისინი გარშემორტყმულნი არიან მტრული ელემენტებით და ეს კი ხელს უშლის დაწინაურებულ მუშას შეითვისოს საქმე და გაამართლოს პარტიის იმედები.

ამხ. ბახტაძე

(თბილისი)

ამხ. პეტერსი თავის მოხსენებაში ამბობდა, რაც უფრო დეტალურად დავამუშავებთ პროექტების დამუშავების გაჭიანურებაო. მე მინდა ვთქვა, რომ ეს სავსებით სწორი აზრი არის, რაც უფრო დეტალურად დავამუშავებთ პროექტს, მით უკეთესია მშენებლობისათვის. აქ აჩქარება მხოლოდ ზიანს მიაყენებს საქმეს. სჯობს პროექტი ხეირიანად დამუშავდეს, ვიდრე საქმეს შევუდგეთ შეუმოწმებელი პროექტით და მუშაობის პროცესში ვაწარმოოთ შესწორებების შეტანა.

მეტად აბრკოლებს მშენებლობის წარმატების განვითარებას საჭირო მასალების არასაკმაო რაოდენობით მოწოდება ცენტრალურ ორგანოების მხრივ. მაგალითად, ცემენტი ჩვენ მივიღეთ გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობის მხრივ 20 პროც. რელსები 4 ნახევარი პროცენტით. ტყის მასალა კი სრულიად არ მიგვიღია. და ეს ხდება საამშენებლო სეზონის მეცხრე თვეს. ასეთ პირობებში რასაკვირველია ძნელია ლაპარაკი საწარმოო გეგმის უკლებლივ და დროულად შესრულებაზე.

ცალკე უნდა შევჩერდე შავი ზღვის რკინის გზაზე. თქვენ იცით, რომ ეს რკინის გზა დიდი ხანია შენდება, მაგრამ მის დასრულებას ჯერ კიდევ ვერ ვეღირსეთ. მშენებლობა მეტად ჭიანურდება. და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ჩვენ გვაკლია საჭირო მასალები. მაგალითად, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებს ჩვენ დავუკვეთეთ ფერმები შავი ზღვის ხიდებისათვის. ეს ფერმები დამზადებული იქნა, მაგრამ შემდეგ ჩვენდა დაუკითხავად ისინი გადაგზავნეს სხვა რკინის გზებზე. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხ. იაკოვლევი

დანაკარგებთან ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. გამორკვეულია, რომ მარტო სათბობი მასალის არამიზანშეწონილად გამოყენებით ჩვენ ყოველ წლიურად 300 მილიონ მანეთს ვკარგავთ. დანაკარგების შემცირება უმთავრესად შესაძლებელია რაციონალიზატორული ღონისძიებების ჩატარებით. თუ ამერიკის მაგალითს მივმართავთ, დავინახავთ, რომ აქ მარტო ერთ მსხვილ ფირმაში პროდუქციის სტანდარტიზაციამ 600 მილიონი დოლარი ეკონომია გამოიწვია. ჩვენი მშენებლობა ღირს 8 ნახევარი მილიარდი მანეთი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად დიდი შესაძლებლობაა ჩვენს წინაშე დანაკარგების შემცირების ბრძოლაში.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სპეციალურად ასწავლიან მართვა-გამგეობის საქმეს. ჩვენში კი ამას ყურადღება არ ექცევა. არა თუ მართვა-გამგეობის სწავლება, არამედ დღემდე გატარებული არ არის პარტიის დადგენილება ერთ-მმართველობის შესახებ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოწყობილ „მსუბუქი კავალერიის“ თავდასხმამ ჩვენი მრეწველობის მრავალი ნაკლი გამოაშკარავა. ბრძოლა საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებისათვის, ამ გეგმის დანაწილებისათვის თვითეულ ცეხის აგრეგატის და დაზგის მიხედვით ჯერ კიდევ სუსტად სწარმოებს. ჩვენ მეტად ჩამოვრჩებით ნავთის მრეწველობის განვითარების მხრივ. საჭიროა ტემპების დაჩქარება. 1901 წელს რუსეთი იყო პირველი ქვეყანა მთელ მსოფლიოში ნავთის დაგროვების მხრივ, შემდეგ მან ეს პირველობა დაუთმო ამერიკას. უკანასკნელ დრომდე საბჭოთა კავშირი ნავთის დამუშავების მხრივ მეორე ადგილას იდგა მთელ მსოფლიოში. მაგრამ ამ ორი წლის წინად ეს ადგილი წაგვართვა საცოდავ პატარა რესპუბლიკამ — ვენეცუელამ. აქედან ჩვენ შესაფერი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. ყოველი ზომები უნდა იქნას მიღებული ნავთის მრეწველობის მშენებლობის დასაჩქარებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი აპარატის გაუმჯობესებას. ამ მხრივ ყურადღების ღირსია საქართველოს კომპარტიის ყრილობის დადგენილება. მუშგლეხინის მოხსენების გარშემო. ეს დადგენილება ავალებს საქართველოს ინსპექციას გამოჰყოს რამდენიმე საცდელი რაიონები და უბნები საბჭოთა აპარატის მუშაობის ახალი მეთოდების გასატარებლად, და შემდეგ მიღებულ იქნას პრაქტიკა დაახლოვებით სხვა რაიონებზე. ასე უნდა დავსვათ ჩვენ საკითხი ა.-კ. დანარჩენ რესპუბლიკების შესახებაც. ძირითად საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება ჩვენ მორიგ ამოცანად უნდა გადაიქცეს.

ამასთან ერთად მთელი ძალღონე უნდა მივმართოთ საბჭოთა აპარატის გასაიაფებლად. ის დღეს მეტად ძვირი ღირს. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩვენ უნდა შევქმნათ იაფი და ელასტიური საბჭოთა აპარატი. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მასებთან კავშირს. როგორც ლენინმა სთქვა — მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა გადაიქცეს მუშებისა და გლეხების ინსპექციად.

ამხ. შამშე ლეჟავა

(თბილისი)

ამხ. ვარძიელი უფრო ვრცლად უნდა შეჩერებულიყო რევოლიუციონურ კანონიერების გატარებაზე სოფლად განსაკუთრებით ეს უნდა ყოფილიყო აღნიშნული საკოლმეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიცით, რომ სოფლად ხშირად ირღვევა საბჭოთა კანონები. მაგალითად, წარმოყენებულ იქნა წითელი ბეღლების შექმნის იდეა, რომელიც ბევრ რაიონში დამახინჯებულად გაიგეს. იყო შემთხვევები, როდესაც საშუალო გლეხს 100-300 მანეთს ახდევინებდნენ წითელი ბეღლისათვის. ასევე უნდა ითქვას ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებზე. ჩვენ ვიცით. რომ ინდუსტრიალიზაციის ობლიგაციების გავრცელება ნებაყოფლობით უნდა სწარმოებდეს. ამავე დროს სოფლად ადგილი ქონდა შემთხვევებს, როდესაც გლეხებს აიძულებდნენ ეყიდათ დიდი თანხით ობლიგაციები. ზოგჯერ გლეხი იმისათვის. რომ ობლიგაცია შეეძინა იძულებული ხდებოდა გაეყიდა მისთვის საჭირო ინვენტარი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ საკმაოდ არ ვებრძვით ბიუროკრატიზმს. ბევრგან თვითკრიტიკა ჯეროვანად არ არის გაშლილი. ამის შესახებ ბევრს ვლაპარაკობთ და ბევრს ვსწერთ, მაგრამ საქმით იმდენს ვერ ვაკეთებთ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მომავალში უნდა გააჩაღოს მუშაობა ამ მიმართულებით.

დელეგატი ქალები აზერბეიჯანიდან

მოსკოვის საოლქო პარტკონფერენცია

მოსკოვი, 7 ივნისი. 6 ივნისს, დილის სხდომაზე, მოსკოვის საოლქო პარტკონფერენციაზე გაიხსნა კამათი ამხ. **იაროსლავსკის** მოხსენების ირგვლივ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. ყველა ორატორები ერთხმად იწონებდნენ ცენტ. საკონტროლო კომისიის მუშაობის პოლიტიკურ ხაზს და აღნიშნავდნენ, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისია მტკიცედ იდგა პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე და იცავდა ლენინის მოძღვრებას.

მე-15 პარტყრილობის შემდეგ,—სთქვა ამხ. **რუბენმა** (მოსკოვის საკონტროლო კომისია,—ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ გამოსცადა გააფთრებული შემოტევა როგორც ტროცკისტების, ისე მემარჯვენე ოპორტუნისტებისა, რომლებიც ცდილობდნენ ცენტრ. საკონტროლო კომისია ჩაეთრიათ წვრილ ბურჟუაზიული ოპორტუნიზმის ჭაობში. მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს და ვერც ვერასოდეს შესძლებენ. შეუძლებელია მთელი იმ ეკონომიის გათვალისწინება, რომელიც მოგვცა ცენტრ. საკონტროლო კომისიის დახმარებამ სოციალისტურ მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. საკმარისია მხოლოდ აღინიშნოს ცენტრ. საკონტროლო კომისიის მიერ მუშათა ბრიგადებთან ერთად ნარჩენების შეკრება, რომლითაც მივიღეთ 25 მილიონი მანეთის ეკონომია.

კონფერენციას მიესალმენ ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წარმომადგენლები და აგრეთვე მოსკოვის ოლქის უდიდესი საწარმოები—პოდოლსკის მექანიკური ქარხნის, გლუხოვსკის ფაბრიკის, მოგესის და კოლომენსკის ქარხნის. კოლომენსკის ქარხნის მუშებმა, კონფერენციის საჩუქრის სახით, ერთი კვირით ადრე გამოუშვეს ორთქლმავალი სერია „ე“ (ადს).

უკრაინის კომპარტიის მე-11 ყრილობის გახსნა

ხარკოვი, 6 ივნისი. გაიხსნა უკრაინის კომპარტიის მე-11 ყრილობა.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობა გახსნა ამხ. **პეტროვსკიმ**.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ **რუძუტაკმა** (ადს).

სოციალისტური მშენებლობა და საქ. კომპარტიის (ბ) ამოცანები

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

ამხ. ლევან ღოღობერიძის მოხსენება

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მე-VII ყრილობაზე 28-29 მაისს

ამხ. ლ. ღოღობერიძე

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას ანგარიში ეხება მე-6 ყრილობის მომდევნო პერიოდს. ეს პერიოდი წელიწადზე ნაკლებია, მაგრამ ამ წლის მუშაობაში ჩვენ მთელ რიგ წარმატებას მივაღწიეთ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდის უკანასკნელი თვეები ხასიათდება აგრეთვე რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომით, რომელიც ჩვენ მასსიური კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში დავუშვით სოფლად. მთელი საანგარიშო პერიოდში ცეკას მთელი მუშაობა იქით იყო მიმართული, რომ ბოლშევიკურად შეგვესრულებია ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ გამოიტანა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მოხსენების გამო 3 ენკ.—28 წ. თქვენ ალბად გახსოვთ, რომ ეს გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვანი მიღწევების გვერდით დიდ ნაკლსაც აღნიშნავდა საქართველოს კომპარტიის მუშაობაში. უმთავრესად ეს ნაკლი გამოიხატებოდა გეგმის მუშაობის უქონლობაში საქართველოს მრეწველობის გაშლის, განვითარების დროს და სათანადო ყურადღების მიუქცევლობაში სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი. მთელი ჩვენი მუშაობა ამ პერიოდში მიმდინარეობდა ამ გადაწყვეტილებათა განხორციელების ნიშნის ქვეშ, და აქ, საქართველოს კომუნისტურ პარტიის მეშვიდე ყრილობაზე ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა შევაჯამოთ იმ მუშაობის შედეგები, რომლებსაც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილებათა განხორციელებლად ვაწარმოებდით. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ წლის განმავლობაში ძლიერ დიდი სამუშაო შევასრულეთ, ჩვენ განვახორციელეთ იმ გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი, რომელიც გვავალებდა შეცდომები და უხერხულად გადადგმული ნაბიჯები გაგვესწორებია ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში. ამავე დროს საანგარიშო პერიოდში ჩვენ გვაქვს მეტის მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტბიუროსი ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შემდგომი მუშაობის შესახებ.

ჩვენი მრეწველობა

პოლიტბიუროს გადაწყვეტილებათა აზრი იმაში მდგომარეობს, რომ „ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანოებმა, რომელნიც პირველ პერიოდში უმთავრესად პოლიტიკურ როლს ასრულებდნენ და ამიერ-კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკების წარმატებას, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას და ეროვნული მშვიდობიანობის დამყარებას უზრუნველჰყოფდენ, დღევანდელ პერიოდში თავიანთი ძალღონე სამეურნეო სოციალისტური აღმშენებლობისკენ უნდა მიმართონ ეროვნულ რესპუბლიკებში, მათს ინდუსტრიალიზაციასა, მათი სოფლის მეურნეობის ტეხნიკური და სოციალური გარდაქმნისაკენ. ამისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ განმტკიცდეს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზისი, განხორციელდეს ამიერ-კავკასიის მთელი სამეურნეო აღმშენებლობის ნამდვილი ხელმძღვანელობა, გამაგრდეს ამიერ-კავკასიის უმაღლესი სამეურნეო საბჭო, გადაკეთდეს ამიერ-კავკასიის საგეგმო ორგანოების სისტემა ისე, რომ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების დაგეგმვა ამიერ-კავკასიის ფედერაციის საგეგმო კომისიის მიერ ხდებოდეს, სათანადოთ შეიცვალოს ამიერ-კავკასიის ცენტ. სტატისტ. სამმართველოს როლი და შეიქმნას ფედერაციის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი, რათა ხელმძღვანელობა გაეწიოს ყველა ძირითად ღონისძიებას სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში“.

ამხანაგებო, პარტიის ცეკას ეს გადაწყვეტილება, რომელიც ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ფუნქციების გაძლიერებაზე ლაპარაკობს, სავსებით და მთლიანად გამომდინარეობდა აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელი მასსების პოლიტიკისა და სურვილებიდან. გაგახსენებთ, რომ საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობაზე ჩვენ ჯერ კიდევ საკავშირო კომპარტიის (ბ) გადაწყვეტილებამდე საკითხი დავსვით ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ჩამოყალიბების შესახებ; ამით ჩვენ ვაღიარეთ, რომ მთელი სასოფლო სამეურნეო ცხოვრების დაგეგმვის და ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია უნდა მოხდეს ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ეს სურვილი შემთხვევითი ხასიათისა როდი იყო, იგი გამომდინარეობდა სახალხო სამეურნეო აღმშენებლობის ცენტრალიზაციის აუცილებლობიდან ფედერატიული მასშტაბით.

გავამტკიცოთ ა.-კ. ფედერაციის სამეურნეო ბაზა

როგორც ცნობილია, ჩვენ გვქონდა მთელი რიგი დაუშვებელი ფაქტებისა, რომელიც აღმშენებლობის უგეგმობას მოწმობდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. რით იყო ეს გამოწვეული? ეს გარემოება გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკები თავიანთი მეურნეობის დაგეგმვის დროს გატაცებული იყვნენ უნივერსალიზმით და თავიანთი სახალხო სამეურნეო აღმშენებლობის გეგმებს არ ათანხმებდნენ ურთიერთს შორის.

ამიტომ, ამხანაგებო, მივიღეთ გაორმაგება, მივიღეთ არასასურველი აჩქარება, მივიღეთ მთელი რიგი წარმოებათა, რომელნიც შეიძლებოდა ამა თუ იმ რესპუბლიკაში არ აშენებულიყვნენ, რომელნიც სხვა რესპუბლიკებში, სხვა ტერიტორიებზე უფრო მომგებიანი იქნებოდნენ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ბოლოს უღებს ყოველივე ამას; ამ გადაწყვეტილებას ერთხელ და სამუდამოდ მკაცრი გეგმიანობა და გარკვეული სისტემა შეაქვს ჩვენს მუშაობაში; ამიერიდან სახალხო სამეურნეო აღმშენებლობა წარმოიშობა არა ამ თუ იმ რესპუბლიკის სურვილებისაგან, არამედ იქიდან, თუ რამდენად საჭირო და ხელსაყრელია ესა თუ ის წარმოება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა, მუშათა კლასის და გლეხობის დაკავშირებისა და კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციაში.

ამხანაგებო, ეს გადაწყვეტილება გვავალებს, რომ ჩვენ არ დავივიწყოთ ჩვენი მრეწველობაც, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ვითარდება. ზოგიერთმა „ველიკოდერჟავნიკულად“ განწყობილმა ელემენტმა, მოხელემ, ბიუროკრატმა ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში არსებითად ეროვნული რესპუბლიკების, სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს ლიკვიდაცია დაინახა. აღმოჩნდა ორიოდე განცალკევებული კომუნისტიც (მართალია, ეს საქმე წარსულს ეკუთვნის), რომელთაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატეს თვალსაზრისი. მაგალითად, ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ამხ. სმირნოვი იმ აზრს ანვითარებდა, რომ მსხვილი წარმოების განვითარება, ამიერ-კავკასიაში—საქართველოსა, სომხეთსა, აზერბეიჯანში — მიზანშეწონილი არაა, მიტომ რომ ეს ნიშნავს კონკურენციას რსფსრ და უკრაინის პროლეტარიატთანო; აქ უმთავრესი ყურადღება სასოფლო მეურნეობას უნდა მიექცესო; ამიერ-კავკასია მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-მეურნეობის რაიონს წარმოადგენსო და სხ.

თავის დროზე ამხ. სმირნოვის ამ თვალსაზრისმა შესაფერი პასუხი მიიღო ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციაში. ჩვენი პარტია აზერბეიჯანშიც, სომხეთშიც და საქართველოშიც მტკიცედ ადგია ინდუსტრიალიზაციის გზას, მიტომ რომ ეს პარტიის გენერალური ხაზია როგორც საბჭოთა კავშირისა, ისე ამიერ-კავკასიისათვისაც.

ამხანაგებო, თითქო ამგვარი მსჯელობის საპასუხოდ თითქო იმ კომუნისტების საპასუხოდ, რომელთაც ავიწყდებათ, რომ ამიერ-კავკასიასაც აქვს უფლება ინდუსტრიალიზაცია ისევე ინტენსიურად აწარმოოს, როგორც უკრაინას და რსფსრ, თითქო ამ თვალსაზრისის საპასუხოდ პოლიტბიურო თავის დადგენილების მეორე მუხლში ამბობს:

„ეს გაძლიერება ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანოების ხელმძღვანელი როლისა ეროვნული რესპუბლიკების მიმართ უნდა მიმდინარეობდეს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო თაოსნობის გაშლასთან ერთად“.

ამით მტკიცედ ბოლო ეღება ყოველგვარ მსჯელობას და ლაყბობას იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის პირობებში არ უნდა დავადგეთ ინდუსტრიალიზაციის გზას, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში არ უნდა განვითარდეს მრეწველობა, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობა.

ამასთანავე შეუძლებელია იმის მიჩქმალვაც, რომ ამიერ-კავკასიაში ჩვენ გვხვდება არა მარტო „ველიკოდერჟავნიკული“ მიდრეკილებანი, არა მარტო იმ უპარტიო მოხელეების განწყობილება, რომელნიც ცდილობენ ისე გამოიყენონ ეს გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომ ეროვნული რესპუბლიკები უკან ჩამოარჩინონ საერთო აღმშენებლობას, არამედ ჩვენში ბევრად უფრო ძლიერია ნაციონალისტური გადახრა, რომელიც ამ გადაწყვეტილებას ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვათ სთვლის. ზოგიერთი კომუნისტები კი, რომელთაც ერთნაირი სტაჟიც აქვთ, ზედ ევება ამ ანკესს და ფიქრობენ, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) პოლიტბიუროს გადაწყვეტილება, ამიერ-კავკასიის კომპარტიათა სურვილებზე დამყარებული, რამდენიმედ ამიერ-კავკასიის უფლებათა შეზღუდვას წარმოადგენს. მართალია, ეს კომუნისტები აშკარად არ გამოდიან, ამას პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ განცალკევებული ფაქტები ზოგიერთი ამხანაგების პრაქტიკიდან გვიმტკიცებს, რომ ასეთი კომუნისტები არსებობენ.

შოვინიზმის წინააღმდეგ

ამხანაგებო, თქვენ ალბად გაზეთებში წაიკითხეთ ვინმე პართენ გოთუას წერილი. ეს გოთუა კვალიფიციური ეკონომისტის თანამდებობას ასრულებს საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. ამ მოქალაქემ, ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას ყოფილმა წევრმა, წერილი დასწერა სმუს-ის თანამშრომლების კედლის გაზეთში. იგი ამ გაზეთის მუშკორი ყოფილა. სტატიას ჰქვია „დიდი გაცხრილვა“. თავის თავს ნებას მივცემ წავიკითხოთ ეს წერილი, მიტომ რომ იგი დიდს ინტერესს შეიცავს არა მარტო იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ კითხვაზე, როგორ შეეძლო პართენ გოთუას ასეთ წერილის დაწერა, არამედ უმთავრესად იმისთვის, რათა გავიგოთ, როგორ გაუშვა სმუს-ის პარტიულმა ფენამ ასეთი სტატია კედლის გაზეთში.

აი ეს სტატია:

„დიდი გაცხრილვა“. 1929—30 წლების პირველი ნახევარი დაუვიწყარი დარჩება საქართველოს სმუს-ისათვის. დაიწყო იმ წარმოებათა დიდი დაფანტვა, რომელნიც ნანგრევებიდან აღორძინდა, მზრუნველი ხელით დაგროვდა და აღმოცენდა სმუს-ის მუშაკების მთელი პლეადის დაუღალავი შრომის შემწეობით; ამ ადამიანებმა თავიანთი გამოცდილება, შრომა და ცოდნა შესწირეს საქართველოს მრეწველობის განვითარების დიად საქმეს“. პირდაპირ საეკლესიო სლავიანური სტილია, „საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ჩამოერთვა და ამ მოკლე დროში სხვა უწყებათა ორგანიზაციებს გადაეცა:

1. ყველა წარმოებანი საქართველოს სატყეო და ხის გადამამუშავებელი მრეწველობისა.

2. ყველა წარმოებანი საფეიქრო მრეწველობისა

3. ყველა მსხვილი წარმოებანი სამთამადნო-ქიმიური მრეწველობისა“.

ამხანაგებო, მე მინდა ვიცოდე, სადაა ეს მსხვილი წარმოებანი! ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში არ არის არც ერთი მსხვილი სამთამადნო-ქიმიური წარმოება. შემდეგ იგი სწერს:

„ელექტრო მრეწველობის ყველა წარმოებანი, სამი საუკეთესო სტამბა პოლიგრაფტრესტის ცინკოგრაფიასთან ერთად“.

როგორც ცნობილია, სტამბები ჩვენს გაზეთებს და საქართველოს სახელგამს გადაეცა, ერთი მათგანი სახელგამმა მიიღო, ერთიც ქართულმა გაზეთებმა: „კომუნისტმა“, „კოლექტივიზაციამ“, „მუშამ“, და აგრეთვე „რაბოჩაია პრავდა“-მ.

„მთელი სამთო განყოფილება გეოლოგიურ-გამომკვლევი მუშაობითურთ, ტყავის ფაბრიკები და ხილის სახმობები. ახლა ირჩევა საკითხი შემდეგ მრეწველობათა გადაცემის შესახებ: „შავი ქვის ტრესტისა—საქცით საზოგადოება „სტალისათვის“, კინომრეწველობისა—ამიერ-კავკასიის კინომრეწველობისთვის, საქართველოს საზომთა და წონათა პალატისა — ამიერ-კავკასიის პალატისათვის“.

დიდი ამბავია საქართველოს საზომთა და წონათა პალატის ქონვა!

„აბრეშუმის ტრესტის ნაწარმოებნი საფეიქრო სინდიკატზე გადადის და სხ. რა საზღვარს მიაღწევს ეს, ტლანქათ რომ ვთქვათ, საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაცემა, ჯერ კიდევ არ ვიცით“.

კედლის გაზეთში წერილი აქამდე იყო დაბეჭდილი. ქვემოდ კი შემდეგი მოსდევს, რაც არ დაბეჭდილა:

„შესძლებენ თუ არა ამ წარმოებათა ახალი პატრონები მთელი სულის და გულის ჩადებას საქართველოს ამ მრეწველობის განვითარებაში, როგორც ეს დღემდე იყო? ხომ არ გამოიწვევს წარმოებათა ასეთი მასსიური დაფანტვა ჩვენი მხარის ეკონომიურ შესაძლებლობათა, მისი ფინანსიური საძირკვლის, მისი პოლიტიკურ-პროლეტარული უფლებების შეზღუდვას?“.

აი, ამხანაგებო, რაზე ფიქრობს ნაციონალ-დემოკრატი გოთუა? იგი ფიქრობს საქართველოს „პოლიტიკურ-პროლეტარულ“ უფლებებზე.

„ყოველივე ეს გულისტკივილს იწვევს იმ პირებში, რომელნიც დაინტერესებული არიან საქართველოს მრეწველობის ბედით. საქართველოს მრეწველობის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობავ! რატომ არ გვესმის თქვენი ავტორიტეტული ხმა, რატომ არ ვხედავთ თქვენს მისწრაფებას—ამიერიდან მაინც შეჩერდეს სმუს-ის წარმოებათა გადაცემა ბითუმათ და ცალობით?

ამხანაგებო, ყურადღება მიაქციეთ ამ სტატიის თავზედ თეთრგვარდიულ სტილს. გამოდის, რომ მოქ. გოთუა და მისი მსგავსნი საქართველოს მრეწველობის შემკრებნი ყოფილან, მაგრამ მოსულან ახალი პატრონები,—კომუნისტები,—რომელნიც საქართველოს მრეწველობას არიგებენ ბითუმათ და ცალობით. ბატონ გოთუას ჩვენ კარგა ხანია ვიცნობთ. ჩვენ ვიცით აგრეთვე მისი მოღვაწეობა თბილისის საურთიერთო კრედიტის ბანკში და დღეს ეს პართენ გოთუა საქართველოს მრეწველობის დასაცავად გამოდის (ხმა ადგილიდან:—სად მუშაობს იგი დღეს?). ჰკითხეთ ამხ. საბაშვილს. ძლიერ ცუდი ამბავია, რომ მოქ. გოთუა დღემდე სმუსში მუშაობს. დავუშვათ, რომ იგი გამონაკლისს წარმოადგენს სპეციალისტებს შორის,—ასე ვთქვათ თეთრ ყორანს. მაგრამ აი, ამხანაგებო, სპეციალისტების ჯგუფმა ნიკო ელიავას, ერზიკიანის, ელბაქიანის და სხვების მეთაურობით პასუხი გასცა მოქ. გოთუას წერილს. აი, რას სწერენ ისინი:

„კედლის გაზეთის უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა შენიშვნა „დიდი დაფანტვა“ „ერთი გულნატკენის“ ხელმოწერით. ამ შენიშვნაში მოყვანილია ცნობა იმის შესახებ, თუ რა წარმოებანი ჩამოშორდენ საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და რომელი შეიძლება კიდევ მომავალში გადაეცეს სხვა ორგანიზაციებსა და უწყებებს. მყვირალა სათაური და შესავალი ფრაზების მიუღებელი ფორმულა უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს და სხვ.“. გამოდის, რომ პართენ გოთუას წერილის დედაზრი იმაში ყოფილა, რომ „სათაური მყვირალაა და ზოგიერთი ფორმულა მიუღებელია“. გოთუას წერილის ასეთი დაფასება სპეციალისტების მხრით, რომელნიც თავიანთ თავს პარტიის გენერალური ხაზის მცოდნეებათ სახავენ და რომელნიც, მათივე სიტყვით, სავსებით ეთანხმებიან იმ პოლიტიკას, რომელიც ტარდება, სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ზოგიერთი მათგანი, ვინც ამ მეორე წერილს მოაწერა ხელი, შეიძლება გოთუას აზრების თანახმაც არის, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არ ლაპარაკობს.

ამხანაგებო, ყველა ეს ფაქტები, ეს წერილები მხოლოდ იმას მოწმობენ, თუ რა საჭირო ყოფილა საბჭოთა აპარატის წმენდა და რა ნაკლებ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ეს წმენდა. როგორც ეტყობა, ეს წმენდა არ აშკარავებს იმ დამპალ ელემენტებს, რომელნიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან ჩვენს აპარატში. პართენ გოთუებისთვის ადგილი არ არის ჩვენს დაწესებულებებში. პართენ გოთუა არ უნდა გეგმავდეს, არც შეუძლია ჩვენი მეურნეობა დაგეგმოს, იგი არ შეიძლება საბჭოთა ეკონომისტი იყოს, მიტომ რომ ადამიანისთვის, რომელიც ასეთი თეთრგვარდიული, ასეთი აბუჩათ ამგდები სტილით ლაპარაკობს მრეწველობის ცენტრალიზაციაზე ამიერ-კავკასიის მაშტაბით, რომელიც საქმის ვითარებას ისე სახავს, რომ საქართველოს მრეწველობა „ბითუმათ და ცალობით იყიდება“, ასეთი ადამიანისათვის ადგილი არ არის ჩვენს საბჭოთა დაწესებულებებში (ხმები ადგილიდან: სწორია). (ტაში).

მაგრამ საინტერესოა კითხვა, როგორ მოხდა, რომ ასეთი წერილი გამოქვეყნდა ჩვენი კედლის გაზეთში, როგორ გაუშვა პარტიულმა უჯრედებმა და რედკოლეგიამ ასეთი წერილი. თურმე ეს წერილი გაურჩევიათ კიდეც და კომუნისტებს ბრძნულად გადაუწყვეტიათ: „ჩვენ ამ წერილს მოვათავსებთ, მხოლოდ შემდეგ პასუხს გავცემთო“. სწორეთ რომ სოლომონისებური ბრძნული გადაწყვეტილებაა. საჭირო ყოფილა, რომ პართენ გოთუას თეთრგვარდიული წერილი სამი კვირის განმავლობაში კედელზე ყოფილიყო აკრული, რომ ყოველ ვიგინდარას, ყოველ თეთრგვარდიელს, ყოველ ჩვენს ფარულ და აშკარა მტერს, რომელიც ჩვენს დაწესებულებებში ლაძრეს, წაეკითხა იგი. საჭირო ყოფილა, რომ ეს აგიტაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენი ღონისძიებების წინააღმდეგ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ სამი კვირის განმავლობაში ყველას დასანახათ ყოფილიყო გამოფენილი, თითქო იმ თავითვე არ შეიძლებოდა მისი პასუხის გაცემა, თვით წერილის მოუთავსებლად კედლის გაზეთში (ხმა ადგილიდან:—ისიც რედკოლეგიის წევრი იყო). ესეც დამახასიათებელია ჩვენი საბჭოთა უჯრედების მუშაობისათვის. რა საჭიროა, რომ ნაციონალ-დემოკრატების ცეკას ყოფილი წევრი, პართენ გოთუა, აუცილებლად ჩვენი კომუნისტური მებრძოლი კედლის გაზეთის რედკოლეგიის წევრი იყოს. ეს ვერ გაგვიგია.

აქ უეჭველად არის კიდევ მეორე გარემოება. მე მინდა იმ საკითხზე შევჩერდე, რომ პართენ გოთუას ერთნაირი თანაგრძნობა აქვს ზოგიერთი კომუნისტის მხრით, თვით სმუს-ის აპარატში. ზოგიერთი კომუნისტი სმუს-ის აპარატში იმ აზრისაა, რომ წარმოებათა გადაცემა ამიერ-კავკასიის მეურნეობის უმაღლეს საბჭოსადმი ნიშნავს საქართველოს მრეწველობის ლიკვიდაციას, მის დარიგებას „ბითუმათ და ცალობით“.

მე ახლა მათთან კამათს არ გავმართავთ არსებითად, რადგან სრულიად გასაგებია, რომ ჩვენი მუშაობის დედაზრი სრულიად არ შეიცვლება იმით, თუ ვინ ააგებს ზაჰესს,—ამიერ-კავკასიის სმუ საბჭო თუ საქართველოს სმუ საბჭო. განა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის აშენების თვალსაზრისით, იმას, თუ ვინ დაამთავრებს მაუდის ქარხნის აგებას თბილისში, ამიერ-კავკასიის სმუსი თუ საქართველოს სმუსი? ნუ თუ კომუნისტისთვის მნიშვნელოვანია ფაქტი თუ „ვინ აშენებს“ და არა ფაქტი, თუ „რა შენდება და როგორ შენდება“? ჩვენ გვგონია, რომ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა შენდება და როგორ შენდება, იმას რომ მრეწველობა ვითარდება, რომ საქართველოს მრეწველობის ზრდის ტემპი არა თუ არ ნელდება, არამედ უფრო სწრაფი ხდება. ამიერ-კავკასიის სმუს-ის ხელში მრეწველობის აღმშენებლობა წარმატებით წავა წინ, მიტომ, რომ მაშინ მეტი გეგმიანობა და ორგანიზაციულობა იქნება და მაშასადამე ტემპებიც აჩქარდება. კომუნისტისათვის მნიშვნელობა არა აქვს ვინ ააშენებს —ამხ. საბაშვილი, თუ ამხ. ყურულოვი. პართენ გოთუამ და მისმა კომპანიამ იმთავითვე სათანადო პასუხი არ მიიღეს, როცა ამ აზრებს გამოთქვამდნენ. სწორეთ ესაა ყველაზე არასასიამოვნო და სამწუხარო. პარტიამ გაათკეცებული ყურადღება უნდა მიაპყროს ზოგიერთი კომუნისტის ასეთ განწყობილებას, მიტომ რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პოლიტბიუროს გადაწყვეტილება ჩვენ გვავალებს ამიერ-კავკასიის ფედერაცია განვამტკიცოთ არა მარტო საწარმოთა გადაცემით ამიერ კავკასიის სმუს-ისთვის, არამედ საზოგადოებრივი აზრის შექმნითაც ამ საკითხის ირგვლივ, რათა ამიერ-კავკასიის სმუსს მართლაც გაეუადვილოთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მუშაობა სამრეწველო მეურნეობის რეკონსტრუქციის მხრით.

ცხადია, რომ თუ კომუნისტები, რომელნიც ამა თუ იმ დაწესებულებაში სხედან, წინააღმდეგობას გაუწევენ ამ ღონისძიებათ, ჩვენ, ანუ უკეთ, ამიერ-კავკასიის ორგანიზაცია ვერ შევსძლებთ ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას და განხორციელებას. ან, უფრო სწორათ რომ ვთქვათ, ისინი განხორციელდებიან ერთნაირი გართულებით, რომელიც საბოლოო ანგარიშში ჩვენს აღმშენებლობაზე მოახდენს გავლენას. მე შემიძლია იმის ფაქტები და მაგალითები მოვიყვანო, როგორ უწევენ საბოტაჟსა და წინააღმდეგობას პოლიტბიუროს გადაწყვეტილებებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცების შესახებ ზოგიერთი კომუნისტები, რომელნიც ამა თუ იმ დაწესებულებაში სხედან. მაგრამ ეს არ არის საჭირო.

ამრიგად ჩვენ არავითარ შემთხვევაში ყურადღება არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი მრეწველობის მიმართ, არ უნდა შევანელოთ სამრეწველო აღმშენებლობის საქმე საქართველოში, მაგრამ ამასთანავე ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ, რათა ხელი შევუწყოთ საკ. კომპარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებათა განხორციელებას ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცების შესახებ.

საქართველო ინდუსტრიალიზაციის გზაზე

ამხანაგებო, ჩვენ იმ ფაქტს ვამჩნევთ, რომ პარტიის პოლიტიკასთან სავსებით შეთანხმებით, მრეწველობის ზრდა საქართველოში ბევრად უფრო ჩქარა მიდის, ვიდრე საბჭოთა კავშირში საერთოდ ან ისეთ ძლიერ რესპუბლიკებში, როგორიცაა რსფსრ და უკრაინაა.

მაშინ, როდესაც სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მიხედვით საბჭოთა კავშირის მრეწველობის ზრდა 267,7 პროც. გამოიხატება, საქართველოში იმავე პერიოდისათვის 587 პროცენტით ზრდა არის ნავარაუდევი.

თუ ავიღებთ მრეწველობის ზრდას საქართველოში უკვე განვლილ პერიოდში და შევადარებთ საბჭოთა კავშირის მრეწველობასთან, წარმოგვიდგება შემდეგი სურათი: 1928-29 წელს, 1927-28 წელთან შედარებით ჩვენ გვქონდა საბჭოთა კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა 24 პროცენტით. ამავე პერიოდში, ე. ი. 1928-29 წელს, 1927-28 წელთან შედარებით საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა უდრიდა 33,1 პროცენტს. ხუთწლიანი გეგმით 1929-30 წლისათვის მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდება საბჭოთა კავშირში დასახულია 32,1 პროცენტით. ამავე დროს კი მიმდინარე 1929-30 წლის შესწორებული გეგმით საქართველოში საერთო პროდუქციის ზრდა გასულ წელთან შედარებით დასახულია 54,2 პროც. 1929-30 წლის პირველი ნახევრის შედეგები გვიჩვენებენ, რომ მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში საერთო პროდუქცია 1928-29 წლის პირველ ნახევართან შედარებით 29,4 პროცენტით გადიდდა, საქართველოში ამავე შედარებულ პერიოდებში ზრდა უდრის 61,4 პროცენტს.

დამახასიათებელია აგრეთვე საქართველოს ხუთწლიანი გეგმის შესრულების ტემპების მაჩვენებლები. ხუთწლიანი გეგმით საერთო პროდუქციის ზრდა 1928-29 წელს, 1927-28 წელთან შედარებით დასახული იყო 29,9 პროცენტით. ფაქტიურად კი ეს ზრდა გამოიხატა 33,1 პროცენტით. დამატებით გამოაშკარავებულ შესაძლებლობათა, აგრეთვე ახალ მშენებლობათა წარმატებით შესრულების შედეგად, ხუთწლიანი გეგმით თავდაპირველად 1929-30 წლისათვის გათვალისწინებული საერთო პროდუქციის ზრდა წინა წელთან შედარებით 40,6 პროცენტით საჭირო გახდა შეცვლილიყო და ეს ციფრი აყვანილ იქნა 54,2 პროცენტამდე.

ეს ციფრები მოწმობენ იმას, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა ჩამორჩენილი ნაციონალური რაიონების მიმართ ჩვენს პირობებში სავსებით სწორად წარიმართება. ჩვენის მხრივ ამ პოლიტიკას ასევე ვანხორციელებთ ავტონომიური რაიონების მიმართ საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის შიგნით, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ ვილაპარაკებთ.

მთელი ენერგია სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის

მაგრამ, ამხანაგებო, ასეთ დადებით ფაქტებთან ერთად ჩვენ უნდა გადავხედოთ სამრეწველო-საფინანსო გეგმის ფაქტიურ შესრულებას წელიწადნახევრის განმავლობაში, ვინაიდან ეს წელიწადნახევარი ხუთწლედის პირველი წლებია. სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება 1928-29 წელს საერთოდ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს გეგმის შესრულება 103,4 პროცენტით მარგანეცის ჩაუთვლელად, ხოლო მარგანეცის ჩათვლით 102 პროცენტით. ამასთან „ა“ ჯგუფში, ე. ი. მძიმე მრეწველობის ჯგუფში 101 პროცენტით, ხოლო „ბ“ ჯგუფში (მსუბუქი მრეწველობა) 105 პროცენტით, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ გეგმის საერთო დადებით შესრულებასთან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც მეტად ჩამორჩებიან გასული წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებას. ასე მაგალითად, ქვა-ნახშირის მრეწველობამ საფინანსო-სამრეწველო გეგმა მხოლოდ 74 პროცენტით შეასრულა, ფანერის მრეწველობამ 82,5; აბრეშუმის ძაფსახვევმა მრეწველობამ 79,2 პროცენტით, სატყეო მრეწველობამ 91,2 პროცენტით.

მთელ რიგ საწარმოებში კი სამრეწველო-საფინანსო გეგმა თვალსაჩინო გადაჭარბებით შესრულდა. ამ უკანასკნელ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის მაუდის ფაბრიკა, რომელმაც გეგმა 24 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა, გლაუბერის მარილის წარმოებამ—70,4 პროცენტით, ტყავეულობის ქარხნებმა 15,2 პროცენტით; ფეხსაცმელის წარმოებამ 20,6 პროცენტით; სპილენძის სატკეცმა ქარხანამ 11,9 პროცენტით და სხვ.

რაც შეეხება 1929-30 წლის პირველ ნახევარს, აქ სურათი რამდენადმე გაუარესებულია იმ მხრივ, რომ 1929-30 წლის პირველ ნახევარში ს.მ.უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფმა მთელმა მრეწველობამ საწარმოო დავალებანი სულ 97,7 პროცენტით შეასრულა, ე. ი. მთლიანად შესრულებას 2,3 პროცენტი დააკლო. შეიძლება სთქვან, რომ ასეთი შეუსრულებლობა საშიში არ არის, ვინაიდან შესრულების პროცენტი 100 უახლოვდებაო, მაგრამ საქმე ამაში როდია. ჩვენ განგაში უნდა ავტეხოთ ჩვენი მრეწველობის მიერ საწარმოო გეგმის არშესრულების გამო იმიტომ, რომ ეს საწარმოო გეგმა ისე როდია შემდგარი, რომ საგეგმო ვარაუდები არა რეალური იყოს, არამედ პირიქით, ჩვენ ყველა საბუთები გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ერთგვარი სურვილით, ძალღონის ერთგვარი დაჭიმვით, ჩვენ უთუოდ შეგვიძლია გადაჭარბებით შევასრულოთ დასახული საწარმოო დავალებანი; ერთგვარი სურვილით და შრომის უკეთესი ორგანიზაციით ჩვენ შეგვიძლია გადაჭარბებით შევასრულოთ სამრეწველო-საფინანსო გეგმის დავალებანი.

როგორია სამრეწველო-საფინანსო გეგმის მთლიანად არ შესრულების მიზეზები? როგორც მოსალოდნელი იყო, მიზეზები მხოლოდ და უმთავრესად თითონ ჩვენში იყარება. მართალია, არის მთელი რიგი საწარმოები, სადაც მოწყობილობა რამდენადმე გაცვეთილია, ასე, რომ მართლაც მეტად ძნელია საწარმოო დავალების შესრულება. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი საწარმოები, სადაც მოწყობილობის გაცვეთის პროცენტი 80-ს უდრის. ბუნებრივია, რომ ამ საწარმოებში სამრეწველო-საფინანსო გეგმის მთელი 100 პროცენტით შესრულება ძალღონის განსაზღვრულ დაჭიმვას მოითხოვს. მაგრამ ამ საწარმოების გამოკლებით უნდა ვთქვათ, რომ საწარმოო დავალება იმიტომ არ არის შესრულებული, რომ მთელ რიგ საწარმოებში ჩვენ კიდევ არ გვეხერხება მუშაობა და ძალიან ხშირად ბევრი, ერთი შეხედვით წვრილმანი ხელს უშლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებას. ასე მაგალითად—საპნის ქარხანა რამდენსამე დღეს გაცდა ნედლეულის უქონლობის გამო. თურმე ნედლეული სადგურში ეწყო. ამხანაგ სამეურნეო მუშაკებმა კი თავი არ შეიწუხეს გამოეხყიდათ იგი და ამის შედეგად ქარხანა რამდენსამე დღეს გაცდა. აბრეშუმის საქსოვ ახალ ფაბრიკაში იმის გამო, რომ ძაფის დახვეწის სამუშაოზე მუშები ცოტა იყო, 800 დაზგა-დღე გაცდა. ამავე დროს კი, ეს სრულიად უბრალო საქმეა. შეეძლოთ დამატებითი მუშები აეყვანათ და გაცდენაც არ მოხდებოდა. აქვე საქსოვ საამქროში ცუდ ფუძეებს აკეთებენ, რის გამოც ჩერდება საფეიქრო დაზგები და 8 მეტრის ნაცვლად გამომუშავება 4 მეტრს უდრის. მარელისში ორთქლის ქვაბებზე ცუდი მეთვალყურეობის გამო აფეთქდა ქვაბი და ფაბრიკა ორ კვირას გაცდა. თემქას ქარხანაში გაცდენის შემთხვევები 400 პროცენტით გაიზარდა.

მე შემიძლია, ამხანაგებო, კიდევ მრავალი მაგალითი მოვიყვანო, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს „წვრილმანი“ საკითხები არსებითად სერიოზული საკითხებია და ისინი მეტად უშლიან ხელს სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებას, სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ საჭიროა ეხლავე დავრაზმოთ პროფორგანიზაციების, სამეურნეო მუშაკების და პროფესიონალისტების ყურადღება სამრეწველო დავალებათა შესრულების ირგვლივ. ეს სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან პროგრამების შეუსრულებლობა მთლიანად თვით ჩვენზეა დამოკიდებული.

სოც. შეჯიბრება და დამკვრელთა მოძრაობა

მრეწველობის ზრდასთან ერთად ჩვენში ხდება მუშათა კლასის ზრდა. 1928—29 წელს საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს მთელს მრეწველობაში მუშა ხელის საერთო რიცხვი 7.694 კაცს შეადგენდა (მარგანეცის მაღაროებში ჩაბმულ მუშათა ჩაუთვლელად), რომელთაგან „ა“ ჯგუფში იყო 5.033 კაცი, ხოლო „ბ“ ჯგუფში 2.029 კაცი. 1928—29 წლის დამლევს მუშათა საერთო რიცხვი შეადგენდა 18.659 კაცს (მარგანეცის მუშების ჩათვლით), ამასთან, მარგანეცის საწარმოების ჩათვლით, მუშათა კლასის რიცხვის საერთო გადიდება 73,1 პროცენტს უდრიდა.

ხოლო საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფი მთელი მრეწველობის მუშათა საერთო რიცხვი 1928—29 წელს შეადგენდა 21.688 კაცს, აქედან კვალიფიციური იყო—11.178 კაცი, ნახევრად კვალიფიციური—3.298, არაკვალიფიციური—7.212 კაცი.

ჩვენ მოწმენი ვართ მუშათა გმირობის განსაკუთრებული ფაქტების, მოწმენი ვართ მუშათა კლასის თავგანწირვის ფაქტების, საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ფაქტებისა. უნდა ითქვას, რომ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის შედეგად თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მრეწველობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ჩვენ გვაქვს ცალკე ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ მუშები ნამდვილად ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ სათანადო დონეზე ასწიონ ჩვენი მრეწველობა. მათ მთლიანად გაამართლეს ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება უბრალო მუშათა თავგანწირული, შრომის დამძლევი, ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის“.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ტყიბულის მაღაროებში ნამდვილი ბრძოლა აქვთ გამართული პირველობისათვის დავალების შესრულებაში. შეჯიბრებამდე, სამრეწველო-საფინანსო გეგმის თითქმის სამი წლის არსებობის განმავლობაში, იგი არ სრულდებოდა. თვითღირებულების მრუდი განუწყვეტლივ მაღლა მიიწევდა და არც ერთ სხვა დარგში არ იყო სამუშაოს გაცდენის ისეთი დიდი რიცხვი, როგორც ტყიბულის მაღაროებში. სოციალისტური შეჯიბრების შედეგად შრომის დისციპლინა განმტკიცდა, სამუშაოს გაცდენის შემთხვევათა რიცხვი 8 პროცენტიდან 1,82 პროცენტამდე შემცირდა. ქვა-ნახშირის ამოღების დავალება გადაჭარბებით შესრულდა. ტონა ქვა-ნახშირის თვითღირებულება 11 მან. 66 კაპ-მდე შემცირდა, მაშინ, როდესაც სამრეწველო-საფინანსო გეგმის მიხედვით შემცირება განზრახული იყო 12 მან. 10 კაპ-მდე.

მეორე მაგალითი, თბილისში ორთქმავლების სარემონტო ქარხანაში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა შრომის ნაყოფიერება. ქარხანას მიცემული ჰქონდა დავალება საშუალო რემონტში შრომის ნაყოფიერება გაედიდებია 15 პროცენტით, ფაქტიურად კი გაადიდა — 23,3 პროცენტით. მიცემული იყო დავალება რემონტში გაჩერება შემცირებულიყო 5 პროცენტით, ფაქტიურად კი კაპიტალურ რემონტში გაჩერება 21 პროცენტით შემცირდა, ხოლო საშუალო რემონტში—18,6 პროცენტით. დავალება იყო—შემცირებულიყო პროდუქციის თვითღირებულება 10 პროცენტით, ფაქტიურად კი საშუალო რემონტში თვითღირებულება 25 პროცენტით შემცირდა.

დამახასიათებელია, რომ სარემონტო ქარხნის დამკვრელმა მუშებმა ჩაატარეს შეფასებათა ნორმების ნებაყოფლობითი შემცირება, ამასთან შრომის ხელფასი არათუ არ შემცირდა, არამედ პირიქით, რამდენადმე გაიზარდა კიდეც. ასეთი ენტუზიაზმის შედეგად სარემონტო ქარხანამ მიიღო გარდამავალი ჯილდო როსტოვის ქარხნის დროშის სახით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სარემონტო ქარხანა შეინარჩუნებს ამ დროშას.

უნდა ითქვას, რომ ყველა საწარმო არ არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული ამ მხრივ. ამასთან აქ პირდაპირ განსაცვიფრებელი სურათია. იქ, სადაც სოციალისტური შეჯიბრება არ არის, სურათი ყოველმხრივ უნუგეშოა იმ საწარმოებთან შედარებით, სადაც სოციალისტური შეჯიბრება სწარმოებს.

მაგალითად, აფხაზეთში კოდორის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ერთ კაც-დღის გამომუშავება 21 მან. 18 კაპეიკს უნდა უდრიდეს, ფაქტიურად კი უდრის 19 მან. 66 კაპეიკს. შრომის ნაყოფიერება 36,9 პროცენტით დაეცა. ერთი კუბ. მეტრი დახერხილი მასალის თვით ღირებულება 5 მან. 17 კაპეიკით გადიდდა. სოციალისტური შეჯიბრების არ არსებობის გამო, ადგილი აქვს დიდ ჩამორჩენას საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში საბჭოთა მეურნეობებშიაც („ილიჩი“ და „III ინტერნაციონალი“).

იქ, სადაც შემოღებულია სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, ადგილი აქვს საწარმოო დავალებათა შესრულებას. ასე, მაგალითად, ფსირცხას საბჭოთა მეურნეობამ, აფხაზეთში, სანიმუშო მუშაობისათვის დროშა მიიღო.

ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს დეფექტებს. ეს დეფექტები უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ჯერ კიდევ ყველა სამეურნეო მუშაკები არ აქცევენ მათ ჯეროვან ყურადღებას. ხშირად ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები ამ საქმეს უყურებენ, როგორც რაღაც გარეშე საქმეს, რომელსაც მრეწველობასთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს, და იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყონ შეჯიბრებაში ჩაბმულთ და დამკვრელებს, ისინი თავიანთი წვრილმანი მიზეზების შოდებით ფაქტიურად ხელს უშლიან მუშათა ენტუზიაზმს. ჩვენი ტრესტების ერთ-ერთი ხელმძღვანელი შემდეგს აცხადებს: „ფრთხილად უნდა ვიყოთ შეჯიბრებაში, თორემ მან შეიძლება ჩხუბი გამოიწვიოს მუშებს შორისო. არის საფრთხე, რომ შეჯიბრება ცუდ გავლენას მოახდენს მუშათა ჯანმრთელობაზე“-ო.

აი, ამხანაგებო, რა გულშემატკივარი მეურნეა ის, ხოლო მუშის ხელფასზედ 10 კაპეიკის მომატებაზე რომ მიდგეს საქმე, ასეთი სამეურნეო მუშაკი თვითონ იბრძოლებს პროფკავშირებთან. ისე კი, როდესაც მუშებს ესაჭიროებათ დახმარება დამკვრელობაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში, მაშინ ასეთი სამეურნეო მუშაკები ვითომ ზრუნავენ იმაზე, რომ მუშების ჯანმრთელობა არ შეილახოს. ასეთი მაგალითები ბევრია, მაგრამ ყველა ამ მაგალითების მიუხედავად, ჩვენი მუშაობის ყველა დეფექტების მიუხედავად, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ საქართველოში უკვე უთუოდ მასიური ხასიათიც მიიღო, რომ უკვე აღარ არის არც ერთი საწარმო, სადაც მუშები ამა თუ იმ სახით ჩაბმულნი არ იყვნენ დამკვრელობაში და სოციალისტურ შეჯიბრებაში; ეს კი იმის საუკეთესო საწინდარია, რომ სამრეწველო მშენებლობა ბუმბერაზული ნაბიჯებით განვითარდება.

ეს იმიტომ, რომ როგორც ნათქვამია მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციაში: „სოციალისტური შეჯიბრება არის მძლავრი საშუალება მასების ინიციატივის გაღვივებისა და ორგანიზაციისა ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის და ამასთან ერთად ქვემოდან მიმდინარე თვითკრიტიკის განვითარების მძლავრი საშუალება“.

მართლაც, ჩვენ ვრწმუნდებით იმაში, რომ იქ, სადაც განვითარებულია დამკვრელობა და სოციალისტური შეჯიბრება, სწრაფად აშკარავდება ცალკე დიდი დეფექტები მრეწველობაში და შესაძლებელი ხდება ამ დეფექტების დაუყონებლივ გამოსწორება.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ და დამკვრელობამ განსაკუთრებული გაქანება მიიღო ლენინის დღეებში. ჩვენში, საქართველოში, ლენინის დღეებში 14.000 დამკვრელი ჩაეწერა. ეს ერთეულები არ არის. ეს მოასწავებს, რომ დამკვრელობამ მართლაც მასიური ხასიათი მიიღო. უნდა დავეხმაროთ ამ საქმეს, ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ იგი. საჭიროა, რომ ცალკე სამეურნეო მუშაკებმა, პროფესიონალისტებმა და პარტიულმა მუშაკებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს.

დღეების გაცდენისა და მტაცებლობის წინააღმდეგ

ამხანაგებო, მუშათა კლასის მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესების ასეთ სასიამოვნო ფაქტებთან ერთად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს მტაცებლობას, თავკერძოობას (ცალკე რეციდივებს ზოგიერთი მუშების მხრივ. ამასთან შემჩნეულია, რომ ასეთი ფაქტები ხდება არა ძველი მუშების წრეში, არამედ ახალ ფენებში. და აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პროფკავშირების და პარტორგანიზაციების მუშაობა მუშათა ახალ ფენებს შორის საერთოდ ყველგან მეტად ცუდადაა დაყენებული. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ არავინ არ აწარმოებს მუშათა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფენის შესწავლას. ჩვენ გლეხობის უდიდესი ფენები ავამოძრავეთ. მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩვენში მუშათა კლასი ორჯერ გაიზარდა. ამასთან ეს ზრდა უმთავრესად სოფლის ხარჯზე ხდება. სოფელი გვაწვდის გლეხურ, ინდივიდუალისტური განწყობილებით შეპყრობილ ადამიანებს, რომელნიც მრეწველობაში იმისათვის მოდიან, რომ სარგებლობა ნახონ ამ საქმეში და რომლებიც, შესაძლებელია, სრულებითაც არ ფიქრობენ მყვიდრად დარჩენ საწარმოებში. მუშათა ამ ფენის შესწავლა განსაკუთრებით საჭიროა, ვინაიდან მათ შეუძლიათ თავიანთი გლეხური განწყობილებით დეზორგანიზაცია შეიტანონ ჩვენი პროლეტარიატის კადრებში. მართლაც, ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ცალკე ფაქტებს, როცა მუშათა სწორედ ეს ახალი ფენები აღმაშფოთებლად ეკიდებიან მუშაობას და შეუწყნარებელ მტაცებლურ დამოკიდებულებას იჩენენ საქართველოს მრეწველობისადმი.

მაგალითად, კეთილმოწყობის განყოფილებაში მუშა გოგოლაშვილმა, შეძლებულმა,—სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულმა გლეხმა, კრებაზე, ხელფასის მომატების პროექტის გამოქვეყნების შემდეგ, განაცხადა: „რა მომატებაა 4 მანეთი, უკანვე წაიღეთო“.

რომელი მუშა იტყვის ამას? ნამდვილი მუშა არასოდეს არ იტყვის, რომ 4 მანეთი არაფერია. ამას ამბობს ის, ვისაც მუშათა კლასთან ჯერ-ჯერობით ცოტა რამე აქვს საერთო.

მაუდის ახალმა ფაბრიკამ მუშაობის შემდეგ მოიწვია საერთო კრება, შემდეგ კი რამდენიმე მუშა მოითხოვდა, რომ მუშების ზედმეტი ხელფასი მიეცათ იმ დროისათვის, რაც კრებას მოუნდა. განა ასეთ რასმეს მუშა იტყვის? განა პროლეტარი ზედმეტ ხელფასს მოითხოვს კრებისათვის? ან, მაგალითად, ავტოსახელოსნოებში ხარატი ყურნაკოვი გამოვიდა და სთქვა: „ჩვენ არ შეგვიძლია შევასრულოთ საწარმოო გეგმა და ვერც შევასრულებთ, ვინაიდან მცირე ჯამაგირს ვღებულობთო“. ამავე დროს კი, როდესაც გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ ყურნაკოვი თვეში 270 მანეთს ღებულობს (ხმა ადგილიდან: სამარცხვინოა!). სავსებით სწორია, ეს სამარცხვინოა და ამაში ბრალი მიუძღვის არა მარტო იმას, არამედ ამაში ბრალი მიგვიძღვის ჩვენ ყველას იმიტომ, რომ ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევთ მუშათა ამ ფენას, საკმაოდ არ ვაწარმოებთ მათ შესწავლას და საკმაო მუშაობას არ ვეწევით მათ შორის, რათა გარდავქმნათ ისინი ჩვენს საერთო პროლეტარულ ქურაში. მიუხედავად მტაცებლობის ასეთი ფაქტებისა მუშათა ახალ ფენებში, უმთავრესად, გლეხებიდან გამოსულ ფენებში, ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს შრომის დისციპლინის სფეროში. ასე, მაგალითად, სამუშაოს არა საპატიო მიზეზებით გაცდენა საქართველოში (მარგანეცის მრეწველობის ჩაუთვლელად) 1928—29 წლის პირველ ნახევარში 32.986 კაც-დღეს შეადგენდა, ხოლო 1929—30 წლის პირველ ნახევარში შეადგენს 12.000 კაც-დღეს. ეს არის შემცირება თითქმის სამჯერ. საშუალოდ ერთ მუშაზე 1928—29 წლის პირველ ნახევარში მოდიოდა 2,65 გამცდარი დღე, ხოლო 1929—30 წლის პირველ ნახევარში—0,86. მაგრამ თუ ავიღებთ იმ საწარმოებს, სადაც მუშათა ახალი კადრებია, მაგალითად, მარგანეცის მრეწველობას, იქ სრულიად სხვა სურათს ვხედავთ. მარგანეცის მრეწველობაში, სადაც მიმდინარე წელს რამდენიმე ათასი ახალი მუშა მიიღეს, სამუშაოს გაცდენის შემთხვევების რიცხვი გადიდდა. ასე, მაგალითად, გასული სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ერთ მუშაზე საშუალოდ მოდიოდა 3,49 გამცდარი დღე, ხოლო 1929—30 წლის პირველ ნახევარში—4,71 გამცდარი დღე.

მაუდის ახალ ქარხანაში არის დღეები, როდესაც სამუშაოდ არ გამოდის 200 მუშა. ერთ მუშას სამჯერ გამოუგზავნეს დეპეშა დედის სიკვდილის შესახებ და სხ. თუ ცენზიან მრეწველობაში ერთ მუშაზე 1929-30 წელს მოდის 0,86 გაცდენილი კაც-დღე, სამაგიეროდ შავი ქვის მრეწველობაში მოდის 4,71 კაც-დღე, ე. ი. ხუთჯერ მეტი, ამასთან გაცდენის რიცხვი 1929—30 წელს, 1928—29 წელთან შედარებით, გადიდდა. ეს გვავალებს გავშალოთ განსაკუთრებული მუშაობა მუშათა ახალ ფენებს შორის, რათა სათანადოდ მოვამზადოთ ისინი.

თვითღირებულება და პროდუქციის ხარისხი

გადავდივარ ჩვენი მრეწველობის ცალკე ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ მრეწველობის თვითღირებულების შემცირების საკითხი, თვითღირებულების შემცირების საქმეში უსათუოდ გვაქვს ზოგიერთი მიღწევა, რომელიც გამოიხატება შემდეგში: საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს მთელს მრეწველობაში საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულების შემცირება — 1928-29 წელს, 1927-28 წელთან შედარებით უმარგანეცოდ უდრიდა 8,7 პროცენტს, ხოლო მარგანეციანად—6,9 პროცენტს, ნაცვლად იმ 7 პროცენტისა რომელსაც საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს დავალება ითვალისწინებდა და 8 პროცენტისა, რომელსაც საქ. სახკომსაბჭოს დავალება ითვალისწინებდა. ამ უკანასკნელი დავალების შესრულებას დააკლდა 1 პრ., 1929-30 წლისთვის თვითღირებულების დაკლებას დირექტივა მოითხოვდა 11 პროცენტით. 1929-30 წლის პირველმა კვარტალმა უმარგანეცოდ მოგვცა დაკლება 9,5 პროცენტით, მარგანეციანად—მხოლოდ 4,1 პროცენტი; ეს იმიტომ, რომ მარგანეცის მრეწველობამ, რომელსაც დიდი ხვედრითი წონა აქვს ს.მ.უ. საბჭოს მრეწველობაში, გათვალისწინებული 10 პრ. დაკლების ნაცვლად, მოგვცა თვითღირებულების მომატება 6,2 პროცენტით. აქ სუბიექტიური მიზეზების გარდა (ნაკლები ყურადღება ექცეოდა თვითღირებულების დაკლების საკითხებს) იყო ობიექტიური მიზეზებიც: მარგანეცის ექსპორტის შემცირება, ხოლო აქედან მუშების აუცილებელი გაცდენა, რასაც ავტომატიურად მოჰყვა პროდუქციის თვითღირებულების გადიდება. საქ. ს.მ.უ. საბჭოს მთელ მრეწველობაში თვითღირებულების საერთო შემცირება 1929-30 წელს აღწევს 8,7 პროცენტს. როგორც ხედავთ, თვითღირებულების გეგმის შესრულებას 11 პრ. დააკლდა. მართალია, საქ. ს.მ.უ. საბჭოს ცალკე საწარმოებმა ამ გეგმას გადააჭარბეს კიდეც; მაგალითად, ბარიტის წარმოებამ მოგვცა შემცირება 21,5 პროცენტით, დიამიტის წარმოებამ, რომელსაც საექსპორტო მნიშვნელობა აქვს—19,4 პროცენტით, თამბაქოს მრეწველობამ—16,5 პრ-ით, ფეხსაცმელის წარმოებამ—13,8 პრ-ით, კალინინის სახელობის ქარხანამ—13,8 პრ.-ით, მაგრამ საერთოდ და მთლიანად თვითღირებულების შემცირების გეგმა მაინც არ შესრულებულა და ეს იმიტომ, რომ ამ საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

ჩვენს შემდგომ მუშაობაში, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლასთან ერთად, უნდა ვიბრძოლოთ თვითღირებულების დაკლებისათვისაც. აქ უნდა პირდაპირ ითქვას, რომ სადირექტივო მითითებანი, საკონტროლო მითითებანი თვითღირებულების დაკლების საქმეში არ არის იმდენად დაჭიმული, რომ არ შეიძლებოდეს მათი შესრულება. საჭიროა მხოლოდ უკეთესი ორგანიზაცია, საჭიროა სისტემატიური მუშაობა წარმოებაში და მაშინ უეჭველად მივაღწევთ თვითღირებულების ხაზით საკონტროლო დავალებების არა მარტო შესრულებას, არამედ გადაჭარბებით შესრულებასაც.

ამხანაგებო! საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა შედარებით დიდი ბრძოლა დანაკარგებთან და მუშაობა წარმოების შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის. მუშაობის დამახასიათებელი ძირითადი მომენტები ამ დარგში შემდეგია: შრომის ნორმების დადგენა და მოსახმარი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ხარჯვის სწორი ნორმების დაწესება, რაციონალიზატორული მუშაობა, მუშათა გამომგონებლობა, წარმოების ტეხნიკური რეკონსტრუქცია და ტეხნოლოგიური პროცესები, ნაყარის, ნარჩენის და დაწუნებული საქონლის უტილიზაცია და სხვ. მთელი ამ მუშაობის შედეგი ის იყო, რომ—1928-29 წელს ზოგიერთმა ტრესტმა, მოიპოვა საგრძნობი თავისუფალი თანხები. მაგალითად, ლითონტრესტმა შინაგან რესურსების მობილიზაციისაგან ბრუნვისათვის მიიღო 1 მილიონი მანეთი; თამბაქოს ტრესტმაც მიიღო დაახლოვებით ერთი მილიონი მანეთი (936 ათასი); ტყავტრესტმა—600 ათასი მანეთი და სხვ. სულ საქ. ს.მ.უ. საბჭოს ცხრა ტრესტმა შინაგან რესურსების მობილიზაციის შედეგად მიიღო 2.800 ათასი მანეთი.

მაგრამ, ამ დადებით მუშაობასთან ერთად, ბევრ საწარმოში ადგილი აქვს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. მაგალითად, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუარესების მოწმენი ვართ „მკერავში“, ტყავის წარმოებაში, თამბაქოს ტრესტში. მართალია, თითქოს ძნელია ამაში ბრალი დავდოთ, მაგალითად, თამბაქოს ტრესტს, რადგან ადგილი აქვს თვით თამბაქოს ღირსების გაუარესებას. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ჩვენ, ნედლეულის ნაკლებობის გამო, იძულებულნი ვართ თამბაქოს შიუმატოთ 15 პროცენტი სვია, რის გამოც, აშკარაა, ფუჭდება პაპიროსის ღირსება. მაგრამ ადგილი აქვს არა მარტო პაპიროსის ღირსების გაუარესებას, არამედ პაპიროსის გამომუშავების გაუარესებასაც. ამხანაგები ს.მ.უ. საბჭოდან ამას ხსნიან, უმთავრესად, მოწყობილობის გაცვეთით. მე ვფიქრობ, მოწყობილობის გაცვეთაც თამაშობს ერთგვარ როლს. მაგალითად, „მკერავის“ ფაბრიკაზე და ტყავის წარმოებაში მოწყობილობა იმდენად გაცვდა, რომ ძნელი ხდება მაღალი ღირსების საქონლის გამოშვება. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ყველაფერი მოწყობილობის გაცვეთას გადავაბრალოთ. ეჭვს გარეშეა, რომ აქ ს.მ.უ. საბჭოს და ბევრი ტრესტის უყურადღებობასაც მიუძღვის ბრალი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ტრესტები და საწარმონი, სამრეწველო-საფინანსო გეგმის რიცხობრივი შესრულებით გატაცებულნი, მეტად სუსტ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის ხარისხს.

უნდა ითქვას, ამხანაგებო, რომ ჩვენი პროდუქციის ხარისხის საკითხის ირგვლივ ნაკლებად მოხდა მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია. საწარმოებში, თბილისშიაც კი, ჯერ კიდევ არ მომხდარა გარდატეხა ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობაში. ნამდვილად კი მხოლოდ მუშათა კლასს, მხოლოდ მთლიანად აღებულ კოლექტივებს შეუძლიათ მიაღწიონ იმას, რომ პროდუქციის ხარისხი სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის შედეგად არა თუ გაუარესდეს, გაუმჯობესდეს კიდეც. უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც სოცშეჯიბრება და დამკვრელობა შემოიღეს, პროდუქციის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამიტომ, შემდეგში უნდა გაძლიერდეს მუშაობა იმ მხრივ, რომ მოვახდინოთ მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია პროდუქციის თვისების გაუმჯობესების საკითხების ირგვლივ.

საანგარიშო პერიოდში, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზედ გადაყვანილია 11.348 კაცი, ე. ი. 61 პროც. განუწყვეტელ საწარმოო კვირაზედ უნდა გადაგვეყვანა კი 75 პროც.. უნდა ვიფიქროთ, რომ წლის მეორე ნახევარში სამეურნეო წლის ბოლომდე, ჩვენ შევსძლებთ გეგმის შესრულებას და მუშების 75 პროცენტი გადაყვანილი იქნება განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. 7 საათიან სამუშაო დღეზე ჯერ-ჯერობით გადაყვანილია მუშების მხოლოდ 34 პროცენტი მაშინ როდესაც გადაყვანილი უნდა ყოფილიყო მუშების 60 პროცენტი. აქ ჩვენ დიდი დანაკლისი გვაქვს გეგმის შესრულებაში, მით უმეტეს, რომ წლის ბოლომდე დარჩა სულ 4—5 თვე. ამისათვის საჭიროა, რომ სამეურნეო, პროფესიონალურმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ძალღონე იხმარონ, რათა შეასრულონ პარტიის დირექტივა 7 საათიან სამუშაო დღეზედ ამ წლის განმავლობაში მუშების 60 პროცენტის გადაყვანის შესახებ.

შინამრეწველობა

ვიდრე სამრეწველო მშენებლობის პერსპექტივებზე გადავიდოდე, ნებას მივცემ თავს ორიოდე სიტყვა ვთქვა სარეწაო კოოპერაციაზე. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა გამოვარკვიოთ, თუ როგორია შეფარდებაა საქართველოს ცენზიანი და წვრილ, შინახელოსნურ მრეწველობის ხვედრითი წონის შორის.

ცნობები ცენზიანი და წვრილი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის შესახებ გვეუბნებიან, რომ წარმოების წვრილი ფორმებიდან ჩვენ თანდათან გადავდივართ მრეწველობის მსხვილ ფორმებზე. 1927-28 წელს ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრიდა 64.430,6 ათას მან., მხოლოდ წვრილ მრეწველობის პროდუქცია კი—90,422,8 ათას მან., ე. ი. ცენზიანი მრეწველობის ხვედრითი წონა უდრიდა 41,6 პროც.-ს, ხოლო წვრილი მრეწველობისა—58,4 პრ-ს; სამაგიეროდ 1928-29 წელს ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საგრძნობლად გაუსწრო წვრილ და შინა-ხელოსნურ მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდის ტემპს, ამ მხრივ აბსოლიუტური ციფრები ასეთია: ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია უდრიდა 94,952,9 ათას მანეთს, მხოლოდ წვრილ მრეწველობის პროდუქცია კი 101,370,0 ათას მანეთს. ცენზიანი მრეწველობის ხვედრითი წონა, წვრილ მრეწველობის პროდუქციი პარალელური აბსოლიუტური ზრდის მიუხედავად, გადიდდა 41,6 პრ-დან 48,4 პრ-მდე, ამავე დროს სათანადოდ დაიწია წვრილი მრეწველობის ხვედრითი წონამ—58,4 პრ-დან 51,6 პროცენტამდე. მაგრამ, მიუხედავად ამ წარმატებისა (წარმოების მსხვილ ფორმებზე გადასვლა), წვრილი მრეწველობის შედარებითი როლი მაინც საგრძნობია: მისი საერთო პროდუქციის აბსოლუტური ციფრი ჯერ კიდევ სჭარბობს ცენზიანი მრეწველობის პროდუქციის საერთო ციფრს. ამ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის მოქმედებას.

სარეწაო კოოპერაციის მუშაობას განვლილ პერიოდში, უდავოდ, დიდი მიღწევები ახასიათებს. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში სარეწაო კოოპერაციის საერთო პროდუქციის ხვედრითი წონა შინამრეწველობის საერთო პროდუქციაში გაიზარდა 12 პროცენტიდან 24-მდე. თუ 28 წ. პირველ ოქტომბრისათვის სარეწაო კოოპერაციის ქვედა ორგანიზაციების რიცხვი უდრიდა 285-ს, რომელნიც 7609 კაცს აერთიანებდნენ, 29 წ. პირველ ოქტომბრისათვის ქვედა ორგანიზაციების რიცხვმა 418-ს მიაღწია, ე. ი. ზრდა 30 პროც.-ს უდრის, ხოლო კოოპერატიულად შეკავშირებულ შინამრეწველთა რიცხვი გადიდდა 20.808 კაცამდე და იძლევა ზრდას 173,5 პროც.-ს რაოდენობით.

მაგრამ, ამხანაგებო, ასეთ მიღწევებთან ერთად, ჩვენ გვაქვს დიდი ნაკლოვანებებიც. ნაკლოვანებანი უმთავრესად იმაში მდგომარეობენ, რომ, პირველი, სოფლის შინამრეწველნი ჯერ კიდევ სუსტად არიან კოოპერატიულად შეკავშირებულნი. მიუხედავად კოოპერაციაში გაერთიანებულ სოფლის შინამრეწველთა აბსოლუტური ზრდისა (1893 კაციდან 3.806 კაცამდე 30 წ. 1 აპრილისათვის), შეკავშირებულ სოფლის შინამრეწველთა ხვედრითი წონა კლებულობს 24,9 პროც.-დან 18,7 პროცენტამდე. სარეწაო კოოპერაცია დღემდე უმთავრესად ქალაქში მუშაობს, ამასთან სოფლის შინამრეწველებად ვერ ჩავთვლით ქუთაისის, სამტრედიის, ხონის, თელავის შინამრეწველთ. ესენი სოფლის შინამრეწველნი არ არიან: ესაა ქალაქის ტიპის შინამრეწველნი. სოფლის სიღრმეში კი ჩვენი სარეწაო კოოპერაცია კიდევ არ შეჭრილა. ჩვენი სარეწაო კოოპერაციის ამ ძირითად ნაკლს არა პირველად აღვნიშნავთ, და აუცილებელია ამ მუშაობაში გადამჭრელ გარდატეხას მიაღწიონ იმ ამხანაგებმა, რომელნიც სარეწაო კოოპერაციაში მუშაობენ, ამაში მდგომარეობს ჩვენი ძირითადი ამოცანა, ვინაიდან ქალაქად შინამრეწველთ ჩვენ ასე თუ ისე ვაკავშირებთ და მათზე გავლენას ვამტკიცებთ, ხოლო სოფლად მათ არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

მეორე ნაკლი ისაა, რომ სარეწაო კოოპერაცია არასაკმარისად იყენებს ღარიბთა კოოპერატიულად შეკავშირების ფონდებს. ღარიბთა კოოპერატიულად შეკავშირების 114 ათას მანეთიან ფონდიდან 28-29 წ. გამოყენებულ იქნა სულ 9,5 ათასი მან., ხოლო 100 ათას მანეთზე მეტი კი [illegible] ძევს.

ამხანაგებო, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენი აღმასკომების და ფინორგანოების დამოკიდებულება წვრილ და შინა-ხელოსნურ მრეწველობისადმი სრულიად შეუწყნარებელია. თბილისის აღმასკომი ძალიან ხშირად 24 საათის განმავლობაში ერეკება შინამრეწველთ თავიანთი ადგილებიდან სახელოსნოებიდან და სხვ. ეს დაუშვებელია. მე არა ერთხელ მიხდებოდა ამ საქმეში ჩარევა, როცა შინამრეწველთ — კოოპერაციის წევრებს 24 საათის განმავლობაში აძევებდნენ თავიანთ მაღაზიებიდან. თვითეულ ცალკე შემთხვევაში საჭირო ხდება ცეკას, თბ. კომიტეტს, სახკომსაბჭოს ჩარევა, რომ ბოლო მოეღოს შინამრეწველების მიმართ ასეთ შეცდარ, დაუშვებელ საქმედებას. საჭიროა ამ მხრივ მივაღწიოთ გარდატეხას. და აქ პირველ რიგში უნდა ამუშავდეს თვით სარეწაო კოოპერაცია. სამწუხაროდ, სარეწაო კოოპერაცია ამ საკითხებს თვითონ არ აყენებს, ამ საკითხებს საჭირბოროტოდ არ ხდის, რის გამოც ვხედავთ, რომ შინამრეწველთა მიმართ ცალკე საბჭოთა ორგანოების წარმომადგენელთა (ფინაგენტები და სხვ.) საქმიანობის პრაქტიკაში ადგილი აქვს აღებული ხაზის ამა თუ იმ დამახინჯებას და დაუშვებელ გადახრებს.

5 წლიან გეგმას ვადაზე ადრე შევასრულებთ

ამხანაგებო, გადავდივარ ჩვენი სამრეწველო მშენებლობის პერსპექტივების საკითხზე. სამრეწველო განვითარების ჩვენი 5 წლიანი გეგმა შედგენილი იყო საქართველოს კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობამდე. თქვენ იცით, რომ ამ 5 წლიანმა გეგმამ განიცადა მკაცრი კრიტიკა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ნაწილში, და ამის შემდეგ 5 წლიან გეგმაში ჩვენ შევიტანეთ მთელი რიგი შესწორებები, რომელთაც გვიჩვენეს, რომ 5 წლიანი გეგმის პირვანდელ ვარიანტში მართლაც ვერ გამოდგა შეფასებულ ყველა ის შესაძლებლობანი, რაც ჩვენ მოგვეპოვება განსაკუთრებით სამრეწველო მშენებლობის დარგში. ასე, მაგ., საერთო პროდუქციის ზრდა 30-31 წლისათვის 5 წლედის პირვანდელი გეგმით დასახული იყო 48 პროცენტის რაოდენობით, მაგრამ ამ გეგმის გადამუშავების შემდეგ შესაძლებელი აღმოჩნდა, რომ სამრეწველო მშენებლობის ზრდა დაგვესახა 70 პროცენტის რაოდენობით. ამასთან ზრდა „ა“ ჯგუფის ხაზით (მძიმე მრეწველობა) გათვალისწინებულია 60,3 პროც., პირვანდელი ვარაუდის 38,2 პროცენტის მაგივრად, ხოლო მსუბუქ მრეწველობისადმი (ჯგუფი „ბ“) 82 პროცენტით, პირვანდელ ვარაუდის 68,7 პროცენტის ნაცვლად. ამასთან შეფარდებით მატულობს ფულად გამოხატული საერთო პროდუქციაც. 180 მილიონ მანეთის მაგივრად, რაც ხუთწლედის პირველ ვარიანტით 30-31 წლისათვის იყო ნავარაუდევი, საკონტროლო ციფრების ლიმიტები 5 წლედის ამ მესამე წლისათვის მიღებულია 224 მილიონ მანეთის რაოდენობით. კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგებლობაში მყოფ მრეწველობის ძირითად ფონდში შეადგენენ 102 მილიონ მანეთს. ამასთან, აქ არ შედის ელექტრო-მშენებლობის ხარჯები 84,9 მილიონი მანეთი, ტყვარჩელის ნახშირის სამუშაოთა ხარჯები 34,4 მილ. მანეთი, შაქრის მრეწველობის განსავითარებლად გათვალისწინებული თანხა 7,6 მილ. მან., ქიმიური მრეწველობის ხარჯები 2.2 მილიონი მანეთი და სხვ. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო ჯამი გეგმით უდრის 354 მილიონ მანეთს.

5 წლიანი გეგმით გათვალისწინებულია 60-მდე ახალ საწარმოს აშენება. ამასთან მსხვილი მრეწველობის ძირითად საწარმოებად, მძიმე ინდუსტრიის კერებად უნდა იქნენ შირაქის ნავთის სარეწაოები, ტყვარჩელის და ტყიბულის კომბინატი და სხვ.. შირაქის ნავთის დასამუშავებლად განზრახულია დახარჯულ იქნას 83,8 მილიონი მანეთი, ქიმიურ მრეწველობაზე 63 მილიონი, განზრახულია ფერო-მარგანეცის ქარხნის აგება 150 ათას ტონის სიმძლავრით.

ასეთია 5 წლიანი გეგმის ძირითადი ვარაუდები. ამასთან შეფარდებით იზრდება მუშათა კლასიც. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საწარმოებში ჩაბმულ მუშა-ხელის რაოდენობა გაიზრდება 232 პროცენტით, ამასთან ჩვენ ამოცანად ვისახავთ, რომ ამ რაოდენობიდან მოვამზადოთ 60 პროცენტი კვალიფიციური მუშა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ დარგში მუშაობა ძალიან ცუდადაა დაყენებული. დღემდე კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება, მიუხედავად უმაღლესი პარტიუ-

ლი ორგანოების მთელ რიგ განწყობილებებისა, არ დგას სათანადო სიმაღლეზე და მას საკმაო ყურადღება არ ექცევა.

ამხანაგებო, ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ საქართველოს მრეწველობის ზრდის ტემპი საგრძნობლად აღემატება კავშირის, კერძოდ უკრაინისა და რუსეთის ს. ფ. ს. რ. მრეწველობის ზრდის ტემპს. ეს სავსებით ეთანხმება პარტიის იმ პოლიტიკას, რომელიც ტარდება ჩამორჩენილ ნაციონალურ რაიონების მიმართ. უნდა ითქვას, რომ ჩამორჩენილ ნაციონალური რაიონების დაწინაურების პოლიტიკას ვატარებთ ჩვენ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკების მიმართაც. მაგ., თუ ავიღებთ კაპიტალურ დაბანდებებს მხოლოდ სატყეო მრეწველობაში, ამ დაბანდებათა ზრდის დინამიკა შემდეგი ციფრებით გამოიხატება: აფხაზეთში 27-28 წელს დაბანდებათა საერთო ჯამი სატყეო მრეწველობაში უდრიდა 894 ათას მანეთს, 5 წლედის ბოლოს, ე. ი. 32-33 წლისათვის გათვალისწინებულია დაბანდებანი 26333 ათასი მანეთის რაოდენობით; აჭარისტანში: 27-28 წელს 890.000 მანეთი, 32-33 წელს 4552 ათასი მანეთი; სამხრეთ-ოსეთში — 27-28 წელს 90.000 მან., ხოლო 32-33 წელს — 1448 ათასი მან. საქართველოში კი, ჩამოთვლილი რესპუბლიკების გამოკლებით, კაპიტალური ხარჯები ამავე წლებში იზრდება 3740 ათას მანეთიდან 1944 ათას მანეთამდე. მაშასადამე, იმ დროს, როცა საქართველოში მთლიანად, 5 წლედის ბოლოსათვის კაპიტალური დაბანდებანი სატყეო მრეწველობაში საშუალოდ დიდდება 847 პროცენტით, საკუთრივ საქართველოში ავტონომიების გარეშე — ეს გადიდება უდრის 410,4 პროცენტს, მაშასადამე ამ მხრით ჩვენ გვაქვს დაბანდებათა ზრდა: აფხაზეთში 5722 პროცენ. და სამხრეთ - ოსეთში—1507 პროცენტით.

ცეკას დავალებით კიდევ სწარმოებს ავტონომიურ რესპუბლიკების 5 წლიანი გეგმების გადასინჯვა, კაპიტალურ ხარჯების და სამრეწველო მშენებლობის გადიდების მიზნით ამ რაიონებისათვის.

სააღმშენებლო მასალის წარმოება—ვიწრო ადგილი

ამხანაგებო, როგორც ჩემს მიერ მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, ჩვენ გავშალეთ ფართო მშენებლობა, როგორც წარსულში, ისე განსაკუთრებით სამუშაოთა შემდგომი განვითარების პერსპექტივების მხრით. მაგრამ საჭიროა აქვე ითქვას, რომ მთელი შემდგომი მშენებლობა ჩაშლის საფრთხის წინაშე სდგას სააღმშენებლო მასალების ნაკლებობის გამო. ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე წელს მდგომარეობა პირდაპირ საშიშია. ნება მომეცით მოვიყვანო რამოდენიმე ციფრები იმის შესახებ, თუ რა გვესაჭიროება ჩვენ, რა არის დამტკიცებული და რას გვაძლევენ. სახურავი რკინის საჭიროება ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნილების თანახმად უდრის 3308 ტონას, გეგმით დაამტკიცეს 779 ტ., ხოლო ჯერჯერობით მოგვცეს დამტკიცებული გეგმის მხოლოდ 40 პროც. ხარისხოვანი რკინის მოთხოვნა წარდგენილია 6520 ტონაზე. გეგმით დამტკიცებულია 2220 ტონა. მხოლოდ მოგვცეს გეგმის 30-35 პროც. და სხვ.. განსაკუთრებული მძიმე მდგომარეობაა დახერხილ ხეტყის და ხე-ტყის მასალების მოწოდების მხრივ. მოთხოვნილება უდრის 147 ათას კუბიკურ მეტრს, დამტკიცებულია 81.000, ხოლო მიღებულია დამტკიცებულ გეგმის სულ 11 პროცენტი.

რა არის მიზეზი ასეთი დიდი განსხვავებისა სააღმშენებლო მასალების მოთხოვნილებასა და მათ მოწოდებას შორის? მიზეზი უმთავრესად სააღმშენებლო მასალების საერთო ნაკლებობაა მთელ კავშირში. ესაა ყველაზე უფრო მტკივანი ადგილი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავშირშიც. მაგრამ, მიუხედავად სააღმშენებლო მასალების ასეთი განსაკუთრებული სიმცირისა, მაინც მეურნეობის ძირითად დარგებისათვის სააღმშენებლო მასალებს ზოულობენ. ჩვენში კი მეტად მსხვილი სააღმშენებლო სამუშაოები არ არიან უზრუნველყოფილი, რადგან ჩვენ ძალიან დაგვიანებით მოვკიდეთ საქმეს ხელი. მარტო ის, რომ საქართველოს სააღმშენებლო მასალათა მომარაგების სამმართველო მოწყობილია მხოლოდ რამოდენიმე თვის წინად, ფაქტიურად ყველა სააღმშენებლო მასალების განაწილების გეგმების დამტკიცების შემდეგ, — მარტო ეს ლაპარაკობს იმ მიზეზებზე, თუ რატომ ვერ შევძელით ჩვენ თავის დროზე, ჩვენ მიერ წარდგენილი მოთხოვნილების თანახმად, სააღმშენებლო მასალების საჭირო რაოდენობის მიღება; აღსანიშნავია, რომ ჩვენ ფაქტიურად ავამძრავებდით მაშინ, როდესაც ყველა სააღმშენებლო მასალები განაწილებული იყო.

გარდა ამისა, თუ ავიღებთ ხე-ტყის მასალას, ჩვენ, ამხანაგებო, არ შეგვიძლია აქ ჩივილი მის საერთო სიმცირეზე. ხე-ტყის მასალის მიმწოდებლად ჩვენში იყო საქართველოს სატყეო ტრესტი, რომელიც წლიდან წლამდე სისტემატიურად არ ასრულებდა საკონტროლო ციფრებს და მრეწველობის დავალებებს. სამწუხაროდ, ამ გზით მიდის ამიერ-კავკასიის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის ტრესტიც, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად მოწყობილ იქნა საქართველოს სატყეო ტრესტის და ამიერ-კავკასიის სხვა სატყეო სამრეწველო ორგანიზაციებიდან.

საქართველოს სატყეო ტრესტმა საქართველოს სააღმშენებლო მასალების მომარაგების სამმართველოს ორგანიზაციამდე გაუნაწილა არავინ იცის ვის 18.000 კუბიური მეტრი სააღმშენებლო მასალა. მიუხედავად მომარაგების სამმართველოს ყოველგვარი ცდისა, მან ვერ შესძლო დღემდე ამიერ-კავკასიის სატყეო ქაღალდის მრეწველობის ტრესტისაგან ცნობების მიღება, თუ ვის მიეცა ეს მასალა, რათა დახერხილ ხეტყის შემდგომი განაწილების დროს გათვალისწინებულ იქნეს, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციის მოთხოვნილების უკვე ნაწილობრივი დაკმაყოფილება.

აი ასეთია მდგომარეობა სააღმშენებლო მასალებით მრეწველობის მომარაგების დარგში. აქ საჭიროა ტრესტების და სხვა ორგანიზაციების მაქსიმალური დაჭიმვა, რომ ასეთ მდგომარეობიდან გამოვიდეთ.

მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაცია

ამხანაგებო, მრეწველობის მდგომარეობის საკითხთან მჭიდროთაა დაკავშირებული მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის საკითხი და პროფკავშირების მუშაობა. წინააღმდეგ განმტკიცებული ტრადიციისა, პროფკავშირების შესახებ მე უნდა ვთქვა, რომ საანგარიშო პერიოდში პროფკავშირებმა უეჭველად საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა. შეიძლება ამას ნაწილობრივ ხელი შეუწყო იმ თვითკრიტიკამ და კრიტიკამ, რომელიც მუდამ სწარმოებდა მის მიმართ პარტიის ყრილობებზე, ცეკას პლენუმზე და სხვ.

უკანასკნელ დროს, პროფკავშირების მუშაობის ფორმების და მეთოდების არსებითი გარდაქმნის შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან შეფარდებით, დაჩქარებულ იქნა პროფკავშირების აპარატის მთელი სტრუქტურის რეორგანიზაცია. ეს რეორგანიზაცია იძლევა 200.000 მანეთამდე ეკონომიას. გაუქმებულია საოლქო და სამაზრო განყოფილებები, 200 მუშა-დამკვრელი ნებაყოფლობის წესით მიზიდულია პროფკავშირებში უფასო სამუშაოთ. აგრეთვე მიზიდულია კვალიფიციური სპეციალისტებიც. ეს ეკონომია მთლიანად უნდა მოხმარდეს მუშათა კლასის კულტურულ საჭიროებებს.

ჩვენ ვცნობთ, რომ პროფკავშირებში უკვე დაისახა გარდატეხა. საჭიროა მუშაობის ხარისხის საგრძნობი გაუმჯობესება და იმ აქტივის გამოყენება, რომელიც შექმნილია პროფკავშირების გარშემო, ჯერ-ჯერობით 200 კაცის რაოდენობით.

რაც შეეხება მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის საკითხებს, აქ ბევრი რამ არ არის რიგზე. ჯერ კიდევ 1930 წლის იანვარში იყო გამოტანილი გადაწყვეტილება ერთმმართველობის შემოღების და სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ. რა კეთდება ჩვენში ამ მხრივ? ფორმალურად თითქო ყოველ შემთხვევაში ძირითადი საწარმოები გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. მაგრამ არსებითად სამეურნეო ანგარიშის პრინციპი ჩვენში ჯერ კიდევ არ ტარდება, ან თუ ტარდება, მხოლოდ ცალკე საწარმოებში. არსებითად საწარმოთა უმრავლესობაში სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. მე შემიძლია მრავალი მაგალითის მოყვანა იმის შესახებ, რომ დღემდე არამც თუ არ ტარდებოდა წარმოებათა გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე, არამედ ადგილი ჰქონდა წვრილმანი „აპეკი“-ს საწარმოებზე ტრესტებისა და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მხრით. ასე, მაგ.: არსენალში საჭირო იყო 15 მანეთის კაუსტიური სოდის ყიდვა, მაგრამ იმის გამო, რომ მომარაგება ცენტრალიზაციაქმნილია, ხოლო ტრესტმა თავის დროზე სოდა ვერ შეისყიდა, ერთი ცეხი მთელი დღე არ მუშაობდა. მეორე მაგალითი: აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის დირექტორებს უფლება არა აქვთ ერთი კაპიკიც დახარჯონ საქართველოს აბრეშუმის ტრესტის დირექტორის მანჯგალაძის ნებადაურთველად. (ადგილიდან: ეს ყველგან ასეა.) ამხ. მანჯგალაძე იმით განირჩევა სხვებისაგან, რომ, მისი აზრით, თუ ის ჩაერევა ყოველგვარ წვრილმან საქმეებში, თუ ის ყოველ წვრილმან საკითხს თვითონ გადასჭრის, ეს აუცილებლად უკეთესი იქნება. მას დირექტორები იმ პირთა მდგომარეობაში ჰყავს, რომელნიც ფაბრიკებში ხადარაჯებათ არიან დაყენებული.

მეორეს მხრით, თვით მმართველობის გატარება ცალკე სამეურნეო მუშაკებმა გაიგეს, როგორც პროფესიულ და პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის სრული ლიკვიდაცია საწარმოებში. ბევრ სამეურნეო მუშაკს ჰგონია, რომ ერთმმართველობის შემოღების შემდგომ მუშები საერთოდ ხელს არ უნდა კიდებდნენ მრეწველობის საკითხს, თუ არა ამით, რით აიხსნება შემდეგი ფაქტები? რიონჰესზე მუშებმა წარადგინეს უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელთაც შეეძლო წარმოების გაუმჯობესება და ეკონომიის მოცემა. მუშების ეს წინადადება 6-7 თვის განმავლობაში უმოძრაოდ რჩება. როდესაც რიონჰესის მუშებმა შეიტანეს საყურადღებო წინადადება გვირაბის გაყვანის დაჩქარების შესახებ, მათ უპასუხეს: „ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა გვირაბის გაყვანის დაჩქარებას“-ო. ზუგდიდის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მუშების წინადადება შემოვიდა 1929 წლის პირველ იანვარს, ხოლო განხილულ იქნა 1930 წლის 25 იანვარს, ე. ი. ერთი წლის შემდეგ, როცა წინადადებამ, ალბად, დაჰკარგა ყოველგვარი აზრი და ეკონომიური მიზანშეწონილობა. ბორჯომის ტკეჩის ქარხანაში მუშების მნიშვნელოვანი წინადადება შემოვიდა 29 წლის 8 თებერვალს, ხოლო განხილულ იქნა მხოლოდ 29 წლის 8 ოქტომბერს. იმავე საწარმოში მუშის წინადადება, შემოსული ფაბკომში 2 აპრილს, გადაეცა ადმინისტრაციას 11 მაისს,—ხოლო ადმინისტრაციამ კი მხოლოდ 4 ივნისს ინება პასუხის გაცემა, ამასთან დაიწერა მოკლე რეზოლიუცია; „უარი ეთქვას“ და სხ.

ნაწილობრივ ასეთივე დამოკიდებულებას ვამჩნევთ მუშათა გამომგონებლობის მიმართ. ჩვენში არსებობს სპეციალური ორგანიზაცია „გამომგონებლობის ხელშემწყობი ცენტრალური ბიურო“, რომელიც ემსახურება მუშათა გამომგონებლობას, ხელს უწყობს და ეხმარება მუშას გამოგონებათა რეალიზაციის საქმეში. სწორედ ამ ორგანიზაციაში, რომელიც უნდა ეხმარებოდეს მუშათა გამომგონებლობას,—მუშების წინადადებებს, 6-8-12 და მეტი თვეების განმავლობაში ყურადღებას არ აქცევენ. სავსებით გასაგებია, რომ მუშებს ძალიან ხშირად თავი ებეზრებათ სიარულით—ტრესტიდან ხსენებულ ორგანიზაციაში, უკანასკნელიდან უჯრედში, უჯრედიდან ფაბკომში. ბოლოს, თავმობეზრებული ისინი სტოვებენ ამ საქმეს და თავს ანებებენ ყოველგვარ გამოგონებებს. ძალიან ხშირად ცალკე სამეურნეო მუშაკები დაცინვით ეკიდებიან მუშების გამოგონებებს. აქ ზის ერთი პატივცემული ამხანაგი, რომელიც ამბობს: „ეს რა გამოგონებაა, ეს წარმოების უბრალო გაუმჯობესებაა“. ამხანაგებო, რომელი გამომგონებელთაგანი აცხადებს პრეტენზიას ინჟენერ-გამომგონებლის წოდებაზე ამ საქმეში? მუშებს შეუძლიათ წინადადებების წამოყენება, ხოლო ამ წინადადებებს შეუძლიათ წარმოების გაუმჯობესება. ზოგიერთი მათგანი შეიძლება გამოიგონებს კიდეც. იმის მაგივრად, რომ მიზანშეწონილად იქნან გამოყენებული ეს წინადადებანი, რომ დაეხმარონ გამომგონებლებს,—ჩვენ ვხედავთ მათ აბუჩად აგდებას. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები ამბობენ, რომ : „ეს არ შეიძლება ჩაითვალოს გამოგონებად, რამდენადაც საქმეთა ვითარება მანქანაზე არ იცვლება, მაგრამ ეს არის მნიშვნელოვანი და კარგი წინადადება“. ასე იყო ნათქვამი თამბაქოს მეორე ფაბრიკაში. მაგრამ ჩვენ ხომ ეს გვესაჭიროება, ჩვენ ხომ გვესაჭიროება სწორედ მნიშვნელოვანი და კარგი წინადადებები?

ამით იმის თქმა მინდა, რომ ერთმმართველობის შემოღებისა და მრეწველობის საერთო რეორგანიზაციის საქმეში არ არის ყველაფერი რიგზე ჩვენში. ჯერ კიდევ დღემდე, ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები საწარმოთა დარაჯებს წარმოადგენენ და მათ არა აქვთ უფლება თავისი შეხედულებით 5 მანეთი დახარჯონ. მეორე მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნე, ზოგიერთმა სამეურნეო მუშაკებმა მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაცია და ერთმმართველობა გაიგეს, როგორც პროფკავშირების და პარტიული ორგანიზაციების სრული ლიკვიდაცია და ისინი, უფრო მეტად, ვიდრე დღემდე, შესაძლებლად თვლიან ანგარიში აღარ გაუწიონ მუშების კარგ და მნიშვნელოვან წინადადებებს.

მუშათა რეალური ხელფასი

კოოპერაცია არ ასრულებს პარტიის დირექტივას

გადავდივარ რეალური ხელფასის და მუშათა კლასის მომარაგების საკითხზე. ამხანაგებო, საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ბოლო დროს მუშათა მომარაგება რამოდენიმედ გაუარესდა. არც ისაა საიდუმლოება, რომ ჩვენი მუშა ამ გაუარესებას თავის თავზე განიცდის, საიდუმლოება არ არის, რომ პარტიის დირექტივა მუშათა რეალური ხელფასის აწევის შესახებ არ არის შესრულებული. რაში მდგომარეობს ამ მნიშვნელოვან დირექტივის შეუსრულებლობის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ წელს კოოპერაციამ არ შეასრულა პარტიის და ხელისუფლების დავალება ფასების დაკლების შესახებ; მან შეამცირა ფასები მხოლოდ 0,5 პროცენტით თბილისში, მაშინ, როდესაც უკანასკნელ თვეებში კერძო ბაზარზე ფასებმა საგრძნობლად აიწია.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა, ყველაფერი მარტო კოოპერაციის მუშაობით აგვეხსნა. აშკარაა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მომარაგების საქმის გაუარესებასთან უმთავრესად იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირიდან ჩვენში სასურსათო საქონლის შემოზიდვა საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ, ამხანაგებო, როგორ მუშაობს ჩვენი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია? ავიღოთ საკითხი, თუ როგორ აღწევენ მუშა-მომხმარებლამდე ცალკე სასურსათო სამეურნეო ნაწარმოებნი. თუ ავიღებთ კარტოფილს, კვერცხს, კარაქს, ყველს ან სხვა სასოფლო - სამეურნეო საქონელს, შემდეგ სურათს ვხედავთ. ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა საქონელს უშუალოდ ყიდულობს გლეხობისაგან, შემდეგ გადასცემს რაიონულ კავშირს, რაიონული კავშირი სპეციალური კოოპერატიულ ცენტრს, სპეციალური კოოპერატიული ცენტრი—სოფლის კავშირს, სოფლის კავშირი ამიერ-კავკასიის სოფლის კავშირს, ამიერ-კავკასიის სოფლის კავშირი ამიერ-კავკასიის ბალ-ბოსტან კავშირს, უკანასკნელი ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს, ეს კიდევ —მუშკოოპს და მუშკოოპი კი მომხმარებელს. ამრიგად სასურსათო ნაწარმი გადის 10-11 ინსტანციას, სანამ მომხმარებლამდე მიაღწევდეს. ამასთან, ყველგან ადგილი აქვს ფასის დამატებას, საქონლის დანაკლისს და ვღებულობით ისეთ სურათს, როცა, მაგ.: გლეხებისაგან გირ. კარტოფილს ყიდულობენ კაპიკნახევრად, ხოლო მუშა-მომხმარებელზე ჰყიდიან 4½ კაპიკად, ე. ი. ფასი იზრდება 300 პროცენტით. როცა ჩვენ ვლაპარაკებით ცალკე კოოპერატორებს, ყველა ისინი საქმეს ისე ხატავენ, რომ სხვანაირად არ შეიძლება, რომ მთელი სისტემა იმგვარადაა აგებული, რომ აუცილებლად უნდა იყოს 11-12 ინსტანციაო.

ამ საკითხს სპეციალურად იხილავდა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სამდივნო და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციას დაევალა შემცირებინა საქონლის გამტარებელ საფეხურების რაოდენობა. ამიერ-კავკასიის მუშგლეხინის სახკომმა ამხ. იაკოვლევმა გადმომცა, რომ სპეციალურ თათბირზე, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციების თანხმობით, მან მოახერხა საქმის დაყვანა ორ ინსტანციამდე, ე. ი. რაიკავშირსა და მუშკოოპზე, ხოლო საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყველა დანარჩენ კოოპერატიულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებისათვის ანარიცხი უნდა შეადგენდეს მხოლოდ 5 პროცენტს. საგულისხმოა, რომ ყველა იმ ორგანიზაციებმა, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ფასების საკითხით, მიიღეს ეს გადაწყვეტილება. (ხმა ადგილიდან: ეს ეჭვს იწვევს). სწორედ დამაეჭვებელია, ვინაიდან ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებას არ ჩქარობენ. სურათი ისეთია, რომ ლეგალური ფასდადება საქონელზე 55,9 პროცენტს შეადგენს; მხოლოდ ზოგჯერ ჩვენ გვაქვს ისეთი აღმაშფოთებელი ფაქტები, როცა მეობოსტნეობის კოოპერაცია 35 კაპიკად მიღებულ საქონელს მუშკოოპს 75 კაპიკად აძლევს. არის სხვა ფაქტებიც, როცა მუშკოოპი პროდუქტს ღებულობს 35 კაპიკად, ხოლო ყიდის 70 კაპიკად.

ამხანაგებო, რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? ის დასკვნა, რომ ამიერ-კავკასიის მუშგლეხინის დადგენილება უნდა გავატაროთ ცხოვრებაში, უნდა ვაიძულოთ ჩვენი კოოპერატორები და სახელმწიფო-სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რათა მათ გაატარონ ცხოვრებაში ამიერ-კავკასიის მუშგლეხინის გადაწყვეტილება და დამამზადებლად დავტოვოთ მხოლოდ სპეციალური რაიკოოპკავშირი, რომელიც დამზადებულ პროდუქტებს უშუალოდ გადასცემს სამომხმარებლო კოოპერაციას.

მოვაწესრიგოთ სას.-სამ. პროდუქტების დამზადება

დამზადების საკითხთან ერთად უნდა ვიზრუნოთ სას.-სამ. ბაზრის მოწესრიგებაზედაც. რა ხდება ჩვენში? საქონელს ამზადებენ ჩვენში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალური ცენტრები, ხოლო ამ საქონლის უშუალო განმანაწილებელს, ე. ი. სამომხმარებლო კოოპერაციას დამზადების საშუალებას არ აძლევენ. მე ვთვლი, რომ ჩვენს პირობებში ამ წესის გამოსწორება შეიძლება. სამომხმარებლო კოოპერაციას გაცილებით უკეთესი გავრცელებული ქსელი აქვს, ის უფრო გამოცდილია ამ მუშაობაში, და სამომხმარებლო კოოპერაციისათვის პირველ მოთხოვნილების საგნების დამზადების უფლების არმიცემა შეცდომა იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ნება დაერთოს სამომხმარებლო კოოპერაციას დასდოს ხელშეკრულებები სას.-სამ. კოოპერაციის ქვედა ორგანიზაციებთან, მიიღოს სასურსათო საქონელი მათგან უშუალოდ და გადასცეს ის ქალაქს. მაშინ ჩვენ არ გვექნება 12 ინსტანციაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გავლის პრაქტიკა. როცა ჩვენ გვინდა დამნაშავის გამონახვა, რათა მას მოვსცხოთ ამა თუ იმ უმსგავსოებისათვის, დამნაშავეთა მოძებნა შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ყველა ამ დაწესებულებებში დაიბნევი და იქ შემოღებულია ისეთი წესი, რომ ბოლოს და ბოლოს არავინ აგებს პასუხს იმ საქმისათვის, რომელიც მას აქვს დაკისრებული.

ამხანაგებო, მე შემიძლია მოვიყვანო ცნობები პროდუქტების კალკულიაციისა და ზედნადებ ფასების შესახებ, რომელნიც მოწმობენ იმას, რომ, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამომხმარებლო კოოპერაციის დამოკიდებულება ამ საქმისადმი, განსაკუთრებით უმსგავსოა. ასე, მაგ.: თუშური ყველის თვითღირებულება ადგილობრივ ამხანაგობაში უდრის 95 მანეთს, მერძეობა-მესაქონლეობის კავშირის მუშკოოპისათვის გასაცემი ფასი უდრის 132 მანეთს, ხოლო მუშკოოპის საცალო ფასი 145 მანეთს, ე. ი. დამზადებითი ფასიდან საცალო ფასამდე გაძვირება უდრის 52 პროცენტს. სულუგუნი ძვირდება 58 პროცენტით, კარაქი 36 პროცენტით, ნაღები 54 პროც. და სხვ. კიდევ უფრო ძვირად იყიდება შვეიცარული ყველი. ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შვეიცარიული ყველი ძალიან ძვირი ყველია, მართლაც, ძალიან ძვირად ღირს. მაგრამ რატომ ?იმიტომ, რომ ერთი ცენტნერი ყველის თვითღირებულება ქარხანაში უდრის 195 მანეთს, ხოლო მუშკოოპის საცალო ფასი—400 მანეთს. საინტერესოა, თუ როგორ ხდება ეს? შვეიცარიული ყველის თვითღირებულება ქარხანაში უდრის 195 მანეთს. მერძეობა-მესაქონლეობის კოოპ. კავშირის გასაყიდი ფასი უდრის 263 მანეთს (ან დანართი—35 პროცენტს); ამასთან მერძეობა-მესაქონლეობის კავშირი ამიერ-კავკ. სოფლის კავშირს ყველს აძლევს ამ ფასად, უკანასკნელი მუშკოოპზე ჰყიდის ყველს ან უშუალოდ, ან ა.-კ. სამკოოპკავშირის მეშვეობით და ზედ ადებს 57 მანეთს, (ან 22 პროცენტს), შემდეგ, თუ საქონელი გადის ამიერ-კავკ. სას.-სამ. კოოპკავშირის მეშვეობით, ზედნართი უდრის 62 მანეთს. ან 23,6 პროცენტს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მუშკოოპიც არ ჩამორჩება ფასდადების სიდიდეში, რაც უდრის 23-25 პროცენტს, მაშინ გასაკვირი არ იქნება, თუ შვეიცარიული ყველი რატომ იყიდება 400 მანეთად.

ასეთია, ამხანაგებო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობის სურათი, აი რატომ ვთვლი მე, რომ ჩვენს სამომხმარებლო კოოპერაციას უნდა მივცეთ საქონლის დამზადების საშუალება, და მაშინ ისეთ უმსგავსობებს არ ექნება ადგილი, როცა 195 მანეთად შეძენილ ყველს მუშებზე ჰყიდიან 400 მანეთად.

მუშათა სასადილოები ცუდათ მუშაობენ

ამხანაგებო, მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს, მუშებისათვის მოწყობილ დახურულ სასადილოების მუშაობის საკითხს. მუშები ეჩივიან, რომ მათზე გაცემული სადილი ცუდი ხარისხისაა, და სავსებით სამართლიანად სჩივიან. ხომ უნდა იცოდნენ კოოპერატორებმა, რომ უკეთესია სრულიად არ გასცენ სადილი, ვინემ აძლიონ ცუდი და აყროლებული სადილი. ჩვენი კოოპერაცია ყიდის დამპალ კონსერვებს, ზოგიერთ სასადილოებში სიმყრალის სუნი სდგას, არაფრის ჭამა არ შეიძლება და ეს აღშფოთებას იწვევს. რა თქმა უნდა, უფრო სწორი იქნებოდა სულაც არ იძლეოდენ სადილს, ვიდრე ასეთ სადილს იძლევიან.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამის აცილება? ცხადია, შეგვიძლია. დახურულ სასადილოებში სადილს უმთავრესად ხორცის კონსერვებიდან ამზადებენ. აშკარაა, რომ 100 კოლოფიდან ერთი ან ორი შეიძლება გაფუჭებული აღმოჩნდეს, მაგრამ უბედურება იმაში არ არის. უბედურება ისაა, რომ ვინც სადილს ამზადებს, სრულებით არ ადევნებს თვალყურს, თუ რას ყრის ქვაბში. ის მექანიკურად ხსნის კოლოფს და ყრის ქვაბში, რაც არ უნდა იყოს. რომ წინასწარ თვალყურს ადევნებდნენ კონსერვების ხარისხს, რომ ხდებოდეს მათი შემოწმება,—ეს კი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოსადილეთ მოვწამლავთ. რომ ეს პირები, რომლებიც სამზარეულოში იმყოფებიან, დაინტერესებული იყვნენ იმის შემოწმებით, თუ რას ყრიან ქვაბში, მაშინ, რათქმა უნდა, ასეთ მოვლენებს ადგილი არ ექნებოდა. განა ისე ძნელია თვითეული კონსერვის შემოწმება და ქვაბში ისეთის ჩაგდება, რომელიც არ არის გაფუჭებული (ადგილიდან: მათ არ აქვთ უფლება). როგორ არა აქვთ უფლება, ვის შეუძლია დაავალოს მზარეულს რომ ქვაბში ლაყე კვერცხი ჩააგდოს. სასაცილოა იმის ლაპარაკი, რომ მზარეულს არა აქვს უფლება შეამოწმოს კვერცხის ან ხორცის კონსერვის ხარისხი. მით უარესი მუშკოოპისათვის, თუ მზარეულებს არა აქვთ მინიჭებული უფლება გადაარჩიონ მყრალი და უვარგისი საქონელი მუშებისათვის სადილის დამზადების დროს. ის უმსგავსოებანი და ნაკლოვანებანი, ის აღმაშფოთებელი და ბიუროკრატიული დამოკიდებულება საქმისადმი, რასაც ვამჩნევთ, უნდა აღმოიფხვრას, შეიძლება აღმოიფხვრას, და ეს მოგვცემს მუშების სადილის ხარისხის საერთო გაუმჯობესებას.

საბჭოთა მეურნეობები ქალაქის ირგვლივ

გარდა ამისა, ხომ ფაქტია, რომ ჩვენი გლეხური ბაზარი საკმაოდ არ არის გამოყენებული. აიღეთ ის ფაქტი, რომ ქალაქ თბილისში მწვანილი არ მოიპოვება. უკანასკნელ დროს მწვანილი არ არის. რაშია საქმე? იმაში, რომ მწვანილის მომწოდებელი ორგანიზაცია „სოფლის მეურნე“, — რომელიც ვითომ კოლმეურნეობებს აერთიანებს, ეწევა მტაცებლურ პოლიტიკას. ბოლოკს, რომელიც ღირს 5 კაპიკი, ის მუშკოოპს აძლევს 15 კაპიკად. (დანართი 200 პროც.), კონა ტარხუნა, რომელიც ღირს 7 კაპიკი, მუშკოოპს ბარდება 18 კაპიკად. ასეთი კოლმეურნეობა ხომ მოჩვენებითია? გარდა ამისა, ამ კოლმეურნეობამ განაცხადა, რომ მას ღამე მუშაობა არ შეუძლია, მწვანილი კი უნდა იქნას ჩაბარებული ღამით (ღამის 2-3 საათამდე) და მუშკოოპი ღამით უნდა მუშაობდეს, რომ მწვანილი გაანაწილოს ქალაქის პუნქტებზე. ხოლო მათ, წარმოიდგინეთ, არ სურთ, რომ ისინი შეაწუხონ, და მწვანილს აბარებენ დილის 9-10 საათზე. ეს ცრუ კოლმეურნეობაა და არა კოლმეურნეობა. ეს კოლმეურნეობა ეწევა მტაცებლობას და საჭიროა, რათა სოფლის კავშირმა და კოლმეურნეობათა ცენტრმა მიაქციონ მას ყურადღება, მიიღონ ზომები, რომ „სოფლის მეურნე“, შეეფერებოდეს იმ სახელწოდებას, რომელსაც ის ატარებს. მაგრამ, მეორეს მხრივ, ნუთუ მწვანილი მარტო თბილისის ახლო მოიპოვება. განა საქართველოს სხვა რაიონებში მწვანილი არ არის? მაგ.; სამტრედიაში, ხონში სენაკში, ზუგდიდში? ნუთუ იქ არ შეიძლება მწვანილის დამზადება?—შეიძლება და დიდის წარმატებითაც. ამიერ-კავკ. ბალ-ბოსტან კავშირი ამ რაიონებში ამზადებს ბოსტნეულს და გზავნის ბაქოსა და რუსეთში. რატომ არ შეუძლია მუშკოოპს მწვანილი იქიდან თბილისში მოიტანოს? საჭიროა, ამ საქმეს მუშკოოპმა უფრო სერიოზულად მოჰკიდოს ხელი და მეტი ყურადღება მიაქციოს მის მოგვარებას. ამნაირად ჩვენ შეგვიძლია სასურსათო კრიზისის დაძლევა და საერთოდ სამრეწველო და სასურსათო საქონლით მუშების მომარაგების გაუმჯობესება.

ჩვენ საქართველოში ვღებულობთ მთელ რიგ ზომებს, რომ გამოსწორდეს შექმნილი მდგომარეობა. ჯერ კიდევ პარტიის მე-6 ყრილობაზე ვარჩევდით და ვსწყვეტდით ქალაქის მახლობლად საბჭ. მეურნეობების ორგანიზაციის საკითხს. ყრილობის რეზოლიუციაში არის სპეციალური განყოფილება, სადაც ლაპარაკია ქალაქების მახლობლად საბჭოთა მეურნეობათა მოწყობის შესახებ. მაგრამ ჩვენმა კოოპერაციამ დღემდე არაფერი არ გააკეთა ამ მიმართულებით. მეტს ვიტყვი: ამ წელს თბილისის მუშკოოპს გაეხსნა—2.245,000 მანეთის კრედიტი ქალაქის მახლობლად საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობათ, მაგრამ ჩვენ საფრთხეს წინაშე ვიმყოფებით, რომ ეს კრედიტი დახურული იქნება მუშკოოპის მიერ მისი გამოუყენებლობის გამო. საქმე ისაა, რომ მუშკოოპს საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის გეგმაც არ დაუსახავს. ერთად-ერთი, რაც მან გააკეთა, ისაა, რომ იყიდა საქ. სახ. ვაჭრობისაგან ნახევრად მოწყობილი საბჭ. მეურნეობა. ეს კი პატარა საქმეა: მოძმე ორგანიზაციისაგან საბჭ. მეურნეობის ყიდვა ადვილია. მაგრამ დღემდე არ არის ჩატარებული ძირითადი მუშაობა ახალი საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციისათვის ისე, რომ შესაძლებელი იყოს ხსენებული კრედიტების გამოყენება, რომელიც შეიძლება დავკარგოთ, თუ ვერ შევძელით მისი რაციონალურად და თავის დროზე მოხმარება. ცეკამ გამოჰყო სპეციალური კომისია ამხ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით მუშათა კლასის მომარაგების საკითხების მოსაწესრიგებლად. ცეკამ გადასწყვიტა თვითონ აიღოს ეს საკითხი, რათა როგორმე დაჩქარდეს ქალაქის მახლობლად საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია და გაუმჯობესდეს მუშათა საქმის მომარაგება. ჩვენ სწორად უნდა გავანაწილოთ ის, რაც გვაქვს, და არ დავტანჯოთ მუშები რიგებით, რომელთა მოსპობა თამამად შეიძლება. ამის გაკეთება კი ჯერ კიდევ არ ემარჯვებათ ჩვენ კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ მუშების მომარაგების გაუარესების ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენს სასოფლო მეურნეობას არ ძალუძს მიაწოდოს ქალაქებს ნედლეული და სასურსათო საქონლის ისეთი რაოდენობა, როგორიც საჭიროა სამრეწველო მშენებლობის უდიდეს ზრდასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში მთლიანად და საქართველოში კერძოდ. ეს დებულება ჩვენ არა ერთხელ წამოგვიყენებია და ამან ჰპოვა გამოხატულება საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობის გადაწყვეტილებებში. ხომ ცნობილია, რომ დღევანდელი დღისათვის ჩვენ გვაქვს დაქუცმაცებული, წვრილი სასოფლო მეურნეობა, რომელსაც არ შეუძლია მთლიანად დააკმაყოფილოს ჩვენი მრეწველობისა და ქალაქების საჭიროებანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სასურსათო პროდუქტებზე, თუ ვერ შევსძელით მისი არსებითი რეკონსტრუქცია სოციალისტურ საფუძველზე.

სოფლის მეურნეობა სოციალისტურ გარდაქმნის გზაზე

ამხანაგებო! თუ ჩვენს სამრეწველო მშენებლობას გავუკეთებთ ჯამს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფრონტზე ჩვენ უეჭველი მიღწევები გვაქვს, ცალკე შეცდომები, დეფექტები მუშაობაში არავითარ შემთხვევაში არ ამცირებენ საერთო მიღწევების მნიშვნელობას, საერთოდ და მთლიანად სამრეწველო მშენებლობა საქართველოში უეჭველად წარმატებით მიდის. სწორედ ამიტომ უფრო მკვეთრად უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, მუშათა კლასის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება მთელი სიგრძე-სიგანით სვამს სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარების საკითხს. სამრეწველო საქონლის ნაკლებობა, სასურსათო საგნებისა და ნედლეულის ნაკლებობა გვავალებს სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სოფლის მეურნეობას, რომელიც ჯერ კიდევ ჩამორჩება სამრეწველო განვითარებას.

წარსულ წელს სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ უეჭველად ძალიან დიდ წარმატებას მივაღწიეთ. პარტიის მე-6 ყრილობა გარდამტეხი პუნქტი იყო სოფლის მეურნეობის საკითხებში. სოფლის მეურნეობის საკითხები სწორედ მე-6 ყრილობიდან გადაიქცნენ ისეთ საკითხებად, რომლებიც აღარ შორდებიან როგორც ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს, ისე საოლქო და სარაიონო პარტკონფერენციების დღის წესრიგებს. მარტო ერთი ეს გარემოება წარმოადგენს უკვე ჩვენი სოფლის მეურნეობის წარმატებული წინ სვლის გარანტიას.

კოლექტივიზაცია—ერთად-ერთი გამოსავალი

რა გზით შეიძლება ჩვენი სოფლის მეურნეობის წაყვანა? ჩვენთვის არსებობს ერთად-ერთი სწორი გზა—მსხვილი საზოგადოებრივი, კოლექტიური სოფლის მეურნეობის შექმნის გზა, რადგან თანამედროვე დაქუცმაცებული, დანაწილებული, პრიმიტიული სოფლის მეურნეობა წარმოების მამაპაპური საშუალებებით ვერავითარ შემთხვევაში ვერ უზრუნველჰყოფს ჩვენი ინდუსტრიალური განვითარების იმ ტემპების განხორციელებას, რომლებიც პარტიამ დასახა და რომლებიც აუცილებლად უნდა შევასრულოთ.

ამხ. სტალინმა აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტების სრულიად საკავშირო ყრილობაზე შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ჩვენი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში: „შეიძლება თუ არა ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის აჩქარებული ტემპით წინ წაწევა მაშინ, როცა გვაქვს ისეთი სასოფლო-სამეურნეო ბაზა, როგორიც არის წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელსაც არ ძალუძს ფართო საფუძვლით განვითარება და რომელიც ამასთან უპირატეს ძალას წარმოადგენს ჩვენს სახალხო მეურნეობაში? არა, არ შეიძლება. შეუძლია თუ არა საბჭოთა ხელისუფლებას და სოციალისტურ მშენებლობას ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაეყრდნონ ორ სხვადასხვა საფუძველს—უაღრესად მსხვილ და გაერთიანებულ სოციალისტურ მრეწველობას—ერთის მხრივ და უაღრესად დაქუცმაცებულ და ჩამორჩენილ წვრილსაქონლურ გლეხურ მეურნეობას—მეორეს მხრივ? არა, არ შეუძლიათ. ეს როდისმე უნდა გათავდეს მთელი სახალხო მეურნეობის სრული დაშლით. სად არის გამოსავალი? გამოსავალი ერთად-ერთია: გავამსხვილოთ სოფლის მეურნეობა, შევქმნათ მას დაგროვების უნარი, გაფართოებული აღდგენის უნარი, და ამრიგად გარდავქმნათ სახალხო მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ბაზა. მაგრამ როგორ უნდა გავამსხვილოთ იგი? ამისთვის არსებობს ორი გზა. არსებობს კაპიტალისტური გზა: მოხდეს სოფლის მეურნეობის გამსხვილება მასში კაპიტალიზმის დანერგვით,—გზა, რომელსაც მოსდევს გლეხობის გაღატაკება და კაპიტალისტურ საწარმოთა განვითარება სოფლის მეურნეობაში. ამ გზას ჩვენ უარვყოფთ, როგორც ისეთ გზას, რომლის შეთვისებაც არ შეიძლება საბჭოთა მეურნეობასთან. არსებობს მეორე გზა, სოციალისტური გზა: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის დანერგვა სოფლის მეურნეობაში, გზა, რომელიც იწვევს წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებას მსხვილ, ტექნიკითა და მეცნიერებით შეიარაღებულ კოლექტიურ მეურნეობებში და კაპიტალისტური ელემენტების განდევნას მიწადმოქმედებიდან. ჩვენ ამ მეორე გზას ვუჭერთ მხარს. ან ერთი გზა, ან—მეორე. ან უკან —კაპიტალიზმისაკენ, ან წინ—სოციალიზმისკენ. არ არსებობს არავითარი მესამე გზა და არც შეიძლება, რომ არსებობდეს“.

ამ დებულებების შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის მე-6 ყრილობამ თავის რეზოლიუციაში აღნიშნა შემდეგი: „სოფლის მეურნეობის განვითარების ნელი ტემპი უკვე ეწინააღმდეგება ინდუსტრიალიზაციის ინტერესებს. ინდუსტრიალიზაციის საჭიროება ყოველნაირად გვიკარნახებს სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებულ ტემპებს. ამიტომ ჩვენ მკვეთრად უნდა დავსვათ საკითხი შემდგომი განვითარების გზების შესახებ. დაუცხრომლად და სისტემატიურად უნდა ვიმუშაოთ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე, მსხვილი, განსაზოგადოებული წარმოების შექმნაზე, სოფლის მეურნეობის მწარმოებელ ძალთა განვითარების დაჩქარებაზე“... (საქ. კომპარტიის (ბ) მე-6 ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში).

ამრიგად, გზა, დასახული მთელი საბჭოთა კავშირისათვის, უაღრესად სავალდებულოა ჩვენთვისაც, ამასთან შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ მისი განხორციელების მეთოდებსა და ტემპებზე. ამ საკითხში უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩვენ ყველამ დიდი შეცდომები დავუშვით. ჩვენ პარტიაში არიან ისეთები, რომელნიც ჩუმ-ჩუმად, თეატრის ფოიეში, ქუჩაში, ან კერძო საუბარში გამოსთქვამენ თავიანთ აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს პირობებში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია საერთოდ მიუღებელია, რომ კოლექტივიზაცია, თანაც მთლიანი, მასიური კოლექტივიზაცია, საქართველოს „სპეციფიური პირობების“ გამო, საქართველოს სოფლის მეურნეობის „განსაკუთრებული“ სტრუქტურის გამო—ჩვენთვის მიუღებელია, ეს ხალხი თითქოს ეთანხმება პარტიის საბჭოთა გენერალურ ხაზს, მათ მიაჩნიათ, რომ კოლექტივიზაცია კარგია რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკისათვის, უკრაინისათვის, ჩრდილოეთ-კავკასიისათვის, ციმბირისათვის, ესე იგი იმ ადგილებისათვის, სადაც გაშლა-გაქანება შეიძლება, სადაც არის მინდორ-ველი, მთლიანი დაბლობი, ხოლო საქართველოსთვის, სადაც უაღრესად მოზაიკური სოფლის მეურნეობაა, სადაც ეს მეურნეობა მეტად რთულია,—კოლექტივიზაცია ვითომ მეტია. ამ ამხანაგების მსჯელობა მაგონებს კოტე ცინცაძის მსჯელობას, რომელიც ფიქრობდა, რომ რუსეთში შეიძლება რეპრესიული ზომების მიღება ესერების, მენშევიკების და სხვა არამზადების წინააღმდეგ, ხოლო საქართველოში არ შეიძლება, რადგან აქ, საქართველოში, საჭირო გახდება ამ ზომების მიღება მენშევიკური პარტიის ისეთი წევრების წინააღმდეგ, რომელთაც სტაჟიც 1905 წლიდან იწყება. თითქოს ის მენშევიკი, რომელიც მუშათა და გლეხთა შეგნებას და განწყობილებას სწამლავდა 1905 წლიდან, უკეთესი ხდება იმით, რომ იგი თავის მოქმედებას ანვითარებდა საქართველოს „სპეციფიურ“ პირობებში.

ასეთი თვალსაზრისი, ვითომ არსებობს ერთი გენერალური ხაზი მთელი საბჭოთა კავშირისათვის—გენერალური ხაზი, მისაღები უკრაინისათვის, ციმბირისათვის, მაგრამ არა მისაღები საქართველოსათვის, თვალსაზრისი, რომელიც საქართველოსთვის სხვა პარტიულ ხაზს მოითხოვს, სწორი არ არის ძირიან-ფესვიან და მას ჩვენ ვერ მივიღებთ. პარტიას აქვს ერთი გენერალური ხაზი ყველა რაიონებისათვის, ისეთებისთვისაც, სადაც სოფლის მეურნეობის სტრუქტურა უაღრესად მოზაიკურია.

პარტიის გენერალური ხაზი ერთნაირად სავალდებულოა ყველა ნაციონალური პარტიებისათვის, ამიტომ ის ხალხი, რომელიც ჩუმ-ჩუმად და კერძო ლაპარაკში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ილაშქრებს და ამისთვის საქართველოს განსაკუთრებულ პირობებს იმოწმებს,—ეს ხალხი არსებითად უარჰყოფს პარტიის მთელ გენერალურ ხაზს და პარტიას სოციალიზმიდან უკან, კაპიტალიზმისკენ ეწევა. ეს რომ ასეა, სჩანს თუნდაც იქიდან, რომ მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს სოფლის მეურნეობის შემდგომი განმტკიცების საჭიროებას კოლექტივიზაციისა და წარმოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადოების საფუძველზე, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნის საფუძვლებზე—ეს რეზოლიუცია სრულიადაც არაფერს ამბობს იმაზე, რომ პარტიის გენერალური ხაზი მიუღებელია ჩამორჩენილი ნაციონალური რაიონებისათვის, ისეთი რაიონებისათვის, როგორიც არის, მაგალითად, საქართველო. მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციაში ნათქვამია: „მსხვილი ინდივიდუალური მეურნეობის შექმნის ამ კაპიტალისტურ გზას საბჭოთა ხელისუფლება უპირისპირებს მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობის შექმნის პროლეტარულ მეთოდს —ამ მეურნეობის შექმნას ისეთი საშუალებით, როგორიც არის საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანება, კოლექტივიზაცია, რომელიც წვრილ და უწვრილეს მეურნეობას საშვალებას აძლევს, საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით და მისი ხელმძღვანელობით, გამსხვილდეს კოლექტიური შრომის საფუძველზე და ავიდეს ტექნიკისა და კულტურის უმაღლეს დონემდე. განვითარების ეს გზა, რომელიც გლეხობის მილიონიანი მასების სიღატაკისა და განადგურებისაგან გადარჩენის **ერთად-ერთ** გზას წარმოადგენს, ნიშნავს არა მარტო კაპიტალისტური ელემენტების ზრდის შეზღუდვას სოფლად, არამედ მათ განდევნას **მსხვილი საზოგადოებრივი** (სახელმწიფო და კოლექტიური) **მეურნეობის მიერ**“ (საკ. კ. კ. (ბ) მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუციებიდან).

ამნაირად, მე-16 პარტკონფერენციის მიერ დასახული ხაზი ერთნაირად სავალდებულოა როგორც რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკისა და უკრაინისათვის, ისე საქართველოსთვის. ჩვენ ვალდებულნი ვართ მხოლოდ კოლექტივიზაციის გატარების დროს, სოფლის მეურნეობის ამ მეტად ძნელი და რთული ამოცანების განხორციელების დროს ანგარიში გავუწიოთ საქართველოში არსებულ თავისებურებებს და დავსახოთ განვითარების სათანადო ტემპები. ჩვენი შეცდომები გამომდინარეობენ იქიდან, რომ კოლექტივიზაციის საკითხებში ჩვენ ანგარიში არ გაუწიეთ იმ სიძნელეებს, იმ თავისებურებებს, იმ სპეციფიურ პირობებს, რომელნიც გვხდებიან საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გზაზე.

გაზაფხულის თესვის კამპანია

მაგრამ ამ შეცდომების გამო ეხლა უარყოფა ჩვენი გენერალური ხაზისა კოლექტივიზაციის საქმეში—არის ნამდვილი მემარჯვენე გადახრა, რომელიც გვეწევა უკან—კაპიტალიზმისკენ. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით შევეხები ქვემოდ, ეხლა კი საჭიროდ მიმაჩნია, შევჩერდე თესვის კამპანიის საკითხზე, ვინაიდან თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება წარმოადგენს ჩვენი ძირითად, გენერალურ, პირველხარისხოვან ამოცანას სოფლად. ყველა დანარჩენი ამოცანები ექვემდებარებიან ამ ძირითად, მთავარ ამოცანას — თესვის კამპანიის ამოცანას, და უნდა ითქვას, რომ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მთელი ყურადღება მიმდინარე წლის როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე მიქცეული იყო თესვის გეგმის შესრულებაზე და საჭირო ღონისძიებათა მიღებაზე სოფლის მეურნეობის ეფექტიურობის ასაწევად. მართალია, მე მეშინია აქ ციფრების გამოქვეყნება, რადგან საქართველოს მიწსახკომს ცუდი ჩვეულება აქვს — ერთსა და იმავე დღეს იძლევა ორ ცნობას სხვადასხვა ციფრებით. მაგრამ ის ცნობებიც კი, რომლებიც ჩვენ საქ. მიწსახკომისაგან მივიღეთ, გვეუბნებიან, რომ საქართველოში ჩვენ ყოველგვარი სახნავის სახით გვაქვს 1.320.000 ჰექტარი მიწა. მიწსახკომის ცნობებით, წელს—როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე — დაითესა დაახლოვებით ერთი მილიონი ჰექტარი, აქედან შემოდგომის ნათესზე ფაქტიურად მოდის სულ 271 ათასი. გაზაფხულის ნათესმა უნდა მოგვცეს 700 ათასი ჰექტარი; ამაში შედის 10 ათასზე ცოტა მეტი ახალი ფართობი, რომელიც გამოყენებულ იქნა ისეთი მრავალწლოვანი კულტურებისათვის, როგორიც არის ჩაი, ვენახი, თუთის ნარგავი და ხეხილი. ამრიგად, მრავალწლოვანი ნარგავების ჩაუთვლელად, ჩვენ გვაქვს დათესილი დაახლოვებით ერთი მილიონი ჰექტარი, ხოლო მრავალწლოვან ნარგავებთან ერთად — დაახლოვებით 1.100.000 ჰექტარი. საერთო სათესი მოედნის გამოყენების ეს პროცენტი ნორმალურად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიაც, თუ ავიღებთ რუსეთის სფ.ს. რესპუბლიკას და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, თუმცა იქ მიწა მეტია, ვიდრე ჩვენში, და პროცენტულად დასვენებული მიწებიც იქ ჩვენზე მეტია.

შემოდგომის თესვის კამპანია ჩვენ, უეჭველია, წარმატებით ჩავატარეთ. 1928 წელს ჩვენი შემოდგომის ნათესი სულ 228 ათას ჰექტარს უდრიდა (მრგვალი ციფრებით). 1929 წლის შემოდგომაზე, გეგმით, უნდა დაგვეთესა 244 ათასი ჰექტარი, ფაქტიურად დავთესეთ 271 ათასი ჰექტარი, ე. ი. ნათესის სივრცემ იმატა 1928 წელთან შედარებით, 18 პროცენტით, ხოლო შემოდგომის თესვის ჩვენ მიერ დასახულ გეგმასთან შედარებით—11 პროცენტით.

ამხანაგებო! ჩვენ მარტო თესვისათვის საჭირო მუშაობა არ ჩავატარეთ, ჩვენ ჩავატარეთ აგრეთვე მთელი რიგი აგრონომიული ღონისძიებანი მოსავლიანობის გასადიდებლად და სასოფლო - სამეურნეო მუშაობის გასაუმჯობესებლად. ასე, მაგალითად, 264 ტრაქტორით და 28 ათასი გუთნით ჩვენ მოვხანით 177 ათასი ჰექტარი. აქ ჩვენ ბევრად გადავაჭარბეთ შარშანდელ მუშაობას. დასასვენებლად მოხნული მიწა აყვანილ იქნა 75 ათასი ჰექტარამდე. უნდა ვიფიქროთ, რომ წლევანდელი შემოდგომის კამპანიაში ამ ციფრს გავაორებთ ან გავასამებთ კიდეც.

სანეულო მოხვნა აყვანილ იქნა 10 ათას ჰექტარამდე, უმთავრესად ბამბის და გვალვიან რაიონებში. მწკრივად თესვაც 10 ათას ჰექტარზე ჩავატარეთ. აქვე უნდა გავაშუქოთ საკითხი სოფლის მეურნეობისათვის რთული სასოფლო - სამეურნეო იარაღის მიწოდების შესახებ, რადგან ამ ძირითად საკითხზეა დამოკიდებული ნიადაგის დამუშავების ხარისხობრივი გაუმჯობესების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს, თუმცა ნაკლიც ბევრია (ამის შესახებ დაწვრილებით ცოტა ქვევით). რაც მთავარია, ადგილებზედ სახ.-სამ. მანქანა - იარაღების შესაკეთებლად მოეწყო სარემონტო სახელოსნოები. იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ეს სახელოსნოები, დაე ილაპარაკონ ამხანაგებმა სამხრეთ-ოსეთიდან, ახალციხიდან და ახალქალაქიდან. ამბობენ, ეს სახელოსნოები ცუდად მუშაობენ, რადგან ისინი არ არიან უზრუნველყოფილნი კადრებით და რემონტისათვის საჭირო მასალით.

რაც შეეხება გაზაფხულის სახ.-სამეურნეო კამპანიას, აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს პრინციპიალურ გეზში არსებული განსხვავება შემოდგომისა და გაზაფხულის კამპანიებს შორის. შემოდგომის თესვის კამპანია, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ვიწრო იყო, რადგან მაშინ ჩვენ მიზნად ვისახავდით მხოლოდ თესვის ორგანიზაციას. შემოდგომის კამპანიაში კოლექტივიზაციის საკითხებს ჩვენ ისეთ ყურადღებას არ ვაქცევდით, როგორც ეს გაზაფხულზე იყო. გაზაფხულის სახ.-სამ. კამპანია მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თვალსაზრისით. აი რატომ გადაეღობა გაზაფხულის სახ.-სამ. კამპანიას უფრო მეტი სიძნელე, ვიდრე შემოდგომის კამპანიას; მაგრამ თუ ავიღებთ გაზაფხულზე შესრულებულ თესვას, შემდეგი სურათი გადაგვეშლება. მიწსახკომის ცნობებით, 20 მაისისათვის მარცვლეული კულტურების ხაზით თესვა შესრულებულ იქნა 72 პროც-ით ან, აბსოლიუტური ციფრებით, დაითესა—430,860 ჰექტარი, გეგმით გათვალისწინებული 593,915 ჰექტარის ნაცვლად. ფაქტიურად თესვისთვის მაისის დამლევამდე ჯერ კიდევ რჩება დრო და უნდა ვიფიქროთ, რომ საერთოდ, თესვის გეგმა შესრულებული იქნება. არის ერთი მეტად არსებითი გარემოება, რომელიც უნდა აღინიშნოს აქ. საქართველომ არ იცოდა ისეთი ნაადრევი თესვა, როგორიც წელს მოხდა, და ეს მოსავლის გადიდების საუკეთესო გარანტიაა, თუ, რასაკვირველია, მას ხელი არ შეუშალა რაიმე კლიმატიურმა ექსცესმა, რაც ხშირია ხოლმე საქართველოში.

ჩამორჩენილია ტექნიკური კულტურების თესვის გეგმა: ეს გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 54 პროც-ით. მართალია, კულტურების ამ ჯგუფში არ შედის თამბაქო, რომლის თესვაც იწყება სხვა კულტურებზე ბევრად უფრო გვიან, და ეს გარემოება შესცვლის მთელი ამ ჯგუფის გეგმის შესრულების პროცენტს. ძირნაყოფიანთა დარგში შესრულებულ იქნა 72 პროც-ი—15539 ჰექტარი, გეგმის 21,489 ჰექტარის ნაცვლად. დათესილი ბალახეულის ხაზით გეგმა შესრულებულია 50 პროც-ით—დაითესა 6,089 ჰექტარი, გეგმის 12,170 ჰექტარის ნაცვლად; ამასთან შესრულების ეს ციფრი, ალბად, სტაბილურ ციფრად უნდა ჩაითვალოს, რადგან მეტის შესრულებას, თესლის უქონლობის გამო, ვეღარ შევსძლებთ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს მიწსახკომის და, საერთოდ, მიწათმოქმედების ორგანოების ერთ-ერთი დეფექტია. თესლზე უნდა ეფიქრათ ცოტა უფრო ადრე და ცდილიყვნენ მიეღოთ იგი საკმაო რაოდენობით. ხოლო, თუ თესლი არ იყო, გეგმა უნდა შეედგინათ ისე, რომ გეგმა და ფაქტიური შესრულება არ დაშორებულიყვნენ ერთმანეთს. მრავალწლოვან ნარგავთა დარგში ახალი ფართობების გაშენების გეგმა 20 მაისისთვის შესრულებულ იქნა 87 პროც-ით (9,469 ჰექტარი, ნაცვლად—10,879 ჰექტარისა). დამატებითი ცნობებით, გეგმის შესრულება მრავალწლოვან ნარგავთა ხაზით შიშს არ იწვევს, რადგან საამისო დრო ჯერ კიდევ არის.

თესვის გეგმა შესრულდება

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნო, თუ როგორ ვასრულებთ დირექტივას ფართობების გადიდების შესახებ მაშინ, როდესაც ც. კ-ის პლენუმის დირექტივებით, ნათესი ფართობის ზრდა გათვალისწინებულია მარცვლეული კულტურებისათვის 3 პროც-ით, აქედან: პურისთვის—3,2 პროც-ით, ქერისთვის—4 პროც-ით და სიმინდისთვის — 2 პროც-ით, უფრო დეტალური გეგმით ეს ზრდა დასახულია საშუალოდ ყველა მარცვლეული კულტურების ხაზით 4,8 პროც-ით, კერძოდ, პურისთვის აღებულია 16,3 პროც., ქერისთვის —7,1 პროც. და სიმინდისთვის—2 პროც. ასეთივე სურათია ტექნიკური კულტურების დარგში: დირექტივა ითვალისწინებდა ფართობების გადიდებას, წარსულ წელთან შედარებით, 97,5 პროც-ით, გეგმით კი, რომლის რეალიზაციასაც ეხლა ვახდენთ, ეს ზრდა უდრის— 106,6 პროც-ს. ცალკე კულტურების ხაზით ნავარაუდევის გადაჭარბება გამოიხატება შემდეგი ციფრებით: თამბაქოს ნათესის ფართობი დიდდება 40 პროც-ით, წინად გათვალისწინებული 36 პროც-ის ნაცვლად, ბამბის— 72,3 პროც-ით, 50 პროც-ის ნაცვლად და სხვ.

ამხანაგებო! მე სხვა ცნობებიც მაქვს. გუშინ ჩვენ სპეციალური თათბირი გვქონდა ოლქის და მაზრის ხელმძღვანელ ამხანაგებთან, ვთხოვეთ — მოეცათ უკანასკნელი დროის ცნობები თესვის მიმდინარეობის შესახებ. სამწუხაროდ, მხოლოდ ოთხმა ოლქმა და მაზრამ შეასრულა ჩვენი თხოვნა: თბილისის, სენაკის, ახალქალაქის, გორის და კიდევ ქუთაისის, თუმცა ქუთაისს ჯერ კიდევ არ მოუცია, ოლქის პარტკომის მდივნის მიერ ხელმოწერილი ცნობა. ჩვეულებრივ ყოველი მდივანი ფიქრობს, რომ რაკი მის ოლქში ან მაზრაში გეგმა სრულდება, იგი გადაჭარბებულად იქნება შესრულებული (მელაძე ადგილიდან: აფხაზეთმა ვერ მიიღო ცნობები ც. კ-ისაგან). ამხანაგო მელაძე, ყოველმა მდივანმა ზეპირად უნდა იცოდეს — რამდენია მის ოლქში დათესილი და რამდენი აკლია გეგმის შესრულებას. ეს არსაიდან არ არის მისაღები, ამის ამოღება და ქაღალდზე დალაგება საჭიროა თავიდან.

როგორც საოლქო კომიტეტების ცნობებიდან სჩანს, მარცვლეულ კულტურების დარგში 25 მაისისათვის გეგმა შესრულებულია 92-93 პროც-ით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ციფრი სწორია. ამრიგად, თუ მიწსახკომის ციფრს (20 ივნისისთვის) ჩავთვლით ცოტად თუ ბევრად შემოწმებულ ციფრად, უნდა აღვნიშნოთ ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ თესვის კამპანია წელს უეჭველად წარმატებით მიმდინარეობს. და თუ თესვის გეგმა არ იქნება გადაჭარბებული, ყოველ შემთხვევაში იგი 100 პროცენტით მაინც შესრულდება. ამასთან, ამხანაგებო, ოლქებში სავსებით სწორად დასვეს საკითხი იმის შესახებ, რომ იქ, სადაც ამა თუ იმ კულტურის გეგმა, თესლის უქონლობის გამო, ვერ შესრულდა, მოხდეს კომპენსაცია თესლით უზრუნველყოფილი სხვა კულტურების გადაჭარბებული შესრულებით. მაგალითად, ბალახის თესლის ნაკლებობა უნდა შეივსოს სიმინდის ან სხვა კულტურის დათესვით, რათა მიწა არ გასცდეს. ზოგიერთი ადგილის მიერ მიღებული ეს გეგმა უნდა ჩავთვალოთ მიღწევად და დიდ მიღწევადაც.

მეორე მიღწევას წარმოადგენს ის, რომ, როგორც აღვნიშნე, სწორედ წელს შევუდგით ადრიან თესვას. ასეთი ნაადრევი თესვა საქართველოს არ ახსოვს, და ეს იმის გარანტიაა, რომ კოლმეურნეები და ინდივიდუალური მეურნეები მიიღებენ უკეთეს მოსავალს, ვიდრე აქამდე იღებდნენ თავიანთ კერძო მეურნეობაში.

და, დასასრულ, მესამე მიღწევას წარმოადგენს ის, რომ სოფლის მეურნეობას წელს, ამ გაზაფხულზე, ბევრად უფრო მეტი სას.-სამეურნეო იარაღი მივაწოდეთ, ვიდრე წარსულ წელს.

კონკრეტულად წელს ჩვენ [illegible] სამი სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა, ბორჩალოში—74 ტრაქტორით, აბაშაში—40 ტრაქტორით და აგარაში—19 ტრაქტორით. ამა გარდა მოეწყო 6 სატრაქტორო კოლონა: ლაგოდეხში, აფენში, შირაქში, ყარაიაში, სუფსაში და შილდაში, რომლებშიაც იყო სულ 109 ტრაქტორი. საერთოდ კი საქართველოში ამჟამად არის 517 ტრაქტორი, აქედან მუშაობს 498; ამასთანავე ამ რაოდენობიდან მარტო მიმდინარე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის შემოტანილი იყო 226 ტრაქტორი. მიმდინარე კამპანიისთვისვე მოეწყო დამატებით 13 სარემონტო სახელოსნო. გეგმის თანახმად გაზაფხულის და შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის შემოტანილი უნდა ყოფილიყო 24.865 გუთანი, აქედან 1-ლი მაისისათვის შემოტანილია 13.870, ფარცხი შემოტანილია 3526, სათესი მანქანა—2457, კულტივატორი 3.711, ტრიერი 320 და სხვ.

დიდი ისტორიული მნიშვნელობის მიღწევა

გადავდივარ რა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხზე, უნდა ვთქვა, რომ ამ დარგში, მიუხედავად მთელ რიგ მეტად სერიოზულ და დიდი შეცდომებისა როგორც ცეკას, ისე ადგილობრივ ორგანიზაციების, საოლქო, სარაიონო ორგანიზაციების და სოფლის უჯრედების მხრიდან, მიუხედავად ამ შეცდომებისა, ჩვენ მაინც გვაქვს უეჭველად დიდი მიღწევები. მართალია, ოლქებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ კოლმეურნეობებიდან გასვლა აქა-იქ ჯერ კიდევ გრძელდება. ასე, მაგალითად, გორის ოლქის, სტალინისის (ყოფ. ხაშურის) რაიონში მხოლოდ ამას წინად დაიწყო დამატებითი გასვლა კოლმეურნეობებიდან, მაგრამ ადგილებზე მომუშავე ამხანაგების საერთო აზრია, და ეს აზრი სავსებით მართალი აზრია, რომელიც დამყარებულია არა უბრალო სურვილზე, არამედ სოფლის შესწავლაზე, რომ შემდეგში ადგილი აღარ ექნება კოლექტივებიდან მასიურ გასვლას. ეჭვს გარეშეა, რომ ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ გვაქვს კოლექტივიზაციის დარგში 1930 წლის პირველ მაისისათვის, მიჩნეული უნდა იქნეს ცოტად თუ ბევრად სტაბილურად, შესაძლებელი მცირე რყევით შემცირებისაკენ. რას ამბობენ ციფრები? 1930 წლის 1-ლ მაისისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხთა მეურნეობების 23 პროც., ე. ი. საქართველოს 100.000 მეტი მეურნეობაა ჩაბმული კოლექტივებში, ეს კი შეადგენს დაახლოებით საქართველოს ყველა მეურნეობების ერთ მეოთხედს. ის ხალხი, რომელიც იღრიჭება ჩვენი ცალკე შეცდომების გამო, ეს ხალხი უნდა ჩაუფიქრდეს იმას—არის თუ არა საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ეს დონე მიღწევა და მეტად დიდი მიღწევა?

მე ვფიქრობ, რომ ეს ციფრი შეიძლება კიდევ შემცირდეს სულ დიდი 20 პროცენტამდე, მაგრამ ამაზე ქვევით ის არავითარ შემთხვევაში არ დაეშვება. რა გვქონდა ჩვენ წინად? 1929 წლის პირველ ოქტომბრისათვის საქართველოში ჩვენ გვქონდა 908 კოლექტიური მეურნეობა ანდა კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 3,5 პროც.

1929 წლის პირველ დეკემბრისათვის ჩვენ გვქონდა 1398 კოლმეურნეობა, ანდა კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა სახით 6,3 პროც. დღეს, როგორც მე უკვე ვსთქვი, ჩვენ გვაქვს გლეხური მეურნეობათა კოლექტივიზაციის 23 პროც. სოფლის მეურნეობის კოლექტიური სექტორის ასეთი ზრდა უეჭველად მიღწევაა და მისი სათანადოთ არ შეფასება დიდი პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა.

ბოლშევიკურად ვაღიაროთ ჩვენი შეცდომები

მაგრამ, აღვნიშნავთ რა მიღწევებს, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვილაპარაკოთ ჩვენი შეცდომების შესახებ, რომლებიც დაშვებული იქნა მასიური კოლექტივიზაციის პროცესში. მართალია, ამ შეცდომების შესახებ უკვე ნათქვამია პარტიის ცეკას სპეციალურ დადგენილებაში და პარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტების სპეციალურ გადაწყვეტილებებში. ყველა პარტკონფერენციები ადგილებზე ჩატარდა ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით, კოლექტივიზაციის დროს დაშვებულ ყველა შეცდომების გამომჟღავნების ნიშნით, ასე რომ თითქოს საჭიროც არ არის კიდევ ამ შეცდომებზე ვილაპარაკოთ. მაგრამ პარტიის ყრილობაზე საჭიროა ჯამი გაუკეთოთ მთელ ამ თვითკრიტიკას და აღვნიშნოთ ის ძირითადი, რაც გვაქვს ჩვენ დღევანდელი მომენტისათვის კოლექტივიზაციის საკითხში. საჭიროა ერთხელ კიდევ ბოლშევიკურად გამოვამჟღავნოთ ეს შეცდომები, რომ დაუყოვნებლივ შევუდგეთ მათ გამოსწორებას. შეცდომების გამოჟღავნება—ეს ცოტაა, საჭიროა მათი გამოსწორების ცოდნა, მათი ძირიანად აღმოფხვრა; ამ საკითხში კი ჩვენ დღემდე მოვიკოჭლებთ. საჭიროა პირდაპირ ითქვას, რომ დღემდე მთელ რიგ ქვედა ორგანიზაციებში ჩვენ არა გვაქვს საფუძვლიანი გარდატეხა შეცდომების გამოსწორების მხრივ. დღემდე ადგილებზე ჩვენ ვხვდებით „მემარცხენე“ ხეპრულ გამოხტომებს, ამასთანავე ჩვენ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ პარტიის გადაწყვეტილებები, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებანი მივიდნენ კოლმეურნეობამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე. მთელ რიგ ადგილებში დღემდე არ იცნობენ საკოლმეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებულ უკანასკნელ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. აი ამიტომაა საჭირო დღეს ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვათ ჩვენ მიერ კოლექტივიზაციის საკითხში დაშვებულ შეცდომებს, ხაზი გაუსვათ იმისათვის, რომ, ვიმეორებ, შესაძლებელი გახდეს მათი საჩქაროდ გამოსწორება.

პირველი შეცდომა

როგორია ეს შეცდომები? მე უპირველეს ყოვლისა შევჩერდები ხელმძღვანელობის, საქართველოს კომპარტიის ცეკას შეცდომებზე. ეს შეცდომები, ჩემის აზრით, გამოიხატება შემდეგში. პირველი—ჩვენ შევეცადეთ მექანიკურად გადმოგვეტანა საქართველოში კოლექტივიზაციის ტემპები და მეთოდები, რომელსაც იყენებენ საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონებში, რაც, რასაკვირველია, შედეგია იმისა, რომ ჩვენ სათანადოთ ვერ შევაფასეთ საქართველოში არსებული სპეციფიური სიძნელენი და თავისებურებანი და ეს მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ სულ ამ სიძნელეებზე ვლაპარაკობდით. ჩვენ ამაზე ვლაპარაკობდით პარტიის მეექვსე ყრილობაზე, პარტიის ცეკას იანვრის პლენუმზე. ჩვენ ვამბობდით, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სპეციფიური სტრუქტურის გამო არის მთელი რიგი დამატებითი სიძნელეები, რომლებისთვისაც ანგარიშის არ გაწევა შეუძლებელია და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიცოდით და ვხედავდით ყველა ამას, პრაქტიკაში ჩვენ ეს სიძნელეები დავივიწყეთ. კოლექტივიზაციის საკითხში ჩვენ ფეხი შევდგით ისეთ ტემპებში, რომელთა დაძლევა არ შეეძლო იმ კადრებს, რომელიც ჩვენ სოფლად გვყავდა, და იმ ობიექტიურ პირობებს, რომელიც შექმნილი იყო კოლექტივიზაციისათვის. მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კოლექტივიზაცია „ციდან ჩამოვარდა“, „თოვლივით თავს დაეცა“ საქართველოს—მრავალი ისე ხატავს საქმეს, თითქოს კოლექტივიზაციას საქართველოში შეუდგნენ მხოლოდ იანვარში. ეს მართალი არ არის, ეს ცილისწამებაა. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას ჩვენ ჯერ კიდევ 1928 წელში შეუდექით და განსაკუთრებით ენერგიულად მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს პარტიის მე-VI ყრილობის შემდეგ. ყველა პარტიული ორგანიზაციები, პარტიის მეექვსე ყრილობის შემდეგ მუშაობას აწარმოებდნენ უმთავრესად სოფლის-მეურნეობის ხაზით. მთელი ჩვენი მუშაობა მეექვსე ყრილობიდან ცეკას იანვრის პლენუმამდე იყო დიდი მოსამზადებელი მუშაობა სოფლის მეურნეობის მასიურ კოლექტივიზაციაზე გადასვლისათვის. მაგრამ ეს მუშაობა საკმარისი არ აღმოჩნდა და მართლაც, პრაქტიკამ დაგვარწმუნა იმაში, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში არ იყო მზად პირობები კოლექტივიზაციის იმ ტემპების რეალიზაციისათვის, რომელიც ჩვენ დაწყებით პერიოდში ავიღეთ, ცეკას იანვრის პლენუმის შემდეგ.

მეორე შეცდომა

ცეკას მეორე შეცდომა—ეს არის საკოლმეურნეო მოძრაობის ფაქტიურად დეკრეტებით შექმნა. როგორც გახსოვთ, ცეკას იანვრის პლენუმზე, პლენუმის დადგენილებით, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად იქნა გამოცხადებული კახეთის, გორის, თბილისის ოლქები და ზუგდიდის მაზრა. რატომ არის ამ ოლქების და მაზრების მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებად გამოცხადება საკოლმეურნეო მოძრაობის დეკრეტებით შექმნა? აი რატომ. კოლექტივიზაციის პროცენტი ზუგდიდის მაზრაში იანვრისათვის შეადგენდა 22 პროც., ეხლა კი, მგონი, შეადგენს მხოლოდ 15 პროცენტს. ამხ. ისაკი ჟვანია ამტკიცებს, რომ მაშინ შეცდომით იყო გამოანგარიშებული პროცენტი და იყო არა 22 პროც., არამედ ნაკლები. მაგრამ ამხანაგებო, მაშინ სახარბიელო იყო დიდი პროცენტი და ჰქონდათ 22 პროც., ეხლა კი, თურმე, ეს პროცენტი შეცდომით იყო გამოანგარიშებული. არ შეიძლება საკუთარი შეცდომების მიჩქმალვა. ლენინი ჩვენ გვასწავლიდა, რომ, როდესაც აფუჭებ საქმეს, საჭირო არ არის შეცდომების მიჩქმალვა და საჭირო არაა მხიარული სახის გამოჩენა ცუდი თამაშის დროს, თამაში კი ცუდი გამოვიდა იმ მხრივ, რომ იყო 22 პროც. და დაგვრჩა 15 პროც. ასეთი ფაქტები არ უნდა მივჩქმალოთ. ისინი გვავალებენ მეტი სიფხიზლე გამოვიჩინოთ, უფრო მეტად დავჭიმოთ ნერვები, მეტი ყურადღება მივაქციოთ სოფლის მეურნეობას, რომ გამოვასწოროთ ზუგდიდის მაზრაში დაშვებული შეცდომები.

როგორი იყო კოლექტივიზაციის პროცენტი დანარჩენ ოლქებში? კახეთში იანვრისათვის ჩვენ გვქონდა 11 პროც., თბილისისა და გორის ოლქებში 6,5 პროც. თვითეულში. ასეთ პირობებში, როდესაც კოლექტივიზაციის პროცენტი ფაქტიურად არ აღემატებოდა 10-11 პროცენტს, პარტიის ცეკას პლენუმმა ეს ოლქები და ზუგდიდის მაზრა გამოაცხადა მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებად. ამავე დროს ჩვენ რეზოლიუციაში ვწერდით, რომ მთლიანი კოლექტივიზაცია უნდა იყოს შედეგი საშუალო და ღარიბი გლეხის მასიური სტიქიური ლტოლვისა კოლმეურნეობაში, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად გამოცხადებამ არსებითად ორგანიზაციული გაფორმება უნდა მისცეს გლეხობის სტიქიურ ლტოლვას კოლმეურნეობებში—ეს უეჭველად სწორია. მაგრამ ამა თუ იმ ოლქის ანდა მაზრის გამოცხადება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონად, როდესაც იქ კოლექტივიზაციის ფაქტიური პროცენტი არ აღემატებოდა 10-20 პროც., ეს გადაწყვეტილება, რასაკვირველია, შემცდარი იყო. ოლქების და მაზრების მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად გამოცხადებით, ხელოვნურად შექმნილი იქნა ისეთი მდგომარეობა, რომ ეს გადასვლა მთლიან კოლექტივიზაციაზე გამართლებული ყოფილიყო ადგილების მიერ. ჩვენ აქ ვხედავთ აშკარა განსხვავებას საკითხის ნამდვილ ბოლშევიკურ გადაწყვეტასა და მის პრაქტიკულად განხორციელების შორის; არ შეიძლება ერთის მხრივ იმის წერა, რომ მთლიანი კოლექტივიზაცია უნდა იყოს შედეგი ფართოდ გაშლილ საკოლმეურნეო მშენებლობისა, მხოლოდ მეორეს მხრივ კი—გამოაცხადო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები პარტიის ცეკას პლენუმზე და ამით დაავალო მაზრებში მომუშავე ამხანაგებს (მართალია მათი სურვილის თანახმად), რომ ეს რაიონები გადააქციონ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად. ამით ჩვენ აშკარად ვერეკებოდით ამხანაგებს მემარცხენე შეცდომებისა და გადახრებისაკენ.

ამას გარდა, ამხანაგებო, ამ შეცდომას ის აზრიც აქვს, რომ ეხლა ყოველი გლეხი, წერაკითხვის მცოდნე თუ არამცოდნე, ძალიან კარგათ ერკვევა იმაში, თუ რა არის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. მან საუცხოვოთ იცის ურთიერთდამოკიდებულება ცეკასა, სახკომსაბჭოსა და სხვა ორგანიზაციებს შორის. მან იცის, რომ პარტიის გადაწყვეტილება ამავე დროს არის საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებაც, რომ საბჭოთა ხელისუფლება პრაქტიკულად განახორციელებს იმას, რაც პრინციპიალურად გადასწყვიტა პარტიამ და პარტიის ცეკას პლენუმის ეს გადაწყვეტილება გლეხობამ გაიგო, როგორც ბრძანება, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტი, რომელიც ავალებს მას შევიდეს კოლმეურნეობებში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ, მაგალითად, გორის ოლქში იყო ასეთი კომიკური ფაქტი, როდესაც გლეხს ხელში ეჭირა სტალინის წერილი, როგორც პასპორტი, და ყვიროდა: „გაუმარჯოს სტალინს, დამიბრუნეთ ჩემი ძროხები უკანვე“-ო.

ამხანაგებო, როდესაც ჩვენ ვეკითხებით ჩვენს თავს—ჰქონდა თუ არა ადგილი ამ საკითხში ადმინისტრატიულ ძალდატანებას, უნდა ვთქვათ, რომ ცოტათ თუ ბევრად უეჭველად ჰქონდა ადგილი ყველა ოლქებსა და რაიონებში, მაგრამ ჩვენი კლასობრივი მტრები და ზოგიერთი კომუნისტური მოლაყბენი აზვიადებენ ადმინისტრატიული ძალდატანების ფაქტებს. ლენინი არასოდეს არ გვასწავლიდა ჩვენ გაგვეზვიადებინა ჩვენი შეცდომები.

შეცდომების მიჩქმალვა არ შეიძლება, მაგრამ მათი გაზვიადებაც არ არის სწორი. არიან ზოგიერთი კომუნისტები, რომლებიც მთელ მუშაობას კოლექტივიზაციის დარგში და გლეხების მასიურად შესვლას კოლმეურნეობებში ხსნიან მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრატიული ძალდატანების შედეგათ. ჩვენ ოფიციალური გამოსვლები გვქონდა ასეთი ხასიათის და ჩვენ იძულებული შევიქენით ასეთი ამხანაგები შეგვეჩერებია, მიგვეჩინა მათთვის შესაფერი ადგილი, რადგან მასიური კოლექტივიზაციის ახსნა მარტო ადმინისტრატიული ძალდატანებით—ეს ნიშნავს მემარჯვენეთა პოზიციებამდე დაგორებას, ეს ნიშნავს მემარჯვენეთა თვალთახედვით იქნეს გაშუქებული მთელი მუშაობა კოლექტივიზაციის დარგში. მართალი არ არიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ გლეხების ანტისაკოლმეურნეო გამოსვლა არის გლეხობის ანტისაბჭოთა გამოსვლა. მართალი არ არიან ზოგიერთი კომუნისტებიც, რომლებიც ამბობენ, რომ გლეხებს საერთოდ არ უნდოდათ კოლმეურნეობაში შესვლა. მართალია, ცეკას იანვრის პლენუმის მიერ საქართველოს მთელ რიგ რაიონების გამოცხადება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად გლეხობის მიერ გაგებული იქნა როგორც საბჭოთა ხელისუფლების ბრძანება და გასაკვირი არ არის, რომ გლეხობა მიაწყდა კოლმეურნეობებს, მაგრამ სტალინის წერილის—„თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“ გამოქვეყნების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩვენ ჩავატარეთ სათანადო ღონისძიებები გლეხობის ფართო მასისათვის საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითად პრინციპების, კოლმეურნეობებში შესვლის ნებაყოფლობის პრინციპების განსამარტავად, ბუნებრივად დაწყებულ გასვლას კოლმეურნეობებიდან საბოლოო ჯამში არ გამოუწვევია მათი სავსებით დაშლა. ხომ არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, რომ მიუხედავად ფართოდ გაშლილ კამპანიისა კოლმეურნეობებში შესვლის ნებაყოფლობის შესახებ, დღეისათვის ჩვენ გვაქვს 20-23 პროც. კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობებისა. საბოლოო ჯამში ჩვენ გვაქვს გლეხურ მეურნეობების კოლექტივიზაციის პროცენტის მნიშვნელოვანი ზრდა თუ გინდ იმასთან შედარებით, რაც ჩვენ გვქონდა მასიური კოლექტივიზაციის დაწყებით პერიოდში, როდესაც კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობების პროცენტი არ აღემატებოდა 6,5 პროც. კოლექტივიზაციის პროცენტის სწორედ ეს მნიშვნელოვანი ზრდა, როდესაც ყველა გლეხურ მეურნეობათა ერთი მეოთხედი გადავიდა წარმოების განსაზოგადოებულ ფორმებზე, საუკეთესოდ უარჰყოფს ცალკე ამხანაგების მტკიცებას იმის შესახებ, რომ მასიური კოლექტივიზაცია იყო მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრატიული ძალდატანების შედეგი; ასეთი მტკიცება ტიპიური მემარჯვენე უკლონისტური მტკიცებაა. კომუნისტები, რომლებიც ასეთ რამეს აცხადებენ, არსებითად მენშევიკების ანკესზე ეგებიან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მთელი გლეხობა წინააღმდეგია კოლექტივიზაციის. ეს ხომ ცილისწამებაა გლეხობაზე! გლეხობა, ეჭვს გარეშეა, კოლექტივიზაციას უჭერს მხარს და სწორედ კოლექტივიზაციის გამოცდილებამ, კერძოთ კი გლეხობის დამოკიდებულებამ ჩვენ მიერ დაშვებულ შეცდომებისადმი დაამტკიცა, რომ გლეხობის ღარიბი და საშუალო ფენები ჩვენ მოგვყვებიან. ეს კი საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ ჩვენ სოფლად მტკიცე საფუძველი გვაქვს. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ შეგვიძლია ამ საფუძვლის ან შესუსტება, ან განმტკიცება ჩვენი პრაქტიკული მუშაობით. ჩვენ უკვე ბოლშევიკური სიაშკარავით აღვნიშნეთ, რომ მთელ რიგ რაიონებში ჩვენ რამდენიმედ გაგვიფუჭდა დამოკიდებულება საშუალო გლეხთან, რადგან საშუალო გლეხის მიმართ დაშვებულ გადახრების გამო ადგილი ჰქონდა უკმაყოფილებას მისი მხრიდან. ამოცანა ეხლა მდგომარეობს იმაში, რომ ეს შეცდომები გამოვასწოროთ, აღმოვფხვრათ ისინი ძირიანად, არ დავტოვოთ არავითარი კვალი და ამით დავაწყნაროთ. საშუალო გლეხი, აღვადგინოთ მტკიცე კავშირი მასთან, ეს კავშირი გავხადოთ უფრო ძლიერი და დაურღვეველი, უფრო მაგარი, ვიდრე დღემდე იყო. ამიტომ გადაჭრით უარი უნდა ვსთქვათ ყოველგვარ ადმინისტრატიულ ძალდატანების მეთოდებზე და ხელი ავიღოთ გლეხობისათვის კოლექტივიზაციის ძალით თავზე მოხვევის ყოველგვარ ცდისაგან.

მესამე შეცდომა

მესამე შეცდომა მდგომარეობს შემდეგში: საქართველოს კომპარტიის ცეკა სავსებით ითვალისწინებდა ყველა თავის გამოსვლებში, ყველა თავის ოფიციალურ დოკუმენტებში, რომ არ შეიძლება კოლექტივიზაციის ერთნაირად ჩატარება ყველა რაიონებში, რომ საჭიროა კოლექტივიზაციის ტემპების დიფერენციაცია საქართველოს ცალკე რაიონებთან შეფარდებით. ჩვენ კი თავის დროზე არ მივეცით ადგილებს ეს მკაფიო დირექტივა. ამის შედეგად მივიღეთ ის, რომ ამხანაგებმა ერთნაირად დაიწყეს კოლექტივიზაციის გატარება ხორბლეულ რაიონებშიაც და მესაქონლეობის რაიონებშიაც; მათ არავითარი განსხვავება არ დაუშვეს ამ ცალკე რაიონებს შორის, რომლებიც ძირიანად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აშკარაა, რომ ერთია კოლექტივიზაციის ჩატარება შირაქის ველზე და სულ სხვაა მისი ჩატარება კარდანახის რაიონში; ერთია კოლექტივიზაციის ჩატარება სამტრედიაში ან ხონის რაიონში და მეორეა მისი ჩატარება აჭარის რაიონში, თვითეული რაიონის მეურნეობის სტრუქტურის სხვადასხვაობა შეუძლებელს ხდის ერთი და იგივე ზომების გატარებას და არ იძლევა საშუალებას ერთი და იგივე ტემპებით იქნეს ჩატარებული კო

ლექტივიზაცია ყველა ამ რაიონებში. მეურნეობების სხვადასხვა სტრუქტურა გვავალებს ჩვენ გავითვალისწინოთ ეს თავისებურებანი, რასაც ჩვენ ყველგან და ყოველთვის არ ვიღებდით მხედველობაში. მით უფრო აუცილებელია ამის გატარება ეხლა, როდესაც ჩვენ აღმოვაჩინეთ ეს შეცდომები; მით უფრო გვავალებს ეს გავატაროთ მიდგომის მეთოდების, კოლექტივიზაციის მეთოდების დიფერენციაცია სხვადასხვა რაიონების მიხედვით.

მეოთხე შეცდომა

ცეკას მეოთხე შეცდომა ის იყო, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი ჩვენ შევავსეთ ქალაქში ახალი ბურჟუაზიის ლიკვიდაციის ლოზუნგით. ეს შეცდომა — პოლიტიკური შეცდომა, რომელიც ჩვენ დაუშვით, ზოგიერთების აზრით, „რამდენიმეთ გვეპატიება", რამდენადაც ის იყო პარტიის მოსკოვის კომიტეტის შეცდომის განმეორება. მაგრამ არ შეიძლება ამით თავის გამართლება, არ შეიძლება მოსკოვის კომიტეტის შეცდომაზე დაყრდნობა, საჭიროა ვიფიქროთ საკუთარი თავითაც, რადგან ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელების დროს, ტაქტიკური სვლის დროს ყოველი ბოლშევიკის აუცილებელი პირობაა გაითვალისწინოს სპეციფიური პირობები, რომელშიაც ხორციელდება ეს ღონისძიებანი. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის კომიტეტის გადაწყვეტილება შემცდარი იყო, ჩვენ ამ ღონისძიებების გატარებას ვფიქრობდით საქართველოშიაც და ანგარიშს არ ვუწევდით იმ მდგომარეობას, რომ ჩვენში არსებითად „ახალი ბურჟუაზია" წარმოდგენილია, წვრილი ვაჭრებით, ისიც სასურსათო საქონლით მოვაჭრეებით და რომ ამ „ბურჟუაზიის" ლიკვიდაცია არ არის დღევანდელი დღის აქტუალური ამოცანა. პრაქტიკაში კი ჩვენ ასეთი ფაქტები გვქონდა.

მაგალითად, სამხრეთ-ოსეთში „ბურჟუაზიის" ლიკვიდაცია უყვეს ერთ დღეში, ე. ი. წაიღეს მთელი საქონელი კოოპერაციაში და გადაწყვიტეს, რომ ბურჟუაზია აღარ არის. ეხლა კი, როდესაც ჩვენ ვასწორებთ ამ შეცდომას, სამხრეთ-ოსეთის ამხანაგები ჩხირკედელაობენ ამ საკითხის გამო. შექმნეს იქ „ახალი" ბურჟუაზიის რაღაც სამი კატეგორია. ამასთან პირველი კატეგორიის პირებს ართმევენ ყველაფერს, მეორე კატეგორიისას უბრუნებენ ქონების 50 პროც., ხოლო მესამე კატეგორიის პირებს უბრუნებენ ყველაფერს. სამხრეთ-ოსეთში მომუშავე ამხანაგებმა უნდა შეიგნონ, რომ შეცდომები გამოსწორებული უნდა იქნეს ბოლომდე და უნდა დაუბრუნონ ამ ვაჭრებს საქონელი, რომელიც მათ ჩამოართვეს, ანდა დაუბრუნონ ამ საქონლის ეკვივალენტი. რა საჭიროა ამ საკითხში „ბოლშევიკური სიმტკიცის" გამოჩენა, როდესაც ამის საჭიროება სრულებით არ არის.

ახალი ბურჟუაზიის ასეთი ლიკვიდაცია არსებითად ჩატარებულ იქნა არა მარტო სამხრეთ-ოსეთში, როგორც მე ვფიქრობდი, არამედ ყველგან. რა არის, თუ არა ახალი ბურჟუაზიის ლიკვიდაცია, როდესაც თბილისის ბაზარი დახურეს კერძო ვაჭრობისათვის? თბილისის ბაზარი ხომ უკანასკნელ პერიოდამდე დახურული იყო კერძო ვაჭრობისათვის. რა არის, თუ არა ახალი ბურჟუაზიის ლიკვიდაცია, როდესაც სოფლად შეწყვიტეს ბაზრების არსებობა? ფაქტია, რომ სოფლად ბაზრები ცარიელი იყო. ამასთანავე ეს იყო იერიში არა მარტო ახალი ბურჟუაზიის, არამედ საშუალო გლეხის წინააღმდეგაც, რადგან მას საშუალებას არ აძლევდენ გაეყიდა თავისი მეურნეობის პროდუქცია.

მხოლოდ უკანასკნელ ხანებში სწორდება ეს შეცდომები. ჯერ კიდევ, დღევანდელ მომენტისათვის ჩვენ არა გვაქვს სავსებით აღდგენილი საქონლის ბრუნვა სოფელსა და ქალაქს შორის, ეს კი გავლენას ახდენს ქალაქის მომარაგებაზე. ამითვე აიხსნება ფასების სწრაფი ზრდა. ჩვენ გვაქვს ფასების 89 პროც. გადიდება კერძო ბაზარზე, მუშების მომარაგების გაუარესება და ყველაფერი ეს არის შედეგი მეტად მკაცრი დაწოლისა კერძო სექტორზე, მაშინ, როდესაც ჩვენი კოოპერაცია ჯერ კიდევ არ არის მომზადებული მთელი საცალო ვაჭრობის საშუამავლო ბრუნვის დასაპყრობად.

მეხუთე შეცდომა

მეხუთე შეცდომა ის იყო, რომ არა სწორად იქნა დაყენებული კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი. როგორც იცით, პარტიის ცენტრალურ კომიტეტის რეზოლუციაში ისეთნაირი ფორმულირება იყო მოცემული, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა გაგვეგო, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია შეიძლება გატარდეს არა მარტო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, არამედ ამ რაიონების ფარგლებს გარეშეც. ეს იყო ჩვენი დიდი პოლიტიკური შეცდომა. კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია იმას ნიშნავს, რომ გლეხობის საკოლმეურნეო მოძრაობა ფართო მასშტაბითაა გაშლილი. ეს ნიშნავს კაპიტალისტური მეურნეობის შეცვლას მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობით. კულაკობის ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების გარეშე — ეს ხომ შიშველი განკულაკებაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგთან! ხედავდა თუ არა ცენტრ. კომიტეტი ამ შეცდომებს? ახლა ისმის ხმები იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა ცენტრ. კომიტეტი, სად იყო იგი რატომ დაუშვა ეს შეცდომები. მართალია, ამხანაგებო, სჯობდა, რომ შეცდომები სრულიად არ გვქონოდა, მაგრამ ეს შეცდომები ფაქტია. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ შეცდომები არსებითად, საქართ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შენიშნულ იქნა ცენტ. კომიტეტის პლენუმის ორი კვირის შემდეგ. უკვე თებერვლის 2-ს სამდივნოში ირჩეოდა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს პრაქტიკულად კოლექტივიზაცია რაიონებში, რომელიც ჩვენ მიერ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებად იყო გამოცხადებული. და იმ დასკვნამდე მივედით, რომ თბილისის ოლქსა და ზუგდიდის მაზრაში კოლექტივიზაციის მიმდინარეობა იწვევს უთანხმოებას საშუალო გლეხობასთან. ამიტომ გადავწყვიტეთ გაუქმებულიყო ის დადგენილება, რომელიც თბილისის ოლქსა და ზუგდიდის მაზრას მთლიან კოლექტივიზაციის რაიონად აცხადებდა; ამასთანავე თბილისის საოლქო კომიტეტს და ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს, მხოლოდ იმის უფლება მივეცით, რომ თავის ოლქისა და მაზრის ფარგლებში დაესახათ მთლიანი კოლექტივიზაციის ცალკე რაიონები და აუცილებლად წარმოედგინათ ისინი ცენტრ. კომიტეტში დასამტკიცებლად.

მაგრამ, ამხანაგებო, სწორი არ იქნება იმისი თქმა, თითქოს ჩვენ მაშინვე შევუდექით შეცდომების გამოსწორებას. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები მართალია, დროზე იქნა შენიშნული, მაგრამ მათი გამოსწორება ვერ ხდებოდა საკმაოდ მტკიცედ, დაბეჯითებით, ბოლშევიკურად. მე ვიტყოდი, რომ საკმარისი სიმკაცრით ვერ ვაჩერებდით იმ ამხანაგებს, ადგილებზე, რომელნიც განაგრძობდენ „მემარცხენე" გადახრებს, რომელნიც განაგრძობდნენ კოლექტივიზაციის დაჩქარებით ჩატარებას. პარტიის ცენტრ. კომიტეტის მითითებათა შემდეგაც კი. მე ვფიქრობ, რომ ამაში მდგომარეობს მთავარი შეცდომა, რომელიც დაშვებული იქნა ცენტრ. კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ კოლექტივიზაციის საქმეში.

რაში მდგომარეობს ჩვენი შეცდომების ძირი.

რაშია, ამხანაგებო, ყველა ამ შეცდომის ძირი, საფუძველი, საიდან გამომდინარეობდნენ, რას ეყრდნობოდენ ისინი? მე მგონია, ამ შეცდომების ძირი მდგომარეობს იმაში, რომ განსაზღვრულ პერიოდის განმავლობაში ჩვენ დავივიწყეთ ლენინის ძირითადი დებულება, იმის შესახებ, რომ ყოველგვარი მშენებლობა სოფლად, სოფლის მეურნეობის ყოველგვარი ძირიან-ფესვიანი რეკონსტრუქცია უნდა გატარდეს მხოლოდ საშუალო გლეხობასთან კავშირის საფუძველზე. ჩვენ დროებით დავივიწყეთ, ლენინის შემდეგი დებულება: „კომუნებს ჩვენ ყოველმხრივად უწყობთ ხელს, მაგრამ ისინი ისე უნდა იყვნენ დაყენებული, რომ დაიმსახურონ გლეხკაცობის ნდობა; მანამდე კი ჩვენ გლეხების მოწაფეები ვართ და არა მათი მასწავლებლები. იმაზე მეტი სისულელე არაფერია, როდესაც სოფლის მეურნეობისა და მისი თავისებურობათა უცოდინარი ადამიანები, ადამიანები, რომლებმაც სოფელს მხოლოდ იმიტომ მიაშურეს, რომ გაიგონეს საზოგადოებრივ მეურნეობის სარგებლიანობის შესახებ, რომელნიც დაქანცნენ ქალაქური ცხოვრებით და სურთ სოფლად მუშაობა — როდესაც ამ ადამიანებს ყველაფერში გლეხების მასწავლებლებად მიაჩნიათ თავი. იმაზე მეტი სისულელე არაფერია, როდესაც ვინმეს აზრით თვით ძალადობას დაუშვებს საშუალო გლეხობასთან სამეურნეო ურთიერთობათა დამყარების დარგში.

აქ ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მოახდინო საშუალო გლეხის ექსპროპრიაცია, არამედ იმაში, რომ ანგარიში გაუწიოთ გლეხის ცხოვრების თავისებურ პირობებს, ისწავლო გლეხებისაგან უკეთეს წყობილებაზე გადასვლის ხერხები და არ გაბედო მის მიმართ ბრძანებლობა. აი, ის წესები, რომლებიც ჩვენ დავსახეთ". (ლენინი, ტ. მე-16, გვ. 151).

განსაზღვრულ დროს განმავლობაში ჩვენ დავივიწყეთ ის ძირითადი ლენინური წესი, რომლის მიხედვით ანგარიში უნდა გაეწიოს საშუალო გლეხის ცხოვრების თავისებურ პირობებს და არავინ არ უნდა გაბედოს — მბრძანებლობა მის მიმართ, ე. ი. დავივიწყეთ ის წესი, რომლის მიხედვით სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის საფუძველზე. აი, იმ შეცდომების საფუძველი, რომელთა შესახებ მე ვლაპარაკობდი.

ამხანაგებო, სავსებით ცხადია, რომ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციასა და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგის განხორციელებისათვის დაკავშირებული უდიდესი მუშაობა, შესაძლებელია ვაწარმოოთ მხოლოდ საშუალო გლეხთან მჭიდრო კავშირის დამყარებით და ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით. ამ პრინციპის დავიწყებამ ის გამოიწვია, რომ დავარღვიეთ ნებაყოფლობითი პრინციპი საკოლმეურნეო მშენებლობაში.

ამხანაგებო, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ შეცდომას პრაქტიკაში დაერთო მთელი რიგი უხეში შეცდომები სარაიონო და საოლქო ხელმძღვანელობის მხრივ. ჩვენ მოგვეპოვება ადმინისტრატიული იძულებისა და გადახრების ისეთი ფაქტები (ამაზე მე არაფერს ვიტყვი, ყველა ამხანაგმა იცის), რომელიც ვერ მიგვიყვანდა ჩვენ მიერ დასახულ შედეგებთან.

მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომაა, რომელიც ადგილებზე იყო ჩადენილი, ეს ისაა, რომ განკულაკება შეეხო საშუალო გლეხობის განსაზღვრულ ნაწილსაც; შეცდომა არ იქნება, თუ კი ვიტყვით, რომ განკულაკებულთა რიცხვის 15-20 პროცენტს საშუალო გლეხობა შეადგენდა (ხმები ადგილიდან: ღარიბებიც მოხვდნენ მათში). ღარიბები გამონაკლისს შეადგენდნენ. მით უარესი, თუ განკულაკებულთა რიცხვში ღარიბებიც ჰყვებოდნენ. თუნდაც დავუშვათ, რომ განკულაკებულთა შორის მხოლოდ 10 პროც.-ს შეადგენდა საშუალო გლეხობა, ეს იმას ნიშნავს, რომ განკულაკებით ჩვენ დავაფრთხეთ საშუალო გლეხობის შესამჩნევი ნაწილი. ამას განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა საშუალო გლეხობის შეძლებულ ჯგუფების მიმართ. ამხანაგებმა ადგილებზე ვერ შესძლეს ერთმანეთში გაერჩიათ კულაკობა და საშუალო გლეხობის შეძლებული ნაწილი. ზოგჯერ ძალიან ძნელიცაა კულაკის გარჩევა შეძლებულ საშუალო გლეხისაგან, ვინაიდან ხშირად, გარეგნულად მაინც, შეძლებულ საშუალო გლეხს მოეპოვება კულაკური მეურნეობის ყველა ელემენტით. ამას თუ მივუმატებთ იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ ოლქებში თითქმის სრულიად არ მოიპოვებოდა კადრები, მაშინ ფრიად უნუგეშო სურათს მივიღებთ. მაგალითად, კახეთში სრულიად არ მოგვეპოვებოდა ისეთი ადგილობრივი ამხანაგების კადრები, რომელთაც შესძლოთ საკუთარი თვით მოენელებინათ კოლექტივიზაციის სულ უმარტივესი ცნება.

კახეთში სოფლის საბჭოს ერთ თავმჯდომარეს გლეხმა კითხვა დაუსვა კოლექტივიზაციის შესახებ; მან ვერ შესძლო კითხვაზე პასუხი გაეცა და ნაცვლად ამისა რევოლვერით დაემუქრა. ეს ხომ ისეთი ფაქტია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი! ასეთი გადახრები, როდესაც განკულაკებულთა რიცხვში ჰყვებოდნენ საშუალო გლეხები, მდიდარ საზრდოს აძლევდა კულაკურ ელემენტების პროპაგანდისა და აგიტაციას. ჩვენმა კლასობრივმა მტერმა მშვენივრად გამოიყენა ეს უდიდესი შეცდომა ჩვენს მუშაობაში. კულაკმა შესძლო რამოდენიმეთ დაერწმუნებინა საშუალო გლეხობის განსაზღვრული ნაწილი, რომ განკულაკება პირწმინდად ყველას ეხება, მათ შორის საშუალო გლეხსაც. ამას კი, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ერთბაშ მაინც არ დაეფრთხო ჩვენგან გლეხობის ცალკე საშუალო ფენები.

ამხანაგებო, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ უეჭველი გარდატეხა ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობაში. ეჭვს გარეშეა, რომ მთლიანად და საერთოდ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ ხელი მოჰკიდა შეცდომათა გამოსწორებას. მართალია და შეცდომები ბოლშევიკურად მჟღავნდება. მათ ხელს არავინ აფარებს. მაგრამ, ამხანაგებო, არ შეგვიძლიან დავიკვეხოთ, რომ პრაქტიკაში ამ შეცდომათა გამოსწორების საქმეში, ჩვენ ვხედავდეთ მკვეთრ გარდატეხას. ჯერ კიდევ მოიპოვება „მემარცხენე" გადახრების ცალკე ფაქტები, წინ წასწრების ფაქტები. ცალკე საოლქო ორგანიზაციებმა შესძლეს თვიანთი მუშაობის გარდაქმნა, მაგრამ ვერ მოახერხეს გარდაექმნათ ადგილობრივი ორგანიზაციების, განსაკუთრებით ძირითადი ორგანიზაციების მუშაობა.

ამას წინად ამ.-კავკასიის სოც. ფედ. რესპ. ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტრუქტორმა საკავშირო კომის. აკადემიის დავალებით გამოიკვლია ხაშურის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონი, გამოკვლევა ჩატარდა ამ. ჩახვაძის ხელმძღვანელობით და ჯანელიძის მონაწილეობით, რომელთაც შეადგინეს ფრიად საინტერესო მოხსენება ხაშურის, ახლანდელი სტალინის რაიონის კოლექტივიზაციის მდგომარეობაზე. მოხსენებიდან ჩანს, რომ სოფლის უჯრედების ზოგიერთი მდივნები და მომაგრებული ამხანაგები ჯერ კიდევ არ შესდგომიან შეცდომათა გამოსწორებას და კვლავ განაგრძობენ ხეპრულ პრაქტიკას. რამდენადაც ვიცი, პარტიის სარაიონო კომიტეტმა განიხილა ეს მოხსენება და უკვე მიიღო ზომები იმ შეცდომათა გამოსასწორებლად, რომელიც ამ გამოკვლევის მასალებში იყო აღნიშნული. მაგრამ ხაშურის რაიონის გამოკვლევით გამომჟღავნებული მდგომარეობა გველაპარაკება, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ ყველგან არ შესდგომიან ჩადენილი შეცდომების ძირიან-ფესვიანად ალმოფხვრას.

გაშლილი ფრონტით მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ

ნებაყოფლობის პრინციპი ლენინური გაგებისათვის

ცხადია, ამხანაგებო, რომ კოლექტივიზაციის საქმეში ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომების არ შეეძლო არ გამოეწვია ჩვენი პარტიის ორგანიზაციის ცალკე წევრთა შორის მემარჯვენე განწყობილების ერთგვარი გაძლიერება. მე უკვე გითხარით, რომ გვყავანან ისეთი კომუნისტები, რომელთაც ჰგონიათ, რომ კოლექტივიზაცია, საერთოდ შეუფერებელია საქართველოსათვის. ზოგიერთ კომუნისტის აზრით კი კოლექტივიზაციის გატარება შეიძლება, მაგრამ იგი აბსოლიუტურად ნებაყოფლობით უნდა გატარდეს, არავითარი ჩარევა არ უნდა მოხდეს საქმეში, არ უნდა ხცდილობდე გლეხობის დაჯერებას, რომ კოლექტიური მეურნეობა მისთვის სარფაა. სწორია, თუ არა ნებაყოფლობის პრინციპის ამნაირი განმარტება? შეგვიძლიან თუ არა ნებაყოფლობის პრინციპის ასეთი მეშჩანური, ასეთი ობივატელური გაგება? შეგვიძლია თუ არა დავკმაყოფილდეთ საკოლმეურნეო მოძრაობის სარგებლობის დეკლარაციით ერთპიროვნულ მეურნეობასთან შედარებით და არაფერი გავაკეთოთ პრაქტიკულად იმისათვის, რომ დავაჩქაროთ გლეხობის შესვლა კოლექტიურ მეურნეობაში? იქნება თუ არა ეს კოლმეურნეობაში შესვლის ნებაყოფლობითი პრინციპის ლენინური გაგება? რა თქმა უნდა, არ იქნება. ასეთნაირი გაგება ნებაყოფლობის პრინციპისა არაა ბოლშევიკური გაგება; ეს არის ოპორტუნისტული გაგება, მემარჯვენე განმარტება. ჩვენის ფიქრით, ნებაყოფლობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ არა შემთხვევაში არ უნდა ვახდენდეთ მბრძანებლობას. საშუალო გლეხობის მიმართ, არა შემთხვევაში არ უნდა ვბედავდეთ გლეხობის მიმართ ადმინისტრატიული ზომების იძულებას, რათა იგი კოლმეურნეობაში შევიდეს. მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა შევიმუშავებდეთ მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელნიც პრაქტიკაზე დაუმტკიცებენ გლეხებს კოლექტიურ, მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობის სარგებლობას ინდივიდუალურ, წვრილ დაქსაქსულ მეურნეობასთან შედარებით.

ამნაირ პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთ-ერთი მთავარი მეთოდი არის ის შეღავათები, რომელსაც აძლევს საბჭოთა ხელისუფლება კოლმეურნეობებს. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ გლეხობის ფართო მასებს ამ შეღავათების შესახებ ჯერ არაფერი სმენიათ, რაც ჩვენი საოლქო პარტორგანიზაციების მუშაობაში დიდ მინუსად უნდა ჩაითვალოს.

ამ ღონისძიებებზე, ამხანაგებო, ჩვენ უარს ვერ ვიტყვით. ავიღოთ სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის მიცემა. განა იმიტომ რომ ჩვენ ვერ შევძელით კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტის შენარჩუნება, განა ეს გარემოება პრინციპში სცვლის სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის მიცემის წესს? განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ საკოლმეურნეო სექტორისათვის უფრო მეტი კრედიტის მიცემაზე ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით? თუ ჩვენ უარს ვიტყვით საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერების ამ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ საერთოდ ხელს ვიღებთ კოლექტივიზაციაზე!

განა ვისმეს სჯერია იმის განმარტება, რომ გლეხი ასე უბრალოდ თავისით კოლმეურნეობაში არ შევა? ჩვენ რომ ველოდოთ ასეთნაირ შეგნებას გლეხისაგან, ველოდოთ, თუ როდის დარწმუნდება იგი მეცნიერულად და თეორიულად, რომ მისთვის კოლმეურნეობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობა, ამასობაში ძალიან და ძალიან დიდი დრო გავა. ამ გზით სიარული ჩვენ არ შეგვიძლიან. ჩვენ ყოველნაირად უნდა ვცდილობდეთ, რომ გლეხს შეგნება გაზარდოს, რომ მან შეიგნოს კოლმეურნეობის სარფიანობა ინდივიდუალურთან შედარებით, მაგრამ ამ აგიტაციასა და პროპაგანდას თან უნდა სდევდეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც დაარწმუნებს გლეხს პრაქტიკაზე, რომ მისთვის უმჯობესია კოლმეურნეობაში ყოფნა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევა იგი კოლმეურნეობაში. გლეხი პრაქტიკოსია: მას ყველაფერი ფულზე გადააქვს და მხოლოდ მაშინ შევა კოლმეურნეობაში, როდესაც დარწმუნდება, რომ კოლმეურნეობა უფრო სარფაა მისთვის, რომ კოლმეურნეობა არსებობისა და განვითარების უფრო უკეთეს პირობებს იძლევა, რომ იგი უფრო მეტ კრედიტებს იძლევა, რომ იქ ნაკლები გადასახადებია და სხვ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევა გლეხი კოლმეურნეობაში და ამიტომ ამ ღონისძიებაზე უარის თქმა არ იქნებოდა ბოლშევიკური, ლენინური მოქცევა. აი რას ამბობს ლენინი ნებაყოფლობითი პრინციპის შესახებ:

„რა ხან ითქვა, რომ საჭიროა გლეხის ნებაყოფლობითი თანხმობის მიღება, მაშასადამე, პრაქტიკულად უნდა დავაჯეროთ იგი. გლეხებს სიტყვებს არ აჰყვებიან და ძალიან კარგსაც იზამენ, რომ არ აჰყვებიან. ცუდი საქმე იქნებოდა, რომ მათ დაუჯერონ მარტო დეკრეტისა და სააგიტაციო ფურცლების წაკითხვას. ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნა ასე რომ შეიძლებოდეს, ამნაირი გარდაქმნა გახვრეტილ ფარად არ ეღირებოდა. ჯერ უნდა დავამტკიცოთ, რომ ასეთი გაერთიანება უმჯობესია; უნდა გაეერთიანონ ხალხი ისე, რომ მართლა გაერთიანება გამოვიდეს და არა დაქსაქსვა, უნდა დაამტკიცოთ, რომ ეს ხელსაყრელია". (ლენინი, მე-16 ტ. 152 გვ.).

ამიტომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ იმათ, რომელნიც დღეს გამოდიან ვითომდა კოლექტივიზაციის დასაცავად, მაგრამ ისეთი კოლექტივიზაციისა, რომელიც დამყარებულ იქნება მარტოდ-მარტო ნებაყოფლობის საფუძველზე; ამ ნებაყოფლობაში კი ისინი გულისხმობენ გულზე ხელების დაკრეფას, არაფრის კეთებას და იმას, რომ კოლმეურნეობებს არავითარი შეღავათი არ მიეცეთ. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ასეთებს, რადგანაც ისინი იმავ მემარჯვენე ელემენტებს წარმოადგენენ, რომელნიც უკან —საკოლმეურნეო მოძრაობიდან კაპიტალიზმისაკენ გვეწევიან.

კულაკობასთან ბრძოლას ერთი წუთითაც ვერ შევანელებთ

მაგრამ ჩვენა გვყავს სხვა ჯგუფიც, თავისებურად მოაზროვნე ამხანაგთა ჯგუფიც. ადგილი აქვს ცალკე სარაიონო მუშაკთა (მაგალითად კახეთში) გამოსვლებს. ეს ამხანაგები ასეთნაირად მსჯელობენ: „რომ დავამშვიდოთ საშუალო გლეხი, რომ მასთან დავამყაროთ მტკიცე კავშირი, ამისთვის საჭიროა დროებით მაინც მოვსპოთ ბრძოლა კულაკის წინააღმდეგო". არსებითად ეს აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ კახეთში საშუალო გლეხის დაშოშმინებას მანამ, ვიდრე კულაკობის მიმართ დათმობაზე არ წავალთ. არავისთვის საიდუმლოება არაა, რომ კოლექტივიზაციის საქმეში ყველაზე დიდი მარცხი კახეთში მოხდა, რომ კახეთში ჩვენი შეცდომებისა და ხიხვპრის გამო საგრძნობლად წავახდინეთ დამოკიდებულება საშუალო გლეხთან, ამ გარემოებიდან გამოდიან ამხანაგები და ჩვენ წინადადებას გვაძლევენ, ვითომდა საშუალო გლეხთან კავშირის გულისთვის, ჯერ ერთი, შევაჩეროთ ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ და მეორეც, რამდენადაც დღეს საშუალო გლეხი ეჭვიანია, დროებით მაინც შევაჩეროთ მუშაობა ღარიბთა შორის, ე. ი. ნუ მოვიწვევთ ღარიბთა კრებებს, ნუ დავრაზმავთ მათ ჯგუფებს, რადგანაც ეს აღიზიანებს საშუალო გლეხსო. სწორია თუ არა ეს თვალსაზრისი? არაა სწორი, რადგანაც ეს წარმოადგენს მემარჯვენე ლოზუნგის პრაქტიკულ გატარებას სოფლად კოლექტივიზაციის საქმეში. ჩვენ არ შეგვიძლიან უარი ვთქვათ და არც უნდა ვთქვათ უარი იმაზე, რომ ფრიად გადამწყვეტი, უმკაცრესი ბრძოლა სწარმოებდეს კულაკის წინააღმდეგ, ჩვენ ერთი წუთითაც ვერ შევაჩერებთ მუშაობას ღარიბთა დარაზმვის საქმეში. პარტია რომ ამ გზას დაადგეს, მან, რომ მიჩქმალოს სოფლად კლასობრივი ბრძოლის ხაზი, ვითომდა საშუალო გლეხთან კავშირის გულისთვის, ეს იქნებოდა კულაკის პოზიციების გაძლიერება, ეს იქნებოდა საშუალო გლეხთან კავშირის გაწყვეტის დასაწყისი. სტალინს, გეგონებათ, კახეთის მაგალითი ჰქონდაო მხედველობაში, როდესაც სწერდა: „ერთნი ფიქრობენ საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევას კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელის აღებით ან და ამ ბრძოლის შენელებით: კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლას შეუძლიან დააფრთხოს საშუალო გლეხობის ნაწილი, მისი შეძლებული ნაწილიო. მეორენი ჰფიქრობენ, საშუალო გლეხთან შეთანხმების დამყარებას ღარიბთა შორის მუშაობაზე ხელის აღებით, ანდა ამ მუშაობის შენელებით: ღარიბთა დარაზმვა იწვევს მათ გამოცალკევებას, ხოლო ამ გამოცალკევებას შეუძლია დააფრთხოს ჩვენგან საშუალო გლეხობა. სწორი ხაზიდან ამ გადახრების შედეგად ჩვენ ვღებულობთ იმ მარქსისტული დებულების დავიწყებას, რომ საშუალო გლეხი მერყევი კლასია, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმება შეიძლება მტკიცე იყოს მხოლოდ იმ პირობით, თუ გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს კულაკის წინააღმდეგ და ძლიერდება მუშაობა ღარიბთა შორის" (სტალინი „ლენინიზმის საკითხები")

ამხანაგებო, ჩვენ, ბოლშევიკებს არა ერთი წუთით და არას შემთხვევაში არ შეგვიძლიან დავივიწყოთ ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა არამც თუ არ უნდა შევასუსტოთ, არამედ ყოველნაირად უნდა გავაღრმავოთ იგი და უნდა ვცდილობდეთ კულაკობის მაქსიმალურ იზოლიაციას. მეორე მხრით, უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მოჯამაგირეთა დარაზმვის საქმეში. უნდა აშკარად ვთქვათ, რომ ამ ღონისძიების განხორციელება ჩვენში საგრძნობლად ჩამორჩენილია. მთელ რიგ ორგანიზაციებში ღარიბი გლეხობა დარაზმული არაა. ესეც კოლექტივიზაციის საქმეში არსებულ გართულებათა ერთ-ერთი მიზეზია. მხოლოდ ღარიბთა შორის ფართოდ გაშლილ მუშაობის საფუძველზე შეგვიძლიან ავაგოთ ჯანსაღი კავშირი საშუალო გლეხთან, ვინაიდან ღარიბთა ნამდვილი შეკავშირება კი არ აფრთხობს ჩვენგან საშუალო გლეხს, არამედ უფრო აახლოვებს მას ჩვენს პოლიტიკასთან.

ამხანაგებო, ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტებს არა სწამთ ჩვენი კოლმეურნეობანი. განა საიდუმლოებაა, რომ ძალიან ბევრი კომუნისტი და ხშირად ფრიად პასუხისმგებელი კომუნისტები სავსებით უპასუხისმგებლოდ, აბუჩად იგდებენ ჩვენს კოლმეურნეობებს? (ხმები — მართალია!).

ჩვენს კოლმეურნეობებს, რომ მრავალი ნაკლი ახლავს, ეს ფაქტია. ამაზე შემდეგ იქნება ლაპარაკი. ჩვენ რომ დღევანდლამდე არ მოგვეპოვება არც ერთი ძლიერი კოლმეურნეობა, რომელიც მოწყობილი იყოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით (შრომის ორგანიზაცია და სხვ.) — ეს ფაქტია. მაგრამ ეს ნაკლი და ეს შეცდომები სახელს ვერ გაუტეხენ საერთოდ საკოლმეურნეო მოძრაობას. განა შეიძლება ასე ხელაღებით ჩვენი კოლმეურნეობისა აბუჩად აგდება? ამ თვალსაზრისზე პარტია ვერ გაჩერდება. ჩვენ ყველა ზომა უნდა მივიღოთ, რომ განვამტკიცოთ არსებული კოლმეურნეობანი. ჩვენ უნდა ჩავებღაუჭოთ თვითეულ გლეხს, რომელსაც ჰსურს კოლმეურნეობაში შესვლა, უნდა ვცდილობდეთ, რომ გლეხი დარჩეს კოლმეურნეობაში და ამ მხრივ არავითარ გამრუდებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევსძლებთ კოლმეურნეობათა გამაგრებას. მხოლოდ მაშინ შევძლებთ კოლმეურნეობათა განმტკიცებას და მათ გადაქცევას სოფელში სოციალიზმის მშენებლობის საფუძვლად, როდესაც ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ თვითეული გლეხი შევიდეს კოლმეურნეობაში, თვითეული ზედმეტი ადამიანი დარჩეს შიგ. ეს უნდა შეადგენდეს ჩვენი მომავალი საშემოდგომო თესვის კამპანიის მთავარ ამოცანას. ის დამოკიდებულება, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, აბუჩად აგდების დამოკიდებულება და იგი შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან. აი რისთვისაა საჭირო ჩვენს პარტიაში მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გამახვილება. უნდა სწორი გეზი მიეცეს პარტიულ ორგანიზაციებს, რათა მათ შესძლონ კოლმეურნეობათა განმტკიცება და არა მათი დარღვევა. მე ვიცი, რომ ზოგიერთი ფრიად პასუხისმგებელი ამხანაგი, რაიონს დავლის დროს, ნაცვლად იმისა, რომ მას დაეჯერებინა გლეხები კოლექტივში დარჩენილიყვნენ, ასეთ რამეს ეუბნებოდათ: „თუ არ გინდა კოლმეურნეობაში დარჩენა, გადი, გზა მშვიდობისაო". ეს ამხანაგები ბოლშევიკურად ვერ იქცეოდნენ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ ვშლით კოლმეურნეობებს. ვინ არ იცის, რომ გლეხი თავისი თანხმობით არ მოისურვებს კოლმეურნეობაში შესვლას, რომ იგი საამისოდ იმდენად შეგნებული არაა? საჭიროა ეს თანხმობა გამოვიწვიოთ მასში, საჭიროა დავაჯეროთ, დავარწმუნოთ იგი, რომ კოლმეურნეობაში შესვლა ხელსაყრელია მისთვის, რასაკვირველია ამის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ადმინისტრატიულ იძულებას და შეცდომების განმეორებას. მაგრამ განა შეიძლება ასეთი ლიბერალობა, ასეთი „ბატონკაცური" მიდგომა საკოლმეურნეო მოძრაობისადმი, როგორსაც ზოგიერთი ამხანაგები იჩენენ? ის კი არაა კარგი ბოლშევიკი, ვინც სულ უმცირესი დაბრკოლების დროს განგაშს სტეხს და პანიკით იხევს უკან (ეს არის პანიკიორობა), არამედ ის ბოლშევიკია კარგი, რომელიც მძიმე პირობებში ახერხებს კოლმეურნეობის შენარჩუნებას (ტაში). მხოლოდ ამნაირი მიდგომით შევსძლებთ პარტიის იმ დავალებათა შესრულებას, რომელიც ამ მხრივ გვაქვს მოცემული.

აღვკვეთოთ „მემარცხენე" გადახვევები კოლმეურნეობათა მშენებლობაში

ამხანაგებო, გადამწყვეტი ბრძოლა ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ, მემარჯვენე ტენდენციების წინააღმდეგ, მოითხოვს იმას, რომ დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ზომები აგრეთვე „მემარცხენე" გადახრების წინააღმდეგაც, რომელთაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

ადგილი აქვს ასეთ ფაქტებს. მესამე რაიონის კონფერენციაზე გამოვიდა ერთი ამხანაგი და ასეთი აზრი გამოსთქვა: „რა იყო, რა მოხდა, განა ასეთი დიდი საქმე უსისხლოთ კეთდება"? ასე გაიგო იმან იმ შეცდომების გაკვეთილი, რომელნიც კოლექტივიზაციის საქმეში იყო დაშვებული. ჩვენ რომ ამოცანად დავისახოთ კოლექტივიზაციის შექმნა გლეხის სისხლით, ეს საბჭოთა ძალაუფლების დაღუპვა იქნებოდა. ამნაირ „მემარცხენე" გამრუდებათა წინააღმდეგ უნდა გამახვილდეს მთელი თავისი ყურადღება, სწორედ იმიტომ, რომ აღმოფხვრას იგი, რადგანაც „მემარცხენე" გადახრები ასაზრდოებენ და აძლიერებენ მემარჯვენე ტენდენციებსა და მერყეობას, ჩვენმა შეცდომებმა საზრდო მისცეს კულაკურსა და სხვათა აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საშუალება მისცეს კულაკობასა და სხვადასხვა ანტისაბჭოთა ელემენტებს აემხედრებინათ საშუალო გლეხობის განსაზღვრული ნაწილი, დაერაზმათ იგი კულაკური ლოზუნგების გარშემო. სწორედ ასევე „მემარცხენე" გამრუდებას შეუძლიან საშუალება მისცეს ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტებს დარაზმონ საზოგადოებრივი აზრი პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

ანდა ასეთი თეორია, რომელსაც ზოგიერთი ამხანაგი ავრცელებს, მოქცევისა და უკუქცევის თეორია არის ხოლმე, ამბობენ ისინი, ზღვის „მოქცევა" და „უკუქცევა", იგივე ხდება საშუალო გლეხობაშიც. არის საშუალო გლეხის „მოქცევა" და „უკუქცევა". ესაა პირწმინდა მექანიკური მიდგომა საკითხისადმი, ესაა საკითხის დამახინჯება. რა თქმა უნდა, საშუალო გლეხი მერყეობს, ყოყმანობს. ასე იოლად, ერთ მშვენიერ დღეს ხელს ვერ აიღებს ყველაფერზე იმ კერძო მესაკუთრის, ინდივიდუალისტის ფსიხოლოგიაზე, რომელიც ჯერ კიდევ ოცნებობს, კულაკი შეიქნეს. მაგრამ მარტო საშუალო გლეხის მერყეობით რომ ავხსნათ ყველა ჩვენი მარცხი და შეცდომა საკოლმეურნეო მშენებლობაში, ეს უდიდესი პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა.

ამხანაგებო, საქმე ისაა, რომ შეცდომებით ჩვენ შეგვიძლიან გავაძლიეროთ ან შევანელოთ საშუალო გლეხი კაცის მერყეობა. ამ შეცდომებს ადგილი, რომ არა ჰქონოდა კოლექტივიზაციის საქმეში, ეჭვი არაა, უფრო ნაკლები მერყეობის მოწმენი ვიქნებოდით, ვიდრე ამას დღეს ვხედავთ. და პირიქით, რაც უფრო მეტ შეცდომებს ვუშვებდით, მით უფრო ვაძლიერებდით საშუალო გლეხის მერყეობას.

ანდა ასეთნაირი მსჯელობა, რომ „თუ საშუალო გლეხს ზევიდან არ დააჭირე, ისე კოლმეურნეობაში არ შევაო". თუ ამ „დაჭერას" ბოლშევიკურად გავიგებთ, იმ აზრით, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, თუ ეს ჩვენ გვესმის, როგორც ჯამი პრაქტიკულ, ეკონომიურ ღონისძიებათა, რომელიც მიმართულია მასობრივ კოლექტივიზაციის ნიადაგის შემზადებისაკენ, ეს ეხიანა, რომ ბოლშევიკური „დაჭერა" ბოლშევიკური იძულება იქნებოდა. მაგრამ ისინი, ვინც ამაზე ლაპარაკობენ, ამნაირ იძულებას როდი გულისხმობენ. ისინი გულისხმობენ ნამდვილ ადმინისტრატიულ იძულებას. აი, ამხანაგებო, ამ „მემარცხენე" განწყობილებას უნდა ვებრძოლოთ, რათა, ჯერ ერთი, დავაშოშმინოთ საშუალო გლეხი და მეორე, რათა სწრაფად აღმოვფხვრათ ის მემარჯვენე ტენდენციები და განწყობილებანი, რომელნიც საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით არ შეიძლებოდა არ გაძლიერებულიყვნენ.

შეცდომების გასწორების გზით—საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი გაშლისაკენ

კოლმეურნეობათა მუშაობის ნაკლოვანებანი

რა ძირითადი ნაკლი ახლავს ჩვენს კოლმეურნეობებს? პირველი და ძირითადი ნაკლი ისაა, რომ საკმაო ბრძოლა არა სწარმოებს გამორჩენის ფსიხოლოგიასთან, რომელითაც ღარიბთა ერთი ნაწილია მოცული. ძალიან ხშირად ღარიბები კოლმეურნეობის შიგნით აყენებენ გათანაბრების საკითხს. იმათ არ მოსწონთ, რომ საშუალო გლეხი კოლმეურნეობაშიაც საშუალოდ რჩება. მეორე მხრივ გლეხები ისეთ მოთხოვნილებებს უყენებენ სახელმწიფოს, რომელთა შესრულება არ შეგვიძლიან. ადგილი აქვს მთელ რიგ ისეთ ფაქტებს, რომ გლეხები კოლმეურნეობას უყურებენ, როგორც სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებას. მათი აზრით სახელმწიფო ვალდებულია მისცეს მათ პური, მანუფაქტურა და სხვ. რასაკვირველია, ეს სწორი თვალსაზრისი არაა, ესაა ყველაზე საზიანო თვალსაზრისი, რომელსაც გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ. ამნაირ განწყობილებათა წინააღმდეგ კი ჩვენში საკმაო ბრძოლა არ სწარმოებს.

მეორე დიდი ნაკლი კოლმეურნეობათა მუშაობაში, ესაა კოლმეურნეობის შინასაწარმოო ცხოვრების მოუწესრიგებლობა და კერძოდ შრომის ორგანიზაციის უქონლობა. საქართველოში ერთი კოლმეურნეობაც არ მოიძებნება, რომ იქ შრომა ცოტად თუ ბევრად ხეირიანად იყოს მოწყობილი; ეს კი კოლმეურნეობის არსებობის საფუძველს წარმოადგენს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ ჩვენ გლეხებს ვერ გადავაჩვევთ, კოლმეურნეობა დაიშლება. თუ გლეხები დარწმუნებულნი არ იქნებიან, რომ მათი შრომა უზრუნველყოფილი იქნება, რომ მათი შრომა ღირსეულად დაფასდება, ისინი დაიწყებენ გაქცევას კოლმეურნეობიდან, უპირველეს ყოვლისა ამ მხრივ თავს უჩვეულეს საშუალო გლეხი. არის ისეთი ფაქტები, რომ მთელ რიგ რაიონებში ქვედა პარტიული ორგანიზაციები არამც თუ არ ებრძვიან ამ საწარმოო განწყობილებას, და გათანაბრების მავნე ტენდენციებს, რომელნიც ღარიბ გლეხთა წრეებიდან გამომდინარეობს, არამედ ხშირად აქეზებენ კიდეც ამას. მაგალითად სოფ. რუისში (გორის ოლქი), განსაზოგადოებულ ბაღები და ყოფილ პატრონთა კერძო სარგებლობაში სამას-სამასი კვადრ. საჟენი სამრეწველო ხილის ბაღები დასტოვეს. ეს ნორმა ძალიან დიდია. ჩვენ ვამბობდით, რომ გლეხს თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ხილის ბაღის სამომხმარებლო ნორმა უნდა დაეტოვოს; მაგრამ 300 საჟ. ეს სამომხმარებლო ნორმა არაა, თუ განსაკუთრებით მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ რაიონში ბაღებს სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. იქ დაადგინეს, რომ სამას-სამასი კვ. საჟენი ბაღი დაურიგდეს იმ გლეხებსაც, რომელთაც კოლმეურნეობაში გაერთიანებამდე სულ არ ჰქონიათ ბაღები, რათა მათაც დაიკმაყოფილონ სამომხმარებლო საჭიროებანი. საბოლოო ანგარიშის დროს გამოირკვა, რომ კოლმეურნეებს განსაზოგადოებული ამოიღეს მხოლოდ 20 ჰექტარი ბაღი, ე. ი. 10-ჯერ ნაკლები იმაზე, რაც კოლექტივიზაციამდე იყო მათ მფლობელობაში. ასეთი ფაქტები სხვა ორგანიზაციებშიაც ხდება.

მართალია რუისში დაშვებული შეცდომა საოლქო კომიტეტმა გამოასწორა, მაგრამ ასეთ ფაქტებს ვხვდებით ქუთაისშიაც, კახეთშიც და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებში. ამაზე ვაჩერებ თქვენს ყურადღებას, მხოლოდ იმიტომ, რომ პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ანგარიში გაუწიონ ამას, ებრძოლონ ღარიბთა ამგვარ ტენდენციებს, რადგანაც ეს აფრთხობს ჩვენგან საშუალო გლეხკაცობას. თუ ეს დეფექტები დაუყოვნებლივ არ იქნა გამოსწორებული, საშუალო გლეხები გაიქცევიან კოლმეურნეობიდან. თქვენ ვერასოდეს ვერ დაუმტკიცებთ საშუალო გლეხს ბაღების განსაზოგადოების მიზანშეწონილებას იმით, რომ ეს ბაღები კერძო სარგებლობაში გადასცეთ ღარიბებს. ამით ჩვენ მხოლოდ დავანგრევთ კოლექტიურ მეურნეობას.

უახლოესი პერსპექტივები

ასეთია კოლმეურნეობათა ფაქტიური მდგომარეობა სადღეისოდ. რანაირია საკოლმეურნეო მოძრაობის პერსპექტივები? უკვე ვთქვი, რომ მაისის პირველისთვის კოლექტივიზაციის პროცენტი 28-ს შეადგენდა და ეს პროცენტი 20-ზე ქვევით აღარ დაიწევს. ეს უეჭველი მიღწევაა პარტიისა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასიური კოლექტივიზაციის კამპანიის დაწყებისას ჩვენა გვქონდა კოლექტივიზაციის მხოლოდ 6,5 პროც. ეს უდიდესი მიღწევაა პარტიისა, როდესაც 6,5 პროც.-დან შევძელით 28 პროც.-მდე ასვლა. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ამას დავჯერდეთ და დამშვიდებით ვიყოთ. ჩვენ ისე უნდა გავშალოთ მუშაობა, რომ შემოდგომისათვის მოვამზადოთ ყველა საჭირო პირობა გლეხთა მეურნეობის მასიურ კოლექტივიზაციისათვის. რასაკვირველია ისე, რომ არ გამეორდეს შეცდომები და აღკვეთოთ საკოლმეურნეო მშენებლობაში ადმინისტრაციული იძულება. მასიური კოლექტივიზაციის ამოცანა კვლავ ძალაში რჩება და იგი სრულიადაც არ იხსნება. ამიტომ ყოველივე ლაპარაკი, ყოველივე მსჯელობა იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობის საქმე გათავებულია, გადამწყვეტ წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს. კახეთში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ მუშაკთა ასეთი გამოსვლებს: ცენტრიდან იღებენ ცირკულიარს თუ მითითებას კოლექტივიზაციის შესახებ და ეს „ამხანაგები" ჰკვირობენ: „ბიჭოს, ისევ კოლმეურნეობა? აკი კოლმეურნეობის საქმეში ჩვენ ჩაფლავდითო"! ასეთი ტენდენციები ამჟღავნებენ ტიპიურ მემარჯვენე უკლონისტებს, რომელთა წინააღმდეგაც საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა. საჭიროა პარტიის მთელი ყურადღების მობილიზაცია პარტიის ძირითადი ლოზუნგის ირგვლივ: სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ეს ამოცანა ჩვენს წინაშე სდგას, როგორც ბრძოლის მთავარი ამოცანა და ჩვენ მთელი ძალღონით უნდა ვცდილობდეთ მის დაჩქარებით განხორციელებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სულ სწრაფად წინ მივსტრდეთ, ვისახავდეთ ისეთ ტემპებს, რომელიც ჩვენ ძალღონეს აღემატება; პირიქით, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლად მთელი მუშაობა იმრიგად იყოს აგებული, რომ შემოდგომისათვის კოლექტივიზაცია გავრცელდეს საშუალო და ღარიბი გლეხკაცობის ძირითად მასაზე.

შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ამხანაგი აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ კოლმეურნეობის რომელი ფორმაა გამოსადეგი საქართველოს კონკრეტულ პირობებისათვის. საკითხის ასეთი დაყენება სავსებით მიზანშეწონილია; მაგრამ ამასთან ერთად ზოგიერთი უკიდურესობაში ვარდება, როდესაც ამტკიცებს, რომ ჩვენს პირობებში საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითად ფორმას სას-სამეურნეო არტელი კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობანი. ასეთი თვალსაზრისი ვერ ჩაითვლება სწორ შეხედულებათ. თუმცა მართალია, ცენტ. კომიტეტს ამის შესახებ გადაწყვეტილება არ გამოუტანია, რაც ნაკლად უნდა ჩაგვეთვალოს. საჭიროა საკითხის შესწავლა, რათა შევძლოთ პასუხის გაცემა იმაზე, თუ კოლმეურნეობათა, რომელი ტიპი უფრო შესაფერისია საქართველოს პირობებისათვის.

ჩემის ფიქრით, არ შეიძლება ერთი საერთო პასუხის გაცემა მთელი საქართველოსათვის. ვფიქრობ, რომ ამ პერიოდისათვის აფხაზეთში, აჭარისტანში, ახალციხეში, ახალქალაქში, აგრეთვე ბორჩალოსა და ყარაიას რაიონებში და საქართველოს მთიან კუთხეებში კოლმეურნეობის მშენებლობის ძირითად ფორმას მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა უნდა წარმოადგენდეს. საქართველოს დანარჩენ რაიონებში, როგორიცაა მაგალითად, ქუთაისის, კახეთის ოლქები და სხ. მარცვლეულობის რაიონში, უფრო დაბლობ და კულტურულ-ეკონომიურად განვითარებულ რაიონებში ძირითად ფორმას სასოფლო-სამეურნეო არტელი უნდა წარმოადგენდეს. მარცვლეულობის დაბლობ რაიონებში მცხოვრებ გლეხებისათვის მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა გაუგებარია; არტელები კი სხვა საქმეა; ის უფრო შეეფერება მათ კულტურულსა და ეკონომიურ განვითარებას. ჩემის ფიქრით ეს საკითხი დაწვრილებით უნდა შეისწავლონ და ჩემ მიერ აღნიშნულ ფაქტორებთან დაკავშირებით უნდა გადაწყდეს, თუ რომელ რაიონისათვის კოლმეურნეობის გაერთიანების, სახელდობრ რომელი ფორმა უნდა შეადგენდეს ძირითადს; ამასთანავე უნდა გაურბოდეთ ამ საკითხში მავნე შაბლონს.

კრედიტი სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მასიური კოლექტივიზაციის პირველ პერიოდის დასაწყისში ჩვენ მოვიწადინეთ საშუალო გლეხთან დაკავშირებისა და სოფლის მეურნეობის აღწევის პრობლემა გადაგვეწყვიტა მარტო კოლმეურნეობის მშენებლობით და სულ მთლად დავივიწყეთ ინდივიდუალური სექტორი. ამის შედეგათ სასოფ.-სამეურნეო კოოპერაცია არსებითად გატეხილ ვარცლის წინაშე დადგა. დაიშალა ის ორგანიზაციებიც კი, რომელნიც კოლექტივიზაციამდე იყვნენ შექმნილნი სოფლის საწარმოო ამხანაგობათა სახით და რომელნიც ემსახურებოდნენ ინდივიდუალურ მეურნეობებს.

ჩვენ ახლა გადაჭრით უნდა შევასწოროთ კურსი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სასოფ.-სამეურნეო კოოპერაციას, უნდა განვამტკიცოთ მისი ქვედა საფეხურები. მე მგონია, რომ ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობით განისაზღვრება ის ძირითადი ამოცანები, რომელიც ჩვენს წინაშე დგას კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში.

გადავდივარ სოფლის მეურნეობაში თანხების დაბანდების საკითხზე. ჩვენ მიერ დასახული ღონისძიებანი ვერ შესრულდება, თუ არ გვექნა განსაზღვრული დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში. ამ საკითხზე იმიტომ მინდა შევჩერდე, რომ ამ ხაზით მრავალი დიდი ნაკლი მოგვეპოვება, რომელიც უნდა გამოსწორდეს. ეს დიდი ნაკლი, პირველ ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავამთავრეთ ხეირიანად სოფლის მეურნეობის კრედიტის სისტემის რეორგანიზაცია. ჯერ კიდევ სოფ. მეურნეობის კრედიტის ქვედა საფეხურები ვერაა განმტკიცებული. მეორე — ჩვენ მიერ გაღებული კრედიტები საკმაოდ ვერაა გამოყენებული. მაგალითად 1929-30 წლის პირველ ნახევარში სოფ. მეურნეობის კრედიტის ხაზით მიცემული იყო 14.078.000 მან., ხოლო ფაქტიურად დაიხარჯა 10.528.000 მ. ე.ი. 1,450.000 მ., მანქანებითა და ტრაქტორებით მომარაგებას უნდა მოხმარდეს. სასოფ.-სამეურნეო ბანკში მომუშავე ამხანაგების განცხადებით, ეს კრედიტი არსებითად გამოყენებულია, რადგანაც სოფელი მომარაგებულია მანქანებით, მაგრამ ბანკში ჯერ არაა შესული ფორმალურად გამართლებული ვალდებულებანი. მაგრამ 2.100 ათასი მანეთი, განაღდებული თესლეულის მომარაგებაზე და თამბაქოს საწყობების აგებაზე, დღევანდლამდე გამოუყენებელია, რადგანაც ცალკე ორგანიზაციებს არ გამოუთხოვიათ იგი. ეს ნამდვილი სისხლის სამართლის დანაშაულია — გადადებული იყოს ფული თამბაქოს საწყობების, საშრობების ასაგებად, თესლეულის შესაძენად და არ გამოეყენო ეს ფული მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთმა ორგანიზაციამ დროზე არ შეიტანა ფულის გამოთხოვის განცხადება. ჩვენს პირობებში ეს პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაულია.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით დაბანდებათა საერთო ჯამი წლების მიხედვით თვალსაჩინო ზრდას იძლევა. თუ კი შარშან, 28-29 წელს სასოფ.-სამ. კრედიტის მთელი ჯამი გამოიხატებოდა 10.872.000 მანეთში, მიმდინარე წლის გეგმით ნავარაუდევია — 22.792.000 მანეთი, ე. ი. 108,9 პროც. მეტი. 30-31 წლის საკონტროლო ციფრების ვარაუდით განზრახულია სასოფ.-სამეურნეო კრედიტის აყვანა მომავალ წლისათვის 53.000.000 მანეთამდე, ე.ი. მიმდინარე წელთან შედარებით იგი გაიზრდება 132,8 პროცენტით. მაგრამ თანხების გაცემა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ექნება ისეთ საზიზღრობას, რომ განცხადებათა შეტანის დაგვიანებით მკვდარ კაპიტალად იდოს — 2.160,000 მანეთი; იმაზედაც თუ არაფერს ვიტყვით, რომ შესაძლოა ამ კრედიტების დაკარგვა.

სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ თანხათა სურათი ასეთია: შარშან ბიუჯეტით მიღებულ ასიგნობათა საერთო ჯამი 8.543.400 მანეთს შეადგენდა; მიმდინარე წელს გეგმით გადადებულია 18.354.000 მანეთი, აქედან ს.ს.რ. კავშირის ბიუჯეტით— 5.792.000 მ., ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით—4.500.000 მანეთი, საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ბიუჯეტით— 5.599.200 მან., ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 2.462.000 მ. როგორც ხედავთ, ამხანაგებო, სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით მიმდინარე წელს 28-29 წელთან შედარებით დაბანდებათა შესამჩნევი ზრდა გვაქვს. ეს გადიდება 115,9 პროცენტში გამოიხატება. ამ თანხების გამოყენება მიმდინარე წელს შემდეგნაირად მიმდინარეობს: წლიური გეგმით ნავარაუდევ 18.354,000 მანეთიდან უკვე გამოყენებულია 61,1 პროც., საკვარტალო გეგმების მიხედვით; ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ წლის ბოლომდე სახელმწიფო ბიუჯეტით გაღებული კრედიტები მთლიანად იქნება გამოყენებული.

ამხანაგებო, პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყველა ზომას იღებს, რომ განახორციელოს მე-VI ყრილობის დადგენილება სამიწადმოქმედო ორგანოთა გაძლიერების შესახებ მტკიცე, გამობრძმედილ პარტიულების საშუალებით. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გაკეთებულა. მთავარი საყვედური ეთქმის ჩვენს საოლქო ორგანიზაციებს, რომელნიც დღევანდლამდე ნაკლებად აქცევდენ ყურადღებას იმას, რომ საადგილმამულო ორგანოებში ჩააბან შესაფერი პარტიული მუშაკები. მთელი წლის განმავლობაში სარაიონო და საოლქო საადგილ-მამულო ხელმძღვანელ ორგანოებში გაიგზავნა მხოლოდ 40 ამხანაგი. სამწუხაროდ ცნობები არა მაქვს იმის შესახებ, თუ რამდენ ამხანაგს მგზავნიან ამ სამუშაოზე ადგილობრივი პარტორგანიზაციები; მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ დღევანდლამდე ამ საკითხში გარდატეხა ვერ მოვახდინეთ, დღევანდლამდე ჩვენი საადგილმამულო ორგანოების გაძლიერებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ამხანაგებო, დიდ ხანს აღარ შევჩერდები მოსავლიანობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით სოფლის მომარაგების პრობლემებზე, არც ცალკე კულტურათა განვითარებაზე. ვიტყვი მოკლედ, რომ ამ მხრივ ჩვენ მიღწევები გვაქვს, მაგრამ დიდი დეფექტებიც მოგვეპოვება. ვილაპარაკებ მხოლოდ იმ ნაკლთა შესახებ, რომელიც სოფლად გაგზავნილ მანქანათა გამოყენების დარგში არის შემჩნეული. ამ მხრივ პირდაპირ დანაშაულია ჩადენილი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

თვით „სოფლის კავშირის" ცნობებით შემდეგი სურათი იხატება: შემოტანილია 23.870 გუთანი; მემინდვრეობის კავშირის საწყობებში იმყოფება—4.098 გუთანი, ხოლო ქვედა ორგანიზაციების საწყობებში — 3.404. ამნაირად გამოუყენებელია 35 პროც. შემოტანილია 3.526 ფარცხი, საწყობებში ალაგია 498, გამოუყენებელია—14 პროც., ხორბლის სათესი მანქანა შემოტანილია 814; საწყობებში გამოუყენებლად ალაგია 92, ანუ 29,3 პროც., ტრიერები შემოტანილია 320, გამოუყენებელია 136, ანუ 42,5 პროც., კულტივატორები—3711, გამოუყენებელია 1952, ანუ 52,5 პროც. და სხვა. ეს ხდება მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ასეთი შიმშილობაა, როდესაც ყველგან, ყველა ოლქში გამოუკლებლივ თავპირს გვცემენ გუთნებისა და სათესი მანქანების მოთხოვნილებით. ეს გარემოება ლაპარაკობს, რომ უყურადღებოდ ვეპყრობით სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენებას, მაშინ, როდესაც იგი სადეფიციტო საქონელს წარმოადგენს და მათი შოვნა ძალიან გვიჭირს. აქ დამნაშავეა არა მარტო სასოფ.-სამეურნეო კოოპერაცია, რომელმაც ვერ შესძლო ამ საკითხისათვის მიეპყრო მთავარი ყურადღება და დროზე გაენაწილებინა ინვენტარი, ამაში ბრალი მიუძღვით აგრეთვე ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილებას შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ.

სას.-სამ. კოოპერაციის რეორგანიზაცია

ამხანაგებო, გადავდივარ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხზე. უნდა ვთქვა, რომ ამ მხრივ შემდეგი ამბავია: პარტიის მე-VI ყრილობის გადაწყვეტილებათა თანახმად ჩვენ მოვახდინეთ „სოფლის კავშირის" რეორგანიზაცია, დავაარსეთ 8 სპეციალური კავშირი; ამათში 7 უკვე მოქმედებს, ხოლო მერვე ეს-ესაა ეწყობა. მაგრამ აქ მე ერთი საკითხი მაინტერესებს:—ჩვენს პირობებში მიზანშეწონილად არის თუ არა ჩატარებული ეს რეორგანიზაცია? სასოფლო-სამ. კოოპერაციის მარტო შტატი რომ ავიღოთ, ასეთი სურათია: „სოფლის კავშირის" ცენტრალურ აპარატის შტატი რეორგანიზაციამდე 154 კაცისაგან შედგებოდა; რეორგანიზაციის შემდეგ კოოპერაციის სპეციალურ დარგთა ცენტრების შექმნის შემდეგ, ამ ცენტრებისა და „სოფლის კავშირის" შტატი 248-მდე ავიდა.

ფული რომ ვიანგარიშოთ, თუ „სოფლის კავშირის" შტატი ჯდებოდა წელიწადში — 252,048 მანეთი, რეორგანიზაციის შემდეგ ჯდება 509,688 მ., ე. ი. 102 პროცენტით მეტი. იქონიეთ მხედველობაში, რომ ეს ციფრები შეეხებიან მხოლოდ ცენტრალური აპარატების შტატებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და „სოფლის კავშირის" ცენტრების გამგეებს. ამაში არ შედის სრულიად საქართველოს მეღვინეობის კავშირის შტატის შენახვა. თუ საქართველოს მეღვინეობის კავშირსაც—„საქართველოს ღვინო"-ს ჩავთვლით, ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენ ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი გვიჯდება მხოლოდ შტატის შენახვა, ისიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრების შტატის შენახვა —და ეს იმ დროს, როდესაც მთელს საქართველოში ჩვენ არ გვაქვს არც ერთი ნამდვილი სასოფლო-საწარმოო ამხანაგობა, სწორედ იმ მიზეზის გამო, რომელზედაც უკვე ვილაპარაკე. ჩვენ გვაქვს, სასოფლო-საწარმოო ამხანაგობანი, მაგრამ ისინი უფრო გამსაღებელი ტიპის არიან, ვინემ საწარმოო. პირველი საფეხურები ჩვენ სრულებითაც არ გვაქვს განმტკიცებული, ხოლო უამრავ თანხებს კი ვხარჯავთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრების შტატებზე.

მიზანშეწონილი იქნებოდა დაგვემუშავებია საკითხი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციული სქემის შესახებ, შეგვესწავლა ის და რამდენიმეთ შეგვეკვეცა ჩვენი ცენტრები, გვქონოდა არა 8, არამედ 3-4. არ შეიძლება ყოველივე იმის მექანიკურად გადმოღება, რაც საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში კეთდება. იქ საჭიროა ცალკე ცენტრები, რადგან მათ ფართო გასაქანი აქვთ და რასაკვირველია, შეუძლიათ ხარჯების გამართლებაც. ჩვენში კი, საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი უზარმაზარი აპარატის შენახვა. ამიტომ მე შემოვიტანდი წინადადებას დაევალოს პარტიის მომავალ ცეკას დაწვრილებით შეისწავლოს საკითხი იმ მხრივ, რომ დარჩეს მინიმალური რაოდენობა სპეცკოოპერაციის ცენტრებისა მაქსიმალური შტატი ცენტრში. თუ ასე არ მოვიქცევით, ჩვენ გვექნება ასეთივე მდგომარეობა, როგორიც ეხლა გვაქვს: ვიყიდით კარტოფილს გლეხისაგან 1½ კაპიკად და გავყიდით 8¾ კაპიკად, ე. ი. 600 პროცენტის მომატებით.

ამასთან ერთად ძირითადი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას—ეს არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განმტკიცება კომუნისტურ კადრებით. ამ საქმეში ჩვენ უაღრესად ჩამოვრჩით. ჩვენ ბევრი არაფერი გაგვიკეთებია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განსამტკიცებლად გამობრძმედილ მუდმივ კადრებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საოლქო და რაიონული ორგანიზაციები უხეშ გადამახინჯებებს უშვებენ ამ საქმეში. წააწყდებით ისეთ ფაქტებს, როცა სასოფლო-სასაწარმოო ამხანაგობის თავმჯდომარე ექვსჯერ გამოსცვალეს 6 თვის განმავლობაში. როგორც კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში მოხვდება კარგი ამხანაგი, მას ხსნიან და სხვა სამუშაოზე გზავნიან, მის ადგილას კი გზავნიან ახალ კაცს, რომელიც მუშაობას არ იცნობს და ამის შედეგად ვღებულობთ პარტიული ხაზის დამახინჯებას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შტატები უნდა გავამაგროთ, ხელმძღვანელ კადრებს უნდა დავაცალოთ რამდენიმე ხნით მუშაობა და ხელთათმანებივით კი არ უნდა ვცვლიდეთ მათ.

დაბოლოს, ამხანაგებო, მესამე ამოცანაა—დავაჩქაროთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გარდაქმნა საკოლმეურნეო-კოოპერატიულ სისტემად. ეს დღემდე არ არის გატარებული. მხოლოდ ამას წინად შედგა თათბირი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში, სადაც მგონი დასმული იყო საკითხი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ. ასე რომ საკითხი დაძრულია მკვდარი წერტილიდან.

ზოგიერთი „სპეცების" თვალსაზრისი

მე მინდა შევჩერდე კიდევ ერთ საკითხზე, სახელდობრ, იმაზე, თუ როგორ უყურებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზოგიერთი მუშაკები საკოლმეურნეო მოძრაობას საერთოდ და არსებულ კოლმეურნეობებს კერძოდ. საქმე იმაშია, რომ კოოპერაციის ხელმძღვანელი ნაწილის გასვლის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა ამ გაზაფხულზე, „სოფლის კავშირის" ზოგიერთ მუშაკებს დაეტყოთ ისეთი ტენდენცია, რომ კოლმეურნეობათა ცენტრი არ არის საჭირო და რომ საჭიროა საკოლმეურნეო მოძრაობა საერთოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელობას დაუქვემდებაროთ. „სოფლის კავშირში" არის ერთი მუშაკი ნ. ლაჭყებიანი, უპარტიო სპეცი. მე წავიკითხე მისი სიტყვა თათბირზე, რომელიც ამას წინად შედგა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში. ამ სიტყვაში ის აყენებს საკითხს „სოფლის კავშირისა" და კოლმეურნეობათა ცენტრის ურთიერთობის შესახებ საკოლმეურნეო - კოოპერატიულ სისტემაში. ის ეხება საკითხს, თუ რა არის სასოფლო-საწარმოო ამხანაგობა და რით განსხვავდება ის კოლმეურნეობიდან და ლაპარაკობს: „რანაირი ამხანაგობანი არიან ესენი? არა გამსაღებელ-მომმარაგებელი, არამედ ახალი ტიპის მეურნეობანი, საწარმოო გაერთიანებანი. რა არის კოლმეურნეობა? ესეც ხომ საწარმოო გაერთიანებაა. რით განსხვავდება ის სასოფლო - საწარმოო ამხანაგობებიდან? განსხვავდება მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროცესების განსაზოგადოების ხარისხით".

აი, ამხანაგებო, თურმე რაშია საქმე. თურმე კოლმეურნეობა განირჩევა მხოლოდ „სოფლის მეურნეობის პროცესების განსაზოგადოების ხარისხით". ჯერ ერთი, კოლმეურნეობათა მთავარი განსხვავება უბრალო კოოპერატიულ გაერთიანებებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ მეურნეობის პროცესების განსაზოგადოებულია საწარმოო საშუალებები: მიწა, მუშა-საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და სხვ. სწორედ იმაშია მთავარი განსხვავება კოლმეურნეობებსა და სასოფლო-საწარმოო ამხანაგობებს შორის, რომ სასოფლო-საწარმოო ამხანაგობებში ასეთები არ არიან განსაზოგადოებული. გარდა ამისა უპარტიო სპეციალისტის ლაჭყებიანის ასეთი განმარტება ხსნის განსხვავებას სასოფლო-საწარმოო ამხანაგობებსა და კოლმეურნეობას შორის და გულისხმობს, რომ ისინი ერთი და იგივენი არიან. ის ამ სტილზე აგებს შემდეგშიაც თავის სიტყვას და მიდის იმ ძირითად დასკვნამდე, რომ რაკი სასოფლო-საწარმოო ამხანაგობა და კოლმეურნეობა ერთი და იგივეა, მათი ხელმძღვანელობა შეუძლია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გარდაქმნილ სისტემას.

ლაჭყებიანის ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირა მეორე უპარტიო სპეციალისტმა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატიდან სავიცკიმ. ის კიდევ უფრო შორს წავიდა. მან სთქვა: თუ საბჭოთა კავშირში საერთოდ ეს დასაშვებია, პატარა საქართველოს ტერიტორიაზე არ არის საჭირო ორი ორგანიზაცია: კოლმეურნეობათა ცენტრი და „სოფლის კავშირი". ამ თათბირზე შექმნეს ისეთი გაურკვევლობა, რომ თვითონაც ველარ დაალაგეს თავი.

ასეთი თვალსაზრისი მნიშვნელობას უკარგავს საკოლმეურნეო მოძრაობას ჩვენში. ეს არის მემარჯვენე გადახრის აშკარა გამოხატულება პრაქტიკაში. მე ვჩერდები ლაჭყებიანის და სავიცკის ამ განცხადებებზე მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თვალსაზრისს სათანადო წინააღმდეგობას არ უწევენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და „სოფლის კავშირის" ხელმძღვანელი კომუნისტები. ამ სპეციალისტებს არ მიუღიათ სათანადო პასუხი, დასასრულ, თათბირზე მათ წინააღმდეგ გამოვიდა მხოლოდ კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელი. საკოლმეურნეო მოძრაობის ასეთ მიჩქმალვას ცალკე სპეციალისტების მიერ ჩვენ გადამჭრელი ზომებით უნდა შევებრძოლოთ, ვინაიდან პოლიტიკას ჩვენში ქმნიან არა ლაჭყებიანები და სავიცკები, არამედ ამხ. ჟუღელი, ქურდაძე, არუთინოვი და სხვები და პირველ ყოვლისა პარტიის ცეკა. ეს პოლიტიკა კი, პარტიის პოლიტიკა, ლაპარაკობს, რომ არ შეიძლება საკოლმეურნეო და კოოპერატიული მოძრაობების ერთმანეთში არევა და მათ შორის განსხვავებათა მიჩქმალვა.

განა შეიძლება პარტიის ასეთი მტკიცე ხაზის მიჩქმალვა? არა, არ შეიძლება, და მე საჭიროდ მიმაჩნია შევაჩერო პარტიის ყურადღება ამ საკითხზე იმისათვის, რომ თავის დროზე ალმოფხვრილ იქნან ასეთი მოვლენები, მემარჯვენე შეხედულებათა ასეთი გამოხატულებანი უპარტიო სპეციალისტების მხრივ, ვინაიდან ძალიან ხშირად უპარტიო სპეციალისტები არა თუ არ ატარებენ პარტიულ ხაზს, არამედ ამახინჯებენ მას, ხოლო ზოგიერთი კომუნისტები არა საკმაო სისასტიკით ებრძვიან მემარჯვენეობის ასეთ გამოხატულებებს. კოლმეურნეობათა ცენტრი ჩვენთვის საჭიროა. ამას უნდა გავუსვათ ხაზი იმისათვის, რომ არ იქნას მიჩქმალული საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხები, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხები იყოს ვინმეს მზრუნველობის ქვეშ, რომ ვინმე ამ საკითხის წინ წაწევას მეთაურობდეს. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ სერიოზულად უნდა დავსვათ საკითხი კოოპერატიულ-საკოლმეურნეო სისტემის შესახებ და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ „სოფლის კავშირი" და კოლმეურნეობათა ცენტრი სრული კონტაქტით მუშაობდნენ.

სამომხმარებლო კოოპერაცია და ვაჭრობა

გადავდივარ ვაჭრობისა და კოოპერაციის საკითხებზე. ამხანაგებო, საანგარიშო პერიოდში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ დაიპყრეს შემდეგი პოზიციები როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობის დარგში. ასე, მაგალითად: 1928-29 წელში საბითუმო ვაჭრობაში სახელმწიფო ვაჭრობას უკავია 53,8 პროც., კოოპერაციას—45,6 პროც. საცალო ვაჭრობაში: სახელმწიფო ვაჭრობას—17,8 პროც., კოოპერაციას—48,7 პროც. თუ შევადარებთ 277-28 წლის კერძო სექტორის ხვედრითი წონას—საბითუმო ვაჭრობაში მცირდება 4,5 პროცენტიდან 0,6 პროცენტამდე, ხოლო საცალო ვაჭრობაში—39,8 პროცენტიდან 33,5 პროცენტამდე.

მაგრამ მიუხედავად განსაზოგადოებული სექტორის ბრუნვის ასე საგრძნობი ზრდისა, ჩვენ ვხედავთ ბაზრის მდგომარეობის გაუარესებას, რაზედაც ზემოდაც ვილაპარაკე. ეს გაუარესება ნაწილობრივ შედეგია იმ შეცდომების, რომელნიც ჩვენ დავუშვით სოფლად. ეს ხომ ფაქტია, რომ გლეხი, დაშინებული მით, რომ ჩვენ განვასაზოგადოებთ ქათამსაც და ღორსაც, შეეცადა უმალვე შეეჭამა ან გაეყიდა ეს წვრილფეხა საქონელი. და ამიტომ ამჟამად ჩვენ განვიცდით ერთგვარ სიძნელეებს დამზადების და მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების საქმეში. ჩვენ გადამწყვეტ ზომებს ვღებულობთ იმისათვის, რომ გამოვასწოროთ ეს შეცდომა—ჯერ ერთი იმიტომ, რომ დავამშვიდოთ გლეხი და გაუმარტოთ მას, რომ რაც მოხდა აქამდე, შედეგია შეცდომებისა და ხეპრობის და, მეორეც, იმიტომ, რომ გლეხს სრული საშუალება და თავისუფლება ექნეს თავისი პროდუქციის გასასაღებლად.

საანგარიშო პერიოდში ჩვენ უნდა აღვნიშნოთ სამომხმარებლო კოოპერაციის საგრძნობი ზრდა. ასე, მაგალითად, თუ შევადარებთ სამომხმარებლო კოოპერაციის ეხლანდელ და 28-29 წლის მდგომარეობას, ასეთ სურათს მივიღებთ: 28 წლის 1 ოქტომბრისათვის კოოპერატიულ გაერთიანებათა რიცხვი უდრიდა 150-ს, ხოლო ამა წლის 1 აპრილისათვის ჩვენ უკვე გვაქვს 172. კოოპერატიული დუქნების რიცხვი ამავე პერიოდში გაიზარდა 1550-დან 2063-დე, ე. ი. 33,1 პროცენტით. წევრთა რიცხვი გაიზარდა 322,300-დან 664,000-დე, ე. ი. 106 პროცენტით. საკუთარ სახსრების მობილიზაციამაც დიდ შედეგს მიაღწია. საპაიო კაპიტალის ჯამი გაიზარდა 2.340 ათას მანეთიდან 6.420 ათას მანეთამდე, რაც იძლევა მომატებას 174 პროცენტზე მეტს. მაგრამ მიუხედავად ასეთი ზრდისა და მუშაობის გაუმჯობესებისა, ჩვენ მაინც გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომელნიც უმთავრესად მდგომარეობენ იმაში, რომ ქვედა საფეხურის სამომხმარებლო კოოპერატიული ქსელი კიდევ არ არის მოწესრიგებული, ნაკლოვანებანი და უმსგავსოებანი, რომლებზედაც ლაპარაკი იყო წინად, ეხლაც მოიპოვება. ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა საფეხურის ქსელს. მართალია, ამ დარგში მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული.

მე მინდოდა შევჩერებულიყავი სამომხმარებლო კოოპერაციის უძლერესად სუსტ, ყოვლად უმსგავსო მუშაობაზე ქალაქის გარშემო მეურნეობების მოწყობის საქმეში. ამ დარგში ჩვენ არაფერი არ მოგვეპოვება. გუშინ ვილაპარაკე ამაზე. აღარ გავიმეორებ. საჭიროა სამომხმარებლო კოოპერაციის გარდაქმნა. ერთ-ერთ ღონისძიებას ამ მიმართულებით წარმოადგენს სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატის უფრო გაბედული გამუშურება. ცეკავშირშიაც და მუშკოოპშიაც არიან საკმაოდ კარგი მუშაკები, საუკეთესო კოოპერატორები, მაგრამ ზედმეტი არ იქნება თუ ამ კოოპერატორებს მოვაშველებთ გამოცდილ პროლეტარებს, თუნდაც, რომ ჯერ კიდევ არაფერი ჰქონდეთ საერთო კოოპერაციასთან. შეხედულება, თითქოს, კოოპერაციაში შეუძლიათ მუშაობა მხოლოდ ძველ კოოპერატორებს, წმინდა დახავსებულ კოოპერატიულ თვალსაზრისს წარმოადგენს. საკმარისია ფხიანი კაცი, კარგი მუშა, რომ შესძლოს მუშაობა ყოველ ორგანიზაციაში, განსაკუთრებით კი კოოპერაციაში (ტაში). აპარატის შემდგომი გამუშურება და მუშების დაწინაურება კოოპერაციაში დაკვრითი ამოცანაა და მას შეუძლია იმ შეცდომების გამოსწორება, რომლებზედაც მე ვილაპარაკე.

განვიხილოთ ეხლა საკითხი ზედნადები ხარჯების შესახებ სამომხმარებლო კოოპერაციაში. მინდა მოვიყვანო შემდეგი მაგალითი—გლეხს ჩვენ ფუთ ვაშლში საშუალოდ ვაძლევდით 2 მანეთს, მაგრამ ყოველგვარ ზედნადებ ხარჯების გამო თბილისში კოოპერაცია ვაშლს ჰყიდის 30—50 კაპეიკად კილოს, ანუ 5—8 მანეთად ფუთს. მართალია ვაშლი სპეციფიური საქონელია, საჭიროებს დიდ ზრუნვას და, როგორც იტყვიან, იტანს ასი პროცენტის დამატებას, მაგრამ ასეთი განსხვავება დასამზადებელ და სამომხმარებლო ფასებს შორის—უმსგავსოებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშას არ შეუძლია ვაშლის ყიდვა. სხვა ხილის შესახებ მდგომარეობა კიდევ უარესია. ჩვენში შეიქმნა შემცდარი აზრი, რომ ხილი—ეს ფუფუნებაა. ნამდვილად კი ხილი აუცილებელი რამ არის მუშებისათვის, ვინაიდან ხილი საკვები მასალაა და მუშას შეუძლია მისი მოხმარებით გაიუმჯობესოს თავისი კვება.

რატომ ხდება ყოველივე ეს? მე ვფიქრობ, რომ ეს იმიტომ ხდება, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია, აგრეთვე ყველა ჩვენი ორგანოები გატაცებული არიან მოგებით, გატაცებული არიან მით, რომ რაც შეიძლება მეტი სარფა ნახონ, და არა მით, რომ მაქსიმალურად გააუმჯობესონ მუშა მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების პირობები. ეს პირველი მიზეზია. მეორე მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ვქმნით აუარებელ სხვადასხვა ორგანიზაციებს და ამის გამო საქონელი არ იაფდება, პირიქით, ძვირდება. ჩვენ გარდა ცენტრალურ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციისა, გვაქვს ეგრეთ წოდებული დარგობრივი გაერთიანებანი, როგორიც არის „ზაკაიაც", „ზაკპლოდოვოშჩ", „ზაკკონსერვ", „ზაკმოლოკო" და სხვ.

საქმე პირდაპირ იდიოტიზმამდე მიდის. ამას წინად ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას. ჩემთან მოდის მეთამბაქოეობის ცენტრალური კოოპერაციის წარმომადგენელი, რომელიც ჩამოსული იყო ჩვენი მეთამბაქოეობის კოოპერაციის ყრილობაზე და მოითხოვა ამიერ - კავკასიის მეთამბაქოეობის კავშირის („ზაკტაბაკსოიუზ"-ის) დაარსება. ჩემს კითხვაზე, თუ რა იქნება შემდეგ, ის მიპასუხებს, რომ საქართველოში ცენტრი არ არის საჭირო, და იქნება რაიონული კავშირები სოხუმში, აზერბეიჯანში და საქართველოში. ეს რაიონული კავშირები უშუალოდ დაკავშირებული იქნებიან ამიერ - კავკასიის მეთამბაქოეობის კავშირთან. საქართ.-ში ხომ 21 ათასი ჰექტარი თამბაქოს ნათესია, აქედან 17 ათასი მარტო აფხაზეთში. რამდენი ჰექტარი თამბაქო არის სომხეთში და აზერბეიჯანში? სულ რაღაც დაახლოვებით 1000 — 1200 ჰექტარამდე. ჩინოვნიკური კრეტინიზმი უნდა გამოიჩინო კაცმა, რომ მოითხოვო ამიერ - კავკასიის მეთამბაქოეობის კავშირის დაარსება, როცა თამბაქოს თითქმის მთელი კულტურა გავრცელებულია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

სულ სხვა საქმე არის მრეწველობის ცენტრალიზაცია. მე საჭიროდ მიმაჩნია მრეწველობის საკითხების განხილვა, იმის გამორკვევა, თუ რა რჩება რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 2—3 წლის განმავლობაში და რა გადადის ამიერ - კავკასიის ს. მ. უ. ს. გამგებლობაში, რომ ხალხმა იცოდეს—რა აკეთონ და რაზე იმუშაონ. არ შეიძლება ყოველდღე ვაერთიანოთ ახალ-ახალი წარმოებები. მრეწველობის ძირითადი დარგები უნდა გავაერთიანოთ, მაგრამ უნდა დავაწესოთ ერთგვარი საზღვარიც, რომ ხალხს საშუალება ექნეს შეუდგეს კონკრეტულად თავის უშუალო საქმეებს. ასევე უნდა მოვიქცეთ იმ ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც კავშირი აქვთ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადებასთან ან გადამუშავებასთან.

სოფლის მეურნეობის დარგში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დაუსრულებლივ არ ხდებოდეს სხვადასხვა ორგანიზაციების ჩამოყალიბება. მოეწყო „საქართველოს თევზი", მაშინვე შეუდგნენ „ზაკრიბა"-ს დაარსებას. რაშია საქმე. თევზს იჭერენ აზერბეიჯანში და ნაწილობრივ საქართველოში. რა შუაშია აქ „ზაკრიბა"? განა ამით თევზის რიცხვი გამრავლდება? განა ამით „საქთევზის" მუშაობა გაუმჯობესდება? ეს არის არა გაუმჯობესება მუშაობის, არამედ შეფერხება, არა მუშაობის მოწესრიგება, არამედ მისი გაფუჭება. აუცილებელია, რომ ამიერ - კავკასიის ორგანოებმა განიხილონ ეს საკითხი და მინიმუმამდე დავიყვანოთ კოოპერაციის სპეციალური სახეები, სხვადასხვა სახის დარგობრივი გაერთიანებანი, შევამციროთ გაბერილი შტატები და სხვ.. მხოლოდ ამ გზით მოწესრიგდება უფრო სწორი მუშაობა და გაუმჯობესდება საქონლის მიწოდება მუშათა კლასისათვის.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ჩვენი ამოცანები

„ფარდა ავხადოთ კლასობრივი მტრის მანევრებს

გადავდივარ საკითხზე კლასობრივი ბრძოლის შესახებ, საკითხზე ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეცნიერო კადრების შესახებ კულტურულ-იდეოლოგიური ხასიათის საკითხებზე. მთელი ის გრანდიოზული მუშაობა, რომელიც სწარმოებდა, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ცხადია, არ მიმდინარეობს ლაბორატორიულ პირობებში, არამედ მიმდინარეობს გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ეს კლასობრივი ბრძოლა პოულობს სხვადასხვა გამოხატულებას და სხვადასხვა ფორმებს ჩვენი განვითარების საფეხურისა და იმ პირობების მიხედვით, რომელშიაც ეს ბრძოლა მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, მრეწველობის დარგში, ქალაქში კლასობრივი მტერი ჩვენ განვდევნეთ ეკონომიურ პოზიციებიდან, მას არ შეუძლია ჩვენთან ბრძოლა და მეტოქეობა, ვინაიდან მთელი მრეწველობა სახელმწიფოს ხელშია. კერძო პირს ჯერ კიდევ აქვს მცირეოდენი ბაზა წვრილ მრეწველობაში, მაგრამ აქაც სულ უფრო და უფრო სუსტდება იგი, ვინაიდან უტევთ მას შინამრეწველთა კოოპერაციის დახმარებით. კლასობრივი ბრძოლა ამჟამად ღებულობს სულ სხვა ფორმებს. კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს მავნებლობა. მავნებლობას ადგილი ჰქონდა მასიურ მასშტაბით მთელს საბჭოთა კავშირში, მავნებლობას ადგილი ჰქონდა ჩვენშიაც, საქართველოში.

კლასიური ბრძოლა მავნებლობის სახით ღებულობს უაღრესად გამწვავებულ ფორმებს და ის სწარმოებს ევროპის იმპერიალიზმისა და ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნების გენერალური შტაბების უშუალო კარნახითა და ბრძანებით.

ამხ. მიხა ცხაკაიამ თავის შესავალ სიტყვაში ილაპარაკა საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებაზე. ეს გამწვავება მიმდინარეობს რამდენიმე ხაზით. საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გამწვავების ხაზით, კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ხაზით და რევოლუციონურ ბრძოლის გამწვავების ხაზით კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში. და აი, ამ გამწვავების ფონზე ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმუმი ენერგია და ყურადღება ჩვენი სამრეწველო მშენებლობისადმი, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმუმი ყურადღება და ენერგია ჩვენი კლასობრივი მტრების ტაქტიკისადმი, რომ შევძლოთ თავის დროზე ჩავკლათ მავნებლობისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის შესაძლებლობა.

სამწუხაროდ ჩვენ ყოველთვის არ შეგვიძლია დავიკვეხოთ, რომ კლასობრივი მტრის მანევრებს თავის დროზე ვტყობილობთ. განსაკუთრებით ეს შეეხება კლასობრივ ბრძოლას სოფლად. არის ცალკე შემთხვევები, როცა კულაკები ახერხებენ პარტიულ ორგანიზაციებისათვის თვალის ახვევას. არის შემთხვევები, როცა ჩვენი ხეპრული მუშაობით სამსახურს ვუწევთ ჩვენს კლასობრივ მტრებს. მუშაობის უმთავრესი ნაწილის ასე შეუფასებლობა, ეს შეუფასებლობა კლასობრივი ბრძოლისა სოფლად არის თუ გნებავთ უდიდესი საფრთხე, არის მემარჯვენე გადახრის ყველაზე აშკარა გამოხატულება პრაქტიკაში.

კულაკის შემოტევის ახალი ფორმები

რა გვაქვს ახალი სოფლად კლასობრივი ბრძოლის საკითხებში? ახალი ის არის, რომ კულაკი ბრძოლის იმ მეთოდებიდან, რომლებსაც ის ჩვენს წინააღმდეგ მიმართავდა: ცეცხლის გაჩენა, ტერორი და სხვ. უფრო შორს მიდის, კიდევ უფრო გათავხედდა. კულაკები ალაგ-ალაგ პირდაპირ გამოდიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მე საშუალება მქონდა დავრწმუნებულიყავი ამაში ხონკაში, სადაც კულაკები შეკავშირებულად გამოდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სოფლის საბჭოს გადარჩევის დროს ს. [illegible] კიდევ მეტი, კულაკები აშკარად თავს ესხმიან საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს. მაგალითად, კახეთში ისინი აწყობენ შეიარაღებულ თავდასხმებს, ჰკლავენ კოლმეურნეებს, ტერორს ქვეშ აყენებენ საშუალო გლეხობას და სხვ. ახალი ის არის, რომ კულაკებმა ნაწილობრივ შესძლეს გლეხების დაშინება განკულაკებით, იყენებენ რა საუკეთესოდ ჩვენს მიერ დაშვებულ შეცდომებს. კულაკებმა მიაგნეს ჩვენს სუსტ ადგილს და საუკეთესოდ გამოიყენეს ისეთი კადრები, როგორიც არიან ქალები. სხვათა შორის კოლექტივიზაციის გამოცდილება მოწმობს, რომ მუშაობას გლეხ ქალთა შორის ჩვენ სრულებით არ ვაფასებდით. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. შედეგად მივიღეთ ის, რომ გლეხი ქალები თითქმის ყოველგან გარეგნულად თაოსნობდნენ ანტისაკოლმეურნეო და ზოგჯერ ანტისაბჭოთა გამოსვლებს. კახეთში გამოსვლას მეთაურობდა ქალი და ისიც თეთრ ცხენზე, ალბად წმინდა გიორგის მოსაგონებლად. ეს მოწმობს, რომ ჩვენ სათანადოთ არ ვაფასებდით ამ მუშაობას, რომ კულაკებმა გამოიყენეს ქალები, როგორც ავანგარდი საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებში. ყველა ეს ფაქტები მოწმობენ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას სოფლად.

ცეკას და ადგილობრივ ორგანიზაციების უდიდესი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ როცა ვატარებდით კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკას, როცა ვახდენდით განკულაკებას, ჩვენ კულაკებს საცხოვრებლად ვსტოვებდით იმავე ოლქში. ეს უდიდესი პოლიტიკური შეცდომაა. ჩვენ ვფიქრობდით, რა ჩვენი საქმეა სად წავა კულაკი. რა ბოლშევიკების შეხედვით საქმეა კულაკობისათვის ადგილის მოძებნა. იყვნენ ცალკე ფხიზელი ამხანაგები, რომლებიც ლაპარაკობდნენ: „სად წავიყვანოთ ისინი, უნდა ვიფიქროთ ამაზეო“. უმეტესობას ჩვენს შორის ოპორტუნიზმად და მემარჯვენე გადახრად მიაჩნდა იმაზე ფიქრი, თუ სად წავგზავნოთ კულაკები. თურმე ეს არც ისე უბრალო საქმე ყოფილა. კულაკები შეიჭრნენ გლეხთა მასებში და შედეგად მივიღეთ ის, რომ სულ ორიოდე თვეში კოლექტივიზაციის დაწყების შემდეგ იქაც კი, სადაც ჩვენ საშუალო და ღარიბი გლეხობის კარგად შეკავშირებული ფრონტი გვქონდა, კულაკებმა შესძლეს მათდამი სიბრალულის გრძნობის გამოწვევა გლეხებში. სხვათა შორის კახეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ბაქრაძის სასახელოდ უნდა განვაცხადო, რომ მხოლოდ მან მოგვცა სიგნალი ამის შესახებ, მხოლოდ ის გვატყობინებდა, რომ კულაკები, უსახლკაროდ დატოვებულნი ცოლებით და შვილებით, რომ ისინი იყენებენ ყოველგვარ საშუალებებს — ნათესაურ კავშირს, ეკონომიურს, პროვოკაციას და სხ., რომ ამ კულაკებმა შესძლეს ერთგვარი სიბრალულის გამოწვევა საშუალო და ღარიბ გლეხთა შორის. ამ სიბრალულის შედეგად მივიღეთ ის, რომ მთელ რიგ ადგილებში კულაკების მოთხოვნას მხარს უჭერდნენ სხვა გლეხები. განა ფაქტი არ არის, რომ ზოგიერთ ადგილას საშუალო გლეხებმა მოითხოვეს კულაკების დაბრუნება? ეს შედეგია ჩვენი უდიდესი შეცდომის. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვეტოვებია განკულაკებული კულაკები, საბჭოთა ხელისუფლების ეს ცოფიანი მტრები, რომლებიც არაფერს არ დაერიდებიან ხელისუფლების დასამხობად, გლეხთა მასებში, რომ მათ გლეხები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაერაზმათ.

ამხანაგებო, სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამძაფრება, კოლექტივიზაციის გამოცდილება გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ მთელ რიგ ადგილებში — მე მეშინია შეცდომა არ მომივიდეს, რომ ვსთქვა ადგილების დიდ ნაწილში, ჩვენი პარტიული ორგანიზაცია სრულებითაც ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. მაგალითად, კოლექტივიზაციის საკითხში პარტიული ორგანიზაცია სოფლად აქა-იქ კუდში მისჩანჩალებდა უპარტიოთა აქტივს. ძალიან ხშირად შევხვდებოდით ისეთ ფაქტებს, როცა უპარტიო და საშუალო გლეხთა აქტივს შორის გვინახავს ამხანაგები, რომლებიც ზოგიერთ პარტიულზე გაცილებით მაღლა დგანან. (ხმები: სწორია). თუ ეს სწორია, ეს ჩვენ გვავალებს მეტი ყურადღება მივაქციოთ კადრების აღზრდას სოფლად. სოფლელი კომუნისტები არსებითად არაფერში დამნაშავე არ არიან, რადგან მათ ცოტა გაეგებათ, ცოტა იციან, რადგან მათ ჯერ არ შეუსწავლიათ მუშაობა, ჩვენ კი სუსტად ვმუშაობთ ამ კადრების აღზრდისათვის. ჩვენ არ გვაქვს პოპულიარული ლიტერატურა უბრალო საკითხების შესახებაც. ის წიგნებიც კი, რომლებთაც ჩვენ ვხედავთ, უძნელდება სოფლელ კომუნისტს. სქელტანიან წიგნს გლეხი არ წაიკითხავს, მას ამისათვის არც სცალია და არც ცოდნა ეყოფა. ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ კადრების აღზრდას კიდევ იმიტომაც, რომ, როგორც ეს კახეთის გამოცდილებამ დაგვანახვა, ჩვენი კადრები სრულებით არ არიან მომზადებული არა თუ ისეთ უდიდეს ამოცანისათვის, როგორიც არის მასიური კოლექტივიზაცია, არამედ ვერ ერკვევიან ელემენტარულ საკითხებშიაც, ვინაიდან ისინი არ არიან აღზრდილი ბოლშევიკურად, როგორც ეს საჭიროა. ეს მათი ბრალი კი არაა, არამედ ჩვენი ბრალია, ჩვენი საერთო უბედურებაა.

შემდეგ, უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიაში საუკეთესო აქტივის მიღებას მოჯამაგირეების, საშუალო და ღარიბი გლეხებისაგან, რომლებიც გამოცდილი არიან კულაკებთან ბრძოლაში. ამაზე მე შემდეგ ვილაპარაკებ. აქ ჩვენ უმეტეს ნაწილად ვდგევართ გაყინვის წერტილზე, ვინაიდან მოჯამაგირეების რიცხვის ზრდა პარტიაში უმნიშვნელოა.

გათანაბრების ტენდენციების წინააღმდეგ კოლმეურნეობებში

ამხანაგებო, კლასობრივი ბრძოლის ერთგვარ გამოხატულებას ჩვენ ვხედავთ კოლმეურნეობებშიაც. ამ კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებაა გათანაბრების ტენდენციის შემოტევა, ღარიბი გლეხების ნაწილის ტენდენცია მუქთად ცხოვრებისაკენ არა თუ სახელმწიფოს, არამედ საშუალო გლეხის ხარჯზედაც. მეორეს მხრივ საშუალო გლეხს, თუმცა ის შევიდა კოლექტიურ მეურნეობაში, მაინც სურს დარჩეს ისევ საშუალო გლეხად.

საჭიროა ბრძოლა როგორც ერთი, ისე მეორე ტენდენციის წინააღმდეგ. ჩვენ ბრძანებით და განკარგულებით კი არა, მთელი რიგი ეკონომიური ღონისძიებებით თანდათანობით უნდა დავარწმუნოთ და გადავიყვანოთ საშუალო გლეხი და ჩაუნერგოთ მას კერძო მესაკუთრის ფსიქოლოგიის ნაცვლად კოლექტივისტის ფსიქოლოგია. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ ამას მით უფრო ჩქარა მივაღწევთ, რაც უფრო ჩქარა შევძლებთ აღმოვფხვრათ ღარიბ გლეხთა შორის სხვის ხარჯზე ცხოვრების და ქონების გათანასწორების ფსიქოლოგია.

აშკარა საქმეა, რომ კლასობრივი ბრძოლის ამგვარ მოვლენებს არ შეეძლოთ არ გამოეწვიათ ჩვენი პარტიის შიგნით მემარჯვენე განწყობილებათა ერთგვარი გამწვავება. ასეთი ფაქტები ბევრია. ზოგიერთ ამხანაგებს ჰგონიათ, რომ რაკი საქართველოში არ არის მემარჯვენე გადახრის იდეოლოგი, თეორეტიკოსი, რომელიც თუნდაც ყრილობის ტრიბუნაზე გამოვიდეს და დაიცვას მემარჯვენე გადახრა, მაშასადამე, საქართველოში მემარჯვენე გადახრა არ არსებობს. ამგვარი შეხედულება ყოვლად შემცდარია. ჯერ ერთი, ცოტა მოიპოვება ასეთი სულელი, ყოველმა მემარჯვენემ იცის, რომ, თუ ის გამოვა და დაჟინებით დაიცავს მემარჯვენე გადახრას, იგი პარტიის რიგებს გარეშე დარჩება, რადგან მემარჯვენე გადახრა შეუთავსებელია ლენინურ პარტიაში ყოფნასთან. მეორეც, შეიძლება არ გამოვიდნენ არა სიმხდალის გამო, არამედ იმიტომ, რომ არ მოისურვონ თავიანთი თავის გამჟღავნება. პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ ჩვენში მემარჯვენე განწყობილება ძლიერდება. განა ჩვენ ამას არ ვხედავთ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში? განა ჩვენ არ ვხედავთ, რომ მთელ რიგ ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში კოლექტივიზაციისადმი დამოკიდებულება ისეთი აღარ არის, როგორიც კოლექტივიზაციის უმწვავესი ფაზის მომენტში იყო? ამჟამად კოლექტივიზაციის საკითხების წინ წაყვანა დიდის გაჭირვებით ხდება. რატომ? იმიტომ, რომ დადგა ერთგვარი სიცივე. მე კონკრეტულად არ ვამტყუნებ დაწესებულებებს არც ერთ ხელმძღვანელს მემარჯვენე გადახრაში. მე იმას ვამბობ, რომ ზოგიერთი დაწესებულებების აპარატი რამდენიმედ გულგრილად უცქერის კოლმეურნეობებს. რა არის ეს, თუ არა მემარჯვენე გადახრის გამომჟღავნება? განა ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობებიდან გასვლა ხდება, ჩვენ გვაიძულებს ნაკლები ყურადღება მოვუპყრათ მათ? პირიქით, საჭიროა, მეტი ყურადღება მიექცეს ამ კოლმეურნეობებს, კიდევ უფრო მეტად დაირაზმოს საზოგადოებრივი პარტიული და უპარტიო აზრი კოლმეურნეობების ირგვლივ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევსძლებთ ჩვენ მათ განმტკიცებას.

კულტურული მშენებლობა, ინტელიგენცია, კადრები

ამხანაგებო, კლასობრივი ბრძოლის ეს გამწვავება გავლენას ახდენს ინტელიგენციაზე. ჩვენ გვაქვს ამ გამწვავების მთელი რიგი გამოხატულება, რომელიც კლასობრივი ბრძოლის ამ ნაწილში თავისებურ ფორმებს იღებს. ინტელიგენციის ერთი ნაწილი ცდილობს გამოიყენოს ყოველი ჩვენი ღონისძიების წინააღმდეგ, მაგალითად, ინტელიგენცია გადაჭრით გამოდის უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაციის წინააღმდეგ, თუმცა გაუგებარია რათ. აქ აყენებენ თავისებურსავე ლოღიკურ პოზიციას. რათ გამოდიან იმ ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებიც იქითკენაა მიმართული, რომ მეტმა ქართველმა ისწავლოს უმაღლეს სასწავლებლებში? თვით პატრიოტული თვალსაზრისითაც ხომ, თითქოს, ეს კარგია. მაგრამ მათ გამოიგონეს ის დასამტკიცებელი საბუთი, რომ ჩვენ ვახდენთ ქართული უნივერსიტეტის ლიკვიდაციას, ხოლო ამით ქართული კულტურის ერთი ნაწილის ლიკვიდაციასაც, რომ ეს ნაციონალური კულტურის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს, რასაკვირველია, სიცრუე და ცილისწამებაა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ჩვენ არა თუ ქართული კულტურის ლიკვიდაციით არ ვართ დაინტერესებული, არამედ, პირიქით, მას ყოველმხრივ ვანვითარებთ. ჩვენ, ნაცვლად ამ უნივერსიტეტისა, რომელსაც არ შეუძლია შესაფერი კადრების მომზადება და რომლის პროფესორთა და სტუდენტთა შორის კიდევ მოიპოვებიან ანტისაბჭოთა ელემენტები, ვქმნით მთელ რიგ ინსტიტუტებს, რომლებიც შეუძლიათ უზრუნველყოფენ კადრებით, ვქმნით მეცნიერებათა ინსტიტუტს, როგორც მეცნიერული აზრის ცენტრს. ეს ფაქტი იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ პირიქით, ვცდილობთ განვამტკიცოთ ჩვენი კულტურა. უეჭველია, ინტელიგენცია წინააღმდეგია უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაციისა იმიტომაც, რომ ჩვენ ამ რეორგანიზაციასთან ერთად ვატარებთ მასწავლებელთა კადრების განახლებას და გარევოლუციონერებას.

მთელ რიგ ახალგაზრდა პარტიულ და უპარტიო კადრებს, რომლებიც საბჭოთა სასარგებლოდ არიან განწყობილნი, ჩვენ ვაწინაურებთ დოცენტებად და პროფესორებად. არსად არ სწერია, რომ პროფესორებად ყოფნა შეუძლიათ მხოლოდ უძველეს უპარტიო ხალხს, რომლებთაც ძველად აქვთ დამთავრებული უნივერსიტეტები. რათ არ შეუძლიათ ამ საქმეს ახალმა კადრებმაც მოჰკიდონ ხელი? მე ვფიქრობ, საჭიროა დავაწინაუროთ ჩვენი ახალგაზრდა უპარტიო კადრები, რომლებიც ორგანიულად არიან დაკავშირებულნი საბჭოთა ხელისუფლებასთან. ეს იმიტომაა საჭირო, რომ ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებლებმა უკეთ იმუშაონ, ვიდრე ისინი ძველი დახავსებული პროფესურის დროს მუშაობდნენ. ისინი უკეთ შესძლებენ ჩვენი კადრების აღზრდას, ვიდრე ძველი პროფესორები. რასაკვირველია, ჩვენ განურჩევლად არ გვსურს მოვიცილოთ ძველი პროფესორები საზოგადოდ. ჩვენ მხედველობაში გვყავს ის პროფესორები, რომლებიც აქტიურად არიან განწყობილნი ჩვენი ღონისძიებების წინააღმდეგ. ჩვენ, რასაკვირველია, ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ ძველ პროფესორებში არიან საბჭოთა ხელისუფლების ერთგული მეცნიერნი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენს მუშაობაში ისეთი ქართული სამეცნიერო ცენტრების შესაქმნელად, სადაც ერთმანეთს დაუკავშირდებიან მეცნიერება და პროლეტარული შრომა.

ქართული ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა უცხოეთში

ამხანაგებო, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, თუმცა უმცირესობა, გამოდის ისეთი ღონისძიების წინააღმდეგაც, როგორიცაა ქართული უძველესი ხელოვნების გამოფენა საზღვარგარეთ. თქვენ იცით, რომ ჩვენში გერმანიიდან ჩამოვიდა პრუსიის განათლების ყოფილი მინისტრი, რომელმაც დაათვალიერა ჩვენი ხელოვნების ნიმუშები, მეტად განცვიფრდა მისი დიდი კულტურული და სამხატვრო ღირსებებით და წამოაყენა წინადადება გამართულიყო გერმანიის ხარჯზე ამ ხელოვნების გამოფენა. თითქოს ამას ჩვენი ნაციონალისტების მხრით სიხარული უნდა გამოეწვია, მათ უნდა გახარებოდათ, რომ ჩვენი ხელოვნება გამოფენილი იქნება საზღვარგარეთ და მის შესახებ ილაპარაკებს მთელი მსოფლიო პრესა, მაგრამ აღმოჩნდა ხალხი, რომლებმაც საჭიროდ ჩასთვალა გამოეშვა რა თქმა უნდა თეთრგვარდიული და უეჭველია გოთურ ტიპის ზოოლოგიური ნაციონალისტების მიერ შედგენილი პროკლამაცია.

პროკლამაციაში ბრალი გვედება იმაში, რომ თურმე ჩვენ ვანიავებთ ძველი ხელოვნების ძეგლებს. ამხანაგებო, ყველა ყველა, მაგრამ ეს არამზადები მაინც არ უნდა ლაპარაკობდნენ ამაზე. მენშევიკების შუბლზე ხომ არა მარტო საქართველოს მუშათა კლასის ღალატია აღბეჭდილი, არამედ სწერია სიტყვა „ქურდიც“ იმიტომ, რომ მათ მოიპარეს საქართველოს ყველა განძეულობა. ნაწილი გაყიდეს და შეჭამეს, ხოლო ნაწილი დღემდე იმყოფება საზღვარგარეთ, თუ არ ვცდები, ლიონის ბანკში. მენშევიკებმა სცადეს მიეყიდათ ეს განძეულობა ამერიკელებისათვის, მაგრამ ფრანგებმა განაცხადეს: „მეგობრობა, მეგობრობაო, მაგრამ ფულს ანგარიში უყვარს, თქვენზე ვალი ირიცხება და, თუ ამ განძეულობის გაყიდვა გსურთ, ჩვენ პირდაპირ ავიღებთ მას“-ო. მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანგებმა არ მისცეს ამის ნება, მენშევიკებმა ვერ შესძლეს დარჩენილ განძეულობის გაყიდვა. ამავე დროს აშკარაა, რომ საბჭოთა საქართველო ამ განძეულობას მენშევიკებისაგან ვერ მიიღებს.

აი რას სწერენ ისინი:

„საქართველო ნადგურდება და იყიდება. ქართველ ხალხს აქვს უდიდესი და დაუფასებელი კულტურული საუნჯე, ესე იგი ხელოვნების, სკულპტურის და სხვა ძეგლები, რომლებიც მის მიერ არის შექმნილი მთელი საუკუნეების განმავლობაში. ეს ძეგლები მოწმობენ, რომ ქართველი ხალხი გამოვიდა ფართო ისტორიულ გზაზე, შექმნა თავისი სახელმწიფოებრიობა. ისინი მოწმობენ ქართველი ხალხის არა მარტო იდეურ, არამედ მატერიალურ სიმდიდრესაც და იმას, რომ ქართველ ერს დღემდე ეკავა და მან უნდა დაიჭიროს საპატიო ადგილი კულტურულ ერთა შორის.

ეს განძეულობა დაცული იყო მრავალი ბნელი ძალების: მურვან-ყრუს, შაჰაბაზის, აღა მაჰმად-ხანის და სხვათა შემოსევისაგან. ქართველი ხალხი როგორც თვალის ჩინს ისე იცავდა ამ თავისი დიდების ძეგლებს“... იგი მათ დასაცავად ღვრიდა სისხლს“...

ამხანაგებო, მართლაც მურვან-ყრუ უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი რამ დასწეროს. ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ, თუ საქართველოში რამე გადარჩა და ინახება, ეს ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით. სხვადასხვა უძველესი ხატები ეყარა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ლპებოდა, ფუჭდებოდა. არც ერთ მენშევიკს, არც მენშევიკურ ხელისუფლებას არასოდეს მათზე არ უფიქრია და არ უზრუნვია, რომ ისინი წესრიგში მოეყვანა. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ეს გააკეთა.

შემდეგ ნათქვამია:

„ეს სიმდიდრე დაცულია საქართველოს მუზეუმში. მისი ღირებულება უდრის რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს, ხოლო ქართველი ხალხისათვის ისინი ფასდაუდებელია“.

ამხანაგებო, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს განძეულობიდან ყველაზე უფრო ძვირფასია მინანქარი, რომელიც შეფასებულია 3.000.000 მანეთად. დანარჩენი ნივთები უმნიშვნელოა, რასაკვირველია ფულის მხრით. ყოველივე დანარჩენი მხოლოდ დიდ კულტურულ ღირებულებისაა, ფულადი ღირებულების თვალსაზრისით კი არაფერს არ წარმოადგენს.

შემდეგ ნათქვამია:

„და აი, მოსკოვის მთავრობამ გადაწყვიტა გაიტანოს ეს სიმდიდრე საზღვარგარეთ და გაჰყიდოს იგი ფულზე. ეს საშინელებაა. თუ მოსკოვი ამას სისრულეში მოიყვანს ეს იქნება ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული თვითმკვლელობა. ეს იქნება ქართველი ხალხის უმაგალითო ძარცვა. ეს იქნება ისეთი განადგურება, როგორიც ჯერ კიდევ არ ახსოვს კაცობრიობას. ნუ თუ ეს დასაშვებია? ნუ თუ დასაშვებია, რომ მოსკოვის მთავრობამ ევროპის ბაზარზე გაიტანოს უდიდესი კულტურის მთელ მსოფლიოში განთქმული ძეგლი — გელათის (ხახულის) ხატი და გაყიდოს იგი?“.

ამხანაგებო, ყოველივე ეს, გარდა იმისა, რომ თავიდან ბოლომდე თეთრგვარდიულური მოთქმაა, ამასთან ერთად უსირცხვილო სიცრუესაც წარმოადგენს. ავტორმა, რასაკვირველია, იცის, რა მიგვაქვს გამოფენაზე. ჩვენ არ გაგვაქვს არც ერთი უნიკუმი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ უზრუნველყოფილი იმისაგან, რომ ვინმე ფაშისტებმა არ შეუძლიათ შეიჭრან გამოფენის შენობაში და გააფუჭონ რომელიმე ძვირფასი ნივთი. ამიტომ განსაკუთრებით ძვირფასი უნიკუმები ჩვენ საზღვარგარეთ არ მიგვაქვს. რაც შეეხება, კერძოდ, გელათის ხატს, რომელიც არავისთვის საჭირო არ არის, იგი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი ხელის შეხებაც კი არ შეიძლება. იგი 600 წელიწადია დგას და რომ ადგილიდან დაძრა მტვრად იქცევა. ამ ხატს არავინ არ ეხება, მაგრამ მათ სჭირდებათ ასეთნაირი ხმაურობა ამ ხატის ირგვლივ. მენშევიკებმა მშვენივრად იციან, რომ როდესაც ჩვენი გამოფენა ბერლინში მოეწყობა, როდესაც ევროპის სწავლულები დაინახავენ, რა საუცხოვოდ არის დაცული საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხატებიც კი, რომლებიც წარმოადგენენ იმ სარწმუნოების განსახიერებას, რომლის წინააღმდეგაც ბოლშევიკები იბრძვიან, უეჭველად წამოიჭრება საზოგადოებრივი აზრის წინაშე საკითხი იმის შესახებ, თუ სად წაიღეს მენშევიკებმა საქართველოდან გატანილი ხატები? სად აქვთ დღემდე მათ ეს ხატები. პარიზში? ხომ არ არის ეს ქურდობა ქართველი ხალხის, ქართული კულტურის წინაშე? მე უნდა განვაცხადო, რომ უნიკუმის ძვირფასი განძეული, ყველაზე იშვიათი უნიკუმები სწორედ მენშევიკებმა წაიღეს თან. ყველაფერი, რასაც კი ფულის მხრით დიდი ფასი ჰქონდა, მაგალითად, ბრილიანტები, ოქროს ნივთები, ყველაფერი მენშევიკებმა გაზიდეს და ჩვენ უმნიშვნელო რამ დაგვრჩა. ჩვენ ამ გამოფენის შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ კამპანია მოპარული და გაზიდული განძეულობის დაბრუნებისათვის და ამ მხრით საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენა მოვახდინოთ საფრანგეთის მთავრობაზე. ამ საზოგადოებრივი აზრის, ამ მენშევიკების საწინააღმდეგო კამპანიის შიშით, ეს უკანასკნელნი წინდაწინვე ცდილობენ ასტეხონ კამპანია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ როგორმე შეანელონ ჩვენი გამოფენის მოსალოდნელი შთაბეჭდილება.

არის ქართული ანდაზა: „გაღმა შეედავა, გამოღმა შეჰრჩებაო“, სწორედ ასე იქცევიან ისინი.

შემდეგ ისინი სწერენ:

„ბოლშევიკურმა პარტიამ ჩაიდინა მრავალი სისულელე. უკანასკნელ ხანებში მისმა ეკონომიურ დარგში გადადგმულმა ნაბიჯებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს თავისი უაზრობით და მავნებლობითაც კი“.

ხომ ხედავთ, როგორ სწუხან თურმე მენშევიკები, რომ ჩვენ სისულელე ჩავიდინეთ. ნამდვილად კი მენშევიკებს ახარებს ჩვენი შეცდომები. ამჟამად მენშევიკები განსაკუთრებით ცდილობენ აწარმოონ დაბალხარისხოვანი სიცრუითა და თავშეუკავებელი ცილისწამებით აღსავსე აგიტაცია, ვინაიდან საქართველოს კომპარტია გადაჭრით შეუდგა შეცდომების გამოსწორებას, ვინაიდან ყოველი ჩვენი შეცდომა, განსაკუთრებით ის დიდი შეცდომები, რომლებიც კოლექტივიზაციის დარგში დავუშვით, მხოლოდ ხელსაყრელია მენშევიკებისათვის. პროკლამაცია თავდება ასე:

„ახლა კი ის ასეთ საბედისწერო ზომებს ღებულობს ნაციონალური კულტურის დარგში. თუ ეს ღონისძიებები გატარდება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ხელისუფლებამ დაჰკარგა ხელმძღვანელობის ყოველივე უნარი და უფსკრულში გადაიჩეხა“.

უფსკრულში გადაიჩეხნენ მენშევიკები, დიდი ხანია გადაიჩეხნენ, გადაიქცნენ ისეთ ხალხად, რომლებიც ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის. კომპარტია მიდის სწორი გზით, თვითონვე ასწორებს საკუთარ შეცდომებს და ცდილობს კიდევ უფრო მეტი წარმატება მოიპოვოს საკოლმეურნეო და სამრეწველო მშენებლობის დარგში.

რაც შეეხება საქართველოს გამოფენას, იგი უეჭველად გაიმართება. ჩვენ არაფრის გაყიდვა არ გვაქვს აზრად და არც გავყიდით. არსებითად ჩვენ მიერ გამოფენაზე გატანილი საგნები არც რაიმე ინტერესს წარმოადგენენ ფულადი ღირებულების თვალსაზრისით. გამოფენაზე უარის თქმა კი ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან ჩვენ ეს გამოფენა გვესაჭიროება თუნდაც იმისათვის, რომ ეს ფაქტი დავუპირისპიროთ მენშევიკების აგიტაციას იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ყველაფერს ანიავებს და ანადგურებს. ჩვენ ამ გამოფენით შევძლებთ ერთხელ კიდევ გამოვიტანოთ მზის სინათლეზე მენშევიკების ლაყბობის სიცრუე და დავამტკიცოთ, თუ როგორ იცავს საბჭოთა ხელისუფლება ხატებსაც. როგორ იცავს იგი საქართველოს კულტურულ განძეულობას.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ მით, რომ საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრმა დიდი წარმატება მოიპოვა მოსკოვში. რომ ამ თეატრმა შესძლო დაეპყრა მოსკოვსა და ხარკოვში მხატვრული გამოცდა. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ამით, რადგან ამ თეატრის მხატვრული გამარჯვება წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის მუშაობის შედეგს კულტურულ ფრონტზე. საერთოდ ქართული თეატრის თანამედროვე წარმატება მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების საქმეა. წინააღმდეგ იმ საბრალო და სავალალო მდგომარეობისა, რომელშიც ეს თეატრი მენშევიკების დროს იყო. რომ შევადაროთ თეატრის მდგომარეობა იმ სამი წლის განმავლობაში, როდესაც მენშევიკები „განაგებდნენ“ ქვეყანას და როდესაც თეატრის განვითარების ინტერესები იმ „უმაღლესი პოლიტიკის“ უკანა რიგში იყო მოქცეული, რომელიც საქართველოს სახალხო ქონების განიავებაში, საქართველოს სახალხო სიმდიდრის ხან გერმანიის და ხან ინგლისის იმპერიალიზმისათვის ნაჭრებით და ბოლომდე მიყიდვაში გამოიხატებოდა,—რომ შევადაროთ თეატრის ამ დროინდელი მდგომარეობა იმ მდგომარეობას, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს, უდიდეს განსხვავებას დავინახავთ. მხოლოდ საქართველოს კომპარტიამ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა ხელსაყრელი განვითარების პირობები ქართულ თეატრს, დააყენა იგი ფეხზე, მისცა მას შესაძლებლობა ფართოდ გაეშალა მუშაობა საქართველოს მშრომელი მასების კულტურული აღზრდის დარგში. და ეს შეეხება არა მარტო თეატრალურ ხელოვნებას. ასეთნაირადვე საქართველოს კომპარტიამ გაშალა ფართო მუშაობა მთელ კულტურულ და იდეოლოგიურ ფრონტზე. უმაღლესი სასწავლებლების რეორგანიზაცია საქართველოს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის მოთხოვნილებებთან შეფარდებით, მეცნიერებათა ინსტიტუტის დაარსება, ქართულ ენაზე „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოცემა, ეს ჩვენი ერთი უდიდესი მიღწევათაგანი, გაზეთების გამოცემის ყოველმხრივ ხელისშეწყობა განსაკუთრებით ადგილობრივ მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე (მეგრულზე, აფხაზურზე და სხვა), საქართველოს სახელგამის გამოცემების რიცხვის და ტირაჟის ზრდა და სხვა—ყველაფერი ეს საქართველოს კომპარტიის აქტივში უნდა ჩაიწეროს, ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევას წარმოადგენს. ყოველივე ამის შემდეგ მაინც მოიპოვება ხალხი, რომლებსაც არ სცხვენია ილაპარაკოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ქართული კულტურის დანგრევაზე, მოიძებნებიან მეცნიერები, როგორიც არიან ჩემ მიერ გამოქვეყნებული პროკლამაციის ავტორები, რომლებიც არ წითლდებიან თავიანთი სიტყვების გამო და ფაქტების მიუხედავად ცდილობენ დაამტკიცონ იმის დიამეტრალურად საწინააღმდეგო, რაც ჩვენ სინამდვილეში გვაქვს. მე დარწმუნებული ვარ და ამაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება, რომ ჩვენ რომ ამ თეატრის საზღვარგარეთ გაგზავნა მოგვეხერხებინა, მენშევიკები ამაზედაც ასტეხდნენ განგაშს. იმიტომ, რომ ქართული თეატრის მიღწევების საზღვარგარეთ ჩვენება ნიშნავს საუკეთესო აგიტაციას მენშევიკების წინააღმდეგ. ეს ნიშნავს იმას, რომ გამომჟღავნდება მთელი სიყალბე მათი მტკიცებისა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ანადგურებს ქართულ კულტურას, ეს ნიშნავს იმას, რომ გარდა შუბლზე დასმული დაღისა—„ქურდი“, მენშევიკები მიიღებენ კიდევ აღვირახსნილი ცრუისა და მატყუარას სავსებით დამსახურებულ სახელს.

სწორედ ამიტომაა, რომ მენშევიკები ამჟამად ასე თავგამოდებით გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ. მათ ეშინიათ არ წამოიჭრას საკითხი მათ მიერ გატანილი ქონების დაბრუნების შესახებ.

მეცნიერი, რომელიც მარქსს „არ იცნობს“

ასეთ აშკარა თეთრგვარდიულურ გამოსვლების გარდა, ჩვენ ვხედავთ იმ ხალხის უფრო ფრთხილ გამოსვლებს, ვინც ჩვენს კადრებს ზრდის და ვინც, ჩემის აზრით, საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო, კადრებს ვერ აღზრდის. მე მხედველობაში მყავს პროფესორი წერეთელი, საკავშირო სამეცნიერო აკადემიის კორესპონდენტი. გაზეთ „კომუნისტ“-ში მოთავსებული იყო შენიშვნა, რომ პროფესორი ჯვარს ატარებს, ღვთის მორწმუნეა, ეკლესიაში დადის და საეკლესიო საბჭოს წევრია. ამ წერეთელმა დაწერა განმარტება თუ განცხადება, რომელიც თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის დაცინვით.

ეს განცხადება გამჟღავნებულია გესლიანი კბენის სურვილით, მხოლოდ ისე კი, რომ ფორმალური ხელმოსაკიდი საბაბი არ დარჩეს, აი, მაგალითად, რას სწერს ეს აკადემიკოსი, პროფესორი წერეთელი: „ღმერთი მწამდა და მწამს, მაგრამ ეს ჩემს პირად საქმედ მიმაჩნია“-ო.

მართალია, ღვთის მორწმუნეობა კერძო, პირადი საქმეა, მაგრამ ნება გვიბოძეთ, პროფესორო წერეთელო, სათანადო ადგილი მიგიჩინოთ. თუ პროფესორი, რომელსაც ევალება აღზარდოს ჩვენი კადრები, ევალება ემსახუროს სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში, ღვთის მორწმუნეა, რელიგიურ წესებს ასრულებს და აშკარად აცხადებს ამას, თან ცინიკური დაცინვის ფორმით, ჩვენ მოვალენი ვართ მას სათანადო ადგილი მივუჩინოთ. შემდეგ იგი სწერს: „ვარ ქ. თბილისის ერთ-ერთი ეკლესიის საეკლესიო საბჭოს წევრი, მაგრამ არაფერს დასაძრახს ამაში არ ვხედავ, მით უმეტეს, რომ საეკლესიო საბჭოს წევრობა საბჭოთა კავშირის კანონების თანახმად ხმის უფლების წართმევას არ იწვევს“. როგორც ხედავთ, ყველაფერი კარგადაა: ღვთის მორწმუნეობა კერძო საქმეა. საეკლესიო საბჭოს წევრობა ხმის უფლების წართმევას არ იწვევს, მაშასადამე, ყველაფერი თავის რიგზეა. არსებითად კი ჩვენ არ შეგვიძლია შევურიგდეთ ასეთ განცხადებებს, ვინაიდან ეს არის ჩვენი აზრად აგდება, ჩვენი დაცინვა. შემდეგ ის სწერს: „შენიშვნის ავტორის სიტყვით მე მარქსი მეჯავრება, როგორც ნამდვილი მეცნიერი, მე ჩვეული არა ვარ მძულდეს ის, რაც არ ვიცი. მარქსის ის ნაწერები კი, რომლებსაც სოციალ-ეკონომიური ხასიათი აქვს, ჩემთვის უცნობია. მაგრამ სამაგიეროდ მე კარგად ვიცნობ მის სადოქტორო დისერტაციას დემოკრიტეს შესახებ, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩემს სპეციალობასთან (კლასიკური ფილოლოგია) და რომელსაც ლასალის ნაშრომთან ერთად ჰერაკლიტეს შესახებ დღემდე არ დაუკარგავს თავისი სამეცნიერო მნიშვნელობა. იცნობს თუ არა შენიშვნის ავტორი ამ დისერტაციას და წაუკითხავს თუ არა იგი“.

ყურადღება მიაქციეთ გესლიან ტონს. მას „ნამდვილ“ მეცნიერად მოაქვს თავი და მარქსს კი არ იცნობს, თითქოს შესაძლებელია ჩვენს დროში მეცნიერი იყო და მარქსიზმის ძირითადი დებულებები არ იცოდე. ის იკვეხის ამას და ამით თავის „მეცნიერულ“ უმეცრებას აშკარავებს.

შემდეგ ის სწერს: „შენიშვნის ავტორის სიტყვით მე რეაქციონური და მემარჯვენე პროფესურის დიდი წარმომადგენელი ვარ, თითქოს მე პირველი კაცი ვარ [illegible] ადამიანებს შორის, ჩემს ირგვლივ თავს იყრიან საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი ელემენტები. შენიშვნის ავტორმა, როგორც სჩანს დაივიწყა, რომ თქმა ცოტაა, საჭიროა დამტკიცება. მე არ ვიცი ვისგან შესდგება პროფესურის რეაქციონური ჯგუფი და საერთოდ არსებობს თუ არა იგი“.

შეხედეთ, რა გულუბრყვილოა? მან არ იცის, რომ უნივერსიტეტში არსებობს პროფესურის რეაქციონური და რევოლუციონური ნაწილი, და, რომ იქ განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებს მათ შორის ყოველ საკითხზე. მან მხოლოდ ის იცის, რომ ღმერთი სწამს და ეს თავის კერძო საქმედ მიაჩნია. რამდენადაც იგი საქმეს ფორმალურად უდგება, ჩვენც, როგორც ფორმალისტი, ასე აგრეთვე ფორმალური მოსაზრებებით შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ასეთ „მეცნიერ“ პროფესორს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს უნივერსიტეტში (ტაში).

კადრების აღზრდა

გადავდივარ კადრების საკითხზე. ხუთწლიანი გეგმის თანახმად ხუთწლედის დამლევს ჩვენ გვესაჭიროება 11.050 კაცი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი. ამავე დროს კი, ყველა იმ ღონისძიებების შემდეგ, რომლებიც ჩვენ დავისახეთ, როგორიც არის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მისაღებთა კონტინგენტის გადიდება, სწავლის ვადის შემცირება და სხვ., ჩვენ მაინც მივიღებთ 2.046 კაცის დეფიციტს. ეს გვავალებს მივიღოთ დამატებითი ზომები ამისათვის, რომ ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას კულტურული ძალებით და საჭირო კადრებით.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში ჩვენ გვაქვს უეჭველი მიღწევები, რომლებიც საერთოდ შემდეგში გამოიხატება: 1928-29 წელს გახსნილი იყო — 1.650 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიაც სწავლობდა 40.345 კაცი. 1929-30 წელს იყო 5 842 სკოლა, რომელშიაც სწავლობდა 175,000 კაცი. გარდა ამისა, მოწყობილი იყო 240 ქალთა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი.

მაგრამ, ამხანაგებო, უნდა აღვნიშნოთ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ეროვნულ უმცირესობათა შორის მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. პოლიტგანმა, სახელგამმა, სახ. განათლების კომისარიატმა და ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ გადამჭრელი მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, რათა უზრუნველყონ ამ რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ისევე, როგორც მთელს საქართველოში.

1929-30 წელს პირველი საფეხურის სკოლებში სულ ჩაბმულია 270 ათასი ბავში, ანუ 63 პროც. მომავალ სამოსწავლო წელს განზრახულია ჩაბმულ იქნას 358 ათასი, ანუ 86 პროც. და მხოლოდ 1932-33 წელს ჩვენ განვახორციელებთ ყველა ბავშების მთლიანად ჩაბმას პირველი საფეხურის სკოლებში.

წიგნი და პერიოდული პრესა

ამხანაგებო, მე საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე კიდევ ბეჭდვითი სიტყვის საკითხზე. საანგარიშო პერიოდში ჩვენი პერიოდული პრესა ძალიან გაიზარდა. ასე, მაგალითად, გაზეთ „კოლექტივიზაციის“-ს ტირაჟი ერთი წლის განმავლობაში 50 ათასიდან 100 ათასამდე ავიდა. ხოლო გაზეთ „კომუნისტი“-ს ტირაჟი 40 ათასიდან 55 ათასამდე. ქაღალდის ნაკლებობა რომ არ იყოს, ამ გაზეთების ტირაჟი, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო გადიდდებოდა. საქართველოს სახელგამის წიგნების პროდუქცია 1928 წელს 331 სახელწოდებას შეადგენდა. 1.250 ათასი ცალი საერთო ტირაჟით, ხოლო 1929 წელს — 341 სახელწოდებას 1.467 ათასი ცალი ტირაჟით. 1930 წელს კი ხორციელდება 850 სახელწოდების გამოცემა 3.506 ათასი ცალის საერთო ტირაჟით. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დიდ რაოდენობით ზრდასთან ერთად სახელგამმა და რედაქციებსაც უნდა მივუთითოთ, რომ მათ მუშაობაში ადგილი აქვს დიდ დეფექტს, სახელდობრ—სათანადოთ არ შუქდება სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება ბროშურებსა და გაზეთებში. ამ საკითხის ირგვლივ გაზეთებმა ვერ დარაზმეს საზოგადოებრივი აზრი. ეს შეცდომა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. გაზეთებს დროზე უნდა აეტეხათ განგაში, უნდა შემოეღოთ პრემიები, ჩაეტარებიათ საწარმოების გამოკვლევა და მაშინ, შესაძლებელია, უკეთესი სურათი გვქონოდა. რაც შეეხება სახელგამს, უნდა ითქვას, რომ, ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად სრულიად არასაკმარისია სასოფლო ლიტერატურის გამოცემა. სოფელი უზრუნველყოფილი არ არის ლიტერატურით. სახელგამი ამას სხვებს აბრალებს, სხვები კი სახელგამს. საბოლოოდ შედეგად ის გამოდის, რომ სოფელი უზრუნველყოფილი არ არის საჭირო ლიტერატურით. ამიტომ საჭიროა სათანადოთ ავამოძრაოთ სახელგამიც და ჩვენი გაზეთებიც.

მეგრული გაზეთის შესახებ

ამხანაგებო, მე უნდა შევჩერდე კიდევ ერთ ფრიად სერიოზულ საკითხზე. ეს არის საქართველოს მეგრული გაზეთის გამოცემის შესახებ. საანგარიშო პერიოდში ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით იცემა გაზეთი მეგრულ ენაზე—„ყაზაური გაზეთი“. აქვე უნდა ვთქვათ, რომ უპარტიო ქართველი ინტელიგენციის ნაწილი სასაცილოდ იღებს ამ გაზეთს და დაცინვით „ყაზახიშ ცეიტუნგ“-ს უწოდებს. მაგრამ ვიდრე ამ საკითხზე გადავიდოდეთ, უნდა გავაშუქოთ საკითხი სოფლის ინტელიგენციის შესახებ. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ როგორც დადებითი ფაქტი ის მოვლენა, რომ სოფლის ინტელიგენცია აქტიურ მონაწილეობას იღებდა კოლექტივიზაც. გატარებაში. სოფლის მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები და სხვ. დიდ აქტივობას იჩენდნენ და დახმარებას უწევდნენ პარტიას კოლექტივიზაციის გატარებაში. ეს პარტიის დიდი მიღწევაა, ეს მიღწევა უნდა განვამტკიცოთ, უნდა დავიახლოვოთ სოფლის ინტელიგენცია, უნდა ჩავატაროთ მასში დიდი მუშაობა, რათა ეს კავშირი არ შესუსტდეს, რათა ეს ინტელიგენცია მოვაქციოთ საქართველოს კომპარტიის კონტროლისა და ხელმძღვანელობის ქვეშ.

ამ შენიშვნის შემდეგ გადავდივარ მეგრულ გაზეთზე. მეგრული გაზეთის გამოცემის საჭიროება აშკარაა: მისი გამოცემა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით ზუგდიდისა და გალის მაზრებში, მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ქართული ენა არ იცის.

ამხანაგებო, მე არა ერთხელ ვყოფილვარ სამეგრელოში და როდესაც დაბლობ ნაწილში ხარ, აუცილებლად გიხდება მთარგმნელის წაყვანა, ვინაიდან სამეგრელოს ამ ნაწილის გლეხობას ქართული ენა არ ესმის.

უაზრობა, უსამართლობა იქნებოდა არ მიგვეცა მეგრელი გლეხებისათვის იმის საშუალება, რომ მისთვის გასაგებ ენაზე წაეკითხოს საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებანი და დეკრეტები, კომპარტიის გადაწყვეტილებანი, რომ მეგრელ გლეხებს საშუალება არ ჰქონდეთ წაეკითხათ გაზეთი თავიანთ მშობლიურ ენაზე. რათ უნდა შეგვექმნათ ასეთი მდგომარეობა, რომ ყოველივე ეს მან მხოლოდ მთარგმნელის საშუალებით გაიგოს? აქვე უნდა აღვნიშნოთ, ამხანაგებო, რომ ჩვეულებრივად მთარგმნელები სოფლად სავსებით საბჭოთა ხალხი ვერ არიან. მთარგმნელებად ხშირად არიან ყოფ. მღვდლები, ხუცები, ჩაფრები, „გარეთ გასული“ ხალხი, ან მენშევიკები, რათა ბოლო მოვუღოთ ამ მდგომარეობისათვის, რათა საშუალება მივცეთ მეგრელი გლეხებისათვის უშუალოდ გაიგოს თუ რას მოითხოვს და რას აძლევს მას საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენ გამოვეცით მეგრული გაზეთი, და რომ ამას სარგებლობა მოაქვს, ამას ამტკიცებს ის, რომ გაზეთის ტირაჟი უკვე 16 ათას ცალამდე გაიზარდა.

ძალიან ბევრი ამხანაგი ამ გაზეთის წინააღმდეგია, თვით ზოგიერთი მეგრელიც კი წინააღმდეგია მისი გამოცემის. მართალია, ზოგიერთ მეგრელ ამხანაგს ჰგონია, რომ თუ მეგრულ გაზეთს ჩასწიხლავს, ამით თავის ინტერნაციონალიზმს დაამტკიცებს. მე ვიცნობ ერთ მეგრელს, რომელიც ამ საკითხში „ინტერნაციონალისტია“, იგი გადაჭრით წინააღმდეგია მეგრული გაზეთის, მაგრამ არსებითად საქართველოს საკითხებში ის ყველაზე უარესი ნაციონალისტია. მას დღემდე ჰგონია, რომ უკლონიზმი საქართველოსათვის თითქმის უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ის მდგომარეობა, რაც ამჟამად გვაქვს. მეგრული გაზეთის მაგალითით კი იგი სცდილობს დაამტკიცოს, თითქოს სწორედ ის არის ყველაზე ინტერნაციონალური კაცი. ეს უაზრობაა და არა ინტერნაციონალიზმი. ეს ყოვლად უვარგისი სისულელეა. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ მეგრელ გლეხებს უნდა მივცეთ საშუალება იკითხონ გაზეთი თავიანთ მშობლიურ ენაზე. თუ არავინ ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, როცა სასამართლოში საქმის გარჩევა მეგრულ ენაზე ხდება, რატომ არ შეიძლება მეგრულ ენაზე დაიწეროს საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები, რათა ისინი გასაგები იყვნენ გლეხებისათვის?

აქ არ არის ლენინური პრინციპებისა და ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლების არავითარი დარღვევა. როდესაც შოვინისტური ინტელიგენცია მეგრული გაზეთის წინააღმდეგ ილაშქრებს, იგი იმას ემყარება, რომ ვითომ ილახება საქართველოს ნაციონალური ინტერესები, რომ მეგრელმა გლეხებმა აუცილებლად ქართული ენა უნდა იცოდნენ. ქართულ ნაციონალისტ-შოვინისტების მსჯელობა იმათი მსჯელობაა, ვინც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგია. ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამას და არც დავეთანხმებით.

ეს არ არის ჩვენი თვალსაზრისი, ჩვენ არ შეგვიძლია დავავალოთ მეგრელებს, დღესვე იცოდნენ ქართული ენა და არც უნდა ჩავიდინოთ ეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით გავუადვილოთ მათ ქართული ენის შესწავლა იმიტომ, რომ მარტო მეგრული ენით შორს ვერ წავა. რა თქმა უნდა, ღრმად სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მეგრელი გლეხისათვის საკმაოა მარტო მეგრული ენა. ვინც მეგრული ენის გარდა სხვა ენა არ იცის, ის ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს. ეს, ამხანაგებო, რეაქციონური თვალსაზრისია. მაგრამ საკითხი ასე არ სდგას და არც შეიძლება იდგეს. საკითხი ასე უნდა დაყენდეს: აახლოვებს თუ აშორებს მეგრული გაზეთი გლეხებს საბჭოთა ხელისუფლებიდან. ჩემის აზრით, აახლოვებს, ვინაიდან ეს გაზეთი შექმნილია კომუნისტური ხელით, კომუნისტური პარტიის მიერ. აქ ისმის ხმაც, რომ გაზეთს აქვს შეცდომები, დეფექტები, რომლებიც უნდა გამოსწორდეს. ეს სწორია. თითქმის ყველა მეგრელი სჩივის, რომ არ ესმის ზოგიერთი სიტყვა გაზეთში. ამაზე პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დეფექტები მართლაც არის. მეგრული გაზეთის რედაქცია ცდილობს გამოიგონოს, გამონახოს ახალი სიტყვები. ამ ახალი სიტყვების შექმნაში იქამდე მიდიან, რომ თავიანთ გაზეთში სპობენ ისეთ ქართულ სიტყვებს, რომლებიც ყოველი მეგრელი გლეხისათვის გასაგებია, მაგალითად: სიტყვა „თავმჯდომარე“, ან „მშრომელი ხალხი“. ეს სიტყვები და გამოთქმები ხომ ყოველმა მეგრელმა გლეხმა იცის, ეს სიტყვები მისთვის უფრო გასაგებია, ვიდრე ის გაუგებარი სიტყვები, რომლების გამოგონებასაც სცდილობენ. ამ სიტყვების ნაცვლად შემოაქვთ წმინდა მეგრული სიტყვები, რომლებიც სრულებით არ არის საჭირო ამ შემთხვევაში. მეტიც, შემოიღეს ისეთი სიტყვები, რომლებიც მეგრელ გლეხს არ ესმის, რადგან ძნელი დასაშვებია მეგრელმა გლეხმა უკეთ იცოდეს მეგრული ენა, ვიდრე გრიშა გაბუნიამ ან ისაკი ჟვანიამ, რომლებისთვისაც ამ გაზეთში ნახმარი ბევრი სიტყვა გაუგებარია. რატომ ხდება, რომ ქართულ ენაში შეგნებულად ამკვიდრებენ მთელ რიგ რუსულ სიტყვებს, რომლებმაც მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვეს? მაშ რატომ სპობს მეგრული გაზეთი ისეთ სიტყვებს, რომლებიც მეგრელი გლეხისათვის გასაგებია? ეს შეცდომაა, ეს დეფექტია, რომელმაც, თუ იგი დაჟინებით იქნა დაცული, შეიძლება არასასურველ მდგომარეობამდე მიგვიყვანოს, რაც იმას გამოიწვევს, რომ გაზეთი ბოლოს და ბოლოს იმის ნაცვლად, რომ მეგრელი გლეხები დარაზმოს საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ, საქართველოს ირგვლივ, კომპარტიის ირგვლივ, ამის ნაცვლად შეიძლება გამოვიდეს, რომ ამ გაზეთით ჩვენ დავაფრთხოთ, დავაშოროთ, მეგრელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

მაგრამ, მე მგონია, რომ ამ საფუძველზე მეგრული გაზეთის გაბიაბრუება სწორი არ იქნება, მისთვის ძირის გამოთხრა და ლაპარაკი, რომ ის უნდა დაიხუროს, დაუშვებელია. ეს ბოლშევიკური საქციელი არ იქნება. იმიტომ, რომ გაზეთი საჭიროა, მან გაამართლა თავისი დანიშნულება, ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მას მატერიალურადაც და ტექნიკურადაც, შეცდომები კი უნდა გამოვასწოროთ. ეს კი უწინარეს ყოვლისა უნდა გააკეთონ მეგრელმა ამხანაგებმა და პირველ ყოვლისა ზუგდიდელმა ამხანაგებმა. მათ მეგრელი გლეხისათვის გასაგები ნათელი სიტყვები კი არ უნდა მოსპონ, არამედ, პირიქით, უნდა დაამკვიდრონ ისინი. ყიფშიძის გრამატიკის მიხედვით კი ახალი სიტყვების შემოღება მეგრულ ენაში სრულიად უაზროა, ამის საჭიროებას არაფერი არ იწვევს, ეს ზედმეტი, ამაო მუშაობა იქნებოდა, ეს მეგრელს კულტურულად დააშორებდა იმ მიღწევებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს. მაგრამ ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ ამ შეცდომების საფუძველზე გაზეთის გაბიაბრუების ნებას არავის მივსცემთ. საქართველოს კომპარტია შესძლებს ზუგდიდის აქტივთან ერთად გამოასწოროს ეს შეცდომები, გამოამჟღავნოს ისინი. ეს გაზეთი კი საუცხოვო იარაღი იქნება საბჭოთა ხელისუფლებასთან გლეხების დაახლოვების საქმეში, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის რეკონსტრუქციის საქმეში.

შინაპარტიული მდგომარეობის საკითხები

პარტიის ზრდა

გადავდივარ შინაპარტიული მდგომარეობის საკითხზე და ამით ვამთავრებ. საანგარიშო პერიოდში პარტიის ზრდა სწარმოებდა უმთავრესად მუშების ხარჯზე. მუშათა ხვედრითი წონა იზრდება. 1929 წლის 1-ლი აპრილისათვის იყო 16.502 მუშა, ანუ 48 პროც., ხოლო 1930 წლის 1-ლი აპრილისათვის არის 17.914 მუშა ანუ 53 პროც. როგორც ხედავთ, მუშათა ხვედრითი წონა პარტიაში 5 პროცენტით გაიზარდა. ხოლო თუ ავიღებთ დაზგის მუშებს, სურათი შემდეგია: 1929 წლის 1-ლ აპრილისათვის დაზგის მუშები შეადგენდნენ 39,3 პროცენტს, ხოლო 1930 წლის 1-ლი აპრილისათვის 42,5 პროცენტს. სხვათა შორის, ამას წინად „პრავდა“-ში პარტიული მშენებლობის მეთაურ წერილში მოყვანილი იყო ციფრები საქართველოს კომპარტიის შესახებ. გამოანგარიშებაში დაშვებული შეცდომის გამო იქ გამოდიოდა ჩვენს პარტიაში მუშების ხვედრითი წონის შემცირება. ეს სრულებით არ არის სწორი. პირიქით, წარმოების მუშათა ხვედრითი წონა 3,2 პროცენტით გადიდდა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მოჯამაგირეთა ზრდის პროცენტი ჩვენში სრულიად უმნიშვნელოა. ასე, მაგალითად, 1929 წლის 1-ლი აპრილისათვის პარტიაში იყო 544 მოჯამაგირე, ამჟამად კი 776. ეს სრულიად უმნიშვნელო ზრდაა. მიუხედავად იმ მიღწევებისა, რომლებიც გვაქვს პარტიაში მუშების მიღების საქმეში, უნდა აღინიშნოს ერთი დიდი დეფექტი, სახელდობრ ის, რომ ჩვენ პარტიის წმენდა ვერ გამოვიყენეთ პარტიაში მუშების მისაღებად. მეტიც, პარტიის წმენდის დროს, ქალ. თბილისის ლენინის რაიონის გარდა, თითქმის ყველგან დაივიწყეს პარტიაში მუშების მიღების ამოცანა. ეს დიდი შეცდომაა იმიტომ, რომ პარტიის წმენდა იმ თვალსაზრისით უნდა ჩაგვეტარებია, რომ უვარგისი გამოძევებული ელემენტების ნაცვლად შეგვერჩია და მიგვეღო მუშათა კლასის საუკეთესო ფენები.

პარტმუშაობის რეორგანიზაცია

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, საანგარიშო პერიოდში ჩვენ შევუდექით პარტორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნას. ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და მის შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეხლავე შესამჩნევია ზოგიერთი დეფექტები ამ საქმეში. რეორგანიზაციის აზრი ის არის, რომ პარტიული აპარატი დაუახლოვოთ პარტიულ მასებს, რომ პარტაქტივი უფრო მეტად ჩავაბათ პარტმუშაობაში. ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ მუშაობის ძველ მეთოდებისაკენ, მხოლოდ ჯამაგირიანი მუშაკებით მუშაობისაკენ გადახრის ტენდენციას. ამის წინააღმდეგ გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ.

გარდა ამისა, ერთ-ერთი უდიდესი დეფექტი პარტმუშაობის რეორგანიზაციის სფეროში არის ის, რომ თითქმის სრულებით არ სწარმოებს მუშაობა გლეხ-ქალთა შორის. კოლექტივიზაციის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვან როლს თამაშობს მუშაობის ეს დარგი და ამიტომ ჩვენი მუშაობის ეს სუსტი მხარე აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

კომკავშირი პარტიის უახლოესი თანაშემწეა

საანგარიშო პერიოდში კომკავშირი გაიზარდა 9,7 პროცენტით 1928 წლის 17 პროცენტით ზრდის ნაცვლად. მუშათა და მოჯამაგირეთა ბირთვი კომკავშირში უმნიშვნელოდ გაიზარდა, სახელდობრ 21 პროცენტიდან 23 პროცენტამდე, საშუალო გლეხთა ფენების შემცირების ხარჯზე. კომკავშირმა კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის საქმეში საერთოდ და მთლიანად თავი გამოიჩინა, როგორც სავსებით ჯანსაღმა კომუნისტურმა ორგანიზაციამ. მე ვიცი, რომ კომკავშირის ცალკე ჩამორჩენების საფუძველზე, კომკავშირელთა ყოფაქცევის ცალკე უმსგავსო ფაქტების საფუძველზე, ზოგიერთებს სურთ მთელ კომკავშირს ბრალი დასდონ როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ შეცდომებში. მაგრამ პარტიამ მშვენივრად იცის, რომ საერთოდ და მთლიანად კომკავშირი გამოდგა მედგარი და მტკიცე ორგანიზაცია, თუმცა მან მრავალ ადგილას ვერ შესძლო კოლექტივიზაციის საკითხების დაძლევა.

გადავდივარ პარტკომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკთა საკითხზე. პარტიის მე-6 ყრილობისათვის ამ მუშაკთა შორის ჩვენ გვყავდა 16 მუშა, 8 გლეხი, 44 მოსამსახურე. პარტიის მე-7 ყრილობისათვის მუშათა სოციალური შემადგენლობა რამდენადმე გაუარესდა, სახელდობრ: 16 მუშის ნაცვლად გვყავს 10 მუშა, 8 გლეხის ნაცვლად 2 და 44 მოსამსახურის ნაცვლად—49. რა თქმა უნდა, ეს არის არა მემარჯვენე გადახრა, არამედ ერთგვარი დაუკვირვებლობა მუშაკთა კადრების შერჩევაში. ჩვენ ვიცით, რომ ოლქებში მომუშავე ამხანაგები კარგი მუშაკებია, მაგრამ მუშათა პროცენტი ამდენად მაინც არ უნდა შეგვემცირებია.

ეხლა შევეხოთ საქართველოს კომპარტიის (ბ) პარტიული კომიტეტების მდივნების შემადგენლობას ოლქებში, მაზრებსა და რაიონებში. მე-6 ყრილობისათვის იყო 9 მუშა, ეხლა გვყავს—6. მოსამსახურე იყო 14 და ამდენივე დარჩა, გლეხები არ ყოფილა. ამ ცნობებმა პარტორგანიზაციების ყურადღება უნდა მიაპყროს. შემდეგში უნდა მიღებულ იქნას ყველა ზომები პარტმუშაობაში მუშათა კადრების ჩაბმისათვის და დაშვებულ არ იქნას მუშათა პროცენტის შემცირება ჩვენ ხელმძღვანელ მუშაკთა შორის.

ცვლილებები ა.-კ. პარტიულ ხელმძღვანელობაში

დასასრულ, მინდა შევეხო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს უკანასკნელ გადაწყვეტილებებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემდგომ მუშაობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით საქართველოს საკითხის შესახებაც. ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ იმ შეცდომებთან დაკავშირებით, რომლებიც დაშვებულ იქნა ამიერ-კავკასიაში კოლმეურნეობათა მშენებლობის ხაზით, პოლიტბიურომ ამიერ-კავკასიის მუშაობიდან მოხსნა ხუთი ხელმძღვანელი მუშაკი: კრინიცკი, ნაზარეტიანი, კოსტანიანი, კახიანი და ყარაევი. ამასთან ეს უკანასკნელი ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტიდან გადაყვანილ იქნა აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ეს გადაწყვეტილება ზოგიერთმა ამხანაგებმა ისე გაიგეს, როგორც საერთოდ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი კადრების დაშლის დასაწყისი. იყო ტენდენცია, იგი ზოგიერთს ეხლაც შერჩა, რომ ამ საფუძველზე მოეთხოვათ საერთოდ საქართველოს პარტიული კადრების გადათვალიერება, იყო ტენდენცია ამ საფუძველზე ძირი გამოეთხარათ პარტიის მთელი ხელმძღვანელობისათვის. პოლიტბიურომ აღნიშნა ჩვენი შეცდომები კოლმეურნეობათა მშენებლობის სფეროში. ჩვენ ამას არ ვფარავთ. პოლიტბიურომ ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი შეცდომები და საჭიროდ ჩასთვალა გაეწვია ზოგიერთი ამხანაგები. პარტიას ეს სავსებით ესმის. მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს და სურს ამ შეცდომების საფუძველზე ძირი გამოუთხაროს და რევიზია გაუკეთოს საქართველოს კომპარტიის მთელ გენერალურ ხაზს, ე.ი. მთელ ჩვენ მუშაობას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში და აგრეთვე იდეოლოგიისა და კულტურულ ფრონტის სფეროში, ეს ფანდი არ გავა. ჩვენ არავის მივსცემთ ნებას ამ, თუმცა დიდი და სერიოზული, შეცდომების საფუძველზე, რომლებისთვისაც მოგვხვდა ღირსი [illegible] და კიდევაც მოგვცხო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, შეცვალოს მთელი ჩვენი მუშაობა საქართველოში.

თავისი დადგენილებით საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი გვეუბნება, რომ ჩვენ დავუშვით შეცდომები, ამისათვის მან მოგვცხო და მოითხოვა, რომ ჩვენ გადაჭრით უკუვაგდოთ პარტიული ხაზის ყოველი დარღვევა და მივაღწიოთ გარდატეხას ჩვენს მუშაობაში. ხოლო თუ ამას ვერ შევსძლებთ, მაშინ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჩვენც ბოლშევიკურად გაგვასწორებს და გვაიძულებს გავატაროთ ცხოვრებაში პარტიის ლენინური ხაზი. ზოგი ამბობს, რომ ჩვენ დღემდე კავშირი არ გვქონდა ძველ კადრებთან, რომ სამუშაოზე უნდა ვგზავნიდეთ უფრო ნაცად მუშაკებს, ვიდრე ეხლა ვგზავნით. ასეთი მსჯელობა მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ სურთ გამოიყენონ ჩვენ მიერ დაშვებული ცალკე შეცდომები, რათა ძირი გამოუთხარონ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მთელ ხელმძღვანელობას.

არის მეორე ხასიათის მსჯელობაც იმის შესახებ, რომ ყველა შეცდომების მიუხედავად არ შეიძლება კაცის შეცვლა, გაწვევა და სხვ., რომ ეხლა კადრების გადათვალიერება იქნება. ეს მსჯელობაც არ არის სწორი. ჩვენ არა თუ შეგვიძლია, არამედ მოვალენიც ვართ აუცილებლად ბოლშევიკურად მოვახდინოთ გადაჯგუფებანი, ზოგიერთი უნდა მოვხსნათ, ზოგი გავიწვიოთ, ზოგი გავანთავისუფლოთ „პირადი თხოვნის“ თანახმად და სხვ. უნდა დავაწინაუროთ ახალი ხალხი, ზოგი გავკიცხოთ განსაზღვრულ ადგილზე, არა იმიტომ, რომ ის ცუდი მუშაკია, არამედ იმიტომ, რომ მან დაუშვა მთელი რიგი უდიდესი შეცდომები. თუ ვინმემ სახელი გაიტეხა ერთ რაიონში, უნდა გადავიყვანოთ იგი სხვა რაიონში, სადაც მეტ სარგებლობას მოიტანს და სხვ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევსძლებთ უზრუნველვყოთ ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა.

გადაჭრით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ცალკე შეცდომები არავითარ შემთხვევაში არ ახასიათებენ საქართველოს კომპარტიის მთელ მუშაობას. პირიქით, ჩვენ შეგვიძლია დავიკვეხნოთ, რომ ამ შეცდომების მიუხედავად ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად და ის, ვინც ამ მიღწევებს უარყოფს, არის მემარჯვენე უკლონისტი, არის ისეთი კაცი, რომელსაც არ სურს შეურიგდეს იმ კადრებს, რომლებიც გამოიჭედნენ საქართველოში ყოველგვარი ანტიპარტიულ გადახრებთან ბრძოლაში. ამხანაგებო, როგორ აფასებენ იმას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება ჩვენი კლასობრივი მტრები? აი რას სწერს „ფორვერტს“-ი, რომელიც კომენტარიებს უკეთებს ამხ. შალვა ელიავას სიტყვას კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პარტიულ კონფერენციაზე: „ამ დღეებში შეიკრიბება საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის კომუნისტური ყრილობები, რომლის შემდეგაც შესდგება მთელი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ყრილობა. ამ ყრილობაზე ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, იქნება სერიოზული მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში“. ამხანაგებო, ცხადია, რომ ჩვენ ვარჩევდით და გავარჩევთ უაღრესად სერიოზულ საკითხებს.

მაგრამ აი შემდეგ: „პარტიული ამბოხება სტალინის წინააღმდეგ კავკასიაში. „ტელეგრაფ უნიონ“-ის სააგენტოს მოსკოვიდან ატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციაში შეიქმნა ძლიერი ოპოზიცია სტალინის წინააღმდეგ. ოპოზიციამ შესძლო გაეტანა წინადადება, რომელშიაც მოთხოვნილია სტალინის გადაყენება. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ სტალინის წინადადების თანახმად, მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კავკასიაში გაიგზავნონ კომისრები: ლომინაძე და ჩაპლინი, რათა ჩაატარონ იქ პარტიის წმენდა. ისინი ორივე ერთსა და იმავე დროს დანიშნულია კავკასიის პარტორგანიზაციის მდივნებად. ოპოზიციონური ლიდერები დაუყოვნებლივ გაიწვიეს თავიანთი პოსტებიდან და მათ, ალბათ, პარტიიდან გამორიცხავენ“.

აი, ამხანაგებო, სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ. თურმე, ნუ იტყვით, ამხ. კახიანი, კოსტანიანი და ნაზარეტიანი ოპოზიციონური ლიდერები ყოფილან, რომლებსაც „რა თქმა უნდა, პარტიიდან გამორიცხავენ“. ჩვენთან კი გამოუგზავნიათ „კომისრები“ ლომინაძე და ჩაპლინი, რომ მათ პარტიის წმენდა ჩაატარონ. „ფორვერტს“-ს და კომპ. საუცხოოდ ესმით, თუ რას ნიშნავს სტალინის წინააღმდეგ გალაშქრება. მათ მშვენივრად ესმით, რომ პარტიისა და სტალინის ერთმანეთისათვის დაპირისპირებას შეუძლია განხეთქილება ჩამოაგდოს პარტიის შიგნით, შეუძლია ოპოზიციონური განწყობილება გამოიწვიოს სტალინის წინააღმდეგ და ამით — პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, და შეასუსტოს პარტიისა და პროლეტარიატის პოზიცია.

მაგრამ ჩვენ თამამად და მტკიცედ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამაოა მთელი ამ ხალხის იმედები, ამაოა მათი იმედი, რომ თავიანთი ლაყბობით ოდნავ მაინც მოახდინონ გავლენა ჩვენს შინაპარტიულ მდგომარეობაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ მთელი ეს ცილისწამება, მთელი ეს ფუჭი ლაყბობა თვალსაჩინოდ იკვებება იმ მემარჯვენე უკლონისტური ტენდენციებით და მითქმა-მოთქმით, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზოგიერთ ცალკე კომუნისტებს შორის. მით უფრო ძლიერ, მით უფრო გადაჭრით უნდა დავარტყათ ამ განწყობილებებს, მით უფრო მეტი თანამიმდევრობითა და თავგამოდებით უნდა აღმოვფხვრათ, მოვსპოთ მემარჯვენე ოპორტუნისტული ტენდენციები ჩვენს პარტიაში, მით უფრო დიდი გააფთრებით უნდა ვაწარმოოთ შეურიგებელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან როგორც თეორიაში, ისე განსაკუთრებით პრაქტიკულ საქმიანობაში.

პირველი წელიწადი არ არის, რაც საქართველოს კომპარტია იბრძვის და წარმატებითაც იბრძვის ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის. საქართველოს კომპარტიამ შესძლო გადაელახა ისეთი საშიშროება, როგორიც არის მენშევიზმი, რომელსაც პირდაპირ ქიმიურად გამოჰყოფენ საქართველოს წვრილბურჟუაზიული ვითარების ყველა ობიექტიური პირობები. საქართველოს კომპარტიამ შესძლო გადაელახა თავის შიგნით ისეთი საფრთხე, როგორიც არის მემარჯვენე ნაციონალისტური გადახრა, საქართველოს კომპარტიამ შესძლო გადაელახა ნეომენშევიზმიც ტროცკიზმის ფორმით, რომელიც ამაოდ სცდილობდა ფეხი მოეკიდა ჩვენს რიგებში. საქართველოს კომპარტიის ისტორია არის ისტორია მტკიცე, მედგარი ბოლშევიკური ბრძოლისა კომუნიზმის ცალკე რენეგატების ყოველნაირ ცდებთან — გადაიყვანონ პარტია ბრძოლის არასწორ, ანტილენინურ გზაზე. ამ ბრძოლაში იჭედებოდნენ ბოლშევიკ-ლენინელთა ფოლადისებური კადრები.

შემჭიდროებული რიგებით — მე-16 პარტყრილობისაკენ

და დღესაც ისე, როგორც საქართველოს კომპარტიის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე, ჩვენ უნდა დავსძლიოთ მემარჯვენე უკლონისტური განწყობილებანი ჩვენს წრეში და კიდევაც დავსძლევთ მათ. საქართველოს კომპარტია შესძლებს დასძლიოს და უნდა დასძლიოს კიდევ „მემარცხენე“ ტენდენციებიც, რომლებსაც იჩენენ ზოგიერთი ამხანაგები. საქართველოს კომპარტიამ ძირიანად უნდა აღკვეთოს ცალკე მუშაკების „მემარცხენე“ გადახვევათა პრაქტიკა, ვინაიდან „მემარცხენე გადამხვევების“ ეს პრაქტიკა არსებითად მემარჯვენე გადახრას კვებავს და აძლიერებს. იმ „მემარცხენე“ ტენდენციებთან ბრძოლა, რომლებსაც იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცალკე წევრები, კოლექტივიზაციის პრაქტიკაში დაშვებულ შეცდომების გამოსწორება და აღმოფხვრა, მთავარი ცეცხლის მარჯვნისაკენ მიმართვა, გადამწყვეტი, შეურიგებელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან, — ეს არის დღევანდელი დღის ამოცანა. და დეე იცოდეს ყველამ, ვისაც სურს დაშვებული შეცდომების საფუძველზე ძირი გამოუთხაროს პარტიულ ხელმძღვანელობას, ყველამ, ვინც სცდილობს სახელი გაუტეხოს მთელ ჩვენ მუშაობას, რომ პარტია არ დაუშვებს ამას, რომ პარტია მოსცხებს მათ. საქართველოს კომპარტია ისევე, როგორც წინად, განაგრძობს მუშაობას სწორი ბოლშევიკური, ლენინური გზით, ებრძოლებს სოციალიზმის აშენების მარქსისტულ-ლენინური გენერალური ხაზისათვის, ლენინური რიგების მონოლიტობისა და განმტკიცებისათვის და შემჭიდროებული ფოლადისებური რიგებით წავა საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობაზე. (მქუხარე ტაში).

საქართველოს კომპარტიის (ბ) დელეგატები
ა.-კ. პარტორგანიზაციების მე-VI ყრილობაზე

საქ. კომპარტიის (ბ) მე-7 ყრილობამ საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. ორგანიზაციების მე-6 ყრილობაზე დასასწრებლად აირჩია დელეგატები

გადამწყვეტი ხმით

სერგო ორჯონიკიძე, მ. ტომსკი, პეტერსი, მიხ. კახიანი, ჩაპლინი, ბესო ლომინაძე, მიხა ცხაკაია, ლევან ღოღობერიძე, ფილიპე მახარაძე, ლადო სუხიშვილი, შალვა ელიავა, ა. იაკოვლევი, სამსონ მამულია, დ. ფანცულაია, ბაგრატ მაჩაიძე, ვანო ბოლქვაძე, ნიკ. სვანიძე, ეპიფანე კვანტალიანი, ლ. ბერია, გიორგი ყურულაშვილი, ს. თოდრია, მ. ტოროშელიძე, ე. ასრიბეკოვი, ა. ტერ-ვართანოვი, გ. ივანოვ-კავკასკი, პ. აღნიაშვილი, ავქსენტიევსკი, ვარო ჯაფარიძე, სიმონ ჯუღელი, რედენსი, პოზდეევი, გ. დევდარიანი, ლ. ლომინაძე, მამია ორახელაშვილი, იპპო, გერმანე მგალობლიშვილი, კ. ბუჯიაშვილი, მოსე კვარაცხელია, ვასო მზარეულიშვილი, მარიამ ორახელაშვილი, პარმენ საბაშვილი, ვანო სტურუა, გიორგი სტურუა, გრიგოლ არუთინოვი, ნიკო დ. კიკნაძე, ტიტე ლორთქიფანიძე, პავლე საყვარელიძე, ბესარიონ გოგუა, ვასო ქურდაძე, მოდებაძე, ნესტოროვი, ტერ-ეგიზაროვი, ვ. დარახველიძე, პავლე მელაძე, ნესტორ ლაკობა, შალვა მათიკაშვილი, მ. გობეჩია, ს. კუდრიავცევი, ისაკი ჟვანია, არტემ კვირიკაძე, ანაიდა ესაიანი, სიამაშვილი, იმედაძე, შაბანოვი, გიგო ლომთათიძე, შოგირაძე, გეურქოვი, წოთლიძე, მ. ზედელაძე, ოტია კომახიძე, სტეფანე აკოპოვი, ა. ცეხაძე, პიმენ ჩარგაზია, ლვამიჩავა, ჯანჯღავა, ფანცულაია, გოგაური, ზვიადაძე, ბეშიძე, ცხოვრებაშვილი, ივანე გაბაშვილი, გითაძე, მალანია, ვ. ლადარია, მოსე ვარამაშვილი, ზ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩახვაძე, იუსუფ მახარაძე, ალექსანდრე აბაევი, ვანო ჩაკვეტაძე, გ. რამიშვილი, ავრასიონ ჯიბუტი, გერ. სულაბერიძე, ვანო მეგრელიშვილი, ვ. ავაქოვი, ერისთავი, ადამიანი, იუსუპოვი, ი. გელაშვილი, მისკინი, ჩუბინიძე, მელიტონ ფილია, სტ. ალავერდოვი, კილაძე, თამარა ადამიძე, ჯაბადარი, მ. ხეჩანოვი, ი. შენგელია, ოსტაევი, დათუნოვი, ცუცქირიძე, გ. საკიანი, შახსუვაროვი, გოგშელიძე, რუხაძე, აბ. ვართანოვი, სტ. ზაქრაძე, ნ. გეორგაძე, კ. სულავა, ნოე ლეჟავა, გიორგი რთველაძე, ანდრო ფირცხალავა, პაპულია ორჯონიკიძე, გიორგი ჩხეიძე, ივ. ჯეჯელავა, ნემერზელი, ვაინეროს, ნიკოლაევი, ბუაჩიძე, გეორგაძე, ტელიატნიკოვი, ბოგდანოვი, ბლუაშვილი, ტიულენევი, ნევრაევი, გოგლიძე, ა. ყოჩიკაშვილი, ი. პევცოვი, ნ. ალაჯალოვა, შამშე ლეჟავა, ლავრენტი მორჩილაძე, ნიკ. ბახტაძე, სუსანა შავერდოვა, პარმ. წულუკიძე და გვახალია.

სათათბირო ხმით

პროკოფი კერვალიძე, ე. ბედია, კარლო ორაგველიძე, გალაქტიონ ვაშაძე, კუპაიძე, გ. გაბუნია, ვარძიელი, ხარაბაძე, გაბრიაძე, მინდაძე ხარჩილაძე, ჯინჯოლია, მელიქსეტოვი, ბუჯიაშვილი, კ. გარდეევი, ჩალმაზი, ი. ბეჟვაია, ა. ვარდანია, ხაბურძანია, ადამაძე, ჩეკურიშვილი, ფაჩულია, ჯიჯოევი, გუნიავა, ბერაძე ბენო, რიონიშვილი, პოლოვინკინი, ტარუტინსკი, ნოვოსელცევი, ტრიგონენკო, კვირაია, წულუკიძე, ჭავჭანიძე, ლომდარიძე, ტყაბლაძე, შერმადინი, გორდელაძე, კუჯიაშვილი, ვ. გრიგორიანი, ა. ვარდანიანი, თანეიშვილი, გასან-საბრი, არაქელოვი, სტ. მაულოვი, გ. თარხანოვი, კ. ოდილავაძე, სილაძე, ისრაელოვი, თავმავაძე, ბაბუციძე, რონზანი, ბერუში, კაკაურიძე, ხ. ბაქრაძე, ადიკაშვილი, დოდუენკო, ბახტაძე, ბაგრატ არუთინოვი, ვალ. ვაშაკიძე, სერგო მეგრელიშვილი, სტ. ვარდანიანი, ლისოვსკი, ფენია გეგეშიძე, ალ. ჯაფარიძე, გლ. ფირალოვი, გუჯეჯიანი და ვ. კობლაშვილი.

საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის ათი წლის თავი

წინ, ახალი მიღწევებისაკენ!

დღეს სრულდება ათი წლისთავი, რაც სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ათი წლის წინად სამხრეთ-ოსეთის მშრომელები, საქართველოს მშრომელი მასების დახმარებით, აჯანყდნენ საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და გააჩაღეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ათი წლისთავია, რაც სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი, მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, ახორციელებენ უდიდეს სოციალისტურ მშენებლობას.

მეფის მთავრობამ გენერალ რენენკამპფის ცეცხლითა და მახვილით გასცა პასუხი სამხრეთ-ოსეთის გლეხთა განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას.

ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა საქართველოს მენშევიკური მთავრობაც სამხრეთ-ოსეთის გლეხთა მოძრაობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სასარგებლოდ.

და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა პირობები ოსეთის მშრომელთა ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

ვითარდება მრეწველობა.

შენდება ცხინვალის ძლიერი ხე-ტყის დამუშავებელი კომბინატი. 8 ივნისს დამთავრდება პურისხევის ხე-ტყის სახერხი ქარხნის აგება.

დაიწყო მარმარილოს, ტუფის, სალმანდოს და ანდეზიტის დამუშავება, რაც ახლო მომავალში სწრაფად განავითარებს სამთო მრეწველობას.

ფართოვდება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი მრეწველობა: ხილის სახმობი, რძისა და ყველის ქარხნები და სხვა.

უკანასკნელ წელს მოხდა დიდი ცვლილება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. სამხრეთ-ოსეთის ათი წლის თავზე სამხრეთ-ოსეთში კოლექტივებში გაერთიანებულია 6.500 საგლეხო მეურნეობა ანუ მთელი ოლქის მეურნეობათა 45 პროცენტი. ოსეთის გლეხობა აქტიურად არის ჩაბმული კოლმეურნეობისათვის ბრძოლაში. ყოველ წელს იზრდება სოფლის მეურნეობა ოლქში. ნათესის ფართობი 1923 წლის 14 ათასი ჰექტარიდან 1930 წელს 32 ათას ჰექტარამდე ავიდა. შინაური პირუტყვის რიცხვი 1923 წლის 33 ათასიდან 70 ათასამდე ავიდა. სოფლის მეურნეობაში ფეხს იკიდებენ ტეხნიკური და შემოსავლიანი კულტურები: მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, ბალახის თესვა, მებოსტნეობა და სხვა.

ამ სამეურნეო ზრდამ ნიადაგი შეუქმნა ოლქის კულტურული მშენებლობის საგრძნობ ზრდას. 1929—30 წელს ოლქში არსებობს 120 სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 7 ათასი მოწაფე. არის პედაგოგიური ტეხნიკუმი, სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი. დღის წესრიგში დასმულია ინდუსტრიალური ტეხნიკუმის გახსნის საკითხი. საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 250 ახალგაზრდა ოსი.

სწარმოებს ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის სამწლიანი გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად. 1929—30 წელს სალიკვიდაციო პუნქტების ქსელში ჩაბმული იყო მოზრდილი მოსახლეობის 12 ათასი კაცი ანუ ოლქის წერა-კითხვის არამცოდნე მოსახლეობის 40 პროც.

იზრდება ეროვნული ლიტერატურა. სწარმოებს მზადება ოსური თეატრის შესაქმნელად.

ეს მიღწევები წარმოადგენენ შედეგს სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა გმირული ბრძოლისა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. იმ ეროვნული შუღლის ნაცვლად, რომელსაც მეფის და მენშევიკების მთავრობები აღვივებდნენ, განმტკიცდა ეროვნული მშვიდობიანობა.

სოციალიზმისათვის ბრძოლის, ინტერნაციონალური იდეები უფრო და უფრო მაგრა იკიდებენ ფეხს მშრომელი მასების შეგნებაში.

ათი წლის მშენებლობის განმავლობაში ამ მიღწევებისათვის ბრძოლის დროს საჭირო ხდება ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ნიადაგზე წარმოშობილი სიძნელების დაძლევა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სოციალისტურ მშენებლობას ხელმძღვანელობენ, დაუშვეს მთელი რიგი შეცდომები კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში.

პარტიული ორგანიზაცია გადაჭრით იბრძვის ორ ფრონტზე და ასწორებს დაშვებულ შეცდომებს. ორგანიზაცია მაგრდება და იზრდება იმით, რომ თავის რიგებში იზიდავს ოლქის ღარიბი გლეხობის, მოჯამაგირეების და მუშათა მასების საუკეთესო წარმომადგენლებს.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე, მიღწევების აღნუსხვასთან ერთად, გაცხოველებით აქტივობა და ენტუზიაზმი შემდგომი მშენებლობისა, ახალი მიღწევებისა და პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში.

ს. კუდრიავცევი.

მრეწველობის პერსპექტივები სამხრეთ-ოსეთში

(საქ. ს. მ. უ. საბჭოს მასალებიდან)

ამ ათი წლის წინათ, სამხრეთ-ოსეთში მრეწველობის ჩანასახიც კი არ არსებობდა. თვითმპყრობელობის დროს სამხრეთ-ოსეთი წარმოადგენდა უბრალო ეთნოგრაფიულ კუთხეს, სადაც იმდროინდელი ხელისუფლება მხოლოდ გადასახადებს კრებდა.

შემდეგში, მენშევიკების ბატონობის დროსაც სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად უფრო გაუარესდა და სამხრეთ-ოსეთიც ეთნოგრაფიული კუთხიდან გადაიქცა ადმინისტრატიულ ერთეულად, სადაც მეფის მოხელეებზე უფრო თავაშვებულად დაპარპაშებდნენ მენშევიკების სატრაპები.

მთელ სამხრეთ-ოსეთში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ არსებობდა არც ერთი საწარმოო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცხინვალში არსებულ რამდენიმე პრიმიტიულ სახელოსნოს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, ისე, სამხრეთ-ოსეთისათვისაც დადგა აღორძინების პერიოდი. გაიშალა სასკოლო მშენებლობა, დაწყებულ იქნა ახალი გზების გაყვანა და საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობასაც. სამხრეთ-ოსეთი, როგორც მთიანი ქვეყანა, მართალია, ცნობილი იყო, როგორც მადნეულობით მდიდარი კუთხე, მაგრამ ძველად ამ მადნეულობის დამუშავებაზე არავის უფიქრია.

ამ რამდენიმე წლის წინად სახალხო მეურნეობის ორგანოების ინიციატივით, სამხრეთ-ოსეთში ჩატარებულ იქნა მთელი რიგი სამთა-ძიებო გამოკვლევები, რომელთა ნაწილიც ჯერ კიდევ არაა დამთავრებული.

„სამხ.-ოსეთი—არალითონური მადნეულობის ქვეყანაა“

ამ რამდენიმე კვირის წინად სამხრეთ-ოსეთის სხვადასხვა მადნეულობათა ბუდობები დაათვალიერა საბჭ. კავშირის სამეცნიერო აკადემიის ყველა გეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელმა—აკადემიკოსმა ა. ფერსმანმა, რომელმაც ა.-კ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში გამართულ თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში განაცხადა, რომ იგი ჯერ კიდევ არ იცნობს არც ერთ ისეთ ქვეყანას, სადაც იმდენი სამთამადნო, არალითონური მადნეულობა მოიპოვებოდეს, რამდენიც სამხრეთ-ოსეთში.

სამხრეთ-ოსეთში მოიპოვება—დარიშხანის მადნეულობა, კობალტი, გოგირდის ალმადანი, ტყვია-ვერცხლის ბუდობები, ტალკის მადნები, ბაზალტი, დეკორატიული მარმარილო, კირქვა, მინდვრის შპატი და სხვა.

აღნიშნული მადნეულობიდან ამჟამად მუშაობა სწარმოებს მარმარილოს და ტუფის ბუდობებზე. სამხრეთ-ოსეთის მარმარილო საუკეთესო გარეგნობისა და მაღალი ხარისხისაა, რის გამოც მისი ექსპორტი სავსებით შესაძლებელი და ხელსაყრელია. მარმარილოს დამუშავების საქმე მინდობილი აქვს სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან დაარსებულ ტრესტს, რომელსაც სამუშაოების ფართო ნიადაგზე დასაყენებლად უკვე მიეცა საჭირო თანხა 65.000 მანეთის რაოდენობით.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ტუფის ბუდობების დამუშავებასაც. ტუფზე, როგორც იაფ და კარგ სააღმშენებლო მასალაზე მოთხოვნილება თანდათანობით იზრდება. მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში სამხ.-ოსეთის სააღმშენებლო მასალების ტრესტმა უნდა დაამზადოს 14.000 კუბიკური მეტრი ტუფის სააღმშენებლო მასალა, რისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია 130.000 მანეთის დახარჯვა.

ახალი საწარმოები

ქალ. ცხინვალში ამჟამად სწარმოებს დიდი სახერხი ქარხნის აგება, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოსათვის ამუშავდება. ქარხანასთან მოეწყობა სახერხი, საპარკეტო, საცეკავო და საფანერო ცეხები. სამხრეთ-ოსეთის ეკონომიკაში სატყეო მეურნეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს. მთელი სამხრეთ-ოსეთის ტყეების საექსპლოატაციო სივრცე უდრის 270.000 ჰექტარს, რაც სავსებით უზრუნველყოფს რამდენიმე სახერხ ქარხანას. 5 წლიანი გეგმით სამხ.-ოსეთის სატყეო მრეწველობის გასაფართოებლათ გათვალისწინებულია 1.104.700 მანეთის დახარჯვა.

დაწყებულია აგრეთვე კირის ახალი ქარხნის მშენებლობა, რისთვისაც მიმდინარე სამეურნეო წლის ბოლომდე დაიხარჯება 20.000 მანეთი. კირის ქარხანამ ყოველწლიურად უნდა დაამზადოს 450 ტონა, ანუ 27.000 ფუთი კირი. ქარხნის აგება დამთავრდება ერთი წლის განმავლობაში.

მომავალი წლიდან დაიწყება აგრეთვე ერბო-ყველის ქარხნის აგება, რომელიც დაჯდება 60.000 მანეთი. ქარხნის ასაგები ადგილი საბოლოოდ კიდევ არაა ამორჩეული. ქარხანამ ყოველწლიურად უნდა მოგვცეს 30 ტონა, ანუ 1.800 ფუთი პროდუქცია.

ცხინვალშივე გადაწყვეტილია აგებულ იქნას დიდი მექანიკური სახელოსნო, სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად. სახელოსნოს აგება დაჯდება 70.000 მანეთი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტისა

ამნისტიის შესახებ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გასაბჭოების ათი წლის თავის აღსანიშნავად.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გასაბჭოების ათი წლის აღსანიშნავად და იმ პირთა განსაზღვრული კატეგორიების ხვედრის შესამსუბუქებლად, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული 1930 წლის ივნისის 8-დე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ის მშრომელნი, რომელთაც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მიერ პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ჩათვლით განთავისუფლებულ იქნენ სოციალური დაცვის როგორც ძირითადი ღონისძიების—თავისუფლების აღკვეთის,—ისე განაჩენთან დაკავშირებული სხვა დამატებითი ღონისძიების მოხდისაგან.

2. გაუნახევრდეთ სოციალური დაცვის ღონისძიება იმ მშრომელთ, რომელთაც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მიერ პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ჩათვლით.

3. ყველა დანარჩენ მოქალაქეთ, რომელთაც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მიერ პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ჩათვლით, სოციალური დაცვის ღონისძიება შეუმცირდეთ ერთი მესამედით.

4. განთავისუფლებულ იქნეს იძულებითი მუშაობისაგან ყველა მოქალაქე, რომელსაც სოციალური დაცვის ეს ღონისძიება მისჯილი აქვს ადმინისტრატიული თუ სასამართლო წესით სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრატიული, ან სასამართლო დაწესებულების მიერ.

5. მოეხსნათ მშრომელთ სასამართლო თუ ადმინისტრატიული წესით დადებული და გადაუხდევინებელი ჯარიმა 50 მანეთამდე ჩათვლით.

6. მოსპობილ იქნეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოებისა და საგამომძიებლო და ადმინისტრატიული ორგანოების წარმოებაში არსებული საქმეები იმ დანაშაულის შესახებ, რომლისთვისაც საქართველოს სსრ-ში სისხლის სამართლის კოდექსით ან სხვა კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა ვადით ერთ წლამდე; უკეთუ დანაშაული ჩადენილია მშრომელის მიერ და თანაც პირველად, და აგრეთვე საქმეები მშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა არა უმეტეს 50 მანეთისა.

შენიშვნა. ამა მუხლის წესი არ გავრცელდება იმ თანხაზე, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს დანაშაულობრივი ქმედობით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

7. მოეხსნათ მშრომელთ დადებული პირობითი მსჯავრი.

8. მოეხსნათ უფლების ყოველგვარი აყრა იმ მშრომელთ, რომელნიც პირველად იქნენ მსჯავრდადებული, უკეთუ მათ მოიხადეს სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიება, ან უკეთუ ვადამდე განთავისუფლებულ იქნენ.

9. მოეხსნათ მსჯავრდადებულობა იმ მშრომელთ, რომელთაც მსჯავრი პირველად დაედოთ და ამა დადგენილების გამოცემის დღისათვის მოიხადეს სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიება, ან განთავისუფლებულ იქნენ ვადამდე ან და გადაეწყვიტათ პირობითი მსჯავრი, ან იძულებითი მუშაობა.

10. ეს დადგენილება შეფარდებულ უნდა იქნეს აგრეთვე ამა დადგენილების გამოცემამდე ჩადენილი დანაშაულის საქმეების მიმართ, რომელთა შესახებაც განაჩენი ჯერ კიდევ გამოტანილი არ არის.

11. ამა დადგენილებაში აღნიშნული შეღავათები არ გავრცელდება იმ პოლიტიკურ პარტიების აქტიურ წევრებზე, რომელნიც ისწრაფვიან დაამხონ, ძირი გამოუთხარონ ან შეასუსტონ საბჭოების ხელისუფლება, სახელმწიფო დანაშაულისა და შეიარაღებული ყაჩაღების ორგანიზატორებზე და ხელმძღვანელებზე, იმ პირებზე, ვინც მკვლელობა ჩაიდინა სისხლის აღების ადათით, ან ვინც მოჰკლა ქალი მონობისაგან განთავისუფლების ნიადაგზე აგრეთვე ბოროტ მექრთამეზე და ბოროტ გამფლანგველზე.

12. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისრება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის მთავარ სასამართლოს და პროკურორს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

1930 წ. ივნისის 4.
თბილისი-სასახლე.

მისალმებები სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ

ა.-კ. სახკომსაბჭოსაგან

ა.-კ. ს.ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭო მხურვალე სალამს უძღვნის სამხრეთ-ოსეთის მშრომელებს მენშევიკების ბატონობის დამხობის ათი წლის თავის დღეს, იმ მენშევიკების, რომელთა დამსჯელი რაზმებიც თავიანთი მემამულეების ინტერესებისათვის ახშობდნენ სამხრეთ-ოსეთის გლეხთა აჯანყებას. სამხრეთ-ოსეთის მუშებმა და გლეხებმა 1920 წლის 8 ივნისს პირველად დაამყარეს თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლეს, რადგან მენშევიკების ბაზიბუზუკებმა ცეცხლითა და მახვილით გაიარეს ამ ქვეყანაზე. 1921 წლის თებერვალში სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი საბოლოოდ განთავისუფლდნენ მენშევიკების მტარვალებისაგან. 10 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ დიდ წარმატებას მიაღწია ეკონომიური და კულტურული მშენებლობის საქმეში.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭო გისურვებთ შემდგომ წარმატებას სამხრეთ-ოსეთის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში—საქართველოს, ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის მუშებთან და გლეხებთან მტკიცე კავშირში.

ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქ. ცაკისაგან

საქართველოს ცაკი, მთელი საქართველოს მუშებისა და გლეხების სახელით, მხურვალე, ძმურ სალამს უძღვნის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების პირველი გამოცხადების ათი წლის თავის გამო. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები არასდროს არ დაივიწყებენ იმ გმირულ თავგამოდებას, რომელიც გამოიჩინა სამხრეთ-ოსეთის ხალხმა შეურიგებელ ბრძოლაში მუშ.თა და გლეხთა მოღალატეების—საქართველოს მენშევიკების — საზიზღარი უღლის ჩამოგდებისათვის.

საქ. ცაკი აღნიშნავს სამხრეთ-ოსეთის სამეურნეო - კულტურულ ზრდას და გამოსთქვამს მხურვალე სურვილს, რომ მან მიაღწიოს სოციალისტური მშენებლობის საფუძვლების შემდგომ განვითარებას და გაღრმავებას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მშრომელთა ხელისუფლების საყოველთაო განმტკიცების ბაზაზე, მჭიდრო ძმურ კავშირსა და თანამშრომლობაში საქ. ს. ს. რესპუბლიკასთან, ამ.-კავ. ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან და მთელ საბჭოთა კავშირთან.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხრეთ-ოსეთის მშრომელებს!

გაუმარჯოს საქართველოს, ამიერ-კავკასიის და მთელი ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობას!

ვწუხვარ, რომ პირადად არ შემიძლიან მონაწილეობა მივიღო ზეიმში.

საქ. ცაკის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

საქ. სახკომსაბჭოსაგან

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ათი წლის თავზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს მუშებისა და მშრომელი გლეხობის სახელით სამხრეთ-ოსეთის მშრომელთ უძღვნის მხურვალე ძმურ სალამს და უსურვებს შემდგომ წარმატებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. საბჭოთა საქართველოს მშრომელები არას დროს არ დაივიწყებენ სამხრეთ-ოსეთის გლეხობის გმირულ თავგამოდებას საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის,—სოციალიზმის განხორციელებას ამ ერთად-ერთი სწორ ფორმის,—დამყარების საქმეში საქართველოს მუშები და გლეხები დარწმუნებულნიარიან, რომ სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი, ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, შესძლებენ სათანადო წინააღმდეგობა გაუწიონ ბურჟუაზიის ყოველგვარ ცდას მიმართულს საბჭოთა სახელმწიფოს პოზიციების შესუსტებისაკენ.

საქ. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

სვანეთის მშრომელთა უდიდესი მიღწევა

უხსოვარ დროიდან სვანეთი გზის უქონლობის გამო მოწყვეტილია მთელ ქვეყნიერებას. მოსახლეობა ეწევა კარჩაკეტილ ცხოვრებას, პირველყოფილ პირობებში არსებობას და მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ და ეკონომიურ განვითარების საშუალებას. სვანეთის ცხოვრებაში დღემდე ღრმად აქვს გადგმული ფესვები მრავალგვარ, ხალხის ზნეობრივად, კულტურულად და ფიზიკურად გამანადგურებელ ძველ, მავნე ტრადიციებს და შურისძიების ნიადაგზე სისხლის ღვრას.

სვანეთის ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანაზე ბევრს ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ ყოველგვარი მზრუნველობა უღონოა, მანამ, სანამ სვანეთში გზა არ იქნება გაყვანილი, და ეს ქვეყნიერებას მოწყვეტილი კუთხე გზის საშუალებით არ დაუკავშირდება ცენტრს და კულტურას.ამიტომ მთავარი ყურადღება უნ და მიექცეს სვანეთში გზის გაყვანის საქმეს.

თვითმპყრობელურ რუსეთთან სვანეთის შეერთების დღიდან, სვანეთის გზის გაყვანაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ ყველა ეს წყლის ნაყვა და ცარიელი ლაყბობა გამოდგა. ხშირად ყოფილა გზის გაყვანის განზრახვებიც, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ დამთავრებულა. და ეს არც გასაკვირია. თვითმპყრობელობა განგებ უწყობდა ხელს მშრომელი ხალხის სიბნელეს და უვიცობას. არც მენშევიკურ ხელისუფლებას უფიქრია სვანეთში გზის გაყვანის შესახებ და ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის შესრულება ამ უხერხემლო მთავრობამ მაინც არ შეეძლო. მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა სვანეთში გზის გაყვანა და წინასწარი შედეგები იმას მოწმობს, რომ სვანეთის ცხოვრებაში ამ დიდ მნიშვნელოვან, ისტორიულ საქმეს ის წარმატებით დაამთავრებს.

1929 წ. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, საკავშირო სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან სვანეთის გზის გამოკვლევის დასამთავრებლად და მუშაობის დასაწყებად გადაიდო 350.000 მან. ამ თანხით გასულ წელში მოხდა გზის გამოკვლევა და 12 კილომეტრზე საავტომობილო გზის გაყვანა.

მიმდინარე საბიუჯეტო წელში გაღებულია: საკავშირო სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან—200.000 მანეთი, გზათა კომისარიატის თანხებიდან—200.000 მანეთი, ამიერ-კავკასიის ბიუჯეტიდან—200,00 მან. და სპეციალურ თანხებიდან მდ. მოგანაზე ახალი სისტემის ხიდის ასაგებად 10.000 მანეთი. სულ 700.000 მანეთი.

მიმდინარე წლის განმავლობაში ზემოხსენებული თანხით უნდა გაკეთდეს 20 კილ. გზა, 20 ხიდი (1 დიდი 70 მეტრ. სიგრძის) მდ. მოგანაზე, 54 მეტრიანი გვირაბი და საყრდენობი კედლები.

მუშაობა დაწყებულია 10 მარტიდან. სამუშაოს ნახევარი გაცემულია იჯარით შრომის არტელ „მარდ“-ზე, ნახევარი კეთდება სამნეო წესით.

მუშაობის პროცესში, ტეხნიკოს ვ. ერისთავის ინიციატივით მოხდა ზოგიერთი 1920 წ. გამოკვლევით მოცემული ვარიანტს შეცვლა, გზის მშენებლობას. ამ ახალი ვარიანტით თარამაც ფრიად დიდი სარგებლობა მოუტანა ვიდან აცილებულ იქნა 500 მეტრზე ნახევრად გვირაბიანი კლდის სამუშაოები და სოფ. ტყვიშის აყრა. ახალმა ვარიანტმა მოგვცა ისეთი ეკონომია, რომელიც საშუალებას გვაძლევს წელსვე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 20 კილომეტრის გარდა კიდევ გავაკეთოთ 5-10 კილომეტრამდე გზა.

გზის მშენებლობა უმაგალითო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ამჟამად მუშაობს 1500 კაცზე მეტი. სამნეო წესით მუშაობა დამთავრდება წელს გეგმით გათვალისწინებული პირველ ივლისამდე, მოიჯარადრის მიერ კი აგვისტოს პირველ რიცხვებში.

აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე კვლავ შესაძლებელია მუშაობის გაგრძელება და ამიტომ სამუშაო სეზონი რომ არ გაგვეცდეს და ასე კარგათ მოწყობილი საქმე და აპარატი არ ჩავშალოთ, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ახალი თანხების გამონახვა მუშაობის გასაძლიერებლად.

ი. ბაგლიანი.

გადასახადების აკრეფა

საკონტროლო ციფრი პირველ[illegible]სისათვის დაფარულია 79,9 პროცენტით

საქართველოს ფინანსთა სახკომისარიატის ცნობით, 1-ლ ივნისისთვის საქართველოს გლეხობის შორის აკრეფილი იყო ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციების ღირებულების დასაფარავად 2.754.500 მანეთი, საკონტროლო ციფრი დაფარული იყო 9,3 პროცენტის გადაჭარბებით. თვითდაბეგვრის თანხა აკრეფილი იყო 845.300 მანეთი რაოდენობით, დაფარული იყო საკონტროლო ციფრის 53,4 პროცენტი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილი იყ 2.856.600 მანეთის რაოდენობით, დაფარული იყო საკონტროლო ციფრის 94,9 პროცენტი. სარწყავი წყლის გამოსაღები აკრეფილი იყო 236.300 მანეთი, ანუ საკონტროლო ციფრის 63,7 პროც. ვადამდე ასაკრეფი გადასახადები 197,200 მან. ანუ საკონტროლო ციფრის 98,5 პროცენტი. დაზღვევის გადასახადი 2.177.100 მან., ანუ საკონტროლო ციფრის 72,1 პროცენტი. ანაბარები შემნახველ სალაროში 212.900 მან., საკონტროლო ციფრი დაფარული იყო 6,45 პროცენტის გადაჭარბებით. საპაიო გადასახადი სასოფლო-სამეურნ. კოოპერაციაში აკრეფილი იყო 55.500 მანეთი, ანუ საკონტროლო ციფრის 10,4 პრც. სამომხმარებლო კოოპერაციაში 1.974.300 მან., ანუ საკონტროლო ციფრის 81,8 პროც. სატრაქტორო ვალდებულებათა ღირებულების დასაფარავად აკრეფილი იყო 225.400 მან., ანუ საკონტროლო ციფრის 26,4 პროც.

ამრიგად პირველ ივნისისთვის აკრეფილი იყო სულ 11.535.100 მან., რაც საკონტროლო ციფრის 79,9 პროცენტს შეადგენს.

დეფიციტიანი საქონლის მიღების მოწესრიგება

დანორმილ საქონლის და პროდუქტების განაწილებას, წიგნაკების და ტალონების გაცემას და სხვ. აწარმოებს მუშკოოპის სხვადასხვა განყოფილებები, რაც ჰქმნის არა მარტო არევ-დარევას, არამედ ბოროტმოქმედების შესაძლებლობასაც.

„ზაკსოიუზის“ კომისიამ პროფსაბჭოს სოციალურ-ყოფაცხოვრებრივ სექტორის გამგის ამხ. ბუაძის თავმჯდომარეობით დაამუშავა მუშკოოპთან არსებულ სპეციალურ ბიუროს დებულება, რომელიც მომავალში აწარმოებს დანორმილ საქონლის აღრიცხვას და განაწილებას, ყოველდღიურად, არა უგვიანეს 25 რიცხვისა, ბიურო ოპერტიულ ჯგუფებთან ერთად გამოარკვევს საწარმოო და სამუშაოთ მარაგს, რომელიც მოიპოვება ან რომელიც მისაღებია მომავალ დღეებში, სავაჭრო წერტილზე მიმაგრებულ მოსახლეობის რაოდენობის და დააწესებს მახლობელ თვისათვის საქონლის ნორმებს და გაცემის წესს. ბიურო აწარმოებს აგრეთვე სასურსათო წიგნაკების, აბონიმენტების, საექსკურსიო ტალონების და დროებით ტალონების გაცემას. ყველა საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სასურსათო წიგნაკებით საქონლის გაცემასთან, ბიურო მისცემს განმარტებებს.

ულირსი ელემენტები გაძევებულია

თბ. აღმასკომის ადგ. მრეწვ. განყოფილებიდან

თბ. აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების და მასში შემავალ ტრესტების აპარატის გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და წმენდის შედეგები გამოაცხადა ხსენებულ დაწესებულებათა თანამშრომლების საერთო კრებაზე.

გამწმენდი კომისიის დასკვნით, ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების აპარატის მუშაობა საერთოდ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად, ხოლო ხსენებულ დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ დეფექტებს: როგორიცაა საქმის გაჭიანურება ერთმართველობის გამოუყენლობა ტრესტების და ქარხნების მხრივ, ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, და ფასების გადიდებას.

ზემოხსენებული დეფექტების აღმოფხვრის მიზნით კომისიამ აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებას მისცა სათანადო მითითებები.

კომისიის დადგენილებით: 1-ლი კატეგორიით სამსახურიდან მოიხსნა **ტრიფონ გიორგის-ძე ლამბაშიძე**, ამჟამად ლიმონათის ქარხნის გამგის მოადგილე. (ლალაძის ქარხნის ყოფილი გამგე). ლამბაშიძემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქარხნის მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი, რომლებიც წინედაც მუშაობდნენ ლალიძის ქარხანაში და ეწეოდა პროვოკაციას საბჭოთა ხელისუფლების, თბილისის სოფმრეწვის და ადგილკომის წინააღმდეგ.

მე-2 კატეგორიით სამსახურიდან მოხსნილი არიან **ვალერიან დიმიტრის-ძე წულეისკირი** (ლუდის ქარხნის ბუხჰალტერი), რომელსაც ბრალდება ინტრიგანობა, სამუშაოზე თანამშრომლისათვის ცემა, არის სუსტი მუშაკი.

მიხეილ დიმიტრის-ძე მახარობლიძე (დავალებათა აგენტი) ლამბაშიძის ჯგუფში მონაწილეობისათვის და მისი თანამდებობის გაუქმების გამო.

ამბაკო ბუჭუას-ძე პატარაია. (აგენტი) ქარხნის განტვირთვის მიზნით.

კომისიამ უკატეგორიოთ მოხსნა **ნიკოლოზ** კონსტანტინეს-ძე **მგალობლიშვილი, ვარლამ მესხი, არტემ ბეჟანოვი** (მაკარონის საწყობის გამგე) როგორც არა სანდო პიროვნება.

სასტიკი საყვედური გამოეცხადათ უკანასკნელი გაფრთხილებით ეფრემიძეს, რომელსაც ბრალდება ფულის გაფლანგვა, ინტრიგანობა და სხვა. **ინჟ. ვოლჩანეცკის** სამსახურში სისტემატიურად დაგვიანებისათვის, სიზარმაცისთვის და დავალების დროზე შეუსრულებლობისათვის. **ნიკოლოზ როსტიაშვილს** უხეშობისთვის და თავშეუკავებლობისათვის, თოხაძეს სხვის ფუნქციებში ჩარევისათვის და სამსახურის უფლებების გადაჭარბებისთვის.

კომისიამ ადგილობრივ მრეწველობის ადმინისტრაციას მიუთითა მელიქიშვილის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ.

გამწმენდი კომისიის შემადგენლობა **დედიაშვილი** (თავმჯდომარე), **დგებუაძე** (მდივანი), **პაპიკიანი, მუსერიძე, გონაშვილი, ხარაზიანი, თხილ'ვა და თვარაძე** (წევრები).

ამინდი საქართველოში

გუშინ თბილისში დილიდანვე დროგამოშვებით წვიმდა. საღამოს 7—საათზე წვიმა ნიაღვრათ გადაიქცა და ქუჩებში იმდენათ დიდი წყალი მოდიოდა, რომ თითქმის ორი საათის განმავლობაში ქვეითად მიმოსვლა შესწყდა. მოვარდნილმა წყალმა საბჭოს და წყნეთის ქუჩაზე წალეკა ტრამვაის ლიანდაგი, რის გამო ხსენებულ ქუჩებზე ტრამვაის მოძრაობა შესწყდა. წყნეთის ქუჩაზე მოძრაობა აღდგენილ იქნა 15—წუთის შემდეგ, ხოლო საბჭოს ქუჩის გაწმენდა მთელი ღამე გაგრძელდა.

ლეჩხუმის ქუჩაზე ნიაღვრის დროს მოვარდნილმა წყალმა დააზიანა სახლის კედელი, ხოლო რაკეტის ქუჩაზე დაანგრია სახლი — № 4. წყალი ჩავიდა აგრეთვე ზოგიერთ სარდაფებში.

დიდი ნიაღვარი რაჭაში

ონი, 7 ივნისი, (საქ. კორესპ.) 7 ივნისს მოულოდნელად მოვარდნილმა ნიაღვარმა დააზიანა ვაზის და ვაშლის სანერგეები. გაფუჭდა 11 ათასი ძირი ვაზი და 1000 ძირი ვაშლი. გაფუჭდა ხიდები, გზები, წისქვილები და აგრეთვე რამდენიმე ჰექტარი პურის და სიმინდის ნათესები. ნიაღვრის დროს დაიღრჩო ერთი ქალი და შინაური ცხოველები.

ნ. დ.

ამხ. ზ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომ. მეურნეობის კავშირთან არსებულ ი. ტ. ს. რესბიუროს თავმჯდომარე და თბილისის ტრამვაის ქსელის გამგე ამხ. **ზურაბ პავლეს ძე მეტრეველი.**

ამხ. ზურაბი დაიბადა 1894 წელს, პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ქ. თბილისის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ ჩააბარა გამოცდა სიმწიფის მოწმობაზე და 1921 წელში შევიდა ტფილისის ამხ. ლენინის სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, სააღმშენებლო დარგზე.

ამხ. ზურაბი 1919 წ.—1922 წლამდე მუშაობდა სიღნაღის მაზრაში ტეხნიკოსის თანამდებობაზე.

1922 წელში შევიდა ქალ. ტრამვაის წარმოების ქსელის სამუშაოზე, სადაც მუშაობდა 1929 წლის თებერვლამდე.

1929 წლის თებერვლიდან ამხ. ზურაბი არჩეული იყო საქართველოს კომუნალურ მეურნეობის კავშირთან არსებული რესბიუროს თავმჯდომარედ და საქართველოს ინჟ.-ტეხნ. სასექციათაშორისო ბიუროს პ. მგ. მდივნად. ბიუროს მუშაობას მან პირველმა მისცა მასიური ხასიათი. ამხ. ზურაბი ამ დარგში მუშაობს 1930 წლის პირველ თებერვლამდე. ამ რიცხვიდან კი ისევ ტრამვაის წარმოებას უბრუნდება, სადაც მუშაობს უკანასკნელ ხანამდე.

ამხ. ზურაბმა შეიტანა პროექტი ტრამვაის ტრესტში, რათა თბილისის ტრამვაის ლიანდაგი დაგებული ყოფილიყო შპალებზე. პროექტიც მოწონებული იქნა და მუშაობის ცხოვრებაში გატარება დაევალა თვით ამხ. ზურაბს, მაგრამ საქმის დასრულებას ის ვერ მოესწრო. ულმობელ სიკვდილმა არ დაინდო დიდი ენტუზიაზმით და ენერგიით აღსავსე **ადამიანი და მოსპო იგი.**

1930 წ. მარტის ბოლო რიცხვებში ამხ. ზურაბი ტრამვაის ტრესტის მიერ მივლინებული იყო კახეთის ოლქში ტრამვაის ხაზის საჭიროებისათვის შპალების დასამზადებლად, სადაც დაკვრითი წესით ამზადებდა მასალას ტრამვაის ხაზის საჭიროებისათვის.

ამ მუშაობაში დაეცა მას შპალი და დაუზიანა ფერდი და ფეხი, რაც შეიქნა მიზეზი მისი უდროოდ დაკარგვისა.

ნ. კაკიძე.

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-19 კრ[illegible]

კამათის გამგეობის და სარევიზიო [illegible]ის მოხსენებების გარშემო

4, 5 და 6 ივნისის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 67 კაცმა.

მომარაგების საქმე მოუგვარებელია

კამათში გამოსული ამხანაგების უმეტესობამ უმთავრესი ყურადღება მიაპყრო მომხმარებლების საქონლით მომარაგების საკითხებს. უმთავრესად შეჩერდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების საკითხებზე. აღინიშნა, რომ ამ პროდუქტებით მომხმარებლის მომარაგების საქმე მუშკოოპს ვერ აქვს დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. ამის უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს იმ უწესრიგობაში, რომელიც არსებობს ამჟამად სასოფ.-სამ. პროდუქტების დამზადების ბაზარზე.

— რას ვხედავთ ჩვენ იქ?

— სრულ არევ-დარევას. სამომხმარებლო კოოპერაციას არ აძლევენ ნებას აწარმოოს დამზადების ოპერაციები, სასოფლო-სამეურნეო სისტემა, რომელიც სარგებლობს ამ უფლებით, უძლურია დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებები. უფრო მეტიც, სას.-სამეურნეო სისტემის მრავალსაფეხურებად დაყოფა აძვირებს პროდუქტებს და მომხმარებლამდე იგი აღწევს მაღალ ფასებში. თითოეული პროდუქტი ტარდება 7—8 სასოფ.-სამ. კოოპორგანიზაციის ხელში და მხოლოდ ამის შემდეგ აღწევს მომხმარებლამდე. გალითად ალუჩა, რომელსაც ძირითადი სას.-სამ. კოოპერატივი ყიდულობს გლეხისაგან კილოს 15 კაპეიკად, ყველა ზემოხსენებულ ინსტანციებში გავლის შემდეგ მომხმარებელს ეძლევა 55 კაპეიკამდე. ასეთი მდგომარეობაა თითქმის ყველა დანარჩენ პროდუქტებზე (რძე, კარაქი, ყველი, ერბო, კვერცხი). სამომხმარებლო კოოპერაცია კი, რომ დაშვებული იყოს დამზადებელ ბაზარზე, ასეთ არანორმალურ მოვლენას ადგილი არ ექნება.

რწმუნებულებმა მიუთითეს ამ გარემოებაზე და მოითხოვეს, რომ თბილისის მუშკოოპს ნება მიეცეს აწარმოოს სასოფ.-სამ. პროდუქტების დამზადება.

კამათში გამოსული ამხანაგები მიუთითებდნენ, რომ ადგილი აქვს მამიდაშვილობას დეფიციტურ საქონლის განაწილებაში. არც უთავბოლობაა მუშკოოპის აპარატისათვის უცხო ხილი და ზოგჯერ ის უაღრესად ვნებს მომხმარებლის მომარაგების საქმეს. ამასთანავე ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც მუშკოოპს აწვდიან უაღრესად მდარე ხარისხის პროდუქტებს, რომელთა გასაღება შეუძლებელია.

რძის აბონემენტები სისწორით არაა განაწილებული

რძის განაწილების საქმეც ვერ არის მოგვარებული. რძე როგორც იცით ეძლევათ მუშებს წარმოებებში, ავადმყოფებს, ბავშვებს 8 წლის ასაკამდე. ეს წესი ყოველ ნაბიჯზე ირღვევა. ზოგი ღებულობს ორ-სამ აბონემენტს და არც ერთი ბავში არ ჰყავს, ხოლო ამავე დროს ბავშვიანი მომხმარებლები ურძეოდ რჩებიან. მხოლოდ ეხლა მოხდინეს აბონემენტების გასინჯვა და ჩამოართვეს 1,500-დე უკანონოდ გაცემული აბონემენტი.

სამიკიტნოებია თუ წითელი სასადილოები

ბევრი ილაპარაკეს კრებაზე საზოგადოებრივი კვების საკითხებზე. ეს საქმე აქამდე მოუგვარებელია. საზოგადო კვების საქმეს ეშვებიან ყველანი, ვისაც არ ეზარება. საერთო ხელმძღვანელობა ამ საქმეში არ არის. ეს კი ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვენი წითელი სასადილოები სამიკიტნოებისაგან არ განსხვავდებიან.

[illegible] წლის [illegible] მწვანილის დამტა[illegible] ხალხი უსათუოდ უც[illegible] საზოგადოებრივი[illegible] ხასიათებდათ [illegible] სარებლის მოტყუ[illegible] მოითხოვეს მათი გაძევ[illegible] სისტემიდან.

კოოპ. [illegible] უყურადღებოდ

რწმუნებულ[illegible] გამგეობას უსაყვედურეს კოოპაქტივის შორის სუსტი მუშაობა. გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ გამგეობა არავითარ მუშაობას არ აწარმოებს რწმუნებულთა შორის. მათ არაფერი არ იციან გამგეობის საქმიანობის შესახებ, რადგან რწმუნებულთა კრებებს არ იწვევენ. სადუქნო კომისიები უმეტეს შემთხვევაში ქაღალდზე არსებობენ. მათი ხმა რჩება „ხმად მღაღადებლისა“.

მუშკოოპის [illegible] რიგზე ვერ არის

მუშკოოპის აპარატში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ეს ნათლად გამოირკვა მუშკოოპის აპარატის გამწმენდი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვ. მაისურაძის სიტყვებიდან. მუშკოოპის აპარატში თავშესაფარი ნახა ყოფილმა ხალხმა და იქ ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, რომ კაცი, რომელსაც ორჯერ და სამჯერ გაუფლანგავს კოოპერატივის ფულები, კვლავ მის აპარატში ზის და თავს არხეინად გრძნობს. ამის შედეგი არის, რომ საანგარიშო პერიოდში გაიფლანგა 68.000 მანეთი. მუშკოოპის გამგეობა აპარატის გადახალისებას თავს არიდებს. დაწინაურებულთა შორის მუშაობა და მათი მოზიდვა ისე დაყენებული, რომ უკანასკნელები არამც თუ კურსებიდან, არამედ თვითონ აპარატიდან გარბიან.

აღნიშნული იყო აგრეთვე მრავალი სხვა ნაკლოვანებები, როგორიცაა: აპარატის მოუქნელობა, მუშათა დაწინაურების საქმის მოუგვარებლობა, სუსტი მუშაობა მეთონეების შორის და სხვა.

კამათის დასასრულს არჩეულ იქნა კომისია (21 კაცისაგან), რომელსაც მიენდო გამგეობის და სარევიზიო კომისიების მოხსენებების შესახებ პრაქტიკული წინადადებების შემუშავება.

მმართველ ორგანოების არჩევნები

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-19 კრება დასრულდა გუშინ საღამოს.

უკანასკნელ სხდომაზე კრებამ მოისმინა ამხ. ერისთავის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. დუდაევის საბოლოო სიტყვები, რომელთაც თავის სიტყვებში პასუხი გასცეს აგრეთვე მიცემულ შეკითხვებსაც.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია.

კრებამ გამგეობის და სარევიზიო კომისიის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნო.

დასასრულ არჩეულ იქნა მუშკოოპის მმართველი ორგანოები—გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. ერისთავი, ბეჟანოვი, (სატრ. სამომხ. კოოპერაციის გამგეობის ყოფ. თავმჯდომარე), კვიტინი (ყოფ. „ბოეცი“-ს გამგეობიდან), აფტიხოვი, მელიქ-დადაევი, (საკოლმეურნეო-კოოპერატიული ბანკიდან), საგა ორჯონიკიძე, მელიჩანსკი, რუხაძე, (თბილისის დეპოს მუშა), ჟუჟუნავა, პისკარიოვი (სამხედრო უწყებიდან) და ცვეტინაძე (მუშა).

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: ამხ. დუდაევი, დევდარიანი, სოხაძე, ბოჭორიძე, ბუაძე, მაჭხიოვი, მაცუკაძე, ხუხუნაშვილი, ედიშერაშვილი და ვართანოვი.

ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესი

კონგრესის მონაწილენი ჩამოვლენ საქართველოში

მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევს ლენინგრადში გაიხსნება ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც გასტანს დაახლოებით 7-8 დღეს. მუშაობის დაწყებამდე და მის დამთავრების შემდეგ კონგრესის მონაწილენი დაიყოფიან ჯგუფებად და გაემგზავრებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეების დასათვალიერებლად. კონგრესის მონაწილეთა უმეტესი ნაწილი, მათ შორის 110-130 უცხოელი მეცნიერი, გაემგზავრება საქართველოში. ეს ჯგუფი საქართველოში ჩამოვა 11-12 აგვისტოს და დარჩება აქ 16 აგვისტომდე.

კონგრესის წევრები საქართველოში დაათვალიერებენ სას.-სამ. ინსტიტუტს, ცენტრალურ ზოოტექნიკურ სადგურს, მანქანა-იარაღების სადგურს, თბ. ბოტან. ბაღს, ბორჯომის ბაღის განყოფილებას, ჩაქვის საბჭოთა მამულს და ბათომის ბოტანიკურ ბაღს. ყველა ბაკურიანის რაიონს, ბაკურიანის ბოტანიკური ამ რაიონებში კონგრესის წევრები შეისწავლიან ნიადაგს. მათი ჩამოსვლის დროისათვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოეწყობა ნიადაგთმცოდნეობის გამოფენა. ხსენებული გამოფენის მოწყობა დავალებული აქვს კომისიას ამხ. ვ. კანდელაკის (თავმჯდომარე), დ. გედევანიშვილის, პროფ. ტიმოფეევის, დლონტის, ალ ჯანელიძის, ხამადაშვილის, ვოზნესენსკის, ა. კაკაბაძის და ი. ლომაურის შემადგენლობით.

საქართველოდან უცხოელი ნიადაგთმცოდნეთა ექსკურსია გაემგზავრება საზღვარ-გარეთ.

მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის ჩამოსვლა

9 ივნისს რუსთაველის თეატრში დაიწყება მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის გასტროლები. თბილისში უკვე ჩამოვიდა ხსენებული თეატრის დასის ნაწილი დამსახურებულ მსახიობ ბერსენევის მეთაურობით. დასის დანარჩენი ნაწილი ჩამოვა დღეს. სტუმრებს სადგურზე შეხვდებიან თბილისის თეატრები, განათლების კომისარიატის, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა თეატრის დირექტორის მოადგილეს, დამსახურებულ მსახიობ ი. ბერსენევს, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის მუშაკები თავის თბილისში ჩამოსვლას აფასებენ არა როგორც უბრალო გასტროლს, არამედ როგორც ორი ძმური ხალხის კულტურული კავშირის განმტკიცების ერთ მთავარ ფაქტორს. ამავე მიზნით 8 ივნისიდან მოსკოვში ჩვენი თეატრის (მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის) შენობაში წარმოდგენებს მართავს რუსთაველის სახელობის პირველი ქართული სახელმწიფო თეატრი ახმეტელის ხელმძღვანელობით.

რუსთაველის თეატრს პირველ ივნისს მოსკოვის სადგურზე სხვა ორგანიზაციასთან ერთად შეხვდნენ მეორე სამხატვრო თეატრის წარმომადგენლები, რომლებმაც საზეიმო შეხვედრის შემდეგ ქართული თეატრის დასის მთელი შემადგენლობა მიიწვიეს თავის თეატრში. მეორე სამხატვრო თეატრის შენობაში სტუმრებს შეხვდა სამხატვრო თეატრის კოლექტივის მთელი შემადგენლობა და მრავალი სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ მეგობრული შეხვედრის დროს ამ ორი თეატრის წარმომადგენლებმა საძირკველი ჩაუყარეს ორი ხალხის სათეატრო ხელოვნების მუშაკთა მტკიცე კავშირს, რომელიც შემდგომში თანდათან უნდა გაძლიერდეს. ამ თეატრების დაახლოებამ და ურთიერთის მიღწევების გაცნობამ ხელი უნდა შეუწყოს მოძმე ხალხთა შორის კულტურულ კავშირის განმტკიცებას და საერთო საქმეს, პროლეტარული ხელოვნების აღორძინებას.

მართალია, ჩვენ საშუალება არ მოგვეცა დავსწრებოდით რუსთაველის თეატრის წარმოდგენებს მოსკოვში, მაგრამ დავესწარით მეორე ქართული სახელმწიფო თეატრის წარმოდგენებს და მოწმე ვართ ამ თეატრის დიდი გამარჯვებისა. მეორე ქართულმა სახელმწიფო თეატრმა მოსკოვში იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იგი იძულებული შეიქნა წინასწარ გათვალისწინებულის გარდა ოთხი ზედმეტი წარმოდგენა გაემართა. დარწმუნებული ვართ, რომ რუსთაველის თეატრი არა ნაკლებ გამარჯვებას და სიმპატიებს დაიმსახურებს და კიდევ უფრო განამტკიცებს იმ კარგ შეხედულებას ქართული ხელოვნების შესახებ, რომელიც მოსკოვში მეორე ქართულ სახ. თეატრმა შექმნა.

მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრის გასტროლები რუსთაველის თეატრში დაიწყება 9 ივნისს. პირველად წარმოდგენილი იქნება აფინოგენოვის პიესა „ახირებული“, რომელშიაც მონაწილეობენ დამსახურებული არტისტები: **დურასოვა, ბიაცინტოვა, ი. ბერსენევი**, მსახიობები: **ჩებანი, აზარინი, დეიკუნი** და სხვ.

პიესას სდგამენ დამსახურებული მსახიობები ბერსენევი და ჩებანი. ამ პიესის გარშემო გასულ წელს გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა. იგი იმით არის საინტერესო, რომ არ არის მშრალი. პიესაში დასმულია უპარტიო ინტელიგენტ-ენტუზიასტის საკითხი. პიესამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებლებში, რომ იგი გასული სეზონის განმავლობაში 115-ჯერ დაიდგა. გარდა ამ პიესისა, მოსკოვის სამხატვრო თეატრი თბილისში დასდგამს „იოანე მრისხანის გარდაცვალება“-ს, „საქმეს“ და „1825 წელს“. ეს უკანასკნელი პიესა დადგმული იქნა 1925 წელს, დეკაბრისტების აჯანყების 100 წლის თავზე და დიდი ყურადღება დაიმსახურა.

მოსკოვის მეორე სამხატვრო თეატრი თბილისში გამართავს 16 წარმოდგენას.

რა ხდება ადგილებზე

შაქარი ამიერ-კავკასიისათვის

ფოთი, 7 ივნისი. გემმა „ვოიკოვ“-მა ამიერ-კავკასიისათვის მოიტანა 60 ვაგონი შაქარი. (ადს).

უბედური შემთხვევა

სოხუმი, 7 ივნისი. სოფელ ფშატში გლეხმა წულაიამ კერაზე მჭადის ცხობის დროს შეცდით დაფარა ოპუნქის ფურცელი, რომელსაც ზარბაზნის კუმბარა დადო, უკმბარა გასკდა. ორი კაცი დაიღუპა. სამი მძიმე დაშავდა. (ადს).

დეალბატა

სოხუმი, 7 ივნისი. სააქციო საზოგადოება „ტუბპლანტ“-ი (მერიმოლავი) მიმდინარე წელს აფხაზეთში 1.000 ჰექტარზე აშენებს „დეალბატას“—აკაციის პლანტაციას. (ადს)

მუშაობა სოხუმის ნავთსაყუდის ასაგებად

სოხუმი, 7 ივნისი. მუშაობა სოხუმის ნავთსაყუდის ასაგებად კალენდარული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ამთავრებენ წყალქვეშ მუშაობას. დაიწყო ნავთსაყუდის ზემოქაჩების მოწყობა. ბეტონისათვის არმატურის დამზადება შესრულებულია 50 პროცენტით. ნავთსაყუდის აგება სექტემბერში დამთავრდება (ადს).

თამბაქოს დარგვა წარმატებით მიმდინარეობს

ოზურგეთი, 7 ივნისი. თამბაქოს დარგვა წარმატებით მიმდინარეობს. 3 მაისისათვის დარგული იყო 1.290 ჰექტარი. დანარჩენი სამრეწველო კულტურების თესვა გაჩაღებულია. ამინდი ხელსაყრელია. (ადს).

სიძნელეთა გადალახვით ახალ გამარჯვებებისაკენ

მოსკოვის საოლქო კონფერენციამ, პირველმა ეხლა მიმდინარე რესპუბლიკანური და საოლქო კონფერენციებიდან, მიიღო რეზოლიუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შესახებ. მოსკოვის ბოლშევიკთა 280 ათასიანი არმიის სახელით, ორმილიონიანი ბოლშევიკური არმიის ერთ-ერთი საუკეთესო რჩეული კორპუსის სახელით, მოსკოვის მეორე საოლქო კონფერენციამ მთლიანად და სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა. ოდნავი ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება იმაში, რომ ასეთსავე გადაწყვეტილებას მოსკოვის კონფერენციის შემდეგ მიიღებენ ლენინური ბოლშევიკური პარტიის ყველა რესპუბლიკანური და საოლქო კონფერენციები.

ჩვენს მტრებს, რომლებსაც ყრილობის წინ კვლავ დაებადათ იმედი, რომ მოხდება განხეთქილება, ან გამოცოცხლდება ძველი ოპოზიციების აშკარა გამოსვლები, ან გამოჩნდება ახალი ოპოზიცია, ერთხელ კიდევ უნდა გაუცრუვდეთ იმედი, პარტიის გენერალური ხაზი ჩვენს ქვეყანაში, მიმართული სოციალიზმის აშენებისაკენ, საერთაშორისო მასშტაბით პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისაკენ, ერთი გოჯითაც არ გადაუხვევს ლენინის მიერ დასახულ გზიდან. პარტიის ხელმძღვანელობა—ლენინური ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ სდგას თავის საბრძოლველ პოსტზე, ეყრდნობა რა პარტიული მასების უსაზღვრო ნდობას და უსაზღვრო დახმარებას. პარტიის რიგების მთლიანობა ურყევია და ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შეკავშირებული პარტია მზად არის შეასრულოს ახალი ამოცანები სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ თითქმის უკვე 13 წლის განმავლობაში შენდება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი. ცხრა პარტიული ყრილობა ერთიმეორის შემდეგ აჯამებდა მშენებლობის შედეგების შეჯამებას. მაგრამ მთელ ამ პერიოდში პარტიას ჯერ არც ერთხელ არ გადაუდგამს ისეთი ბუმბერაზული ნაბიჯი, როგორიც გადასდგა მან მე-15 და მე-16 ყრილობების შუა გავლილ დროში.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობა ამ პერიოდში თითქმის ორჯერ გაიზარდა. კერძო კაპიტალი სავსებით განიდევნა საბითუმო ვაჭრობიდან და დარჩა მხოლოდ საცალო ვაჭრობის ზოგიერთ საფეხურზე. ჩამორჩენილ და დაქუცმაცებულ სოფლის მეურნეობაში, სადაც ამ 2—3 წლის წინად საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მხოლოდ პატარა ოაზისები იყო, ჩვენს თვალის წინ გაიზარდა მძლავრი სოციალისტური სექტორი, რომელიც მიმდინარე წელს უკვე მოგვცემს სოფლის მეურნეობის სასაქონლო პურის პროდუქციის ნახევარს მეტს.

ჩვენი ქვეყნის მარცვლეული კულტურების ძირითად რაიონებში, სადაც კულაკობა —ეს ყველაზე მაგარი და გამძლე კაპიტალისტური ელემენტი ჩვენს ქვეყანაში—განსაკუთრებით ძლიერი იყო, მისი ეკონომიური სიმძლავრე ძირიანად აღმოფხვრილია, წვრილ გლეხურ მეურნეობათა მრავალმილიონიანი მასა გადაჭრით დაადგა სოციალისტურ გზას.

განა ვინმეს შეუძლია განაცხადოს მე-16 ყრილობის წინ, როგორც ამას ტროცკისტები სჩადიოდნენ მე-16 ყრილობის წინ, რომ ჩვენში ყველგან ძლიერდება კაპიტალიზმი, რომ მისი ზრდა გვისწრებს ჩვენ, რომ კერძო ვაჭარი მდგომარეობის ბატონ-პატრონი ხდება ქალაქად, ხოლო კულაკი—სოფლად. ეს ცილისწამება, რომლის უარსაყოფად მაშინ საჭირო იყო დროის, ქაღალდისა და ციფრების დახარჯვა, ეხლა ყველას მხოლოდ გიჟის ბოდვად ეჩვენება. და ამ სიცრუის განმეორებას ეხლა ტროცკისტებიც კი ვეღარ ბედავენ.

ასეთია ჩვენი პარტიის უდიდესი მიღწევები ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ამ ორ წელიწადნახევრის განმავლობაში. ასეთია ის საფუძვლები, რომლების მიხედვითაც პარტიული მასები დაუყოვნებლივ და გადაჭრით უკუაგდებენ ყველას, ვინც სცდილობს პირდაპირ ან ფარული იერიშით მიიტანოს პარტიის ლენინური ხაზისა და მისი ლენინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენს წინაშე სიძნელე აღარ არის? რა თქმა უნდა, სიძნელეები გვაქვს, ამ სიძნელეებზე საკმაოდ არის ნათქვამი მოსკოვის საოლქო კონფერენციის იმ რეზოლიუციაში, რომელიც ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს შეეხება.

მძიმე ინდუსტრიის სწრაფი ზრდის საფუძველზე, იმ ინდუსტრიის, რომელიც საწარმოო საშუალებებს ამზადებს, შესაძლებელი გახდა არა თუ სოფლის მეურნეობის გრანდიოზული გარდაქმნა, არამედ იმ მსუბუქი მრეწველობის სწრაფი ზრდაც, რომელიც ამზადებს მოხმარების საგნებს ფართო მასებისათვის. მემარჯვენე უკლონისტების ბინძური ცილისწამების მიუხედავად, პარტიას არასოდეს არ შეუქცევია ზურგი მსუბუქი მრეწველობისათვის. მაგრამ პარტია ფიქრობდა და ფიქრობს, რომ ძირითად ბაზას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისათვის და, მაშასადამე, მსუბუქი მრეწველობის სწრაფი ზრდისა და კაპიტალისტური მსოფლიოსაგან ჩვენი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, წარმოადგენს მხოლოდ მძიმე მრეწველობა.

ჩვენი მსუბუქი მრეწველობა პარტიის ეხლანდელი პოლიტიკის დროს, რასაც არ უნდა ამბობდნენ მემარჯვენე ოპორტუნისტები, ბევრად უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ოდესმე ვითარდებოდა კაპიტალისტურ ქვეყანაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ზრდა მაინც ჩამორჩება მასების მოთხოვნილებას ზრდას. აქედან გამომდინარეობს პროდუქტებისა და საქონლის ფრიად მწვავე ნაკლებობა, და ეს ერთგვარ ნიადაგს ჰქმნის კერძო ვაჭრის სპეკულიაციისათვის, განსაკუთრებით ჩვენი კოოპერატიული აპარატის ბიუროკრატიული მოუქნელობის პირობებში, რაც მეტად აძნელებს პარტიის იმ დირექტივების შესრულებას, რომლებიც ეხებიან ფასების შემცირებას და შრომის რეალური ხელფასის გადიდებას. მსუბუქი მრეწველობის განვითარების გაძლიერების და საქონლის ნაკლებობის დაძლევის ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ წარმოადგენს ნედლეულის ნაკლებობა. სწორედ ამიტომ მოსკოვის საოლქო კონფერენციის რეზოლიუცია ასეთ სერიოზულ ყურადღებას აქცევს ნედლეულის პრობლემას და მასთან უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულ მესაქონლეობის პრობლემას. ეხლავე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბამბის და შაქრის ჭარხლის ნათესის გაფართოების დასახული გეგმის შესრულება იძლევა მომავალი წლისათვის საფეიქრო და შაქრის მრეწველობის თვალსაჩინო ზრდის გარანტიას. თუ პარტია შესძლებს ასეთსავე შესრულებას მიაღწიოს სიმინდის, ძაძის და მზესუმზირას თესვის გეგმაში, მაშინ ჩვენ უზრუნველვყოფთ მრეწველობის იმ უაღრესად მნიშვნელოვან დარგების სათანადო ზრდას, რომლებიც საკვებ პროდუქტებს ამზადებენ.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, რომელიც მის მაშინიზაციასა და ტრაქტორიზაციას ეყრდნობა, ჰქმნის საფუძველს ნედლეულისა და მესაქონლეობის პრობლემის რადიკალურად გადაჭრისათვის და ამით მსუბუქი ინდუსტრიის ისეთი ზრდისათვის, რომელმაც საშუალება უნდა მოგვცეს უმოკლეს ვადაში გადავლახოთ საქონლის არსებული ნაკლებობა.

სავსებით სწორად აღნიშნავს მოსკოვის საოლქო პარტკონფერენციის რეზოლიუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შესახებ, რომ

„მხოლოდ იმ წარმატებათა საფუძველზე, რომლებიც მიღწეულ იქნენ მძიმე მრეწველობაში, იქნება პირობები მსუბუქი ინდუსტრიის, კერძოდ, საფეიქრო მრეწველობის, აგრეთვე საკვები პროდუქტების მწარმოებელი დარგების უფრო მაღალი ტემპების გაშლისათვის იმ მიმართულებით, რომ მსუბუქი ინდუსტრია თანდათან უფრო შეუფარდდეს მუშათა კლასისა და გლეხობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას“.

საქონლის ნაკლებობისა და მუშათა კლასის სასურსათო მომარაგების სიძნელენი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარეობენ, შეიძლება გადალახულ იქნან მხოლოდ პარტიის მტკიცე და გადამჭრელი პოლიტიკის საფუძველზე, რომელიც მიმართული უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ, და ამ გარდაქმნის მხოლოდ ბოლშევიკური ტემპების საფუძველზე.

ჩვენ შევსძლებთ აღნიშნული ტემპების უზრუნველყოფას, თუ ამ სიძნელეთა გადასალახავად დავრაზმავთ უფართოეს პროლეტარულ და მშრომელ მასებს, პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ამ სიძნელეთა შორის უდიდესი ადგილი უჭირავს აპარატისა და კადრების პრობლემას. ბიუროკრატიზმმა და მავნებლობამ სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ აპარატში —შეაფერხეს სოციალისტური მშენებლობის ფრონტის ცალკე ნაწილები. საჭიროა დამატებითი ღონისძიებანი ამ შეფერხებათა ლიკვიდაციისათვის. მრავალი დეფექტი მუშების მომარაგების საქმეში შედეგია არა მარტო სათანადო პროდუქტების ნაკლებობისა, არამედ იმ ბიუროკრატიული დამახინჯებებისაც, რომლებსაც ადგილი აქვთ მიმწოდებელ ორგანოებში, განსაკუთრებით კოოპერატიული სისტემის ხაზით. აუარებელ სახსარს უნაყოფოდ ვხარჯავთ იმის წყალობით, რომ ნაკლებად გვყავს მტკიცე, გამოცდილი და სოციალისტური მშენებლობის საქმის ერთგული კადრები. კადრების ნაკლებობა ხელს გვიშლის გამოვიყენოთ სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის სხვადასხვა უპირატესობა. ეს არის სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი. აქ არის ის ვიწრო ადგილი, რომელიც აუცილებლად უნდა გადავლახოთ. ბრძოლა აპარატის გაუმჯობესებისათვის, ბრძოლა კადრებისათვის წარმოადგენს პარტიის ცენტრალურ ამოცანას დღევანდელ ეტაპზე.

მოსკოვის საოლქო კონფერენცია მიმდინარეობს არა მარტო პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის ირგვლივ შემჭიდროებისა და ერთსულოვნების ნიშან ქვეშ. იგი მიმდინარეობს მასების მობილიზაციის ნიშან ქვეშ სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადასალახავად.

დამახასიათებელია, რომ პარტიის რიგებში მყოფი ოპორტუნისტული ელემენტები მრავალ შემთხვევაში ვერ ჰბედავენ ამჟამად აშკარად გამოვიდნენ პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, ვერ ბედავენ პირდაპირ უარჰყონ ჩვენი უდიდესი წარმატებანი. მთელი მათი აშკარა და დაუფარავი იერიშები მიმართულია პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ—ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, რომელიც ვითომ შეცდომებს სჩადის გენერალური ხაზის ჩატარების დროს, რომელიც ვითომ იძლეოდა არა სწორ დირექტივებს, ხელს უწყობდ გადახვევებს კოლმეურნეობათა მშენებლობაში და სხვ. აქაც მემარჯვენე უკლონისტები და ნახევრად ტროცკისტული ელემენტები მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ტროცკისტები (ხოლო მათ შემდეგ ნახევრად ტროცკისტული ელემენტები პარტიის შიგნით) ბრალს სდებდენ პარტიას იმაში, რომ იგი ვითომ მოსაჩვენებლად სდევნის მემარჯვენეებს, ხოლო საქმით თვითონ პარტია ახორციელებს მემარჯვენე პოლიტიკას. მემარჯვენეები კი თავის მხრივ აცხადებდნენ, რომ პარტია ტროცკიზმისაკენ ეშვებაო. ახლა თვალწინ გვაქვს მემარჯვენეების და „მემარცხენეების“ იდეურ-პოლიტიკური დაახლოების უტყუარი ფაქტი, რომელსაც სრულიად სამართლიანად მიაქცევს მთელი პარტიის ყურადღებას მოსკოვის საოლქო კონფერენცია: „იგი პარტიისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ სიფხიზლეს და გამბედაობას ორ ფრონტზე ბრძოლაში“.

ახლა მემარჯვენეები, ერთის მხრით, და ნახევრად ტროცკისტები (აღარას ვამბობთ აშკარა ტროცკისტებზე), მეორეს მხრით, ივიწყებენ მათ შორის არსებულ უთანხმოებას და ცდილობენ შექმნან ერთიანი ფრონტი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. პარტიული ხელმძღვანელობის სახელის გატეხა,—აი პირველი ამოცანა, რომელსაც ისინი ისახავენ. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში მოსკოვის საოლქო კონფერენციამ მაგარი ლახვარი ჩასცა მემარჯვენე და „მემარცხენე“ უკლონისტების ამ ანტიპარტიულ მანევრებს.

პარტიის მე-16 ყრილობის წინ უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მოსკოვის საოლქო კონფერენციის რეზოლიუციის იმ პუნქტს, რომელიც მემარჯვენე უკლონისტების ყოფილი ბელადებისაგან მოითხოვს მათი ოპორტუნისტული შეცდომების გაშლილ ბოლშევიკურ კრიტიკას, გადამწყვეტ აქტიურ ბრძოლას მემარჯვენე უკლონისტების ისეთი ცდების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულნი იქნებიან პარტიის გენერალური ლენინური ხაზის რევიზიისაკენ და პარტიის ლენინური ხელმძღვანელობის—ცენტრალური კომიტეტის და მისი პოლიტიკის ყოველგვარი საწინააღმდეგო გამოსვლებისა და სახელის გატეხვისაკენ.

დღემდე პარტიას არ უხილავს ასეთი გაშლილი კრიტიკა და აქტიური ბრძოლა.

ყოვლად არანორმალურად უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, ის, რომ ბრანდლერისა და ტალგეიმერის რენეგატული ჯგუფები გერმანიაში და ლოვსტონის ჯგუფი ამერიკაში თავიანთი ანტი-კომუნისტური შეხედულებების დასასაბუთებლად მუდამ ემყარებიან ბუხარინის „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ თეორიას, ხოლო ბუხარინი, რომელსაც ჯერ კიდევ არ უარყვია ეს თეორია, სავსებით ნორმალურად სთვლის დუმილით აუაროს გვერდი ამ მოვლენას. სხვათა შორის, ყველაზე უფრო თავაშვებულად აბურთავებს ბუხარინის სახელს ლოვსტონის ჯგუფი ამერიკაში,როგორც ვიცით, ეს ჯგუფი იქამდე მივიდა, რომ ბანდიტურად თავს დაესხა ამერიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სადგომს, ეს ჯგუფი კი კომინტერნის მე-6 კონგრესზე ბუხარინის ყველაზე უფრო ერთგული გვარდია იყო.

პარტიას უფლება აქვს იცოდეს: უარჰყოფს თუ არა ბუხარინი თავის ოპორტუნისტულ შეხედულებებს კომინტერნის საკითხებისა და „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ თეორიის შესახებ. პარტიას უფლება აქვს იცოდეს, როგორ უცქერის ბუხარინი კომინტერნის ბრძოლას მემარჯვენე რენეგატებთან. პარტიას უფლება აქვს აგრეთვე იცოდეს, როგორ უცქერიან მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ბელადები ცენტრალური კომიტეტის სახელის გატეხვის იმ კამპანიას, რომლის გაშლასაც ამჟამად შეეცადნენ მემარჯვენე უკლონისტები და „მემარცხენე“ გადამხვევები კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხების ირგვლივ და რომელსაც ერთსულოვანი წინააღმდეგობა გაუწია მთელმა პარტიამ. საჭიროა სრული გარკვეულობა.

პარტიას უფლება აქვს მოითხოვოს მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ბელადებისაგან მათი შეცდომების გაშლილი კრიტიკა და უყოყმანო ბრძოლა გენერალური ხაზისათვის. მთელი პარტია ერთსულოვნად იზიარებს მოსკოვის საოლქო კონფერენციის ამ მოთხოვნას. „მემარჯვენე საფრთხე ისევ მთავარ საფრთხედ რჩება პარტიის შიგნით“,—ამბობს მოსკოვის საოლქო კონფერენციის რეზოლიუცია მე-16 ყრილობის წინ. ორ ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლის დროს მთავარი ცეცხლი მარჯვნისაკენ უნდა მივმართოთ. სხვანაირად შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობა ახლანდელ ეტაპზე, როდესაც ფეხი შევდგით კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ხანაში და როდესაც მემარჯვენე უკლონისტები გადაიქცნენ კულაკურ აგენტურად, რომელსაც ჰკვებავს და ზოგჯერ ზურგს უმაგრებს კულაკის თავგამოდებული წინააღმდეგობა.

გადახრებთან გადამწყვეტი ბრძოლა ასეთსავე გადამწყვეტ ბრძოლას მოითხოვს, როგორც „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, ისე ძირითად და მთავარ მემარჯვენე საფრთხესთან შემარიგებლობის წინააღმდეგაც.

ერთსულოვანი, ლენინური კომიტეტის ირგვლივ შემჭიდროებული, ბრძოლის ახალი ამოცანების გადაწყვეტისათვის და ყველა დაბრკოლებათა დაძლევისათვის მომზადებული მოსკოვის საოლქო ორგანიზაცია ლენინური ბოლშევიკური პარტიის პირველ რიგებში წავა ახალი გამარჯვებებისაკენ და დაუნდობლად უკუაგდებს ყოველგვარ გადახრებსა და მერყეობას, ყოველგვარ სადემობილიზაციო სულისკვეთებას.

„პრავდა“, 7 ივნისი.

ქრონიკა

შრომის ინსპექტორების არჩევნები

საქ. შრომის სახ. კომისარიატი ბრიგ ინსპექტორების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით მიმდინარე 8 ივნისიდან თბილისში აწყობს მუშიდი ბრ ტიული, სა რაიონულ კონფერენციებს.

კონფერენციების დღის წესრიგი შესახებ შრომის ინსპექტორიასათვის საერო საკითხი: შრომის ინსპექტორის ზული მუშაო საანგარიშო მოხსენება და რაიონის გორც ჰის- პექტორის არჩევა.

26 კომუნარის სახელობის მიმდინ რაიონის მუშების კონფერენცია შესდგება 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ლენინის სახელობის კლუბში (კომუნალური ქუჩა, № 98).

ლენინრაიონის მუშების კონფერენცია მოწვეულია 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ტრამვაელთა კლუბში.

ქალაქის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია შესდგება 10 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქ. პროფსაბჭოს ახალ დარბაზში.

სხვადასხვა

◆ სახ. უნივერსიტეტში (ლენინიზმის კაბინეტი), დღეს, 8 ივნისს, დღის პირველ საათზე, შესდგება „ცეკავშირის" სტუდენტ კონტრაქტანტების საერთო კრება.

◆ ორშაბათს, 9 ივნისს, საღამოს 8 საათზე ქალ. 1-ლ საავადმყოფოს (ყოფ. არამიანცის) ბავშთა სნეულებათა კლინიკის აუდიტორიაში შესდგება ქირურგ. კლინიკის ორდინატორთა კონფერენციის მორიგი სხდომა.

◆ სახ. კონსერვატორიის დარბაზში, დღეს, 8 ივნისს, საღამოს გაიმართება ვოკალურ-კამერულ ანსამბლის კლასის საჩვენებელი საღამო. პროფ. ნ. გ. რაისკისა; პროგრამაშია: ბეთჰოვენი, შუმანი, ტანეევი, ჩაიკოვსკი, გედიკე და სხ. ავტორები. ანსამბლის კლასი მიმდინარე აკადემ. წელს შეტანილია სასწავლო გეგმაში.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

„საქართველოს აბრეშუმის" ცნობით, მიმდინარე წელს საქართველოში დარიგდა სულ 86.480 კოლოფი აბრეშუმის თესლი (გეგმით გათვალისწინებული იყო 107 ათასი კოლოფის დარიგება). კონტრაქტაცია ჩატარებულია 1.902.000 კილოგრამ აბრეშუმის პარკზე. კონტრაქტაციის ანგარიშში მეაბრეშუმეებს უნდა მიეცეს 1.278.072 მ. აქედან პირველ ივნისისთვის უკვე გაცემული იყო 783 ათასი მან. აბრეშუმის მოსავალი წელს ნავარაუდევია 3.132.034 კილოგრამის რაოდენობით. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოწყობილია აბრეშუმის პარკის დამამზადებელი 85 პუნქტი. მათ შორის 27 პუნქტს მოწყობილი აქვს მექანიკური სახმობი.

გეგმის თანახმად თბილისის ოლქში დამზადებულ უნდა იქნას 30.900 კილოგრამი, კახეთის ოლქში—189.313 კგ. გორის ოლქში—14.546 კგ., ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში 3.948 კგ. ქუთაისის ოლქში—978.665 კგ. სენაკის მაზრაში—503.065 კგ. ზუგდიდის მაზრაში—461.488 კგ. ოზურგეთის მაზრაში—521.700 კგ. აფხაზეთში—159.413 კგ. აჭარისტანში—40272 კგ. აბრეშუმის პარკი.

სტალინის სახელობის ქარხანაში მუშათა კომისია ათვალიერებს დამკვრელების მიერ დამზადებულ პროდუქციას

ჭადრაკი

ვიქტორ გოგლიძე-მაესტრო

მაესტრო ნენაროკოვის და ვ. გოგლიძის მატჩის მე-11 პარტია, როგორც გუშინ ვსწერდით, რთულ და საინტერესო თამაშის შემდეგ დასრულდა გოგლიძის გამარჯვებით. ამ პარტიაში მაესტრომ მიმართა ისევ თავის საყვარელ განვითარებას ლაზიერის პაიკთა დებიუტში, სახელდობრ: სამკუთხურ განვითარების სისტემას, რასაც მან მიაღწია სვლათა გადანაცვლებით. ამის შედეგად მან რამოდენიმედ უკეთესი მდგომარეობა და ფიგურათა უკეთესი განწყობა მიიღო. მიუხედავად ამისა, ყველა ამის გამოყენება პარტიის მოსაგებად არც ისე ადვილი იყო; ნენაროკოვის მხრიდან საჭირო იყო მეტად ზუსტი და განსაკუთრებით ფხიზელი თამაში.

შუა თამაშში ნენაროკოვი მოწინააღმდეგის მეფის ფრთაზე იერიშის მიტანის მიზნით სწევს წინ ერთ-ერთ პაიკს, რომელიც ერთხანს მართლაც მრისხანეთ გამოიყურებოდა, მაგრამ როგორც ეს შემდეგ თამაშიდან გამოირკვა, ეს სვლა არ იყო სწორი. ნენაროკოვმა სათანადოთ ვერ შეაფასა მდგომარეობა და აჩქარებული სვლებით დაიწყო თამაში. ენერგიული სვლებით გოგლიძე ხელთ იგდებს ინიციატივას და ჩქარა ღებულობს ორ გამსვლელ პაიკს, რომელთა წინ წაწევით და ლაზიერათ გაყვანის მუქარით აიძულებს ნენაროკოვს წაიღეს ლაზიერების გაცვლაზე და ამასთანავე ორ პაიკში წააგოს ფიგურა.

ამის შემდეგ ნენაროკოვი აკეთებს კიდევ რამდენიმე სვლას და ნებდება.

მატჩის საბოლოო შედეგია +6—3=3 გოგლიძის სასარგებლოდ.

ფეხბურთი

თბილისი—ბაქო

გუშინ საღამოს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება ბაქოს რკინისგზელთა გუნდისა და თბილისის მელითონეების პირველ გუნდს შორის.

თამაში იწყება თბილისელების შეტევით, რომლებსაც მესამე წუთზე გააქვთ პირველი ბურთი. ბაქოელები ცდილობენ გააქვითონ ანგარიში, მაგრამ ამაოდ. მე-13 წუთზე თბილისელ კლოცს გააქვს მეორე ბურთი. ტაიმის ბოლომდე მიღწეული შედეგი არ დარღვეულა და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 2:0 მელითონეების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი იწყება ბაქოელების შეტევით. მათ ხელს უწყობს ქარი. მე-15 წუთზე ვლამჩენკომ გაარღვია თბილისელების მცველთა რკალი და გაიტანა პირველი ბურთი. ბაქოელები ამის შემდეგ უფრო წახალისდნენ და მე-30 წუთზე მეორეთ გაარღვიეს თბილისელების კარები. მელითონეებმა მოიკრიბეს ძალღონე და მძლავრად შეუტიეს მოპირდაპირეს. მე-34 წუთზე მაჩაბელმა მესამე ბურთი შეიტანა ბაქოს ბადეში და ამრიგათ თამაში დამთავრდა მელითონეების გამარჯვებით 3:2

რკინის გზებზე

კვალიფიკაციის ასამაღლებლად

ა.-კ. რკინის გზის დირექციას წინადადება აქვს მიცემული გაგზავნოს ლენინგრადის ტრანსპორტის ინჟინრების ინსტიტუტში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ხაზზე მომუშავე ათი ინჟინერი.

ვინაიდან ამდენი ინჟინრების მოხსნა სამუშაოდან შეუძლებელია გზის დირექცია ინსტიტუტში აგზავნის სამ ინჟინერს.

რკინისგზელთა ცეკას ბრიგადა

ა.-კ. რკინის გზაზე ჩამოვიდა რკინის გზელთა პროფკავშირის ცეკას ბრიგადა სამი კაცის შემადგენლობით.

ბრიგადა მონაწილეობას მიიღებს ძირითად პროფორგანიზაციების გადარჩევის კამპანიაში.

პირველ რიგში ბრიგადა მუშაობას ჩაატარებს ბაქოს უბანზე.

გზის დირექციის შტატის შემცირება

რკინის გზების მმართველ აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ა.-კ. რკ. გზის დირექციის შტატი შემცირებულია 1029-დან —796 კაცამდე.

შემცირებული მუშაკები გადაყვანილი არიან სამუშაოდ საექსპლოატაციო რაიონებში.

კურსები

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო კპ. (ბ) ცეკას დადგენილებით ლენინგრადში, გზათა სახ. კომისარიატის სატრანსპორტო აკადემიასთან იხსნება ერთწლიანი კურსები ტრანსპორტის საშუალო ადმინისტრატიულ-სამეურნეო მუშაკების მოსამზადებლად.

კურსებს ექნება ოთხი განყოფილება: რკინის გზის, ნაოსნობის, ადგილობრივი ტრანსპორტის და ავტოტრანსპორტის.

ამიერ-კავკასიისათვის კურსებზე დათმობილია 20 ადგილი, აქედან, რვა რკინის-გზის განყოფილებაზე, შვიდი სანაოსნოზე, სამი ადგილობრივ ტრანსპორტის და ორი ავტოტრანსპორტის განყოფილებაზე.

მსმენელებს კურსებზე მიეცემათ სტიპენდიები. მარტოხელა პირებს თვეში მიეცემათ 180 მანეთი, მათ რომელთა კმაყოფაზე იმყოფება ორი წევრი—210 მანეთი, რომელთაც მზრუნველობის ქვეშ ჰყავთ ოჯახის ოთხი წევრი—235 მანეთი და რომელთაც ოთხზე მეტი—250 მანეთი.

სასამართლო

სამართებლით ყელი რომ გამოჭრა თავის ცოლს

„ვემშვიდობები ყველას, მივდივარ ამ ქვეყნიდან, მაგრამ მიმძიმს ჩემი ძვირფასი ანნას დატოვება... ამიტომ ისიც თან მიმყავს.. პატარა ნელი ობლად რჩება... ჩემი ერთად-ერთი თხოვნაა—უპატრონეთ მას, წაიყვანეთ ბაგაში, აღზარდეთ ისე, რომ სოციალისტურ ქვეყანას გამოადგეს"..

ბასრი სამართებელი ხელში ეჭირა მოქ. ნიკოლოზ დავიდოვს. ცოლს ტკბილად ეძინა, როცა ქმარმა საბანი გადახადა და ყელზე სამართებელი გადაუსვა ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ.... ყელგამოჭრილი ქალი საგულდაგულოდ შეხვია საბანში.

ამის შემდეგ სამართებელი თავის ყელსაც დაასობა, გაუჭირდა, მაგრამ ერთხელ მაინც გაისვა მაგრად.

როცა ეტკინა, თავი დაანება და ჩაიკეცა.

ხმაურობა გაიგეს მეორე ოთახში, სადაც ნიკოლოზის სიდედრს, ცოლის ძმას და სხვებს ეძინათ. ისინი წამოცვივდნენ და ნახეს ასეთი გულშემზარავი სურათი.

სისხლში გაღვარული **ანნა აფხაზიშვილის** გვამი უკვე გაცივებულიყო. ნიკოლოზ დავიდოვი იატაკზე ეგდო, ყელიდან სისხლი სდიოდი, ღრიალებდა. ნახეს ზემოდ მოყვანილი წერილიც.

დავიდოვი გაგზავნეს საავადმყოფოში, სადაც ის განიკურნა და დაპატიმრებულ იქნა.

მეტად ბუნდოვანია ამ მკვლელობის მიზეზი. როგორც წინასწარი, ისე სასამართლოს გამოძიება უდავოდ ნათელჰყოფს, რომ ცოლქმარს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მათ ერთმანეთისათვის უბრალო საწყენი რამ ეთქვათ.

მკვლელობამდე რამდენიმე საათის წინ ისინი ტკბილად შეექცენ ჩაის ანას დედმამასთან და სხვებთან ერთად, გავიდნენ მეორე ოთახში და დაიძინეს.

დავიდოვს თუ დაუჯერებთ, ერთად ერთი მიზეზი, რომელმაც მას ასეთი სისაძაგლე ჩაადენინა, იმაში მდგომარეობს, რომ სიდედრი ცუდათ უყურებდა მას.

სხვას მიზეზს არაფერს ასახელებს. მოწმეები ამასაც უარჰყოფენ. ერთი რამ დადასტურებულია: დავიდოვს დასჩემდა გულის ტკივილი, მეტ წილად უხდებოდა უმუშევრად ყოფნა, ცხოვრობდა ცოლის ოჯახში.

დავიდოვმა სასამართლოში განაცხადა, რომ დაძინების წინ მას ცოლმა გადასცა სიდედრის შემდეგი სიტყვები, რომლითაც მიუმართავს ქალიშვილისთვის: „რას გადაეკიდე ამ ავადმყოფ კაცს... სანამდე გინდა მაგასთან ცხოვრება, სანამდე უნდა შევინახოთო". დავიდოვის სიტყვით, ამან მასზე ძალიან იმოქმედა და გადასწყვიტა „ცოლთან ერთად მომკვდარიყო". დავიდოვმა ისიც განაცხადა, თითქოს მან ცოლს წინასწარ გააცნო მისი გადაწყვეტილება თავის მოკვლის შესახებ, და როცა ცოლისაგან პასუხად მიიღო: „მეც შენთან ერთად მინდა სიკვდილიო", თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

დავიდოვი გაასამართლა თბილისის , გაერთიანებულმა სასამართლომ ამხ. **ნ. სოხელიას** თავმჯდომარეობით.

ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით სასტიკი იზოლიაციით.

—ბერ.

შემთხვევები

ავტომობილის ქვეშ

ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ნიკოლოზ ივანეს ძე დავითაძე, ლენინის ქუჩაზე დაეჯახა მცირეწლოვან თამარა ბუსურაშვილს, რომელიც მსუბუქად დააშავა.

ხანძარი

ტივის ქუჩაზე № 6 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

ჯიბგირობა

ალი ყოზან ოღლის კომინტერნის ქუჩაზე მდებარე მუშკოოპის მაღაზიაში ჯიბიდან ამოაცალეს 100 მან.

ქურდობა

მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს არკადი იაკობისძე ლევინის ბინა (მასტოვის ქუჩა № 9), საიდანაც წაიღეს 700 მან. ღირებულების საოჯახო ნივთები.

რადიო-გადაცემა

კვირა, 8 ივნისი

დილით (10 ს. 50 წუთამდე) ბავშთა ლიტერატურული და მუსიკალური დილა, გადაცემა სოფლისათვის; აგრონომების და ექიმის საუბარი, ქართულ ენაზე; პოპულიარული გლეხური კონცერტი, საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა, ქართულ ენაზე; კონცერტი, კომკავშირული რადიო - გაზეთი, ქართულ ენაზე, მისალმებები სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის თავის აღსანიშნავად. მოხსენება, ოსურ ენაზე; ლიტერატურული და მუსიკალური საათი, საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა, რუსულ ენაზე; დროს შემოწმება, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები, კონცერტის ტრანსლიაცია, დასვენების რეკლამა, უკანასკნელი ცნობები.

პარტიული კალენდარი

ხ. ს. პ. ინსტიტუტში დღეს, 2 საათზე შესდგება პარტიის კოლექტივის ბიუროს სხდომა.

ხვალ, 9 ივნისს, საღამოს სრულ, 8 საათზე, მოწვეულია ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკის ა. ლ. კ. კ. კურს-უჯრედების გაერთიანებული ღია კრება. დღის წესრიგი: ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის საანგარიშო მოხსენება.

სახ.-სამ. ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტობა ვალდებულია გამოცხადდენ დღეს, 8 ივნისს, სრულ 11 საათზე ინსტიტუტის შენობაში, რომლებიც უნდა გაემგზავრონ ბორჩალოს რაიონში.

სახელმწიფო ოპერის თეატრი
ქართული დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

კვირას, 8 ივნისს, ღია წარმოდგენა
პერსი-ბიში შელლი
ბეატრიჩე

ორშაბათს, 9 ივნისს,
პირველი აბონემენტის წარმოდგენა
დემნა შენგელაია
თეთრები

სალარო ღიაა დილის 12—4 საათ., საღამოს 5—9 საათამდე.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ¼ საათზე.
ყოველ სააბონემენტო წარმოდგენაზე ნაწილი ბილეთებისა დატოვებულია გასასყიდათ.
ნ. 831 თეატრის დირექტორი ძ. კალაძე.

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მხატვრული ფილმი ძია თომას ქოხი ბიჩერ-სტოუს რომანის მიხედვით 9 ივნისიდან დადგმა გრძელდება	პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	მხატვრული სურათი ცხენოსნები დაიძრნენ
სპარტაკი ყოფ. არფასტო	საუკეთესო სურათი ბრძმედის გმირები 9 ივნისიდან მოპირდაპირე ქარი	რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)	კონრად ვეიდტი და ელისაბედ ბერგნერი მხატვრულ სურათში მეჭიანურე ფლორენციიდან 9 ივნისიდან დადგმა გრძელდება
სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მილდრედ დევისი და კარლ მილერი მხატვრულ სურათში მსჯავრდადებულნი 9 ივნისიდან ჩიკაგო	დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წ.	უკანასკნელად ზელიმ-ხანი ცნობილ იუმორისტის და სატირიკოსის ვ. ლ. რაზდოლსკის გასტროლები 9 ივნისიდან ბედნიერების ნალი

მალე: „ვინ არის დამნაშავე" და „პირველი ცხენოსანი არმია"

მასწავლებლები
უმაღლესი ცოდნით
ამზადებენ მოწაფეებს:
სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუხჰალტრო კურსებზე შესასვლელად.
პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პიროგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 25-3

გამოცდილი ბუღალტერი
ქართულ და რუსულ ენაზე
ამზადებს შესასვლელად
საბუღალტრო
კურსებზე
ბუღალტერიასთანაც გაცნობით (თეორ. და პრაქტიკ.) და ასწავლის
ლამაზსა და ჩქარ წერას.
მოკლე ხანში უსწორებს ხელს.
რუს. ენის და არითმეტ. გაკვეთ. ხელმისაწ. ფასებში.
ალავერდ. მოედ., ახოსპირელის 1-ლი ჩიხი, № 6, ბინა № 3 (უ. ველიამინოვის ქ. მახლობ.) 1990 2—1

სახელმწიფო სესხებისა და დაზღვევის საქმის დამხმარე კომისიების საქალაქო კონფერენცია

შესდგება 1930 წლ. 8 ივნისს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა მცირე დარბაზში.

დღის წესრიგი:

1. ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის მორიგი შესატანი თანხების აკრეფის შესახებ.
2. ახალი სესხის „5 წლედი 4 წელიწადში"-ს შესახებ.
3. კონვერსებული მასიური სესხების გაყიდვა-დაგირავების საზოგადოებრივი კონტროლის შესახებ.
4. ველოსიპედის ვალდებულებათა შესახებ.

ქ. თბილისის ყველა დაწესებულებათა და წარმოებათა დამხმარე კომისიების პასუხისმგებელ წარმომადგენლებს ევალებათ გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

საქ. პროფკავშირთა პრეზიდიუმი.
ნ. 860 თბ. საბჭოსთან არსებული დამხმარე კომისია.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (უ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამ და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ქ. ქუთაისი **თ. ვ. აკოფაშვილი** შინაგანი სნეულება— სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

- — პარტბილეთი № 0872196—მარო გიორგის ასულ შაბელსკაიას სახ. 3081
- — პირადობის მოწმობა № 21—ევგენი ჭუმბურიძის სახელზე. 3072
- — ზაკტპოს წიგნაკი № 1049—ნიკოლოზ თურქაძის სახელზე. 3071
- — პურის წიგნაკი „გ" 1 სულის № 21895—ბაბილინე კოსტას ასული რუსიას სახელზე. 3075
- — მარჯანიშვილის გასტროლების მთლიანად გამოსყიდული 2 (IV) აბონემენტი №№ 149, 150 სკამის №№ 172, 173. 3079
- — მუშკოოპის წიგ. № 77713—დომნა მიხეილის ასულ ცვედაძის სახ. 3080
- — რძის ტალონი ტერ-ხაჩატუროვის სახელზე. 3091
- — მუშკოოპის წიგნაკი ეფროსინე ალექსის ასული დოლიძის სახ. 3089
- — მუშკოოპის წიგნაკი № 75925—დავითი ნიკოს ძე გაბისონიას სახ. 3094
- — კავშირის წიგნაკი № 29898—თამარ ბერიძის სახელზე. 3077
- — სამხედრო პირად. მოწმობა—ალექსანდრე პოზენენკოს სახელზე. 3094
- — მუშკოოპის წიგნაკი № 33271—ეკატერინე მდინარაძის სახელზე. 3098
- — პურის წიგნაკი 4 სულის და კავშირის წიგნაკი № 37987—კოლია იოსების ძე პაპუაშვილის სახელზე, 3102
- — პირადობის მოწმობა, სამხედრო წიგნაკი და მატრიკული, გაცემული ლენინგრადის გზათა ინსტიტუტის მიერ, რუბენ ხონელიძის სახ. 3100
- — მუშკოოპის წიგნაკი № 1823—მინა დუგლაძის სახელზე. 3099
- — კოოპერატივის წიგნაკი № 1412—მარიამ აბაშიძის სახელზე. 3102
- — პროფკავშირის წიგნაკი № 1293—ილია მინას ძე ჩაგორიძეს სახ. 3105
- — ატესტატი № 45/806—აკაკი ხარაძის სახელზე 3038
- — დამცველთა კოლეგიის წიგნაკი და მანდატი გაცემული საჩხერის მუშ. კოოპერატივის მიერ როგორც კოოპერატივის იურისკონსულტი სიმონ კაპანაძის სახელზე. 3038
- — მე-2 ქართულ მსროლელ ლეგიონიდან გაცემული წიგნაკი № 2280—გიორგი მაღრაძის სახელზე. 3038
- — ღანირის 7 წლედის დამთავრების მოწმობა № 129—დავით შენგელიას სახელზე. 3038
- — პატენტი გაცემ ქუთაისის ხაზინიდან № 2798—აკაკი სანოძის სახ. 3038
- — ახალ-სენაკის ცხრა წლედის დამთავრების მოწმობა № 350—აკაკი აბშილავას სახელზე. 3038
- — პირადობის მოწმობა № 235 - სამსონ უსუპაშვილის სახელზე. 3035
- — პირადი მოწმობა გაცემული გორის ოლქის სამხედრო კომისარიატიდან გიორგი ნიკოლოზის სახელზე. 3035
- — კავშირის წიგნაკი № 162, სამხედრო საარიცხვო ბარათი, მეტრიკული ამონაწერი და ოლიმპიადის კუპონები დათიკო მაკარაძის სახ. 3067
- — ზაკტპოს საწევრო წიგნაკი № 5030—სილო გოგოლაძის სახ. 3067
- — კავშირის წიგნაკი № 18502 ალექსი ხოხიშვილის სახელზე.

კინო-სპარტაკი
(ყოფ. არფასტო)
ორშაბათიდან, 9 ივნისიდან
მხატვრული კინო-მოთხრობა
„მოპირდაპირე ქარი"
ნ. ლვოვის მოთხრობის
„დღებიან დღეები"-ს მიხედვით.
რეჟისურა ზარხი და ხეიფეცი
ნ. 862

ამხანაგობა „ქართული წიგნის" გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა-წ. 22 ივნისს, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 8), საღ. 6 საათზე შესდგება ამხანაგობის წევრთა მე-5 ჩვეულებრივი

წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი:

1. მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ, წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. მიმდინარე წლის საგამომცემლო-საწარმოო და ფინანსიური გეგმის განხილვა და დამტკიცება.
4. მიმდინარე საკითხები.
5 არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

თუ დანიშნულ საათზე კრებაზე არ გამოცხადდა წევრთა რიცხვის ერთი მესამედი, იმ შემთხვევაში კრება გადაიდება და ხელახლა გაიხსნება იმავე დღეს, საღამოს 7 საათზე და თანახმად წესდების 28 მუხლისა ეს უკანასკნელი კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ დაესწროს. ნ. 865

სახელმწიფო, სამხედრო და კოოპერატიული ორგანიზაციების საყურადღებოდ
სრ. საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტთან გაიხსნა საშტამპო-გალვანიური არტელი
„პრეს"-ი
რომელიც ასრულებს ყოველგვარ საშტამპო და გალვანიურ სამუშაოებს, როგორიც არის: ბოქლომები, ავეჯეულობისა და ჩემოდნების არმატურა, გულზე სატარებელი ნიშნები, წარჩინების ნიშნები, ბლიახები, მარკები, საინვენტარიზაციო ტაბულები და ყოველგვარი სხვა საშტამპო-გალვანიური სამუშაოები.
შეკვეთებისა და ცნობებისათვის უნდა მიმართოთ: ენგელსის (ყოფ. ბებუთოვის) ქ., № 48. ნ. 861 3—1

გამოვიდა და იყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში
ბ. მ. საყვარელიძე
„დაფანტული ფურცლები"
რომანი რევოლ. მოძრაობის ისტორიიდან.
გვ. 430, ფასი 3 მ. 50 კაპ.
ნ. 830 სახელგამი.

საქართვ. წითელი ჯვრის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
საავადმყოფო და პოლიკლინიკა
კამოს ქ. № 54, ხანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17, 21—99.

საავადმყოფოს განყოფილებები:

ქირურგიული განყ.	გამგე	პროფ.	ა. მაჭავარიანი.
თერაპევტიული „	„	პროფ.	ა. ალადაშვილი
სამეანო „	„	პროფ.	ი. თიკანაძე
გინეკოლოგიური „	„	პროფ.	გ. ლამბარაშვილი
ყურის, ყელის და ცხვირის განყოფ.	გამგე		ნ. ასპისოვი.
ლაბორატორია	„		ექ. ექ. ი. ხატრიძე, ენ. ფალიაშვილი და ვ. ჩიგოგიძე,
რენტგენის კაბინეტი			ექიმი გ. ნაზარაშვილი.

მიიღება ყოველგვარი ანალიზები (სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური Wassermann-ის რეაქცია და სხვა)

პოლიკლინიკა:

ხუთოთხმოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები: 11 ს.—1 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს — პროფ. გ. მუხაძე
კვირაში სამჯერ: სამშაბ., ხუთშაბათობით და შაბათობით 2—3 ს.
ქირურგიულ კაბინეტში ღებულობს ექ. გ. ჩაჩიკაიანი 3—5 საათამდე.
ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
თერაპევტიულ კაბინეტში — — პროფ. შ. მიქელაძე 2—4 საათამდე.
სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
შინაგანი, ბავშთა ტუბერკულიოზი ექ. ი. ტ. ვორობიოვი 4—5 საათ.
გინეკოლოგიურ კაბინეტში ღებულობს ექ. ი. თუმანიშვილი 4—6 ს.
ტუბერკულიოზის კაბინეტში — დოცენტი ი. აბაკელია 11—1 საათ.
ყელი, ყური და ცხვირის კაბინ. 9—11 ექ. დ. ჯაფარიძე, 11—1 ექ. დ. თევზაძე და 3—4 პროფ. ნ. ასპისოვი.
თვალის სნეულებათა კაბინეტში პროფ. ვ. მუსხელიშვილი 1—3 საათ.
ვენერიულ სნეულებათა კაბინეტში ექ. ა. ჯავრიშვილი 4—6 საათ.
ექ. თოფურიძე ვენერიულ სნეულებ. 4 - 6 საათ.
ნერვიულ სნეულებ. კაბინეტ. მიიღებს პროფესორი ხ. ყიფშიძე 3—4
პროფ. მ. წინამძღვარიშვილი 2—3 საათ. ორშაბათი ოთხშაბათი და პარასკევი.
ნერვიულ სნეულებათა კაბინ. პროფ. ხ. ყიფშიძე 2—3 ს. ყოველ დღე.
ბავშთა ავადმყოფობის კაბინეტში ექ. მ. უგრელიძე 2—4 საათამდე.
კუჭ-ნაწლავების დაავადება ექ. ი. მჭედლიშვილი 2—4 საათამდე.
კბილის სნეულებათა კაბინეტში ექ. გ. ტოტეაძე 12—3 საათამდე.
პოლიკლინიკაში არსებობს ფიზიო-თერაპევტიული კაბინეტი, სადაც სწარმოებს ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობა.
პოლიკლინიკაში ავადმყოფების გადასახადი - ერთი მან.
0—38

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო-თერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა

შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული დაავადებანი და სხვ.)
ნერვიული და ქალის სნეულებანი.

კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ლამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. დოც. ი კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ.—11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე | ავადმყოფთა ჩაწერა დილის 8-დან 10 საათამდე.

საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.

ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე—ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5—6 საათ. ექ. ხებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—8 საათ. პროფ. ნ. ასპისოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. პროფ. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.

ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.

ყოველგვარი კლინიკურ-დიაგნოსტიკური ანალიზების მიღება.

მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.

25—1 ნ. 819

გულმოკლულნი მშობლები: ლიოლია და დათიკო, ბებია და ბაბუა ნატალია და ჯამულეთი ქანთარიები, თებრონე და კირილე ცაგარეიშვილები აუწყებენ საზოგადოებას

პაწია რეზიკოს

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება კვირას, 8 ივნისს, ორჯონიკიძის ქუჩა № 115, დღის 3 საათზე. 3095

დამწუხრებული ილიკო, ლიზა, მიტია, ნინუცა, კოლა, ლუბა, გიორგი ეფროსინე, ვანიჩკა, პეტრე, ლეო, გრიშა, მიშა, გრიშა, ვასიკო კურცხალიები იუწყებიან, რომ ტრაღიკულად დაიღუპა მათთვის ძვირფასი სიძე

შაქრო გიორგის-ძე შალიკაშვილი

გამოსვენება რესპუბლიკის საავადმყოფოდან დღეს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3074

და მარგალიტა და სიძე იაგორ ოყროშიძეები; სიძის ძმები: ვასილი ცოლით—ნინათი, შალვა ცოლით—აგრაფინათი და ირაკლი ცოლით ლიზათი ოყროშიძეები მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფასი

შაქრო გიორგის-ძე შალიკაშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას. 3092

თბილსოფმრეწვის 1-ლი და მე-2 ლუდის ქარხნების კომუჯრედი კომკავშირი, ქარხკომი და მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაღიკულად დაიღუპა კომპარტიის წევრი, დაუვიწყარი თანამშრომელი

ამხ. შაქრო გიორგის-ძე შალიკაშვილი

გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, 4 საათზე. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. 3073

უახლოესი მეგობრები: მ. თევდორაძე, ს. ჩაჩხუნაშვილი, კ. ქაჯაია, ნ. წიქორიძე, ა. ცაგარეიშვილი, გ. მდივანი, შ. მიქელაძე, გ. პანჩელიძე, გ. ჯანელიძე იუწყებიან, რომ დღეს, სოფ. ჩხენისში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ უძვირფასეს მეგობრის პოლ. ინსტ. მე-3 კურსის სტ.

გრიშა სანიკიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3078

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: დედა ოლღა ბაგდანის ასული, მამა ნიკოლოზი ესტატეს-ძე შვილებით: ირინეთი და ვახტანგით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ემილია (ემა) ნიკოლოზის ასული მოზდოკელის

ხსოვნის აღსანიშნავად ვერის ახალ სასაფლაოზე—დღეს, 8 ივნისს, 6 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 3069

დიდედა პელაგია ნასყიდას ასული შვილებით: დარია, ანასტასია, ალექსანდრე და დიმიტრი, რძლებით ანო და ვერა აუწყებენ საზოგადოებას მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

ემილია (ემა) ნიკოლოზის ასული მოზდოკელის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3090

მელეტი და მოსე ბისიეშვილები, მოსე და ნიკო ანტონის-ძე ჯორბენაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ლანჩხუთში, ტრაღიკულად გარდაიცვალა მათი ძვირფასი ბიძაშვილი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა

კიტა ალფესის ძე ბისიეშვილი

3097

უდროოდ დაკარგული მეგობრის

პუშა ყარამანის ასული თორიას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 10 ივნისს, ზუგდიდის სასაფლაოზე, რასაც იუწყებიან უახლოესი მეგობრები: ძუტუ მესხია და დვეპია ანთელავა. ნ. 863

დამწუხრებულნი შვილები: მარკოზ, ანდრო, მიშა, პუდუ, თამარა, დედა მართა, ძმა არჩილი, და ნატაშა, მაზლი გრიგოლ; რძლები: შურა, ვალე; მაზლისშვილი ვალიკო იუწყებიან საყვარელი

ვერა გიორგის ასული ურუშაძის

დაკარგვას. დაკრძალვა კვირას, 8 ივნისს, ლიხაურში. ნ. 864

დამწუხრებული ლიზა ანთაძისა შვილებით: თინა, ნანა, ლილი, სიძე დათა ყიასაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი დედამთილის და ბებიის

დაფინე ანთაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება კურსანტების ქ. № 2 (ყოფ. კადეტის). 3088

ვიქტორ, სოსიკო, ვალიკო, შალიკო, ზალიკო და მათიკო ხუსკივაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას მამიდის

დაფინე იესეს ას. ხუსკივაძე-ანთაძის

გარდაცვალებას.

გამოსვენება დღეს, 5 საათზე, კურსანტების ქუჩა № 2. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 861

თავზარდაცემული მშობლები დედა პაშა, მამა ილიკო, დები თათუშა და თალიკო, ძმა ილუშა მწუხარებით იუწყებიან მათი მოსწრებული უფროსი შვილის

აგრაფინა (ცაცურა) სტურუას

ტრაღიკულად დაღუპვას. გამოსვენება ბინიდან ახალციხის შესახვევი № 3. 8 ივნისს, დღის 4 საათზე სადგურზე. 10 ივნისს სოფელ კულაშში. 1—1 (შ)

ცრემლშეუშრობელი ბებია ირინე სტურუა შვილებით პელო ენუქიძისა, ოლია პაპავა, სიძე ლადო, შვილიშვილები: ვერა და ლეო პაპავეები, რუსიკო და ხიტინა სტურუები მწუხარებით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

ცაცურა (აგრაფინა) სტურუას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 ივნისს სოფელ კულაშში. (შ)

გულდათუთქული ბაბუა ბახვა, ბიძიები თედორე, ტარასი, კოლია. ბიცოლა მარო ჩოჩიები, დეიდა ბაბილინა ქმრით გიორგით და ქალიშვილით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი მერვე ჯგუფის მოწაფის

აგრაფინა (ცაცურა) ილიას ასული სტურუას

(1—1) ტრაღიკულად გარდაცვალებას.

დამწუხრებულნი ტატულა და ნადია სტურუები ქმრით ვალოდია კვირიკაძით და პატარა ვასიკოთი, ლილე კვირიკაძით იუწყებიან მათი ბიძაშვილის, სიცოცხლით სავსე ვერის ოთხის სკოლის მე-8 ჯგუფის მოწაფის

ცაცურიკა (აგრაფინა) სტურუას

ტრაღიკულად დაღუპვას. გამოსვენება სადგურზე დღეს 4 საათზე. დაკრძალვა სოფელ კულაშში 10 ივნისს. (შ)

გულდათუთქული სიძე აკაკი დავითის-ძე, და თამარი, დისწულები: დათულა, კონსტანტინე, შოთა და მარო ქიქინაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი ტეხნიკოსი

ზურაბ (ზურიკო) პავლეს-ძე მეტრეველი

დაკრძალვა 9 ივნისს, 3 ნახ. საათზე, ძმათა სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, პლეხანოვის პრ. № 174. 3086

საქ. პ. კ. ს. ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბიუროს და კავშირების ი. ტ. სექციების ორგანო ჟურნალ „ტეხნიკა და შრომა" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა რედაქციის კოლეგიის წევრი და თანამშრომელი

ზურაბ პავლეს ძე მეტრეველი

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათ. პლეხანოვის პრ. № 74. გამოსვენება ორშაბათს, 9 ივნისს, 4 საათზე. დაკრძალვა ძმათა სასაფლაოზე. (შ)

საქართ. კომ. მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ც. გამგეობა და მასთან არსებული ი, ტ. ს. რესბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ც. გ. წევრის და ი. ტ. ს. რესბიუროს თავმჯდომარის

ზურაბ პავლეს ძე მეტრეველის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი—დღეს საღამოს 6 საათზე. გამოსვენება ორშაბათს, 9 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათ. ბინიდან—პლეხანოვის პრ. № 174. დაკრძალვა—ძმათა სასაფლაოზე. (შ)

თბილისის წყალკანალის ტრესტის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექცია აუწყებს საზოგადოებას, რომ ა. წ. 6 ივნისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი ამხანაგი და მეგობარი საქ. კომუნალურ მეურნეობის კავშირთან არსებულ ინჟენერ-ტეხნიკოსთა რესპუბლიკანურ ბიუროს თავმჯდომარე

ზურაბ პავლეს ძე მეტრეველი

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის პრ. № 174, გამოსვენება ბინიდან ძმათა სასაფლაოზე, 9 ივნისს, 4 საათ. 3096

ტრამვაის ინჟენერ-ტეხნიკოსთა ადგილობრივი ბიურო აუწყებს საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალებს, რომ 6 ივნისს უდროოდ გარდაიცვალა ადგილობრივ ბიუროს დამაარსებელი და მისი აქტიური წევრი

ზურაბ პავლეს-ძე მეტრეველი

სამოქალაქო პანაშვიდი ბინაზე ყოველდღე, საღამოს 6 საათიდან, პლეხანოვის პრ. № 174. დაკრძალვა ორშაბათს, 9 ივნისს, 4 საათზე, ძმათა სასაფლაოზე. 3085

თბილისის ტრამვაის დირექცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ერთგულ და მუყაით მუშაკის ტრამვაის წარმოების ლიანდაგის გამგის

ზურაბ პავლეს-ძე მეტრეველის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 9 ივნისს, 4 საათზე, პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, პლეხანოვის პროსპ. № 174. 3082

თბილისის ტრამვაის სამმართველოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 6 ივნისს უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი მეგობარი და ამხანაგი, ტრამვაის წარმოების ლიანდაგის გამგე

ზურაბ პავლეს-ძე მეტრეველი

დაკრძალვა 9 ივნისს, 4 საათზე. პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, პლეხანოვის პრ. № 174. 3083

თბილისის ტრამვაის კანცელარიის თანამშრომლები: ვარვარა კალანდაძე, ნადია ჯაველიძე, იულია ჯაფარიძე და ვარვარა დავითაშვილი მწუხარებით აუწყებენ იშვიათი ადამიანის, ტრამვაის ლიანდაგის გამგის

ზურაბ პავლეს-ძე მეტრეველის

გარდაცვალებას. 3084

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე თამარა, სიდედრი, დარია, რძლები: თამარა და ქეთო ცოლისძმები: შალვა და სოლომონ ხატისკაცები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ უეცრად გარდაიცვალა

დიმიტრი (მიტო) არკადის-ძე გოგიშვილი

გამოსვენება დღეს, 4 საათზე, 1-ლ კლინიკური ინსტიტუტიდან კამოს ქუჩა № 103. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3106

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა ივანე მეუღლით, და ნინა, ბიძაშვილები: გაბო და ვანო ხალათოვები მეუღლით და სიძე რაჟდენ ნიკურაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაიცვალა

დიმიტრი (მიტო) არკადის-ძე გოგიშვილი

3106

დამწუხრებული მეუღლე პასიკო დავითის ასული ჯიქია, შვილები: იონა, ბაგრატი, ლადო, ვალიკო, იპოლიტე და მარო ჯიქიები, რძლები: ლუბა და ოლია, ქალიშვილები: ბაბილინა ქმრით, თოშა ცხაკაია და ვაშა კიტუანი, შვილებით იუწყებიან, რომ 4 ივნისს გარდაიცვალა საყვარელი

სიმონ (ბახვა) დავითის-ძე ჯიქია

გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან. დაკრძალვა დღეს, 8 ივნისს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3087

გიორგი და ვერა გორდეზიანები შვილებით, სერგო და ზაქარია ჯიქიები ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი ბიძის

სიმონ (ბახვა) დავითის-ძე ჯიქიას

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 8 ივნისს, 4 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან, 3068

დამწუხრებული და ნინო ჯიქიას ასული ფარულავასი და დისშვილი იასონი (მეუღლე) ნადია ფარულავები იუწყებიან, რომ 4 ივნისს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

სიმონ (ბახვა) დავითის-ძე ჯიქია

გამოსვენება ყოფ. მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 3076

გულდამწვარი მშობლები: ირაკლი და ეფროსინა, ძმები: პეტრე, ქრისტეფორე ცოლშვილით, პავლე და გიგუცა მაღრაძეები, დები: თალიკო და ანიჩკა ქმარშვილით აუწყებენ საზოგადოებას რომ სოფ. ლეღვანში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

დიმიტრი (მიტუშა) ირაკლის-ძე მაღრაძე

დაკრძალვა სოფ. ლეღვანში, სამშაბათს, 10 ივნისს. 3104

გაუბედურებული დედა ქასარია წერეთლისა, შვილები ნინა, ჯულიეტა, დათიკო, კოწია ფარნაოზის ასულნი და ძმა შურა ... ... აუწყებენ საზოგადოებას, რომ სამშაბათს, 10 ივნისს, (წინანდალში) ... გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

ოლღა დავითის ასულ ქავთარაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3103

ტირაჟი—57.414
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904